ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ ცეცხლაშვილი

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა 115 წლისაა

თენგიზ ცეცხლაშვილი

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა 115 წლისაა

მეორე გამოცემა

ბათუმი
2018

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნის შედგენის პროცესში სათანადო მასალების მოძიებასა და მოწოდებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი გენადი მახარაძე, მისი მოადგილე ნატო ჭყონია და ბიბლიოთეკის თანამშრომელები.

დიდად ვემადლიერები ღვაწლმოსილ ბიბლიოთეკარს ნუნუ ახვლედიანს და მის მეუღლეს ბატონ ომარ გვარიშვილს, ქალბატონებს: ნანა დიასამიძეს, მანანა ბოლქვაძეს, რუსუდან ქინქლაძეს, ნუნუ მალაყმაძეს და ნუნუ ზაიცევას, რომლებმაც გაიხსენეს და არ დაგვიკარგეს იმ ბიბლიოთეკართა საქმიანობა, რომლებიც წლების მანძილზე პირნათლად ემსახურებოდნენ საზოგადოებას.

მინდა მადლობა გადავუხადო ჟურნალისტებს მარინა მითაიშვილსა და მანანა ძიძიშვილს თბილი წერილებისთვის ბიბლიოთეკარებისადმი, რომლებმაც ახალი ელფერი შესძინეს წიგნს.

დიდი დახმარება გამიწიეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ბატონმა ოთარ გოგოლიშვილმა და მუზეუმის თანამშრომლებმა: გუგული ახვლედიანმა, ნანა ქორიძემ და ჯილდა მურვანიძემ.

წიგნის მშენებლობის პროცესში გაწეული გულისხმიერი და უანგარო დახმარებისათვის მადლობას ვუხდი შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს: დიანა კვაჭაძეს, თამარ დევაძეს, ნია ღლონტს, ანა ბაგრატიონს, არმაზ შეწირულს და ნიკა ჩიტალაძეს.

დაბოლოს ჩემი და ბიბლიოთეკის მუშაკთა სახელით დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ ანაიდა ავეტისიანს, რომელმაც ეს ნაწარმოები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მოამზადა დასაბეჭდად.

რედაქტორები: **რამაზ სურმანიძე**
ანზორ კუდბა

წიგნი აწყობილია ავტორის, დუგლას კომახიძის,
როსტომ გუნთაიშვილისა და ტარიელ ქარცივაძის ხარჯებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორისგან

წიგნის და წიგნიერების გარეშე საზოგადოებრივი აზროვნების განვითარება რომ შეუძლებელია, ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ამ მცნებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა დაპყრობილ და კოლონიურ ქვეყნებში, სადაც ეროვნული კულტურისა და ლიტერატურის განვითარება შენელდა და მშობლიურ ენასაც საფრთხე დაემუქრა.

ასეთ ვითარებაში ადამიანთა სულიერების შესანარჩუნებლად წერა-კითხვა და წიგნიერება იყო ერთად-ერთი გამოსავალი. ეს განსაკუთრებით დასჭირდა ოსმალეთის მიერ მიტაცებულ პროვინციებს, სადაც მამულთან ერთად მოსახლეობამ რწმენაც დაკარგა. ამ მხრივ სახარბიელო მდგომარეობა არც ცარიზმის დროს გვქონდა. პირიქით ეს რეჟიმი მშობლიურ ენასაც შეებრძოლა და ლამის მთლიანად აღმოფხვრა იგი.

ბათუმში და საერთოდ აჭარაში წიგნთსაცავების, სამკითხველოების და ბიბლიოთეკების დაარსება გადაგვარების გზაზე მყოფი მოსახლეობის უებარი წამალი იყო და ღმერთმა გვიშველა, რომ 1902 წელს საქალაქო ბიბლიოთეკა გვეღირსა.

ბიბლიოთეკამ დიდი ისტორიული სამსახური გაუწია ბათუმის სწავლულებს და დაბალ ფენასაც. როგორც ძველად თვლიდნენ, მან გონებრივ საზრდოს მოკლებული მუშა ხალხი მოაშორა სამიკიტნოებსა და კაფე-შანტანებს, სადაც ისინი მამასისხლად ნაშოვნ გროშს და თავის ზნეობას ტოვებდნენ.

ბიბლიოთეკის მწვავე საჭიროების თავგადაკლული მომხრეები დავით კლდიაშვილი, გრიგოლ ვოლსკი, ლუკა ასათიანი და სხვები თვლიდნენ, რომ მის გარეშე სკოლის მნიშვნელობა ოთხჯერ მცირდებაო და დასაწყისში სამკითხველო მათე ნიკოლაძის (ნიკოს ძმის) წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების მაღაზიაში გახსნეს. შემდეგ სამკითხველო ბათუმის სამოქალაქო სასწავლებელში გადაიტანეს, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ კერძო შეწირულობებმა იმარჯვა. ნატალია ქიქოძემ ფული შეაგროვა და შეუდგა ბიბლიოთეკის გახსნის მსურველთა მიმხრობას, ხოლო მარიამ მხეიძემ საკუთარი სახსრებით უფასო ბიბლიოთეკა გახსნა, ეს კი საკმარისი საფუძველი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ქალაქის თავი ლუკა ასათიანი ბიბლიოთეკის საგანგებო შენობის აგებას შედგომოდა, რაც 1902 წელს განხორციელდა კიდეც. და აი, დღემდე ამ სახლის „მადლი გვიკურთხა ზენამ“. ჩვენ კი მოვალენი ვართ ცოდნის ამ ტაძრის საფუძვლის ჩამყრელები ყოველთვის მოწიწებითა და დიდი მადლიერებით მოვიხსენიოთ.

მეფის რუსეთის დროს დაფუძნებულ, ისტორიის ქარცეცხლში გამოვლილ და შენარჩუნებულ ბიბლიოთეკას თითქმის საუკუნის თავზე საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ლიკვიდაციით დაემუქრა ადრინდელი რეჟიმი, და საზოგადოების აქტიურობა რომ არა, პირველ რიგში ბიბლიოთეკის თანამშრომლების თავგამოდება და საპროტესტო აქციები, ცოდნის კერას ვეღარ შევინარჩუნებდით.

ამ რთული პერიოდის მოვლენებს, რომელიც დაებედა აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას (2006-07 წწ.), აღწერს წიგნის ავტორი თენგიზ ცეცხლაშილი. იგი ერთ-ერთი აქტიური მემატიანეა, არაერთ ნაშრომში ფარდა ახადა დანაშაულებრივ რეჟიმს, ხოლო მისი წიგნის, ,,ეს არ უნდა განმეორდეს!“, მიხედვით გადაღებულია დოკუმენტური ფილმი, რომელიც თარგმნილია ინგლისურ და რუსულ ენებზე და ჩართულია ინტერნეტის ქსელში.

წინამდებარე წიგნშიც ავტორი ცდილობს საზოგადოებას წარუდგინოს მისი ფენებიდან გამოსული პატრიოტი ადამიანები, რომლებიც ებრძოდნენ მოძალადე რეჟიმს, რომლის ძირითადი მიზანი იყო ქართული სინამდვილიდან ყოველივე ეროვნულის აღმოფხვრა.

წიგნი გადმოგვცემს ბიბლიოთეკის ცხოვრებას. იგი გაჯერებულია დოკუმენტური მასალებით, ყოფილი თანამშრომლების მოგონებებით. წიგნის გვერდებზე შეხვდებით მათ ფოტოსურათებს. წიგნში ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ნათლად გადმოსცეს ბიბლიოთეკის მუშაობის მაჯისცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე იგრძნობა ის რთული შრომატევადი სამუშაო, რაც ბიბლიოთეკარების ხვედრია.

ვალდებულად ვთვლი თავს ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიმართ გამოვთქვა ჩემი პირადი შთაბეჭდილებები და მადლიერება. ცოდნის ამ ტაძარში პირველად 1958 წელს შემოვიარე. პირველივე დღეებიდან ვგრძნობდი იმ დიდ საქმის ცოდნას, რასაც მკითხველთა წინაშე ამჟღავნებდნენ. მე ამ სამყაროს წევრი გავხდი და საკუთარ ოჯახად ვთვლი ამჟამადაც.

ჩემს მიმართ ყურადღება კიდევ უფრო მეტად ვიგრძენი, როცა დირექტორმა, ქალბატონმა ეთერ ცივაძემ საბიბლიოთეკო საბჭოს თავმჯდომარეობა შემომთავაზა. ეს დიდი პატივი იყო, ბუნებრივია, სიამოვნებით მივიღე და წლების მანძილზე ვცდილობდი თავი გამომეჩინა ჩემი კეთილი მასპინძლების წინაშე.

ჩემდამი ყურადღების დაგვირგვინება იყო ამჟამინდელი დირექტორის, ბატონ გენო მახარაძის და მისი თანამშრომლების ინიციატივა, რომლებმაც შეკრიბეს და ცალკე წიგნად, რუსულ-ქართულ ენაზე გამოსცეს „რამაზ სურმანიძე. ბიო ბიბლიოგრაფია. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი. 1964-2008 წწ.“ ჩემი სიცოცხლის 75 წლისთავზე ეს იყო უძვირფასესი საჩუქარი მათ შორის, რაც ოდესმე მიმიღია.

უღრმესი მადლობა მათ ამისთვის. ჩემი მეგობრული ურთიერთობა ამ დიდ და კეთილ ოჯახთან საბედნიეროდ დღესაც გრძელდება.

რამაზ სურმანიძე,

მწერალი, პროფესორი

ამ ცოდნის ტაძარს 115 წელი შეუსრულდა

დღეში, ვინ იცის, რამდენჯერ ავუვლ-ჩამოვუვლი ჩვენს ბიბლიოთეკას და გული ყოველთვის ძალუმად ამიძგერდება ხოლმე. მე შემიძლია შევიდე შიგ და შევხვდე ყველაზე გამოჩენილ ადამიანებს, ვისაც კი უცხოვრია და უმოღვაწია, ვისაც თავისი ღვთით ბოძებული წუთი გაუმარადჟამებია ჩვენს წუთისოფელში, ისინიც თითქოს ტრიბუნაზე დგანან და გვესალმებიან, ჩვენ კი თავდახრილები მივაგებთ პატივს და მადლობას ვუხდით იმ ღვაწლისათვის, რაც უშურველად გაუღიათ ადამიანთა საკეთილდთეოდ.

და ამ ბიბლიოთეკას 115 წელი შეუსრულდა, ამ ცოდნის ტაძარსა და დიდ მასწავლებელს ვუხდით იუბილეს. და ხომ შესაძლო იყო, ეს იუბილე ვერც მიგველოცა იუბილარისთვის, მხედველობაში მაქვს ის არდასაცლელი წელიწადი, როცა განათლების მინისტრმა ვინმე ჩიკვაიძემ სცადა გაეუქმებინა ბიბლიოთეკა და უსახლკაროდ დაეტოვებინა მისი მუდმივი ბინადარნი: რუსთაველი, დანტე, შექსპირი, გიოთე, მოცარტი, ილია, აკაკი, და სხვანი და სხვანი. და რომ არა ბიბლიოთეკის დირექტორი, ბატონი გენადი მახარაძე და მისი თანამშრომლები, მთელი აჭარის საზოგადოებრიობა, დღეს აღარ გვექნებოდა ეს დიდი ცოდნის ტაძარი და ყოველ დილითაც ვეღარ მივესალმებოდი ბიბლიოთეკის შესასვლელში ილიასა და აკაკის, საპატიო ყარაულში რომ დგანან წიგნისა და მკითხველის სადარაჯოზე.

დიდი ხნის სიცოცხლეს ვუსურვებ იუბილარს!

ანზორ კუდბა,

მწერალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორია

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა 1902 წლის 13 ოქტომბერს გაიხსნა ბათუმის ინტელიგენციის, ინტელიგენციასთან თანამდგომი ქალაქის დაბალი ფენებისა და ქალაქის მესვეურების ძალისხმევით.

ბიბლიოთეკის გამგეობის შემადგენლობაში შედიოდნენ: ივ. ანდრონიკაშვილი (ქალაქის თავი), გრ. ვოლსკი, ვ. ლორტინი, ე. ტურკინი და კ. ჩხეიძე. ქალაქის მმართველობამ ბიბლიოთეკის საჭიროებისათვის გამოჰყო ათას 500 მანეთი.

ახლად დაფუძნებული საჯარო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი უმთავრესად შეწირული წიგნებით იზრდებოდა. პირველივე დღიდან ბიბლიოთეკამ მიიღო შემოწირულობა ნ. ს. დერჟავინის, ე. ვ. ტურკინის, ა. რ. ივანოვის, ო. მ. კუზიატინას, ე. პრიმოს და სხვათაგან. 1902-1903 წლებში ქალაქის გამგეობისა და კერძო პირთა წყალობით ბიბლიოთეკის ფონდმა 2 ათას 88 ბეჭდვითი ერთეული შეადგინა, მათ შორის: შეწირულობის სახით მიღებულია 223 ერთეული, ხოლო შესყიდულია ათას 865 ერთეული. 1903 წელს ბიბლიოთეკას ჰყავდა 375 აბონენტი, ხოლო ბიბლიოთეკით ისარგებლა 2 ათას 786 მოქალაქემ. 1904 წელს ბიბლიოთეკის ფონდი შეადგენდა 3 ათას 691 ერთეულს, ჰყავდა 324 აბონენტი და სარგებლობდა 4 ათას 814 მოქალაქე. იზრდებოდა მკითხველთა რაოდენობაც და შემადგენლობაც. ამავე წელს პირველად ჩატარდა წიგნადი ფონდების საინვენტარო აღრიცხვა და შეიქმნა საკატალოგო მეურნეობა. 1905 წლიდან, რევოლუციურ პერიოდში, მკვეთრად მცირდება ფონდის შევსება და მკითხველთა რაოდენობაც, მაგრამ 1908 წელს კვლავ ფართოვდება ბიბლიოთეკის საქმიანობა. 1910 წელს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 7 ათას 933 ერთეულს შეადგენდა, ხოლო 1911 წლის ბოლოსათვის კი 9 ათასს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღემატებოდა. ამ პერიოდისათვის საჯარო ბიბლიოთეკას ჰქონდა 41 სახელწოდების ჟურნალ-გაზეთი, რომელთაგან 6 ქართული იყო.

საჯარო ბიბლიოთეკის გამგეები იყვნენ: 1902 წლის 13 ოქტომბრიდან 1909 წლის 13 თებერვლამდე ე. ვ. ტურკინი, 1909 წლის 13 თებერვლიდან 1910 წლის 13 აპრილამდე პ. ი.კაზანოვსკი, 1910 წლის 13 აპრილიდან ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობს პ. დ. გამყრელიძე, მოადგილედ ო. კუზიატინა (იგი ამ თანამდებობაზე იყო ბიბლიოთეკის დაარსებიდან).

მასალის სიმცირის გამო ჯერჯერობით სრულყოფილად არაა გამოკვლეული, თუ როგორ მუშაობდა 10-20-იან წლებში ბიბლიოთეკა.

1937 წელს მოხდა ამ ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია და შეიქმნა ე. წ. ,,სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა'', მას მიენიჭა დიდი ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის სახელი. ეს ბიბლიოთეკა დიდხანს იყო განთავსებული პატარა შენობაში, კომინტერნის (ამჟამად მემედ აბაშიძის) ქუჩაზე.

1959 წელს ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკა გარდაიქმნა ,,აჭარის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკად''. ამიერიდან ის წარმოადგენდა ავტონომიური რესპუბლიკის უმთავრეს ბიბლიოთეკას და რეგიონის მეთოდცენტრს.

1950-1960-იან წლებში ბიბლიოთეკის ადრინდელ შენობას რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და ახალი ორსართულიანი შენობა მიაშენდა. ამგვარად, ბიბლიოთეკის შენობა განთავსდა ორი ქუჩის (ამჟამად ვაჟა-ფშაველასა და მემედ აბაშიძის) კვეთაზე და საკმაო ფართი მიიღო, სადაც ამჟამადაც აგრძელებს ფუნქციონირებას. იმ დროს ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა ცნობილი პოეტი ნანა გვარიშვილი. ტექნიკური პირობების გაუჯობესებასთან ერთად იცვლება ტექნოლოგიური და მეთოდოლოგიური პროცესებიც. ეს პერიოდი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ბიბლიოთეკისათვის.

სხვადასხვა დროს ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდნენ საზოგადოებრივ და საგანმანათლებლო საქმიანობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობის გამოცდილების მქონე პირები: მარია გუსევა, ნანა გვარიშვილი, ჯემალ ჯაყელი, მამია ბერძენიშვილი, ეთერ ცივაძე, სოსო ჯორბენაძე. 1997 წლის 16 სექტემბრიდან ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლებით, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი წიგნთმცოდნეობის სპეციალობით გენადი მახარაძე.

1998 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლ;იკის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში განხორციელდა სრული რეორგანიზაცია, დამტკიცდა დებულება, შეიცვალა სტრუქტურა, საშტატო განრიგი, გაუმჯობესდა შრომისა და მომსახურების პირობები, ჩატარდა სარემონტო სამუშაოები.

2005-2007 წლებში საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში მიმდინარე პროცესების შედეგად აკაკი წერეთლის სახელობის აჭარის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას 2007 წლის მიწურულს შეეცვალა სტატუსი და ის გარდაიქმნა აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკად, რომელიც ორ შენობაში განთავსდა: ერთი - ძირითადი (მდებარეობს მისი პირველადი დაარსების ადგილზე - ვაჟა-ფშაველას ქ. №21) და მეორე - საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება (ივ. ჯავახიშვილის ქ. №72).

ბიბლიოთეკის რეორგანიზაციის ხანგრძლივ პერიოდში ძირითადად ჩამოყალიბდა მისი სტატუსი, უფლება-მოვალეობანი, სტრუქტურა, შრომის პირობები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ამან საშუალება მისცა ზემდგომ ორგანოებს, არსებული კანონმდებლობითი დოკუმენტების გათვალისწინებით, ჯერ 2012 წლის 23 თებერვალს და შემდგომ 2015 წლის 9 ივლისს შეექმნათ ბიბლიოთეკის საქმიანობის ოფიციალური საფუძველი წესდების სახით, რომელშიც დეტალურად იქნებოდა განსაზღვრული ყველაფერი, რაც ამ პერიოდისათვის ბიბლიოთეკის მუშაობის მიმართულებებს შეესაბამებოდა.

ბიბლიოთეკას, რომელიც 115 წლისაა, ცხადია, მეტად საინტერესო და საყურადღებო ფონდი გააჩნია. მრავლადაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილი მწერლის, საზოგადო მოღვაწის, მეცნიერ-მკლევარის, პედაგოგის, სხვადასხვა დარგის სპეციალისტ-პროფესიონალის ნაშრომთა და ნაწარმოებთა გამოცემები. აქ თავმოყრილია როგორც ძველი, ისე ახალი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ფონდები, კარტოგრაფიული და გრაფიკული გამოცემები, დისკები და მრავალგვარი აუდიოვიზუალური მასალა. ფონდში დაცული დოკუმენტები წარმოდგენილია ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, თურქულ, არაბულ, უკრაინულ, ბერძნულ, პოლონურ, ჩეხურ, აზერბაიჯანულ, სომხურ, ტაჯიკურ, ბასკურ, ქურთულ, ებრაულ, ირანულ, შვედურ, იაპონურ, ბულგარულ, ყაბარდოულ ენებზე.

მომხმარებელთან მუშაობის თვალსაზრისით, ბიბლიოთეკა ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. მას მჭიდრო ურთიერთობა აქვს ქალაქის მოსახლეობასთან, რაც უმეტესად აქ ჩატარებულ ღონისძიებებში ჰპოვებს ასახვას, კერძოდ, ტარდება შემეცნებითი დისკუსიები, ლექციები, კონფერენციები, წიგნების განხილვა-გარჩევები, ლიტერატურული საღამოები, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენებები, სლაიდ-შოუები, ბათუმში მოღვაწე შემოქმედ, ღვაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლე და სტუდენტ-ახალგაზრდებთან მუშაობას. მუდმივი ურთიერთობაა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებთან, რომელთა მოსწავლეები და სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ ღონისძიებებში და დარგობრივ კლუბებში. ბიბლიოთეკაში ეწყობა საბიბლიოთეკო დოკუმენტების, როგორც მუდმივი, ისე ახალი წიგნების მრავალფეროვანი გამოფენები, მოქმედებს 9 კლუბი ინტერესთა მიხედვით. წლის განმავლობაში საშუალოდ 100-მდე ღონისძიება, 90-მდე გამოფენა და 100-მდე საკლუბო შეხვედრები იმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ბიბლიოთეკა გამართულად და თანამედროვე სტანდარტებით მოღვაწეობს. აქ ყველა პირობაა შექმნილი საქმიანობის მაღალ პროფესიულ დონეზე წარმართვისათვის, თუმცა მეთოდოლოგიურად შრომის პროცესების შემდგომ დახვეწაზე მუშაობა გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკას აღარ აქვს ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი ბიბლიოთეკის სტატუსი, წესდება მას ავალებს და ფაქტობრივადაც ის მეთოდურ-პრაქტიკულ დახმარებას უწევს აჭარის ყველა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკას, საბიბლიოთეკო დარგში ინოვაციური პროცესების მართვას.

ახალი საუკუნის დასაწყისიდან ბიბლიოთეკაში დაინერგა ახალი ტექნოლოგიები, შემოიტანილია კომპიუტერები, ტექნიკური აპარატურა, ვითარდება კომუნიკაციის სისტემები, 2001 წლიდან ინტერნეტი გამოიყენება საბიბლიოთეკო პროცესებში და მკითხველთა მომსახურებისას. 2009 წელს შეიქმნა ბიბლიოთეკის ერთიანი კომპიუტერული ქსელი და დაიწყო ელექტრონული კატალოგებისა და წიგნების გაციფრების წარმოება. ბიბლიოთეკა თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა საელჩოებსა და მოქმედ ფონდებთან.

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას აქვს არა მარტო დიდი წარსული, ახლანდელი მყარი პირობები, არამედ სამომავლო პერსპექტივები.

გენადი მახარაძე,

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ
ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
წიგნთმცოდნეობის სპეციალობით

ავტორისგან

,,უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა“.

,,ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს, იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თვისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას“.

ილია ჭავჭავაძე

დიდი ოჯახია ბიბლიოთეკა. სწორედ აქ გაიმართა ჩემი წიგნების: ,,მამაცობისა და ერთგულების სიმბოლო“, ,,ერის სადარაჯოზე“, ,,ცეკვის ჯადოქარი“, ,,ეს არ უნდა განმეორდეს!“, რომლის მიხედვით გადაღებული იქნა დოკუმენტური ფილმი ,,სისხლიანი კალო“ და გაიმართა მისი წარდგენა. მადლობის მეტი რა მეთქმის?!

ფილმში ასახულია 2011 წლის 26 მაისის სისხლიანი მოვლენები, რომელიც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს აწ გარდაცვლილ ვახტანგ ახვლედიანს მივუძღვენი, რეჟისორი ნინო დავითაშვილი.

ბიბლიოთეკისკენ დილიდანვე მივემართები, რათა კვლავ განვაგრძო მუშაობა ჩემთვის საინტერესო თემაზე, სადაც გულთბილად მხვდებიან და ხელს მიმართავენ ბიბლიოთეკის თანამშრომლები. აქ მხვდება მწერალი და საზოგადო მოღვაწე ბატონი ანზორ კუდბა. იგი 2016 წლის აპრილიდან ბიბლიოთეკაში მოდის ყოველდღიურად და წიგნს წერს ბაბილონზე. რომანი ,,ჩრდილს ნუ მომიკლავთ!“ უკვე დასრულებული აქვს. როგორც ბატონმა ანზორმა ერთ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთ ინტერვიუში განუცხადა გაზეთ ,,აჭარის“ ჟურნალისტს: ,,ბიბლიოთეკაში უკვე ერთი წელია დავმკვიდრდი. სვეტებიან დარბაზში თავს ხალვათად ვგრძნობ, სვეტთან რომ მაგიდაა, ის ხომ ჩემად მივიჩნიე და მეწერება აქ, თითქოს ,,წერას“ ვყავდე ატანილი“.

სწორედ აქ, ამ სვეტთან მიწევს იგი დახმარებას და მაძლევს გზამკლევ დარიგებებს მწერლობის ასპარეზზე შემდგარს, ჩემი უფროსი მეგობარი ანზორი კუდბა, რისთვისაც ასე ვემადლიერები.

სანამ წიგნზე მუშაობას დავიწყებდი, მანამდე ჩემს მიერ იყო ინფორმირებული ქალაქის საზოგადოება სოციალური ქსელით, წერილობით:

ძვირფასო მკითხველო, გამოსაცემად მზადდება წიგნი ,,აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა მკითველის გადმოსახედიდან“ (მიძღვნილი ბიბლიოთეკის დაფუძნებიდან 115 წლისადმი), მსურველებს, მონაწილეობა მიიღოთ ამ წიგნის მშენებლობაში, შეგიძლიათ მოგვაწოდოთ წერილობითი მასალების ელოქტრონული ვერსია ა/წლის 30 სექტემბრამდე მისამართზე avanaida@gmail.com

აქვე გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ბიბლიოთეკასთან არსებულ სკვერში დგას ქანდაკება ,,ბათუმი - საქართველოს მარგალიტი“, იგი ქალაქის მერიისთვის საჩუქრად გადაუცია ცნობილ ქველმოქმედსა და შემოქმედს, საზოგადო მოღვაწეს, ბათუმის საპატიო მოქალაქეს და ძირძველ ბათუმელს ვალერი მოქერიას (ბურხანა). ტურისტები ამ ქანდაკებას დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ. ჰოდა, თქვე დალოცვილებო, შესაბამისმა სამსახურმა ის მაინც გააკეთოს, რომ დაფა განათავსოს შესაბამისი წარწერით. ნამდვილად გაიხარებდა შინაურიც და გარეშეც.

წელს აპრილში სამოცდაათი შემისრულდა და ბიბლიოთეკის დირექტორი ბატონი გენადი მახარაძე ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარიღის აღნიშვნასაც გეგმავდა. აბა, მადლობის მეტი რა მეთქმის? საერთოდაც უნდა აღვნიშნო, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლები მუდამ გვერდით მიდგანან და დიდ დახმარებას მიწევენ. განსაკუთრებით ვემადლიერები დირექტორის მოადგილეს ქალბატონ ნატო ჭყონიას. ასევე მზია ლაბაძეს, ლია ბოლქვაძეს და ბორის (ჯონი) ხუციშვილს, რომლებიც ღონისძიებების ჩატარებისას დიდ დახმარებას მიწევენ. ჩემი საიუბილეო თარიღის აღნიშვნა არც ჩამითვლია მიზანშეწონილად, რადგან ჩემი ქვეყნისა და ხალხის წინაშე ეს ნამდვილად არ დამიმსახურებია, მაგრამ ის კი მივიჩნიე აუცილებლად, რომ ჩემი განვლილი გზის ანგარიშით წავრვმდგარიყავი მკითხველის წინაშე. აპრილისთვის გამოსაცემად მზად მქონდა მორიგი წიგნი, რომელშიც გავაერთიანე მასალები ჩემი ხელნაწერებიდან ,,ჩემი ნათესაობა“, ,,აჭარა ჩემი გადმოსახედიდან“ და ვუწოდე მას ,,მე ორივ კუთხის ძეობას ვცდილობ“.

წიგნი გამოიცა ბათუმელი მეგობრების თანადგომით და ის დაბინავებულია საჯარო ბიბლიოთეკაში.

სურვილი გამიჩნდა, რომ მკითხველის გადმოსახედიდან წიგნი დამეწერა ბიბლიოთეკაზე, მის სათნო თანამშრომლებზე, რომლებიც ამ დიდი ცოდნის ტაძრის სტუმრებს გულთბილად ემსახურებიან, ასევე გამეშუქებია იმ ღონისძიებათა ნუსხა და ფაქტობრივი მასალები, რაც ხშირად იბეჭდება გაზეთებში.

გაზეთი რამდენიმე დღით ,,ცოცხლობს“, ხოლო წიგნი მარადიულია! წიგნის დაწერის სურვილი იმანაც გამიძლიერა, რომ წელს 13 ოქტომბერს საჯარო ბიბლიოთეკის დაფუძნებიდან 115 წელი სრულდება და 80 წელი აკაკი წერეთლის სახელის მინიჭებიდან (1937 წელს მიენიჭა ბიბლიოთეკას დიდი მგოსნის სახელი). აქვე მინდა ერთი ამბავი გავიხსენო, რომელიც ჟურნალ „ჭოროხის“ ფურცლებიდან ამოვიკითხე: ,,უხუცესი ბათუმელი მოქალაქე ალექსანდრე (საშა) თიროშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგონებდა: როდესაც გასული საუკუნის მიწურულში ბათუმს საქართველოს ბულბული, ხალხთა მეგობრობის მომღერალი აკაკი წერეთელი სწვევია, ბათუმელ ახალგაზრდებს აკაკის ეტლიდან ცხენები გამოუხსნიათ, თვითონ შებმულან და სადგურიდან სასტუმროში ასე მიუყვანიათ პოეტი. სხვათა შორის აკაკისადმი დიდი სიყვარულის ნიშნად, ამას საქართველოს სხვა ქალაქებშიც აკეთებდნენ, მაგრამ ბათუმში მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ეტლში ქართველებთან ერთად შებმული იყვნენ რუსებიც, სომხებიც და ბერძნებიც.

ეს დილით მომხდარა, ხოლო როდესაც საღამოს ქალაქის საკრებულოში პოეტის საღამო გადაუხდიათ, უბილეთოდ დარჩენილი ზღვა ხალხი, რომელთა შორის არაქართველებიც ძალიან ბევრნი იყვნენ, შუაღამემდე ელოდა მგოსნის გამოჩენას, რომ მისალმებოდა მას და თავისი სიყვარული გამოეხატა მისადმი. აი, ასე იცოდნენ მათ ძმობის ფასი.

სწორედ ამ აღმოსავლეთისა და დასავლეთის შესაყარზე მდებარე უძველესი ქართული ქალაქი ბათუმი ოდითგანვე ხალხთა მეგობრობის ქალაქი იყო“.

* * *

ეს მაგალითი ისე, ცნობისათვის მოვიყვანე, მგონი, წიგნს არას დაუშავებს, ხოლო აკაკი წერეთლის ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების გაცნობის მსურველებს გირჩევთ ბიბლიოთეკაში მოიკითხეთ გურამ შარაძის ავტორობით გამოცემული წიგნი დიდი მგოსნის შესახებ, გამოკვლევის ტექსტს თან ახლავს საქართველოსა და საზღვარგარეთის სიძველთსაცავებში ავტორის მიერ მოძიებული იკონოგრაფიული თუ ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ფოტოდოკუმენტთა მდიდარი კორპუსი, რომელიც პირველად არის ერთად ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმოყრილი და გაანალიზებული გენიალური პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესაბამისი პერიოდების დასასურათებლად, რაც დღემდე არ ყოფილა გაკეთებული აკაკისმცოდნეობაში.

აკაკი წერეთლის სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით 1908 წლის დეკემბრიდან საქართველოში დაიწყო და მომდევნო წლებში მსოფლიოს მრავალ ქალაქში (ბრიუსელი, რომი, ჟენევა, ხარკოვი, ოდესა, პეტერბურგი, მოსკოვი, ბაქო, სტამბოლი, პარიზი...) გაგრძელდა გენიალური პოეტის პატივსაცემად გამართული საიუბილეო დღესასწაულები.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ,,საქართველოს უგვირგვინო მეფედ“ წოდებული დიდი ეროვნული პოეტის იუბილე გასცდა სამშობლოს საზღვრებს და ფაქტიურად მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ თაყვანი სცა აკაკის ღვთაებრივ ნიჭს და მის უდიდეს დამსახურებას არა მარტო მშობელი ერის, არამედ საკაცობრიო კულტურის წინაშე. წიგნში წარმოდგენილია და უხვადაა დასურათებული ამ ისტორიული მოვლენის დაწვრლებითი მატიანე.

ნაშრომი ტომების მიხედვით ასე არის განაწილებული: პირველი ტომი – აკაკის ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება (1840-1866 წწ.) ტომი ორი = აკაკის ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება (1867-1915 წწ.) ტომი მესამე – აკაკის იუბილე 1908 წელს; ტომი მეოთხე – აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს; ტომი მეხუთე – სიკვდილი და დასაფლავება 1815 წელს.

აქვე მინდა შემოგთავაზოთ ამონარიდი ერთ-ერთი ტომიდან: ,,აჭარის და ბათუმის ბედით აკაკი მის შემოერთებამდეც ყოფილა დაინტერესებული, რასაც მოწმობს 1872 წელს დაწერილი მისი ერთი ლექსი, რომელშიც გულისტკივილს გამოთქვამს უცხოელთაგან მიტაცებული ბათუმისა და ჭოროხის ჩამოშორების გამო და ოცნებობს მათ დაბრუნებაზე, რადგან საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ წარმოუდგენია აჭარის გარეშე, ისე როგორც სპილო უხორთუმოდ, ან კიდევ, ქართლოსის შვილები – ღვიძლი ძმის აჭარის გარეშე:

,,ვით სპილო არ მწამს სპილოდა,
თუ აღარა აქვს ხორთუმი,
ისე კავკასი კავკასად,
თუ არ ექნება ბათუმი!
ჭოროხი ჩვენს ძველ დიდებას
წაიღებს, შავ ზღვას შერთავსო,
თუ დაგვეკარგა ის წყალი,
ჩვენს ,,ვაის“ ,,უის“ შერთავსო!
ზედ იალბუზზედ შემდგარი
ქართლოსი ამბობს ამასო,
და როს იქნება, შვილებმაც
ერთხმად მივსძახოთ მამასო!...
ორაზროვანი ღიმილით
შენც რომ ყურს უგდებ აჭარა!
ძველ დროში, ჩვენო ძმა, ტკბილო,
რომელ ძმად გხედავთ აწ არა“.

უკანასკნელ ხანს გამომზეურდა აკაკის წერილები ნიკო ნიკოლაძისადმი, რომლებშიც გამოთქმულია მხარდაჭერა 1875-76 წლებში აჯანყებული აჭარლებისადმი, რომლებმაც უარი განუცხადეს ოსმალეთის ხელისუფლებას წასულიყვნენ ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში მშვიდობიან მოსახლეობის გასაჟლეტად. აკაკის ამ დროს პირადი ურთიერთობაც დაუმყარებია აჯანყების ერთ-ერთ მეთაურთან ქობულეთელ ხუსეინ გიორგაძესთან, რომელიც თურმე საიდუმლოდ ჩადიოდა მასთან ქუთაისში.

1877 წლის 12 აპრილს რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებას, სხვა დიდ ქართველ მოღვაწეებთან ერთად, გამოეხმაურა აკაკიც გაზეთ ,,დროებაში“ 29 აპრილს დაბეჭდილი წერილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

,,ომის მიზეზი“, რომელშიც იგი გამოთქვამდა ჩუმ ნატვრას ომის ჩვენდა სასიკეთოდ დამთავრების თაობაზე: ,,დიდმა რუსეთმა ომი გამოუცხადა ბრწყინვალე პორტას!

ვინ იცის, რამდენი მშობელის გული საუკუნოდ დაიწყლულება, რამდენი ქვრივ-ობოლი საწყლად დარჩება და რამდენი დაინტაჯება! თუ ერთის უბედურება ათს გააბედნიერებს, ათის ტანჯვა ასს ალხენს და ასის დამონავება ათასს გაანთავისუფლებს, მაშინ კი, რასაკვირველია, ზემოთჩამოთვლილი ჭირები საზოგადო უბედურებად აღარ ჩაითვლებიან; ისინი იქნებიან მსხვერპლები საზოგადო გამოხსნისა და დამშვიდებისა...“

პოეტის ეს ოცნება ახდა: 1878 წლის 25 აგვისტოს აჭარის განმათავისუფლებელი რუს-ქართველთა ლაშქარი ბათუმში შევიდა!

ახლა მთავარი იყო რუსული ხელისუფლების დამკვიდრებას ახლადშემოერთებულ მხარეში ახალი სიძნელეები არ წარმოეშვა. ამისათვის კი საჭირო იყო სახელმწიფო სამსახურში რუსების ნაცვლად ქართველი მოხელეების დანიშვნა. ამიტომაც გაზეთ ,,დროებაში“ 1878 წელს (N183) აკაკი წერილით ,,მცირე რამ მოხსენება“ საგანგებოდ მიესალმა ქობულეთში გრიგოლ გურიელისა და ართვინში მიხეილ მეფისაშვილის მხარის უფროსებად დანიშვნას და მათ მოუწოდა მოსახლეობასთან ურთიერთობაში ტაქტისა და გონიერების, ყურადღებისა და გულისხმიერების გამოჩენისაკენ, ხოლო ახლადშემოერთებულ ძმებს ასე მიმართავდა:

,,ჩვენო ერთტომო და ერთმოგვარე ძმებო!

დიდი ხანი არ არის მის შემდეგ, რაც უკუღმართმა ბედმა დაგვიკარგა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ერთობა, გაგვაპო შუა, გაგვყო ორად, გაგვასხვავა სარწმუნოებით, მაგრამ ჩვენ კი მაინც იმავე ერთი ტომის ხალხი ვართ, რაც ადრე ვიყავით, იმგვარივე სისხლი სდუღს ჩვენში დღესაც, რომელსაც ჩვენ და თქვენ ჩვენის ერთობისათვის თავგანწირულად შეერთებულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანთხევდით... ჩვენა გვაქვს ერთი ისტორია, რომელიც საქართველოსადმი თქვენ უფრო დიდ წილს გიდებსთ, როგორც შემხებს, მოსაზღვრეებს, – ის არ დაივიწყება უკუნისამდე, სანამ კი საქართველო არსებობს და სანამ ჩვენი დედაენა არ გამქრალა, ის ტკბილი ენა, რომელიც თქვენ აგრე მამაცურად და პატიოსნურად უცხოობაშიც კი შეგინახავთ. რადაც უნდა ვიყოთ, რაგინდ შორს ვიყოთ ერთმანეთზედ, დიდათაც რომ განსხვავდეთ გარეგნობით, ჩვენ მაინც ყოველთვის ერთი უნდა ვიყოთ იმ მიზეზით, რომელიც ჩამოვთვალეთ. ჩვენი ცალცალოება, ჩვენი გაყოფა ორად – ჩვენი ბედისა და ძალის განახევრება არის. როგორც ძველად, ისე დღესაც უთქვენოდ ჩვენი ჭირი ორკეცდება და ლხინი კი ნახევრდება, თუ თქვენ ცუდ მდგომარეობაში გვიგულებთ, მაშინ ჩვენი კეთილდღეობაც აღარაფრად გვიღირს და თუ თქვენც ჩვენთან ერთად ჩვენი თანამგრძნობი და ერთად უღლის გამწევად გხედავთ, მაშინ ჭირსაც აღარ შეუშინდებით. ღმერთმა ნუ ქნას უთქვენობა ჩვენთვის და უჩვენობა თქვენთვის. ორივე ნახევარი ცალ-ცალკე ყოველთვის უსრულო ნაწილებად დარჩებიან, მაგრამ ერთად შეერთებით კი ერთს სრულს შეადგენენ. დიახ, სულითა და გულით ჩვენ ერთი ვართ, ერთს ბედს ქვეშ უნდა ვიყოთ ყოველთვის“.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ახალშემოერთებულ აჭარაში, კერძოდ, მაჭახლის უბნის უფროსად 1878–1881 წლებში მსახურობდა აკაკის უფროსი ძმა დავით წერეთელი (1832–1902), რომელიც ამ მხარის შესახებ საინტერესო მასალებს ბეჭდავდა იმდროინდელ ქართულ პრესაში.

აჭარასთან აკაკის ნათესაური ურთიერთობებიც აკავშირებდა. ცნობილია, რომ გურიის მთავარი სვიმონ მესამე გურიელი (მთავრობდა 1789-1792 წწ.) და აჭარის სანჯაყ-ბეგი სელიმ ხიმშიაშვილი (1755–1815) ერთმანეთს დაუმოყვრდნენ - გურიელის ასული კესარია სელიმის ვაჟს აბდის მისთხოვდა. კესარიას უფროსი და – ლისა, რომელიც ცოლად იმერელ თავადს ივანე აბაშიძეს ჰყავდა, აკაკის ბებია იყო დედის მხრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კესარიას და აბდის ოთხი შვილი შეეძინათ, რომელთაგან უმცროსი - ესმა ხიმშიაშვილი ოდიშელ თავადს ოტია ჯაიანს ჰყავდა ცოლად. 1841 წლის გურიის გლეხთა ცნობილი აჯანყების დროს ოტია დაიღუპა და დაქვრივებული ესმაც სიკვდილამდე (1893 წ.) ქუთაისში ცხოვრობდა (მისი ქალია ბარბალე ჯაიანი - დედა შიაშვილი, რომელსაც არასოდეს გაუწყვეტია კავშირურთიერთობა აკაკისთან.

თავის მხრივ, აკაკი სითბოს და ყურადღებას არ აკლებდა ქობულეთელ წერეთლებს: კერძოდ, ძმები მურად და სულეიმან წერეთლები სოფ. სამებიდან აკაკის ინიციატივით მუშაობდნენ ჭიათურის მარგანეცის საბადოებზე.

ირკვევა, რომ ერთი აჭარელი – ოსმან მჭედლიშვილი დიდხანს ცხოვრობდა აკაკის ოჯახში, სოფელ სხვიტორში, რომლისთვისაც მინდობილი ჰქონია მისთვის ყველაზე უფრო ძვირფასი საუნჯის - ხელნაწერებისა და სხვა საბუთების დაცვა...

* * *

ბიოგრაფია: აკაკი წერეთელი (1840-1915)

ერთ დღეს, იმერეთში, სოფელ სხვიტორში, თავად როსტომ წერეთლის სასახლეში დაიბადა „ერთი რაღაც დათვისბელა, ბამბისქულა“ ბიჭი. ეს იყო აკაკი.

ადრე საქართველოში ერთი ჩვეულება არსებობდა: მეფეები და მთავრები შვილებს ერისმთავრებს აზრდევინებდნენ, დიდებულები – აზნაურებს, აზნაურები და, ხშირად, თავადებიც კი – გლეხებს. ეს გაზრდილ-გამზრდელობა სხვადასხვა წოდებას მეტად აახლოებდა და ქვეყანაში მაღალ და დაბალ წოდებას შორის, სწორედ ამ ჩვეულების წყალობით, კეთილგანწყობილება და სიყვარული სუფევდა.

პატარა აკაკიც მეზობელ სოფელში, გლეხ ფარსადან ყანჩაველს მიაბარეს აღსაზრდელად. „არ შემიძლია, არ გამოვტყდე, რომ თუკი რამე დარჩა ჩემში კარგი და კეთილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ვიზრდებოდი“, – ამბობს თავად აკაკი. გლეხებისაგან მან ისწავლა გულმოდგინე, შრომა, გარჯა, სხვადასხვა საქმე: ხვნა, თესვა, მკა… მაგრამ როცა მოიზარდა და სკოლაში შესვლის დრომ მოაწია, მშობლებმა აკაკი შინ წაიყვანეს.

აკაკის მშობლები მეტად განათლებული და სათნო ადამიანები იყვნენ. წერა-კითხვა ქართულად და რუსულად, საქართველოს ისტორია, „ვეფხისტყაოსანი“, ხუცური კითხვა და სხვა სწორედ ოჯახში შეისწავლა აკაკიმ. რვა წლის რომ შესრულდა, ქუთაისში წაიყვანეს და გიმნაზიაში მიაბარეს.

აკაკი ძალიან გონებამახვილი და ნიჭიერი ბავშვი იყო. ადვილად ითვისებდა ახალ-ახალ საგნებს და ბეჯითადაც მეცადინეობდა. ის უკვე ბავშვობაში წერდა ლექსებს, გიმნაზიაში სწავლის დროს დაწერა მან თავისი პირველი პოემა „გამზრდელი“.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლის გასაგრძე–ლებლად პეტერბურგში გაემგზავრა და იქ უნივერსტეტში აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

აკაკიმ ცოლად შეირთო რუსის ქალი და ერთხანს მოსკოვში ცხოვრობდა, მაგრამ შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში ჩაება. იგი მხარში ედგა და ყველანაირად ეხმარებოდა ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, დიმიტრი ყიფიანსა და სხვა ქართველ მამულიშვილებს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“, ქართული თეატრალური დასის, დრამატული საზოგადოების ჩამოყალიბება-მუშაობაში და ქვეყნისათვის სასიკეთო სხვა საქმეებში.

აკაკი წერეთელს ეკუთვნის მრავალი წერილი სხვადასხვა, საქართველოსათვის საჭირბოროტო საკითხების შესახებ. ამ მხრივ მისმა მოღვაწეობამ საძირკველი ჩაუყარა ქართული ჟურნალისტიკის განვითარებას.

აკაკი წერეთელს ოჯახიდან მოჰყვებოდა სამშობლოს სიყვარული და ერთგულება. ეს მის ლექსებში, პოემებსა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მოთხრობებში ნათლად აისახა. კითხულობ „თორნიკე ერისთავს“, „ბაგრატ დიდს“, „ბაში-აჩუკს“ და თითქოს ცოცხლდებიან წარსულის გმირები.

ხალხს ძალიან უყვარდა აკაკის ლექსები. ბევრ მათგანზე, ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში, შეიქმნა სიმღერები, რომლებიც დღესაც ისევე საყვარელია, როგორც მაშინ იყო: „ციცინათელა“, „ჩონგური“, „სულიკოს“ ხომ უკვე მთელს მსოფლიოში იცნობენ.

აკაკი წერეთელი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა, ის ილიას გვერდით, მთაწმინდაზე დაკრძალეს.

31/10/2015 საჩხერის მუნიციპალიტეტში დიდი ქართველი მგოსნის, აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175-ე და იუნესკოს ეგიდით საერთაშორისო თარიღად გამოცხადებული პოეტის გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავი გრანდიოზულად აღინიშნა.

„გიყვარდეს სამშობლოსთან
ერთად ქვეყნიერება,
მხოლოდ სიყვარულშია
კაცის ბედნიერება.“

სოფელი სხვიტორი აკაკიობის დღესასწაული
აკაკის სახლმუზეუმის ეზოში

2016 წლის 26 თებერვალს სხვიტორის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკაში ჩატარდა შეხვედრა. მოწვეული სტუმარი იყო საზოგადო მოღვაწე რაიონის დამსახურებული ქალბატონი, ა. წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის „გადამრჩენელი", „იმედის გმირების" ერთ-ერთი გმირი კლარა მაჭარაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

გავეცანი აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის არსებობის 110 წლისადმი მიძღვნილ საუბილეოდ გამოცემულ გაზეთს, სადაც აჭარის ინტელიგენცია, და არამარტო აჭარისა, ულოცავენ ბიბლიოთეკას და მის თანამშრომლებს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. გაზეთში განთავსებულია ყოფილი დირექტორების ფოტოსურათები პირველი დირექტორის მარია გუსევას გარდა, ასევე არ განთავსებულა ბიბლიოთეკის ყოფილი ერთსართულიანი შენობის ფოტო, რომელზეც რეკონსტრუქციის შედეგად დაშენდა მეორე სართული. მიზნად დავისახე ამ ნაკლის აღმოფხვრა და მივმართე მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. დიდი დახმარება გამიწიეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ბატონმა ოთარ გოგოლიშვილმა და ამ მუზეუმის თანამშრომლებმა: გუგული ახვლედიანმა, ნანა ქორიძემ და ჯილდა მურვანიძემ.

1902 წლიდან 1914 წლამდე საჯარო ბიბლიოთეკის გამგეებად მუშაობდნენ პ.ი. კაზანოვსკი და პ.დ. გამყრელიძე. აჭარის არქივში მუშაობის პროცესში მათზე ფოტო მასალები ვერ მოვიპოვე.

ვფიქრობ, კარგი იქნება, საჯარო ბიბლიოთეკის ამჟამინდელი დირექტორი ბატონი გენადი მახარაძე თუ გამოძებნის ერთ პატარა კუთხეს ყოფილი დირექტორებისა და დამსახურებული ბიბლიოთეკარების სურათების განსათავსებლად.

ქალბატონ ნუნუ ახვლედიანის გადმოცემით ეს, ის დროა, როდესაც ბიბლიოთეკაში ჩატარდა სათანადო აღწერა, როცა დირექტორი მ. გუსევა უნდა ჩაენაცვლებინა ნანა გვარიშვილს.

გავეცანი 1998 წლის ,,გამომცემლობა აჭარა“-ს მიერ გამოცემულ გზამკვლევს, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დაარსების 95 წლისთავისადმია მიძღვნილი. მასში გაშუქებულია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხედან: გიორგი მოისწრაფიშვილი, პალინა ჯაფარიძე, ნინა სავჩუკი, მარიამ გუსევა, ოლია ქართველიშვილი, თამარ პატარაია,
დგანან: ირინა ობრაზცოვა, ლუსია მილოვა, ანტონინა ხელაძე, ნუნუ ახვლედიანი, კლავდია ჟუკოვა, ელეონორა ტრიპალიტოვა, ანა (ანიჩკა) ჟღენტი. 1957 წლის ფოტო.

ბიბლიოთეკის ძველი ერთსართულიანის შენობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურის ამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერის მრავალმხრივი საქმიანობა.

მას შემდეგ ბიბლიოთეკაში ბევრი სიახლეა დანერგილი და მისი სრულყოფისთვის ახლაც ბევრი რამ კეთდება, - მითხრა ბატონმა გენადი მახარაძემ, რომელიც ამ ბროშურის შედგენის ინიციატორი გახლავთ. ბროშურის ,,ბიბლიოთეკის დაარსების ისტორიიდან“ შედგენაზე მუშაობდნენ ნანა დიასამიძე და რუსუდან ჯიჯნჯიხაძე (რედაქტორი თეიმურაზ კომახიძე). აქვე შემოგთავაზებთ ამონარიდს ამ ბროშურიდან: ,,ბიბლიოთეკის საქმიანობის ისტორია“ საქართველოში შორეული წარსულიდან უნდა დაწყებულიყო.

,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ მნიშნელოვანი წვლილი შეიტანა ბიბლიოთეკების შექმნის საქმეში: სხვადასხვა დროს საქართველოში 200-მდე ბიბლიოთეკა დაარსა. მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში იწყება ბიბლიოთეკების ქსელის გაფართოება. სწორედ ამ პერიოდიდან შეინიშნება აჭარაში

ნანა დიასამიძე

რუსუდან ჯიჯნჯიხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ კომახიძე

საერო სამკითხველოებით დაინტერესება. 1984 წლის დასაწყისში გაზეთი ,,ივერია“ აღნიშნავდა: ,,სახალხო სამკითხველო ისეთი საჭიროებაა ხალხის განათლებაში, როგორც სახალხო სკოლა. ორივე დაწესებულებაში ერთსა და იმავე წმინდა საგანს - ხალხის განათლების საქმეს ემსახურებიან. სკოლის მნიშვნელობა, თუკი მასთან სამკითხველოც არ არის დაარსებული, ერთი-ორად მცირდება“ – მოუწოდებდა გაზ ,,ივერია“ ქართველ საზოგადოებას აქტიური მონაწილეობა მიეღო სახალხო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გასამართავ ღონისძიებებში.

აღნიშნული პუბლიკაციის შემდეგ ეს საკითხი გახდა გაზეთ ,,კვალის“ ზრუნვის საგანი, რომელმაც ამასთან დაკავშირებით 1895-1902 წწ. მრავალი საყურადღებო წერილი და კრიტიკული შენიშვნა დაბეჭდა. საარქივო მასალებით ცნობილია, რომ ბათუმში იმ დროისათვის ჩვენს ქალაქში ახლად გახსნილი ქართული სკოლის მასწავლებლები მიხეილ შარაშიძე, ტერენტი წერეთელი და სასიქადული ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი გვევლინებიან. ბიბლიოთეკა-წიგნსაცავის დაარსების იდეის განხორციელებას წინ უძღოდა ქალაქის მოწინავე საზოგადოების უანგარო ზრუნვა - ამ მიმართებით პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. ამის დასტურია ქალაქის ინტელიგენციის საერთო კრება, რომელიც 1889 წლის 31 ოქტომბერს პირველი ქართული სკოლის დარბაზში ჩატარდა და მიეძღვნა ბიბლიოთეკის დაფუძნების საკითხს. აღნიშნულ კრებას თავმჯდომარეობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატორი ნინო ქიქოძე. სხდომაზე კრებამ ჯერ კიდევ გაუხსნელი ბიბლიოთეკის წევრად მიიღო 105 ხელისმომწერი და აირჩია ექვსი საპატიო წევრი: პ. ლომინაძე, ზ. აბაშიძე, ე. ბერძენიშვილი, გრ. ვოლსკი, ყ. ბერძენიშვილი და გრ. თოიძე, რომლებმაც ამ იდეის ხორცშესხმისთვის 25-25 მანეთის ოდენობით თანხა გაიღეს. აქვე მოხდა მმართველი კომიტეტის არჩევაც.

1900 წლის მარტში ,,მესამე დასელების“ ინიციატივით, ბათუმში გაიხსნა პირველი სახალხო ბიბლიოთეკა, რომლის შესახებ გაზეთი ,,კვალი“ წერდა, რომ ,,გასულ კვირაში ბათუმში აკურთხეს პირველი სახალხო ბიბლიოთეკა, რომელიც მოთავსებულია ბაზრის ახლოს და ძალიან ბევრი მკითველი ეხვევა.“

ბათუმის ინტელიგენციისა და საზოგადოების მონდომებამ ნაყოფი გამოიღო და 1902 წელს გადაწყდა საჯარო ბიბლიოთეკის გახსნის საკითხი. აირჩიეს მისი გამგეობა ივ. ანდრონიკაშვილის, გრ. ვოლსკის, ვ. ლორტინის, ე. ტურკინისა და კ. ჩხეიძის შემადგენლობით.

გრიგოლ ვოლსკი

საჯარო ბიბლუიოთეკის წინ სადაც ამჟამად მრავალსართულიანი შენობაა აღმართული, სულ რაღაც ხუთი წლის წინათ იდგა ერთსართულიანი მოკრძალებული შენობა სადაც 1888-1907 წწ. ცხოვრობდა გრიგოლ ვოლსკი. ამ მრავალსართულიან შენობას დღესაც ამშვენებს აბრა წარწერით:

აქვე მინდა გრიგოლ ვოლსკიზე გავამახვილო ყურადღება. ის ცხოვრობდა საჯარო ბიბლუიოთეკის წინ ერთსართულიან მოკრძალებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამთა ჭყონიას ფოტო

სახლში (1888-1907 წწ.), სადაც ამჟამად აღმართულ მრავალსართულიან შენობას ამშვენებს აბრა წარწერით:

აქვე შემოგთავაზებთ ამონარიდს რამაზ სურმანიძის წიგნიდან გრიგოლ ვოლსკი:

,,თანამემამულეთაგან ბევრს არ ჰყვარებია ისე საქართველო და ქართველი ერი, თავისი ცხოვრება და კეთილდღეობა გაუწირავს მისთვის, როგორც გრიგოლ ვოლსკის. მამით პოლონელმა და დედით ქართველმა (კეჟერაძე) ბიჭმა იმერეთში შეითვისა ქართველი კაცის ხასიათი და წეს-ჩვეულებები. აქვე ეზიარა ქართულ პოეზიას, პუბლიცისტიკას და ლიტერატურულ კრიტიკას.

გრიგოლ ვოლსკიმ, როგორც პოეტმა, ექიმმა, განმანათლებელმა და მუნიციპალურმა მოღვაწემ ღირსეული კვალი დატოვა ქართული ლიტერატურის, მედიცინის და ქალაქთმშენებლობის ისტორიაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მუნიციპალური საქმიანობა, ბათუმის თვითმმართველობის შემოღებიდან (1888წ.). იგი აქტიურად იბრძვის, რათა ამ ქართულ ქალაქს ქართველები პატრონობდნენ. გრიგოლი აშკარად ილაშქრებდა ზოგიერთი ჩინოვნიკის შოვინისტური ზრახვების წინააღმდეგ და ყოველმხრივ ცდილობდა ქალაქის თვითმმართველობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველების რიცხვის გამრავლებას. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა დიდ ილიასთან და სწორედ მისი მეშვეობით ახერხებდა ახლად გათავისუფლებულ აჭარაში ქართული ეროვნული პრობლემების მოგვარებას.

სწორედ მისი აქტიური მონაწილეობით გახდა შესაძლებელი ქალაქის თავად ჯერ ლუკა ასათიანის, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ივანე ანდრონიკაშვილის გაყვანა. ამ ჭეშმარიტ მამულიშვილებთან ერთად გრიგოლმა ბევრ ეროვნულ და სოციალურ საქმეს ჩაუყარა საფუძველი: ბათუმში გაიხსნა ქართული საქალაქო სასწალებლები, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები. ამ პერიოდში გაძლიერდა ჭაობების ამოშრობა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა.

განსაკუთებით აღნიშვნის ღირსია ბათუმის ქალთა გიმნაზიის გახსნა. ამ საქმის მოთავე გრ. ვოლსკი იყო.

გრიგოლს ოჯახი არ შეუქმნია, 50 წლის ასაკში გარდაიცვალა და, როგორც ხდება ხოლმე, მოსალოდნელი იყო მისი ცხოვრებისა და ღვაწლის დავიწყება. თუმცა, საბედნიეროდ ეს არ მოხდა, რადგანაც მისი დამსახურება იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ იგი თანამედროვეებმა არ დაივიწყეს, მის სიცოცხლეში და შემდგომაც მრავალი მოგონება გამოაქვეყნეს. მე-19 საუკუნის ბოლო წლების ქართული პრესა ხომ გამუდმებით ამზეურებდა გრიგოლ ვოლსკის ლექსებს, პუბლიცისტურ წერილებს და რეცენზიებს. ჩვენს დროში კი მასზე სამი მონოგრაფიაც გამოქვეყნდა.

ილია ჭავჭავაძის აზრობრივ სკოლაში აღზრდილი და აკაკი წერეთლის პოეზიის ფორმებში გაწვრთნილი გრიგოლ ვოლსკი საქართველოს ვითარებას განიხილავდა, მის ბედსა და მწუხარებაზე საუბრობდა ქვეყანაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ამიტომ იგი, პირველ რიგში წინა პლანზე პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებას აყენებდა.

გრიგოლ ვოლსკის წერილი იაკობ გოგებაშვილს (238გვ.) საინტერესოა თუნდაც იმიტომ, რომ ამ ერთი წერილით შეიძლება შეფასდეს გრიგოლ ვოლსკის, როგორც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს, ქართველი ერის დიდი დამცველი და პატრიოტი, ქართული ენის მოამაგე და დედასამშობლოსთან ახლადდაბრუნებული აჭარის მოსახლეობის დიდი მოჭირნახულე“.

სწორედ გრიგოლ ვოლსკის ცხოვრობის პერიოდში აშენდა ბიბლიოთეკა და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უნდა ითქვას, რომ დიდი ილია, აკაკი, დავით კლდიაშვილი და სხვები სტუმრობდნენ და მონაწილეობას იღებდნენ ბიბლიოთეკის ცხოვრებაში. სწორედ ამ გარემოებამ დამაწერია შემდეგი სწროფები:

ბათუმის ქუჩებს დღესაც ატყვია
დიდ წინაპართა ნაფეხურები,
ფრთხილად მივყვები მე მათ აჩრდილებს
და მიცოცხლდება მათი სულები.

ნება მომეცით თემას გადავუხვიო და ჩემი თანაქალაქელი მეგობრის, ცნობილი მსახიობის ავთო ქარჩავას მონათხრობი გადმოქცეთ ვოლსკის სახლთან დაკავშირებით.

ერთ მშვენიერ ზაფხულის დღეს ავთო ქარჩავას თავის კოლეგასთან ნოდარ ძიძიგურთან ერთად ჩაუვლია ვოლსკის სახლთან და მოკრძალებით დაუკაკუნებია ფანჯრის მინაზე. ფანჯარა გაიღო და იქიდან ხანში შესულმა სათნო ქალბატონმა გამოიხედა. ავთოს მოკრძალებით მიუმართავს მისთვის: - ბატონი ილია ხომ არ ბრძანდება შინო. ამაზე ქალბატონს ღიმილითვე უპასუხნია: - შინ არ ბრძანდებაო, ოდნავი დაყოვნების შემდეგ სათნო ქალბატონმა სიტყვა დააწია მომკითხავს: - ილია რომ დაბრუნდება, რა გადავცეო, ვინ მოიკითხაო? ავთომ უმალვე უპასუხა: - გადაეცით, - იროდიონ ევდოშვილმა და დანიელ ჭონქაძემ მოიკითხესო და ავთოსაც ტაში დაუკრავს საზრიანი ქალბატონისთვის. ამის საპასუხოდ სათნო მანდილოსანმა თბილი ღიმილით დააჯილდოვა მწიგნობარი ახალგაზრდები...

როგორც შემდგომ გაირკვა, ეს ქალბატონი მსახიობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრა (საშა) დარჩია ყოფილა. ალბათ პირველი თაობის მსასიობმა იცნო ახალგაზრდა კოლეგები და ღიმილით დააჯილდოვა.

1902 წლის 13 ოქტომბერს საჯარო ბიბლიოთეკა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. პირველი დღიდანვე მიღებულ იქნა შემოწირულობა ნ.ს. დერჟავინის, ო.მ. კუზიატინას, ე. პრიმოს და სხვათაგან – სულ 223 სახელწოდების ტომი. ფონდის შევსების მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო 1903 წელი. ქალაქის გამგეობისა და კერძო პირთა მიერ ფონდს შეემატა 2 ათას 068 ბეჭვდითი ერთეული. 1904 წელს შეწირულობის სახით მიიღეს 100-მდე დასახელების წიგნი. ბიბლიოთეკას ამ დროისათვის ჰქონდა მხოლოდ 20 სხვადასხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთი, მაგრამ მისი ფონდი პერიოდულად იზრდებოდა, მატულობდა მკითხველთა რაოდენობაც. 1904 წელს პირველად მოხდა ბიბლიოთეკის ფონდის აღრიცხვა საინვენტარო წიგნში და შეიქმნა საკატალოგო მეურნეობა.

1904 წლიდან საჯარო ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა პ. გამყრელიძე, მოადგილედ - ო.კუზიატინა.

1959-1963 წწ. მოხდა ბიბლიოთეკის ძველი შენობის რეკონსტრუქცია, დამატებით აშენდა ახალი ორსართულიანი შენობა. ამ პერიოდში ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა ცნობილი პოეტი ნანა გვარიშვილი. უშუალოდ მისი მონდომებითა და მთავრობის მხარდაჭერით აშენდა არქიტექტურულად უნიკალური შენობა, სადაც დღესაც აგრძელებს ფუნქციონირებას რესპუბლიკური ბიბლიოთეკა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აკაკი წერეთლის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა წარმოადგენს აჭარის სახელმწიფო წიგნსაცავს, რომელიც იცავს, უვლის და აწვდის მკითხველს უნივერსალური პროფილის ბეჭდვით პროდუქციას, საზოგადოების ინფორმაციულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებით ხელს უწყობს სამამულო და მსოფლიო მეცნიერების განვითარებას. ამ მიზნით ბიბლიოთეკაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუნქციონირებს 10 განყოფილება". (ამ ნაშრომის ერთ-ერთ შემდგენელის ქალბატონ ნანა დიასამიძის გადმოცემით, აღნიშნული ბუკლეტი შედგენილია ადგილზე მოპოვებული და ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული მასალებზე დაყრდნობით).

მუშაობის პროცესში მქონდა პატივი მესაუბრა ერთ-ერთ პირველი თაობის ბიბლიოთეკართან, ნუნუ ახვლედიანთან, რომელსაც მუშაობა მოუხდა ბიბლიოთეკის პირველი დირექტორთან მარია გუსევასთან და ნანა გვარიშვილთან რომელმაც მიამბო ბიბლიოთეკის მშენებლობის პროცესში და ბიბლიოთეკისათვის სათანადო ავეჯის მომარაგებაში, რომელიც თბილისიდან იქნა ჩამოტანილი ქალბატონ ნანა გვარიშვილს გვერდში ედგა აწ გარდაცვლილი ბიბლიოთეკარი ქალბატონი მერი ლამპარაძე.

ახლა ნება მომეცით თქვენთან ერთად ჩავიხედოთ 1974 წელს გამოცემულ წიგნში, რომლის ავტორია გამოჩენილი მწერლის პარმენ ლორიას შვილი ბატონი ალექსანდრე ლორია (წიგნზე მუშაობის პროცესში პატივი მერგო მისი გაცნობისა ქალბატონ ნატო ჭყონიას მეშვეობით, რომელმაც წერილიც მომაწოდა წიგნთან დაკავშირებით) და მეორე ავტორი გახლავთ ნ. გურგენიძე, წიგნის რედაქტორია ს. ა. ხადური.

ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოს ბიბლიოეთეკების ისტორია მე-10 ს. დასაწყისიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. განხილულია როგორც უძველესი სამონასტრო, ისე საკარო და საგვარეულო ბიბლიოთეკები. მოცემულია მათი დახასიათება, ნაწილობრივ ფონდების შემადგენლობისა და მუშაობის ორგანიზაციის ანალიზიც. სათანადო ადგილი აქვს დათმობილი საოჯახო ბიბლიოთეკებსაც, რომლებიც განსაკუთრებით გავრცელდნენ საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. დეტალურადაა მიმოხილული უკანასკნელი პერიოდის ბიბლიოთეკები. ყურადღების გარეშე არაა დატოვებული არცერთი სოფლისა და ქალაქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე თუ დიდი ბიბლიოთეკა, წიგნების სავაჭროთა საკითხავი კაბინეტიდან თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამდე.

წიგნს დიდი სიამოვნებით გავეცანი, რომელმაც ღრმად ჩამახედა საქართველოს ისტორიაში და თქვენც გირჩევდით მის წაკითხვას, ვისაც ის ჯერ არ წაუკითხავს, ნება მომეცით თქვენც გაგაცნოთ.

საბიბლიოთეკო საქმის ისტორია საქართველოში დიდ პერიოდს მოიცავს. დღემდე იმდენი რამ მომხდარა, რომ მისი მარტო აღნუსხვაც კი საკმაოდ მძიმე შრომას მოითხოვს, რომ არაფერი ვთქვათ არსებული მასალის სისტემატიზაციისა და მის მეცნიერულ დამუშავებაზე.

საქართველოში, როგორც კულტურის უძველეს ქვეყანაში, საბიბლიოთეკო საქმიანობაც უძველეს დროიდანვე უნდა დაწყებულიყო. ელინურ კულტურასთან ასე ახლოს მდგომ ქვეყანას, შეუძლებელია არ ჰქონოდა ანალოგიები ამ კულტურასთან საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოების თვალსაზრისითაც.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ დიდი ქართველი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი, ეხება რა ძველ სამონასტრო ბიბლიოთეკებსა და წიგნებს, ადარებს მათ ძველბერძნულ, აღმოსავლურ, რომაულ თუ არაბულ ქვეყნებისა და ადრეული ქრისტიანული მოწინავე ქვეყნების ბიბლიოთეკებს. ერთადგილას იგი წერს ,,ქართული წიგნთსაცავების შესახებ ცნობებისა და მათი ქონების 10 – 12 სს-ში დიდ შედგენილობაზე მსჯელობის სიმართლის გათვალისწინებლად ამავე საკითხის შესახებ სხვა ქვეყნების ისტორიის ცოდნაა საჭირო. მაშინ ბევრი რამე არც დაუჯერებელი გვეჩვენება და არც გაგვაკვირვებს. ეგვიპტესა და ბიზანტიაში, არაბეთსა და სპარსეთში საწიგნთსაცავო ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვაც ბევრს საგულისხმო ცნობებს მოგვცემს“.

მართალია, დიდებულ მეცნიერს შედგომში არ გაუღრმავებია კვლევა ამ მიმართუებით, მაგრამ მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათქვამი იმის დასტურად მაინცა კმარა, რომ შეუძლებელი იყო საქართველო აცდენოდა იმ გავლენას, რასაც სხვადასხვა დროს მსოფლიო კულტურული ქვეყნები ავრცელებდნენ. საქართველოს მთელი ისტორია საბუთია ამისა.

მაგრამ როგორადაც არ უნდა იყოს, ის კია, რომ საქართველოს ქრისტიანობამდელი ბიბლიოთეკების შესახებ რაიმე ხელშესახები დოკუმენტი არ გვაქვს და დასკვნების გამოტანა მხოლოდ ლოგიკური განსჯის შედეგად თუ შეიძლება. ადრინდელი წიგნებისა და ბიბლიოთეკების არსებობა სავსებით შესაძლებელი რამ არის, და არც ისაა გამორიცხული, რომ მომავალში ამის დასამტკიცებელი მატერიალური საბუთებიც იქნეს მოპოვებული.

ისევე როგორც ქართული წიგნი, საბიბლიოთეკო საქმის ისტორიასაც საქართველოში ქრისტიანობის ფეხადგმიდან იღებს სათავეს და მის განვითარებასთან უშუალო კავშირშია, მაგრამ მე-10 საუკუნემდე ჩვენ აქ რაიმე არსებითი არ გაგვაჩნია, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ი. ცურტაველის ,,შუშანიკის წამებას", სადაც რამდენიმე წიგნია მოხსენებული. ეს გვაძლევს საბაბს ვივარაუდოთ, რომ იმ პერიოდში მეფის კარზე უეჭველად უნდა არსებულიყო პატარა წიგნსაცავი მაინც.

ერთი ცხადია: ქრისტიანული საკულტო დაწესებულება წიგნის გარეშე ვერ იარსებებდა. უპირველეს ყოვლის მას უნდა ჰქონოდა სარიტუალო ლიტერატურა. მეორეც - მწიგნობრულ ქვეყანაში ახალ რელიგიას გაუჭირდებოდა ფეხის მოკიდება მხოლოდ ზეპირი პროპაგანდით და მას წიგნები უეჭველად დასჭირდებოდა, მესამეც - მას უწევდა ბრძოლა მოპირდაპირეებთან და პოლემიკაში ჩაყურყუმალებული ვერ დადგებოდა ისეთი წიგნების გარეშე, რომლებიც მრავალი სადაო საკითხის გარკვევაში დაეხმარებოდნენ.

ამრიგად, სავსებით სარწმუნოა, რომ ადრინდელ საკულტო დაწესებულებებსაც ექნებოდათ მრავალფეროვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნადი ფონდი და, ცხადია, როგორც წმინდა წიგნებს, მათ მოვლა პატრონობა და გულისხმიერი დამოკიდებულება არ დააკლდებოდათ. თუ კი ეს ასეა, მაშასადამე, უნდა ყოფილიყო წიგნების დაცვა-სარგებლობის რაღაც ტრადიციაც. არაა გასაკვირი, რომ ასეთი ტრადიციები ქრისტიანულ სამყაროს წარმართული კულტურიდან მიეღო და ამგვარად შეექმნა ჩანასახი, რაც შემდგომში დიდი ბიბლიოთეკების წინამორბედად იქცეოდა.

....საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის ისტორია მეტად მდიდარი და მრავალფეროვან; მას საკმაოდ ადრეულ საუკუნეებში აქვს გადგმული ფესვები და განვითარების მეტად საინტერესო გზა აქვს განვლილი. იგი, როგორც კულტურის ერთ-ერთი დიდი ნაწილი, უშუალო კავშირშია ერის ისტორიასთან...

ქართველი ხალხის ისტორიაში უდიდეს როლს ასრულებდა წიგნიერება. წიგნის შექმნა და წარმოება, მისი გავრცელება, დაცვა, სასიცოცხლოდ აუცილებელი საქმე იყო ეროვნული თვითმყოფადობისათვის. ამ საქმეში მეტად დიდი და თავისებური სიტყვა თქვა ქართულმა ბიბლიოთეკამ, რომლის ისტორიის ცოდნა უაღრესად მნიშნელოლოვან მოვლენას წარმოადგენს

მე-19 საუკუნემდე ქართველმა ხალხმა მეტად მძიმე და მრავალფეროვანი გზა განვლო. ეს პერიოდი თითქმის მთელი ისტორიაა ჩვენსი ერისა. როგორც ცნობილია, ამ ხნის განმავლობაში ქართველმა ხალხმა მრავალი გასაჭირი გადაიტანა და არაერთხელ მდგარი ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ უამრავმა დოკუმენტმა ჩვენამდე ვერ მოაღწია და მრავალი ფაქტი თუ მოვლენა ჩვენთვის დღეს უცნობია. ამ თვალაზრისით საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობაც მეტად რთულ სურათს იძლევა. დოკუმენტების მოუღწევლობის გამო ბავრი რამ აქაც ვერ დადგენილა, ბევრი რამ უცნობიცაა ჩვენთვის და ბევრიც სრულყოფილად ვერ შეისწავლება, მაგრამ მიუხედავად ამისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის წყალობით, რაც შემოგვრჩა, მაინც შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული ბიბლიოთეკების ისტორია უაღრესას ძველი და მდიდარია, რომელსაც ზედმიწევნით მჭიდრო კავშირი აქვს ქართველი ერის ისტორიასთან.“ ასევე, გაეცნობით მე-19 და მე-20 საუკუნეში, როგორ ვითარდებოდა ბიბლიოთეკათა ქსელები თბილისში, ქუთაისსა და გურიაში დაწყებული ქოხების ბიბლიოთეკებიდან.

წიგნი ,,საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში“ 384 გვერდს მოიცავს და ისეთი გატაცებით იკიხება, რომ თავს ვერ წამოწევ შესასვენებლად, რისთვისაც უღრმეს მადლობა ვუხდი მათ ავტორებს ამ წიგნის საგანძურის შექმნისთვი და ალბათ მექნება კიდევ ერთხელ იმის შესაძლებლობა რომ ერთ-ერთ მის ავტორს, ჩემთვის უკვე ნაცნობ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს პირადათ ვუთქრა მადლობა ჩემი ცოდნის გაღრმავებაში წვლილის შეტანისთვის. ძვირფასო მკითხველო, ამ წიგნს-საგანძურს რეკლამა არ ესაჭიროება, შედით ბიბლიოთეკაში და მოიკითეთ. ეს წიგნი ყველა მწიგნობრის ოჯახის სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს და კვლავაც უნდა მოხდეს მისი გამოცემა.

ხარიტონ ახვლედიანის წიგნში ,,აჭარის სახელმწიფო მუზეუმი გზამკვლევი“ (გამოცემული 1958 წ.) ვკითხულობთ: საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე აჭარა ძლიერ ჩამორჩენილი იყო კულტურის მხრივ. წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი, და ისიც მხოლოდ ბათუმში, 7 პროცენტს შეადგენდა... ,,საკმაოდ მდიდარია ბათუმის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა. იგი 1902 წლიდან არსებობს. 1902 წლისათვის წიგნად ფონდში იყო 2 ათასი ტომი, ამჟამად კი 110 ათასი წიგნია. საერთოდ, რესპუბლიკაში 1957 წლისათვის აღრიცხული იყო 247 ბიბლიოთეკა, 240 კლუბი, 124 კინოთეატრი და კინოდანადგარი“.

საშა ლეკვეიშვილის წინში ,,ასე იწყებოდა ქალაქი...“ (გამოცემული 2 000 წ.) ვკითხულობთ: ,,ქალაქის მოწინავე საზოგადოებას არც ბიბლიოთეკის გახსნის საქმე დავიწყნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1896 წელს ბათუმის საქალაქო სასწავლებელთან გაიხსნა უფასო ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდის შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოსა და რუსეთის მოწინავე საზოგადოებამ. ბიბლიოთეკისათვის წიგნები გამოუგზავნია ლევ ტოლსტოის.

1900 წელს დიდი მეცადინეობის შემდეგ ბათუმში დაარსებულა სახალხო ბიბლიოთეკა, მაგრამ იგი ქალაქის თვითმმართველობას ბიუჯეტში არ შეუტანია. გაზეთ ,,კვალში" ვინმე ,,უარყოფილი" წერდა: ბათუმის ბიბლიოთეკის გახსნის ნებართვა 1899 წელს მოვიდა, მაგრამ იგი დღემდე არ არის გახსნილიო. ავტორი აღნიშნავს, რომ ბევრი ყოფილა ბიბლიოთეკის გახსნის წინააღმდეგი, თითქოს ეს ნაადრევი იყოსო. ბიბლიოთეკა მაინც გაიხსნა, მაგრამ წიგნები ცოტა ყოფილაო და იქვე დასძენდ, რომ არც მკითხველები ჰყავდა. (5).

ამავე პერიოდში ბათუმის ინტელიგენციას წიგნების მაღაზიის გახსნის პრობლემაც აწუხებდათ. ისინი ცდილობდნენ წიგნების პავილიონის გაკეთებას. წიგნების გავრცელებას ხელმძღვანელობდნენ ბესარიონ და გერონტი კალანდაძეები, ისინი შეცვალა კოწია თავართქილაძემ, რომელმაც პირველმა მოაწყო ბათუმში ქართული წიგნის სტამბა".

ახლა ჩავიხედოთ აჭარის მემატიანის აწ გარდაცვილი თეიმურაზ კომახიძის წიგნში ,,აჭარის ენციკლოპედიური ცნობარში" (2011 წლის გამოცემა. რედაქტორი ჯემალ ხოფერია). სადაც ის საარქივო მასალებზე დაყრდნობით წერს: ,,მე-19 საუკუნის 90-იან წლებში აჭარის განათლებისა და კულტურის მებაირახტრედ გამოდიოდნენ მოწინავე ქართული გაზეთები ,,ივერია" და ,,კვალი", რომლებშიც ხშირად იბეჭდებოდა წერილები ბათუმსა და მის ოლქში ბიბლიოთეკა, ქოხ-სამკითხველოების გახსნის თაობაზეც, რასაც სახალხო სკოლების დაფუძნების პარალელურად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგანაც ორივე ეს დაწესებულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთსა და იმავე საქმეს - ხალხის განათლებას ემსახურებოდა.

საარქივო მასალების გაცნობის შემდეგ ნათელი ხდება რომ აჭარაში ბიბლიოთეკა-წიგნსაცავის დაარსების მოთავეებად იმხანად ბათუმში ახალგახსნილი ქართული სკოლის მასწავლებლები, სასიქადულო მწერალი დავით კლდიაშვილი, ასევე მიხაკო შარაშიძე და ტერენტი წერეთელი გვევლინებიან, რომლებიც მიმართავდნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას ყველასათვის ხელმისაწვდომი, იაფფასიანი საჭირო ბიბლიოთეკის გასახსნელად. საამისოდ ადგილზე 600 მანეთიც კი ყოფილა შეგროვებული. აღნიშნული განათლების მნიშვნელოვანი კერა ქალაქში გახსნილი ყოფილა ვინმე გურსკის მიერ, მაგრამ იგი 1894 წელს დამწვარა.

1896 წლის იანვარში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას მიზანშეწონილად მიუჩნევია სკოლასთან საჯარო ბიბლიოთეკის გახსნა, ოღონდ არა კერძო პირების მიერ, არამედ სკოლის სამზრუნველო კომიტეტის ინიციატივით, რასაც ბათუმელი მოღვაწეები იმდენად გაუნაწყენებია, რომ საზოგადოებასთან მიმოწერა ერთხანს თითქმის მთლიანად შეწყვეტილა. შემდგომში ბათუმის სკოლის ხელმძღვანელობას ბიბლიოთეკის ორგანიზაციის საქმე ნინა და ეკატერინე ბერძენიშვილების, ნინა პეტრიაშვილისა და ეფროსინე სალბიევისთვის დაუვალებიათ, რომლებიც ქ. შ. წ. კ. გ.

საზოგადოებას აცნობდნენ, რომ, რადგანაც სკოლის შენობაში ბიბლიოთეკის გახსნა არ შეიძლებოდა, ამიტომ მისთვის ცალკე ადგილი გამოინახა, ხოლო დარაჯის ხარჯი, წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კომპლექტების აკინძვის თანხები და სხვა, ადგილზე გამოინახებოდა. საზოგადოებას ძირითადად სთხოვდნენ დაეთმო თავისი გამოცემები და ბიბლიოთეკა მის ბაზაზე დაეარსებინა. თავის მხრივ ადგილზე ვალდებულებას იღებდნენ ფონდებში კავკასიაზე და საქართველოზე მიძღვნილი ყველა დარგის ლიტერატურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეგროვებინათ. საბოლოოდ საზოგადოებამ თავის სახელზე ბიბლიოთეკის გახსნაზე უარი განაცხადა, თუმცა თუ ბიბლიოთეკა გახსნის ნებართვას მთავრობიდან მიიღებდა, სისტემატურად

დაეხმარებოდა მას წიგნებით და თვეში თუმანსაც მიაწოდებდა. ყოველივე ამან სახალხო ბიბლიოთეკის გახსნა რამდენიმე წლით გადადო.

სანამ საკითხი მოგვარდებოდა ქალაქის თავის - ლუკა ასათიანის თხოვნით, ბათუმში მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში დროებით ბიბლიოთეკა დაბინავდა, სადაც წიგნითა და ჟურნალით სარგებლობდა 10 კაპიკი ღირდა, გაზეთებით - გაცილებით ნაკლები. იმხანად ხსენებულ მაღაზიაში ისინი რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე იყიდებოდა, რომელთა კატალოგები მაღაზიიდან უსასყიდლოდ

გაიცემოდა, თუმცა აღნიშნული ბიბლიოთეკა ნაწილობრივადაც ვერ აკმაყოფილებდა ბათუმელთა მოთხოვნილებებს.

იმ დროისთვის ქალაქში 25 ათასზე მეტი მაცხოვრებელი იყო, რომლებსაც ქართულ წიგნებზე დეფიციტის გამო ხელი არ მიუწვდებოდათ. მკითხველებად ძირითადად წვრილი მოვაჭრენი, მოსამსახურენი და მუშები ითვლებოდნენ, რომლებიც წიგნებს ხელმოკლეობის გამოც ვერ იძენდნენ. ბიბლიოთეკა გადააჩვევდა მათ ლოთობას და მრავალ მავნე ჩვევას (გაზ. ,,ცნობის ფურცელი“, 1897 წელი, 22 აპრილი, ნ 175, გვ. 3).

***

ბათუმში საჯარო ბიბლიოთეკის გასახსნელად 1899 წლის 31 ოქტომბერს ქალაქის პირველი სკოლის დარბაზში ჩატარდა თათბირი, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატორი ნინო ქიქოძე. აირჩიეს ჯერ კიდევ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაუხსნელი ბიბლიოთეკის 6 წევრი (კ.ლომინაძე, გრ. ვოლსკი, ზია-ბეგ აბაშიძე. ექვ. ბერძენიშვილი, ყ. ბერძენიშვილი და გრ. დოლიძე), რომლებმაც ბიბლიოთეკის სასარგებლოდ შესწირეს 25-25 მანეთი. იქვე მოხდა მმართველი კომიტეტის არჩევაც.

მზრუნველად არჩეულ იქნა ნ. ქიქოძე, კომიტეტის წევრებად - ა.სოღონაშვილი, ე. საბაევა, ფ.მგელაძე, კ. ჩხეიძე, მ. ცეცხლაძე, ნ. გაბუნია და გ. ტუსკია.

მალე გრიგოლ ვოლსკის ინიციატივით მოწვეულ იქნა ბიბლიოთეკის წევრთა საერთო კრება, რომელმაც მოისმინა ვინმე ტუსკინის მიერ ხარკოვის ბიბლიოთეკის წესდების საფუძველზე შემუშავებული პროექტი და მოიწონა იგი. გადაწყდა, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობა ადგილზე, დარბაზში, იქნებოდა უფასო. თითეული ხელისმომწერი ჩაითვლებოდა მუდმივ მკითხველად და უფლება ექნებოდა ხმის მიცემით მონაწილეობა მიეღო ბიბლიოთეკის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში.

ბიბლიოთეკა უნდა ემართა საერთო კრების მიერ ერთი წლით არჩეულ გამგეობას, ხუთი კაცის შემადგენლობით, თუმცა მომდევნო წელს დაუმტკიცებელი წესდება მთავრობამ ბიბლიოთეკას უკანვე დაუბრუნა იმ მოტივით, რომ იგი 1890 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დამტკიცებულ წესებს არ შეესაბამებოდა. განსაკუთრებით ხაზი ჰქონდა გასმული, იმას, რომ მასში დაწესებულების ზუსტი სახელწოდება არ იყო დასახელებული და არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებაც, რომ ბიბლიოთეკას არ ექნებოდა განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდებული

წიგნებისა და პერიოდული ლიტერატურის გარდა სხვა გამოცემები. გარდა ამისა, ქუთაისის გუბერნიის კანცელარია მოითხოვდა წიგნების ფასიან მომსახურებას /რაც 1902 წლის მარტში ქალაქის გამგეობამ დადებითად გადაწყვიტა/, ოღონდ პეტერბურგისა და თბილისი ბიბლიოთეკების წესდებისგან განსხვავებით წიგნები სახლში არ უნდა გაცემულიყო. 28 აპრილს ბიბლიოთეკის საერთო კრებაზე აირჩიეს გამგეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი შემადგენლობა /თავადი ივ. ანდრონიკაშვილი, გრ. ვოლსკი, ვ. ლორტინი, ე. ტურკინი და კ. ჩხეიძე/. საბოლოოდ კი იმავე წლის ოქტომბერში ქალაქის მმართველობამ ცენტრალურ უბანში საჯარო ბიბლიოთეკა დააფუძნა, რომელსაც ერთდროული დახმარების სახით 1500 მა. გამოეყო. შემდგომში ყოველწლიურად უნდა მიცემოდა 1000 მანეთი.

არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ დაარსებისთანავე ბიბლიოთეკამ მიიღო წიგნების უხვი შემოწირულობა ნ.დერჟავინის, ე.ტურკინის, ა.ივანოვის, ო.კუზიატინას ე. პრიმისა და სხვებისაგან (სულ 223 დასახელება). მომდევნო წელს ქალაქის გამგეობისა და კერძო პირთა მიერ ფონდას შეემატა მხატვრული ლიტერატურა (899 წიგნი), სამართალმცოდნეობისა და პოლიტიკური შინაარსის 11, ბუნებისმეტყველებისა და მედიცინის დარგის 110 წიგნი (მთლიანობაში 2068 ბეჭდვითი ერთეული). ამავე პერიოდში მუდმივ მკითხველთა რაოდენობამ 375-ს მიაღწია, წლის განმავლობაში კი ბიბლიოთეკით ისარგებლა ორი ათას 321-მა კაცმა.

მკითხველთა წიგნით მომსახურებას ახორციელებდა ბიბლიოთეკის გამგის მოადგილე რ.კუზიატინა. ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობა კი 1904 წლიდან ეჭირა პ.გამყრელიძეს. გარდა სხვადასხვა წიგნისა, ბიბლიოთეკის განკარგულებაში იყო 20 სახელწოდების ჟურნალი და გაზეთი.

1904 წლისთვის ბიბლიოთეკამ შემოწირულობის სახით მიიღო ათასამდე დასახელების წიგნი. ამავე წელს მისი წიგნადი ფონდი გატარდა საინვენტარო წიგნში, შედგა კატალოგი და ასე შემდეგ.

მომდევნო 1905 წლისთვის ერთობ შემცირდა ლიტერატურის შემენა, ჟურნალებისა და გაზეთების გამოწერა,, ასევე მკითხველთა რაოდენობაც, მიუხედავად ამისა ბიბლიოთეკას არსებობა არ შეუწყვეტია. ერიცხებოდა ორი ათასი წიგნი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გადაკეთდა ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადიდდა მუშაკთა შტატიც. 1937 წელს გახდა აკაკის წერეთლის სახელობისა.

1953 წელს შევიდა აჭარის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში.

1959 წელს გადაკეთდა აჭარის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკად და რეგიონში არსებული ბიბლიოთეკების მეთოდურ-პრაქტიკული დახმარებისა და საბიბლიოთეკო მუშაობის კოორდინაციის ცენტრად.

1959-1963 წლებში მოხდა მისი ძველი, ერთსართულიანი შენობის რეკონსტრუქცია (დააშენდა მეორე სართული). აღნიშნულ პერიოდში ბიბლიოთეკის დირექტორი იყო ცნობილი პოეტი ქალი ნანა გვარიშვილი. სხვადასხვა წლებში ხელმზღვანელობდნენ, ასევე - ჯემალ ჯაყელი, მამია ბერძენიშვილი, ეთერ ცივაძე, სოსო ჯორბენაძე. 1997 წლიდა სათავეში უდგას გენადი მახარაძე (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი).

1999 წლის მონაცემებით ბიბლიოთეკის ფონდში შედიოდა 366456 ბეჭდვითი ერთეული... ბიბლიოთეკა ფართოდ იყენებს მასობრივი ღონისძიებების ისეთ ფორმებს, როგორიცაა ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, ლტერატურული გამოფენები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, ავტორებთან, ასევე რესპუბლიკური და საერთაშორისო მნიშვნელობის შეხვედრები, ლიტერატურის საღამოები, ლექცია-მოხსენებები, კონფერენციები, სემინარები, წიგნების პრეზენტაციები და ასე შემდეგ...

...ქ. ბათუმში სხვადასხვა დროს მოღვაწე ბიბლიოთეკარებს შორის გამოირჩეოდნენ და გამოირჩევიან:

ღირსების ორდენოსნები - ელენე ხუნდაძე, ნინა ჭყონია;

ღირსების მედალოსნები - ლიანა ინაიშვილი, ნუნუ მალაყმაძე;

საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარები - ოლია ქართველიშვილი, სონია ჭელიძე, ნუნუ მალაყმაძე, თინა მენაბდე, ეთერ ცივაძე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საპატიო ბიბლიოთეკარები - თამარ იაკობაშვილი, ნაზი დავითაია, ჟანა ქამუშაძე, ციური ჩანტლაძე, ნუნუ ახვლედიანი, ნორა ტაბუცაძე, რუსუდან ჯინჯიხაძე, ნელი ჩხაიძე, ლამარა სიორიძე;

აჭარის დამსახურებული ბიბლიოთეკარები - ავრორა ჩხაიძე, დავარ გიგინეიშვილი, მადონა თალაკვაძე, მერი სიორიძე, შუშანა გორდელაძე, ნანული წაქაძე;

ბიბლიოთეკარები, რომლებმაც 40 წელზე მეტი ნაყოფიერად იღვაწეს – ნათელა პატარავა, მედეა გიგინეიშვილი, ლეილა ფურცხვანიძე, ნანი დიასამიძე, მედეა კალანდარიშვილი, სემაეთ ფალავანდიშვილი, მარიამ ნიშნიანიძე, ნანული გოგია, თინა ქავთარაძე“.

თვითმმართველი ქალაქ-ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 18 დეკემბრის №290 განკარგულებით აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბ-ლიოთეკის 23 მუშაკს: გენადი მახარაძეს, ლილი ჭყონიას, ნუნუ მალაყმაძეს, რუსუდან ქინქლაძეს, მანანა ყაჩეიშვილს, ნანი დიასამიძეს, მანანა ბოლქვაძეს, ნუნუ ზაიცევას, ნანა გოგელიას, მერი მალაყმაძეს, ნაზი ლომაძეს, რუსუდან თალაკვაძეს, სემაეთ ფალავანდიშვილს, მედეა კალანდარიშვილს, როენა დონაძეს, მზევინარ კვაჭაძეს, სვეტლანა ბერაიას, თინა მელაძეს, ლალი ცელაძეს, ნუნუ გილს, ლეილა ფურცხვანიძეს, მზია ხოფერიას, ელეონორა ძიგუას - მიენიჭა `დამსახურებული ბიბლიოთეკარის“-ს წოდება, ხოლო 11 მუშაკს: ნინო ვაშაყმაძეს, ინგა გოგიბერიძეს, ინგა კოჟიაშვილს, ნანული ვაშაკიძეს, დალი რამიშვილს, ნატალია გიორგაძეს, მაია ჩხატარაშვილს, რუსუდან ყაჭეიშვილს, ლეილა სურმანიძეს, ლიმერი ბჟალავას, ირმა დოლიძეს, - ,,საპატიო ბიბლიოთეკარი“-ს წოდება.

აჭარაში არსებული ბიბლიოთეკები:

ისევ მემატიანე თეიმურაზ კომახიძის წიგნზე დაყრდნობით: ,,1948 წელს დაფუძნდა ბათუმის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკის დირექტორი გენადი მახარაძე
„საპატიო ბიბლიოთეკარის“ სიგელს გადასცემს
განყ. უფროსს მაია ჩხატარაშვილს

საბიბლიოთეკო გაერთიანება (ცენტრალური ბიბლიოთეკა). 1992 წელს შეეხო საბიბლიოთეკო ქსელში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებები და რეორგანიზაცია.

1963 წელს დაარსდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა. აჭარის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ბათუმის №1 საქალაქო ბიბლიოთეკა გადაკეთდა რესპუბლიკურ საბავშვო ბიბლიოთეკად და მიენიჭა იაკობ გოგებაშვილის სახელი.

აჭარის მთავრობის დადგენილებით 2007 წლის იანვრიდან ფუნქციონირება შეწყვიტა და ამავე წლის იანვრიდან შეერწყა ამავე პერიოდში გაუქმებულ ქ. ბათუმის საბიბლიოთეკო გაერთიანებას, რომელთა ბაზაზე შეიქმნა ქ. ბათუმის საქალაქო ბიბლიოთეკა (დირექტორი მ.მალაყმაძე). ამჟამად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი უფლებამონაცვლეა ,,აკაკი წერეთელის სახელობის ქ.ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“.

ქ. ბათუმში ფუნქციონირებდა, ასევე საქალაქო საბიბლოთეკო გართიანებების ფილიალები ქუთაისის, პუშკინის, ვაჟა-ფშაველას (ყოფილი კ.მარქსის), ჯორჯიაშვილის, გრიბოედოვის ქუჩებზე და სხვაგან, რომლებიც დღეისთვის საჯარო სკოლების ბაზებზე განაგრძობენ ფუნქციონირებას.

ქობულეთის საბიბლიოთეკო გაერთიანება 1891 წელს ქ. ქობულეთში ცნობილი საზოგადო მოღვაწის - გულო კაიკაციშვილის ძალისხმევით გაიხსნა პირველი საოჯახო ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდის შევსება ხდებოდა ,,წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“, ასევე, ზაქარია ჭიჭინაძისა და სხვა ქართველ მეცნიერთა თანადგომით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1922 წლის ოქტომბერში, ბიბლიოთეკა გაიხსნა ხ. თხილაიშვილის ბინაში, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა პედაგოგი კ. ჩემია, ბიბლიოთეკობა კი დაეკისრა პედაგოგ თ. ჩხაიძეს. 1929 წელს - სამკითხველოდ, 1934 წლიდან კი - რაიონულ ბიბლიოთეკად გადაკეთდა.

ხელვაჩაურის (ყოფილი ბათუმის) რაიონში პირველი ბიბლიოთეკა გაიხსნა სოფელ აჭარისწყალში, რომელიც ქოხ-სამკითხველოდ იწოდებოდა. 1940 წლიდან რაიონის სოფლებში მასიურად დაიწყო სასოფლო ბიბლიოთეკების დაფუძნება...

ქედის რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანება გაიხსნა 1923 წელს, რაიონის ცენტრში. შემდეგ ფეხს იკიდებს ქოხ-სამკითხველოები...

შუახევის რაიონი, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციულ ერთეული ხულოს 1952 წლის 21 დეკემბერს გამოეყო. 2005 წლის მონაცემებით შუახევის რაიონს ემსახურებოდა სულ 49 ბიბლიოთეკა, მათ შორის ერთი სარაიონო ცენტრალური, ერთი სარაიონო-საბავშვო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და 47 სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალი. 1993 წლამდე რაიონის კულტურის სახლთან ფუნქციონირებდა მოძრავი ავტობიბლიოთეკაც. საერთო წიგნადი ფონდი შეადგენდა 2 267 705 სხვადასხვა დასახელებისა და პროფილის წიგნს...“

ბატონი თეიმურაზ კომახიძე 2002 წელს ,,გამომცემლობა აჭარა“ს, მწერალ, ჯემალ ხოფერიას სამუშაო კაბინეტში გავიცანი. მათ ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდათ. იმ ხანად ვმუშაობდი ჩემს მომდევნო პოემაზე – ,,ჩემი ღელე-ღურდანი“, რომელიც მივუძღვენი დიდი მამულიშვილის, მემედ აბაშიძისა და სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ნათელ ხსოვნას. ამავდროულად ჯემალ ხოფერია ჩემი პირველი გამოცემული წიგნების რედაქტორი გახლდათ.

ორი წლის შემდეგ, როდესაც ჩემს მიერ გამოცემული წიგნები ქველმოქმედების წესით დავარიგე, (სადაც ხელი მიმიწვდებოდა), ამას მოჰყვა დიდი რეზონანსი. სკოლებიდან მირეკავდნენ პედაგოგები და მთხოვდნენ ისტორიულ მასალებს აჭარასთან დაკავშირებით, ვიცოდი რა ამ საკითხთან მიმართებაში ბატონი თეიმურაზის მიერ გამოცემული წიგნების ღრმა წვდომა და მამულიშვილური სახელმწიფოებრივი ხედვა, გადავწყვიტე ერთიანი ძალებით მიგვეწოდებინა მკითხველისთვის აჭარის ისტორია, მაგრამ ისეთნაირად განვითარდა საქართველოში მოვლენები, რომ ეს იდეა აუსრულებელი დარჩა.

დღეს კიდევ ერთჯერ მინდა პატივი მივაგო სამოცდაათამდე წიგნის ავტორს, მემატიანეს აწ გარდაცლილ თემურაზ კომახიძეს ამ წიგნის დაწერისთვის და მადლიერება გამოვხატო მის მიმართ. ღმერთმა აცხონოს მისი სული.

ამას გარდა არსებობს მასალები ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკის შესახებ გრიგოლ ბაბილოძის გამოცემულ წიგნებში. ასევე წერდა ეროდიონ მალაზონია ლიტერატურულ აჭარაში ,,პირველი ბიბლიოთეკა ბათუმში“ (1952 წელი N14) სადაც ვკითხულობთ: ,,გასული საუკუნის მიწურულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმში იმდენად გაიზარდა წიგნზე მოთხოვნილება, რომ მწვავედ დაისვა ბიბლიოთეკის დაარსების საკითხი. წიგნს ეწაფებოდა არა მარტო ინტელიგენცია, არამედ, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ქალაქის მრავალრიცხოვანი პროლეტარიატიც, განსაკუთრებით მწვავედ დაისვა ბიბლიოთეკის გახსნის საკითხი 1894 წელს.

ორი წლის შემდეგ 1896 წელს, გაზეთი ,,კვალი" წერდა: ,,როგორც ვიცით, აგერ მეორე წელიწადია, რაც რამოდენიმე პატივცემულმა პირებმა განიზრახეს ბათუმში სამკითხველოს დაარსება; ამისთვის კიდევაც შეუდგნენ ფულის შეგროვებას, როგორც ბათუმში, აგრეთვე სხვაგანაც. მაგალითად სოხუმში მოაგროვეს და გამოუგზავნეს პატივცემულ მზრუნველთ რამდენიმე მანეთი. როგორც გავიგეთ, ამჟამად 600 მანეთამდე შეგროვებულია ამ საქმისათვის, მაგრამ მზრუნველნი არა თუ მეცადინეობდნენ, არამედ თითქოს ფიქრადაც არ მოსდით სამკითხველოს გახსნა, თორემ რა მიზეზია, ან რა დაბრკოლება გადაეღობა წინ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვერ მოახერხეს ამ საქმის დაბოლოება..."

მიუხედავად ბიბლიოთეკის გახსნის დიდი სურვილისა, ორი წლის განმავლობაში პრაქტიკულად მაინც არაფერი გაკეთებულა. მხოლოდ 1898 წელს ამ საქმისათვის ხელი მოუკიდია მხეიძეს, რომლის შესახებ გაზ. ,,კვალი" ათავსებს კორესპონდენციას ვინმე გ-იც-შვილის ხელმოწერით. კორესპონდენციაში ნათქვამია:

,,...როგორც ნამდვილ წყაროებიდან გავიგე, ამ მოკლე ხანში დაარსდება სახალხო ბიბლიოთეკა ქ-ნ ფხეიძის თაოსნობით. უსურვოთ კარგი ნიადაგი...", მაგრამ ფხეიძესაც ვერაფერი გაუკეთებია და ბიბლიოთეკის გახსნა კვლავ გაჭიანურებულა.

დრო გადიოდა. ინტერესი წიგნებისადმი შეუნელებლად იზრდებოდა, ხოლო ქალაქს ბიბლიოთეკა კვლავ არ ჰქონდა. საქმე მხოლოდ მას შემდეგ წავიდა წინ, რაც მას სათავეში ჩაუდგნენ ბათუმელი მესამედასელები, რომლებსაც იმ დროს ცნობილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციონერი საშა წულუკიძე ხელმძღვანელობდა. როგორც სარწმუნო დოკუმენტები მოგვითხრობს, ბათუმის მუშების ხშირი სტუმარი ყოფილა ფ. მახარაძეც. და აი მათ თავიანთ ხელში აუღიათ ბათუმში ბიბლიოთეკის გახსნის ორგანიზაცია და მტკიცედ გადაუწყვეტიათ დაეკმაყოფილებინათ მუშათა დიდი მისწრაფება წიგნისადმი.

გამოჩენილი ქართველი მწერალი დ. კლდიაშვილი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა ბათუმში, თავის მემუარებში მეტად საინტერესო ცნობებს გვაძლევს ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. ,,ამათ (ლაპარაკია მესამედასელებზე - ი.მ.) იმდენი ახერხეს,რომ ქალაქში გახსნეს საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელსაც მოუგროვეს მრავალი წიგნები და უწერდნენ ჟურნალ-გაზეთებს. სამკითხველო ნურიაში იყო და მუდამ სავსე იყო მკითხველი ხალხით, სამკითხველოს გარდა, დიდი მეცადინეობის შემდეგ გაიხსნა საკვირაო სკოლა ბარცხანაში“...

ეს მოხდა 1900 წლის დამდეგს, როცა გადაჭრით დაისვა საკითხი ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ, რომელსაც, როგორც ვთქვით, სათავეში ჩაუდგა ამ საქმით დიდად დაინტერესებული სახელოვანი რევოლუციონერი საშა წულუკიძე, აგრეთვე ფილიპე მახარაძე. ბიბლიოთეკის გახსნის დაჩქარებას დიდად შეუწყო ხელი 108 კაცის ხელმოწერის შეგროვებამ, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ბათუმის საქალაქო ბიბლიოთეკის გახსნაში.

რამდენიმე დღის შემდეგ ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ გრ. ვოლსკიმ და სხვებმა საშა წულუკიძის დავალებით მოიწვიეს ბიბლიოთეკის დაარსების მსურველთა დამფუძნებელი კრება. ამ კრებამ განიხილა ბიბლიოთეკის დაარსების პროექტი და მიიღო გადაწყვეტილება საქალაქო ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ. ამრიგად, დიდი ცდისა და მუშაობის შედეგად 1900 წლის მარტში ბათუმში გაიხსნა პირველი ბიბლიოთეკა. ამ ფაქტს როგორც პროგრესულ მოვლენას გულთბილად გამოეხმაურა გაზეთი ,,კვალი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1900 წლის 26 მარტის ნომერში გაზეთი ,,კვალი“ წერდა: ,,გასულ კვირაში ბათუმში აკურთხეს პირველი სახალხო ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა მოთავსებულია ბაზრის ახლო და ძალიან ბევრი მკითხველიც ეხვევა“.

ახლად დაარსებული ბიბლიოთეკის ავტორიტეტი დღითი დღე იზრდებოდა, მაგრამ რამდენადაც ღარიბი იყო როგორც წიგნადი ფონდით, ისე სხვა აუცილებელი საშუალებებით, ისიც კერძო პირთა შემყურე, ბიბლიოთეკა ვერ აკმაყოფილებდა მკითხველთა მოთხოვნილებებს.

1901 წლის გაზ. ,,კვალის“ 50-ე ნომერში ბათუმის ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ ვკითხულობთ: ,,ბათუმის ბიბლიოთეკას ,,ბიბლიოთეკა“ სულ ტყვილად ეწოდება. ის მისი რამდენიმე ჟურნალ-გაზეთებით და სულ მცირედი წიგნებით უბრალო სამკითხველოსა ჰგავს და არა ბიბლიოთეკას.“ გაზეთ ,,კვალის“ ეს კორესპონდენცია მოსახლეობის ფართო ფენების აზრს გამოხატავდა და ბიბლიოთეკის გამგეობამ დასვა საკითხი სახალხო ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ, უფრო სწორად, არსებული ბიბლიოთეკის გაფართოებისა და გადაკეთების შესახებ საჯარო ბიბლიოთეკად.

ბიბლიოთეკის დაარსების ერთ-ერთმა მონაწილემ გრ. ვოლსკიმ, რომელიც მაშინ ქალაქის მმართველობაში მუშაობდა, დააყენა საკითხი საქალაქო ბიბლიოთეკის საჯარო ბიბლიოთეკად გადაკეთების შესახებ. დიდი კამათის შემდეგ საკითხი დადებითად გადაიჭრა და ბიბლიოთეკის გამგეობამ შეადგინა საჯარო ბიბლიოთეკის ახალი პროექტი ხარკოვის საჯარო ბიბლიოთეკის ნიმუშის მიხედვით. ეს პროექტი დასამტკიცებლად გაეგზავნა ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიას.

წელიწადნახევარი გავიდა პროექტის დამტკიცების მოლოდინში და მხოლოდ 1902 წლის პირველ ნახევარში მიიღო ბიბლიოთეკის გამგეობამ საჭირო ნებართვა. მიუხედავად ამისა, საჯარო ბიბლიოთეკის გახსნას ბოლო მაინც არ უჩანდა. ქალაქის თვითმმართველობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილებით ახალი ბიბლიოთეკა სტრუქტურის მიხედვით უნდა ყოფილიყო თბილისის, ან პეტერბურგის ბიბლიოთეკის ტიპისა და უნდა გახსნილიყო რუსეთის იმპერიასთან ბათუმის ოლქის შეერთების 25 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით.

1902 წლის 28 აპრილს ბიბლიოთეკის წევრთა საერთო კრებამ მოისმინა ქალაქის თვითმმართველობის გადაწყვეტილება ბიბლიოთეკის გახსნის თაობაზე და გადაწყვიტა განმეორებით ეთხოვა ქალაქის მმართველობისათვის დაეჩქარებინა ეს საქმე. ამავე კრებაზე აირჩიეს ბიბლიოთეკის ახალი გამგეობა. მოლაპარაკებამ ბიბლიოთეკის გამგეობასა და ქალაქის თვითმმართველობას შორის დიდხანს გასტანა. ბოლოს, ბიბლიოთეკის გამგეობის შემადგენლობამ ქალაქის მმართველობის წინაშე დადებითი შედეგი გამოიღო. ქალაქის თვითმმართველობამ დადგენილება საქალაქო ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ გაუქმებულად ჩათვალა და მიიღო ახალი გადაწყვეტილება საჯარო ბიბლიოთეკის გახსნის თაობაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქალაქო ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ ქალაქის თვითმმართველობამ დადგენილების გაუქმებამ და ახალმა დადგენილებამ ამის თაობაზე არივ-დარია ბათუმში პირველი ბიბლიოთეკის გახსნის თარიღი, მაგრამ სათანადო საარქივო მასალების პოვნამ შესაძლებელი გახადა სწორი თარიღის დადგენა.

ქალაქის თვითმმართველობის გადაწყვეტილების საფუძველზე ბიბლიოთეკის გამგეობა შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას და 1902 წლის 13 ოქტომბერს ბიბლიოთეკა გადაიტანა ქალაქის სახლში (ქალაქის საბჭოს აღმასკომის ახლანდელ შენობაში) საჯარო ბიბლიოთეკის სახელწოდებით. ახალ ბიბლიოთეკას სამკითხველო დარბაზისთვის დაუთმეს ცალკე ოთახი. ამრიგად, ბიბლიოთეკის 1902 წლის ანგარიშში მოცემული ცნობა იმის შესახებ, თითქოს პირველი ბიბლიოთეკა ქ. ბათუმში 1902 წლის 13 ოქტომბერს დაარსებულიყოს, სწორი არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1902 წლის 13 ოქტომბერი ეს არის ქალაქის ბიბლიოთეკის საჯარო ბიბლიოთეკად გადაკეთების და არა პირველი ბიბლიოთეკის დაარსების თარიღი. სარწმუნო დოკუმენტების ანალიზი, როგორც დავინახეთ, ცხადყოფს, რომ პირველი ბიბლიოთეკა ბათუმში დაარსდა 1900 წლის მარტის შუა რიცხვებში. ქალაქის ბიბლიოთეკის საჯარო ბიბლიოთეკად გადაკეთებაში აქტურად მონაწილეობდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლის მასწავლებლები და ბიბლიოთეკის გამგეობის წევრები, მათ შორის გრ. ვოლსკი.”

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეფის თვითმპყრობელობა ყოველმხრივ ავიწროებდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მიუწვდომლად ხდიდა მათ მშრომელი მასებისათვის და ყოველმხრივ უშლიდა ხელს მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებისა და გათვიცნობიერების საქმეს. ამით უნდა აიხსნას, რომ როგორც სამკითხველო დარბაზი ჟურნალ-გაზეთებით, ისე ბიბლიოთეკაში წიგნის სარგებლობა ფასიანი იყო.

ასეთ პოლიტიკას ცარიზმი რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე ატარებდა. ,,ცარიზმი ავიწროებდა, – წერდა ამხანაგი სტალინი, – ზოგჯერ კი პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმისთვის, რომ მასები სიბნელეში ჰყოლოდა. ცარიზმი ახშობდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანთა ყოველივე ინიციატივას“ (ი.ბ.სტალინი, თხზ, ტომი 4, გვ.388).

ცარიზმის დამხობის შემდეგ მენშევიკების ფარფაშმა, ოსმალთა ოკუპაციამ და ინგლისის ინტერვენციამ კიდევ უფრო შეაფერხა ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკის მუშაობა და მან თავისი სახელიც კი დაჰკარგა.

საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველყო ბიბლიოთეკის მუშაობის არსებითად გარდაქმნა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღიდან იგი ძირითადად აღდგენილ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქნა ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკის სახელწოდებით და პარტიისა და ხელისუფლების მზრუნველობის შედეგად მალე მტკიცე საფუძველზე დადგა.

სამამულო ომის პერიოდში აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკამ ორმოცათასიანი წიგნადი ფონდით საომარ ყაიდაზე გარდაქმნა და ფართოდ გაშალა მასობრივი პოლიტიკური აგიტაცია მასებში.

სამამულო ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ, მნიშვნელოვანი მშენებლობის წლებში, საჯარო ბიბლიოთეკა კიდევ უფრო ფართოდ შლის მუშაობას და საქმიან დახმარებას უწევს ჩვენი ქალაქის მშრომელებს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის შეძენაში“.

იროდიონ მალაზონიას გადმოცემით თვალნათლივ ჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლება უფრო ზრუნავდა ხალხის მასების ცოდნის ამაღლებაზე, ვიდრე სააკაშვილის დროს მოსული ხელისუფლება, რომლის ისტორიის ფრაგმენტს ოდნავ მოგვიანებით შემოგთავაზებთ.

ძალზედ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გავანადგურეთ ათასობით ფაბრიკა-ქარხანა, სადაც მილიონობით მუშახელი იყო დასაქმებული და ახლა სხვა ქვეყნების მოჯამაგირეებად ვაქციეთ ადამიანები, რომელთა გარკვეული ნაწილი არც ფიქრობს სამშობლოში დაბრუნებას. ჩვენი მუშახელი სხვა ქვეყნის ეკონომიკის აყვავებას ემსახურება. ესეც ჩვენი ხელმძღვანელობის ,,დამსახურებაა“. ძველ დროს არ მივსტირით, მაგრამ სათქმელი უსათუოდ უნდა ითქვას...

ახლა კი უშუალოდ იმ ადამიანებზეც, რომლებიც ემსახურებიან ბიბლიოთეკას და მკითხველის თვალით დანახულ ბიბლიოთეკაზე ვისაუბრო, ყურადღება გავამახვილო ბატონ გენადი მახარაძის პიროვნებასა და მის გვერდით მდგომ თანამშრომლების საქმიანობაზე.

მიუხედავად ბიბლიოთეკის დირექტორის გენადი მახარაძის დაჟინებული თხოვნისა, აღნიშნულიყო ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდნის ტაძრის 100 წლის იუბილე, იმდროინდელმა მთავრობამ არ შეისმინა...

ბატონი გენადი მახარაძე ის კაცია, რომელსაც უყვარს თავისი საქმე და გულიანად ემსახურება მას: ბიბლიოთეკის გულისცემით ცხოვრობს. წვიმა და თოვლი არ აშინებს. მოკლედ კარგი მეურნეა, მე ვიტყოდი სამაგალითო ხალმძღვანელი, თამამად შეიძლება ითქვას ის, რომ ისტორიული კულტურის კერა საიმედო ადამიანის ხელშია, ბატონი გენადის თავკაცობით, ბიბლიოთეკის თანამშრომლების და საზოგადოებრიობის გვერდით დგომით გაყიდვას გადარჩა ბიბლიოთეკის შენობა და იმ, ავადსახსენებელი რეჟიმის პერიოდში ცოდნის ოაზისი შეუნარჩუნა საზოგადოებას. ბიბლიოთეკაში უმაღლეს დონეზე ტარდება სხვადასხვა ღონისძიებანი. ბატონი გენადი მკაცრი, მომთხოვნი, ამავდროულად სამართლიანი ხელმძღვანელია, უბრალოა ადამიანებთან მიმართებაში.

მასთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს: ჩემი წიგნი ,,ერის სადარაჯოზე“ მოგვითხრობს ,,აჭარის მამულიშვილთა კავშირზე“, რომლის ერთერთი დამფუძნებელიც ბატონი გენადი მახარაძე გახლდათ.

შემოგთავაზებთ ამონარიდს ჩემი წიგნიდან ,,**ერის სადარაჯოზე**“:

,,გენადი შოთას ძე მახარაძე 1978-1982 წწ. სწავლობდა მოსკოვის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის საბიბლიოთეკო ფაკულტეტის დღის სწავლების განყოფილებაზე, სადაც მიენიჭა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფის სპეციალისტის წოდება (დიპლომი ИВ№ 570389). 1984-1988 წწ. სწავლობდა მოსკოვის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ასპირანტურაში წიგნთმცოდნეობის სპეციალობაზე, დღის სწავლების განყოფილებაზე. ამ პერიოდში მუშაობდა სადისერტაციო თემაზე: ,,წიგნის გამოცემის საქმის ჩამოყალიბება და განვითარება აჭარაში 1879-1985 წლებში~, რისთვისაც მოსკოვის სპეციალიზებული საბჭოს К 092.07.02. გადაწყვეტილებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1988 წლის 30 დეკემბერს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება წიგნთმცოდნეობის სპეციალობით (დიპლომი ИТ№ 014027).

1988-1989 წწ. მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის უფროს მეთოდისტად, 1989-1991 - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ხელოვნების სასწავლო დაწესებულებათა მეთოდკაბინეტის მეთოდისტად. 1991-1992 წწ. – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო მუზეუმის უფროს მეცნიერ მუშაკად. 1992-1993 წწ. – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს წამყვან სპეციალისტად, 1994-1997 წწ. თბილისის, მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის ბიბლიოთეკებში და არქივებში იკვლევდა მასალებს სადოქტორო თემისათვის „ბეჭდვითი სიტყვა აჭარაში“.

გენადი მახარაძე საჩუქრად გადასცემს ქ. ბათუმში მოღვაწე მწერლების წიგნებს და ასევე ბათუმში გაოცემულ ჟურნალებს აშშ კონგრესის ბიბლიოთეკას

ეროვნული ბიბლიოთეკა

1997 წლის 16 სექტემბრიდან მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორად (2007 წლის ნოემბრიდან ბიბლიოთეკა იწოდება „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკად“).

2003 წელს ერთთვიანი სტაჟირება გაიარა ამერიკის შეერთებულ შტატებში (აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკაში, ქ. ვაშინგტონი და ქ. ატლანტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში, ჯორჯიის შტატი). ეს სტაჟირება განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საკითხთა ბიუროს პროგრამით, რომელიც ითვალისწინებდა საბიბლიოთეკო სფეროს დირექტორთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

1998-2013 წწ. მონაწილეობდა საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო და რესპუბლიკური მნიშვნელობის კონფერენციებსა და სემინარებში.

არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი.

გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები და სტატიები. მისი ნაშრომი „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. – „პრესა და საგამომცემლო საქმე“ აჭარა. ტომი 3-ში დაიბეჭდა (1877-1920 წწ) და ტომი 4-ში „საგამომცემლო საქმე“ (1921-1990 წწ).

2006 წლიდან არის აჭარის მამულიშვილთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი.

აქვე მინდა მკითხველს გავაცნო ბატონ გენადი მახარაძესთან გამართული დიალოგი, თუ რა დაბრკოლებები გადახდათ თავს, ბიბლიოთეკის მუშაკებს და კერძოდ მათ დირექტორს, რათა რეჟიმის პერიოდში საზოგადოებისთვის შეენარჩუნებიათ ეს საგანმანათლებლო კერა, რისთვისაც კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდი მთელი საზოგადოების სახელით.

2005 წლის შემოდგომაზე აჭარის განათლების კულტურისა და სპორტის მინისტრად ალექსი ჩიკვაიძე მოგვევლინა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც მანამდე საქართველოში ეროვნული სიმდიდრის გაყიდვა-გასხვისების ფუძემდებლის, აწ გარდაცვლილი კახა ბენდუქიძის მრჩეველი იყო. ამ პერიოდიდან აჭარაში იწყება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვა-განადგურება და მათ შორის ბიბლიოთეკების ძირფესვიანად ამოძირკვა.

მინდა შემოგთავაზოთ ბატონ გენადისთან გამართული საუბარი:

,,მინისტრი ჩიკვაიძე აჭარის ბიბლიოთეკებზე ლაშქრობას 2005 წლის ოქტომბერში ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკით (ყოფილი აჭარის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა) იწყებს. ამ დროს ვრცელდება ინფორმაცია საჯარო ბიბლიოთეკის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტზე ჩვენი მიერთების თაობაზე. ამასთან 2006 წლიდან ბიბლიოთეკას შეუწყდებოდა დაფინანსება. გაზეთი „ბათუმელები“ (№44, 9-16 ნოემბერი, 2005 წ.) აქვეყნებს სტატიას სათაურით „საჯარო ბიბლიოთეკა შესაძლოა გააუქმონ. შენობა – ინვენსტორს, წიგნები – უნივერსიტეტს“, რომელშიც ბიბლიოთეკის დირექტორი გენადი მახარაძე თავის აზრს გამოხატავს და აღნიშნავს, რომ „მოვლენების მსგავს განვითარებას გამოვრიცხავ. დარწმუნებული ვარ, რესპუბლიკური ბიბლიოთეკა დარჩება სახელმწიფო დაწესებულებად და აჭარის ბიუჯეტიდან დაფინანსდება. ...უფრო რეალურია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საჯარო ბიბლიოთეკასთან შემოერთება“.

აჭარის მთავარი ბიბლიოთეკის მდგომარეობით საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ყოფილი დირექტორი ლევან ბერძენიშვილი ინტერესდება და მისი აზრით „ეს იდეა, რომ საჯარო ბიბლიოთეკა უნდა გაუქმდეს და შეუერთდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, გაუჩნდა აჭარის განათლებისა და კულტურის ახალგაზრდა მინისტრს. აჭარის ფინანსთა სამინისტრო ამას არ მიემხრო. ამის შემდეგ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც ჩვენ ვიცით, მინისტრმა თქვა, რომ გადაიფიქრა. მსგავსი რამის განხორციელებისა და შენობის გაყიდვის უფლება განათლების მინისტრს არ აქვს. ზღაპარია, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსდება ბიბლიოთეკა. ბიუჯეტის პროექტი უკვე დამტკიცებულია და მას მინისტრი ვერ შეცვლის. თუ აჭარიდან არ ექნება აჭარის ბიბლიოთეკას დაფინანსება, ეს ნიშნავს იმას, რომ აჭარაში წიგნი და განათლება საჭირო არ არის. როცა 26 წლის მინისტრი გვეყოლება, რა თქმა უნდა, ასე იქნება“. (გაზეთი „ბათუმელები“, №44, 9-16 ნოემბერი, 2005 წ.).

საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის გენადი მახარაძის თქმით „იღბლიან“ ალექსი ჩიკვაიძეს 2005 წლის მიწურულს არ გაუმართლა და 2006 წლის გაზაფხულიდან ახალი გეგმით იწყებს ჩანაფიქრის განხორციელებას. გენადი მახარაძე იგონებს, რომ „ალექსი ჩიკვაიძემ დამიბარა თავის კაბინეტში და გარიგება შემომთავაზა. თუ მის იდეას, საჯარო ბიბლიოთეკის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტზე მიერთების თაობაზე მხარს დავუჭერდი, მაშინ მე დამნიშნავდა უნივერსიტეტის გაერთიანებული ბიბლიოთეკის დირექტორად, ხელფასი მექნებოდა 2 000 ლარი, მომემსახურებოდა სახელმწიფო მანქანა და ასევე მომცემდა ბინას ბათუმის ცენტრალურ უბანში. ამ შემოთავაზებებზე ჩემსგან კატეგორიული უარი მიიღო და ამის შემდეგ იწყება ჩვენს შორის უთანხმოება - დაპირისპირება (უშეღავათო ბრძოლა). მე ვიცავდი ბიბლიოთეკას, მინისტრი კი იმუქრებოდა ბიბლიოთეკის ლიკვიდაციით. იმედგაცრუებული მინისტრი დროებით შეაჩერებს საჯარო ბიბლიოთეკის ლიკვიდაციის საკითხს და იწყებს ბათუმის საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკების ძირფესვიანად გარდაქმნა-განადგურებას. ასევე აჭარის რაიონებში სრულად ანადგურებს საბიბლიოთეკო ქსელს“.

2006 წლის ოქტომბრიდან მინისტრი ჩიკვაიძე კვლავ იწყებს ახალ შეტევას საჯარო ბიბლიოთეკაზე. განათლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროს მიერ წარდგენილ 2007 წლის ბიუჯეტის პროექტში საჯარო ბიბლიოთეკის დაფინანსება შეტანილი აღარ არის. ამასთანავე ბიბლიოთეკის დირექტორს გენადი მახარაძეს, როგორც თავად აღნიშნავს, ჰქონდა უტყუარი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მინისტრმა ჩიკვაიძემ აჭარის მთავრობას წარუდგინა დადგენილების პროექტი სათაურით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკაკი წერეთლის სახელობის აჭარის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ლიკვიდაციის შესახებ“.

ამ მომენტიდან დირექტორი გენადი მახარაძე აქტიურად და ღიად უპირისპირდება მინისტრ ალექსი ჩიკვაიძეს, ბიბლიოთეკის დასაცავად აწყობს სანქცირებულ და უსანქციო მიტინგებს, უგზავნის სპეციალურ მიმართვას საქართველოს პრეზიდენტს და აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს თხოვნით, რომ პირადად დაიტერესდნენ ბიბლიოთეკის ბედით და გადაარჩინონ იგი დახურვას. ბიბლიოთეკის გაუქმებას თითქმის ყველა რიგითი ბათუმელი და აჭარის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, სტუდენტები, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეები, ბიბლიოთეკის თანამშრომლები აპროტესტებდნენ მიტინგებში მონაწილეობით და სპეციალურ მიმართვებზე ხელწერებით. ასევე დახმარების თხოვნით ბიბლიოთეკა მიმართვებს უგზავნის საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერს ჯემალ ინაიშვილს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს ზაზა აბაშიძეს, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტს ირაკლი ღარიბაშვილს, რომლებიც სპეციალურად ჩამოდიოდნენ ბათუმში და აქტიურად მხარს უჭერდნენ ბიბლიოთეკის პოზიციას. პარალელურად ბიბლიოთეკის დირექტორი ესწრება აჭარის უმაღლესი საბჭოს იმ სხდომებს, რომლებზეც მინისტრი ჩიკვაიძე ბიბლიოთეკის მომავალზე მოხსენებებს აკეთებს.

შეიძლება ითქვას, რომ საჯარო ბიბლიოთეკის მომავალი 2006 წლის 9 დეკემბერს გადაწყდა, როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის დავალებით მთავრობის ადმინისტრაციის შენობაში (ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. №9) გაიმართა მინისტრ ჩიკვაიძის მიერ აჭარის მთავრობაში წარდგენილი დადგენილების პროექტის „სსიპ – აკაკი წერეთლის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ლიკვიდაციის შესახებ“ განხილვა. გენადი მახარაძემ ამ სხდომაზე აღნიშნა, რომ „ეს დადგენილების პროექტი არ არის არც მთავრობის და არც უმაღლესი საბჭოს ინტერესი. ეს არის განათლების მინისტრის ა. ჩიკვაიძის დაუსაბუთებელი ინტერესი“ და დაასაბუთა კიდეც, რომ საჯარო ბიბლიოთეკის უნივერსიტეტზე მიერთებით საზოგადოებას შეეზღუდებოდა წიგნით სარგებლობის უფლება, შემცირდებოდა წიგნის მკითხველთა რაოდენობა და ბიბლიოთეკა ვეღარ იქნებოდა სახელმწიფოს და საზოგადოების სამსახურში.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ გაითვალისწინა სახელმწიფო ინტერესი და მხარი დაუჭირა საზოგადოების თხოვნას. ბიბლიოთეკა დარჩა თავის ადგილზე როგორც დამოუკიდებელი ერთეული და ასევე ისიც, რომ იმ

ბიბლიოთეკის თანამშრომლები საპროტესტო აქციაზე. 2006 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერიოდში საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის დანიშვნა-განთავისუფლებაზე ბრძანებას გამოსცემდა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე. მინისტრ ჩიკვაიძეს ლევან ვარშალომიძესთან წარდგენილი ჰქონდა ბრძანების პროექტი ბიბლიოთეკის დირექტორის გენადი მახარაძის თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე.

მინისტრი ჩიკვაიძე 2007 წლიდან იწყებს ახალ თამაშს, თუმცა მინისტრის ასეთი არასახელმწიფოებრივი მიდგომა აზარალებდა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს და მკითხველებსაც. აჭარის მთავრობამ და უმაღლესმა საბჭომ საჯარო ბიბლიოთეკას 2007 წლისათვის გამოუყო 202 ათასი ლარი. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2007 წლის 3 იანვრის მოთხოვნის საფუძველზე ბიბლიოთეკის დირექტორმა 4 იანვარს წარადგიდა ბიბლიოთეკის 2007 წლის საშტატო განრიგი და საბიუჯეტო ხარჯაღრიცხვა. მინისტრმა ჩიკვაიძემ ბიბლიოთეკის საშტატო განრიგი 2007 წლის 10 იანვარს შეითანხმა, ხოლო ხარჯთაღრიცხვის შეთანხმებას ხელი არ მოაწერა, შესაბამისად ხარჯაღრიცხვა არ გადაიგზავნა აჭარის ფინანსთა სამინისტროში და ამით ბიბლიოთეკის დაფინანსება შეაჩერეს. მინისტრის ამ ქმედებით ბიბლიოთეკის თანამშრომლებ იანვარში ვერ იღებენ შრომის ანაზღაურებას. ბიბლიოთეკის დირექტორმა რამდენჯერმე მიმართა თხოვნით მინისტრ ჩიკვაიძეს და მინისტრის პირველ მოადგილეს შორენა მახაჭაძეს ბიბლიოთეკის დაფინანსების აღდგენის თაობაზე, მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგო იყო, მათ არც ბიბლიოთეკის და არც ბიბლიოთეკარების მდგომარეობა არ აინტერესებდათ. ამავდროულად ბიბლიოთეკის შემოწმებას იწყებს სამინისტროს მიერ ბიბლიოთეკაში გამოგზავნილი გენერალური ინსპექცია 5 წევრის შემადგენლობით. უკვე გაუსაძლისი და დამამცირებელი გახდა სამინისტროს ხელმძღვანელობის დამოკიდებულება ბიბლიოთეკისადმი. დირექტორი იძულებული ხდება კვლავ დაუპირისპირდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრს და დახმარებისათვის მიმართავს ჯერ აჭარის ფინანსთა მინისტრს, ხოლო შემდეგ კი, - აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს, რომელშიც აღნიშნულია, რომ „...ბიბლიოთეკას 20 თებერვლიდან შეუწყდება ელექტროენერგიის მიწოდება, რაც გამოიწვევს ბიბლიოთეკის მუშაობის სრულ პარალიზებას. ასევე ბიბლიოთეკის მუშაკებს მიმდინარე წელს არ მიუღიათ შრომის ანაზღაურება. ყოველივე ამის მიზეზია აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აჭარის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის 2007 წლის დამტკიცებული ასიგნების არ წარდგენა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში ...ალექსი ჩიკვაიძეს არაერთხელ მივმართეთ თხოვნით, კომისიას შეემოწმებინა ბიბლიოთეკის საქმიანობარათა არ შეეჩერებინა ბიბლიოთეკის დაფინანსება.. ჩვენი თხოვნა უშედეგო აღმოჩნდა. ვფიქრობთ, რომ კომისია მუშაობს სპეციალური დავალებით, ამის საფუძველს იძლევა ზოგიერთი მათგანის აგრესიული და არაობიექტური ქცევა. ისინი ვერ ერკვევიან საბიბლიოთეკო საქმიანობის სპეციფიკაში და არც ამისი გაგება სურთ. ასევე არაობიექტურად არკვევენ ზოგიერთ ორგანიზაციულ და სამეურნეო საკითხებსაც. ეს ბადებდა ეჭვს, რომ კომისიის შემოწმების შედეგები არაობიექტური და ტენდენციური იქნებოდა. პირადად მე პატიოსნად ვემსახურები ბიბლიოთეკას და თუ საჭიროა, ღირსეულად დავტოვო სამუშაო ადგილი. გთხოვთ, პირადად დაინტერესდეთ ბიბლიოთეკით, აღუდგინოთ დაფინანსება და მოავლინოთ კონტროლის პალატა“. გენადი მახარაძის თქმით „ამის შემდეგ აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ რამდენჯერმე მიუთითა ჩიკვაიძეს ბიბლიოთეკისათვის დაფინანსების აღდგენის თაობაზე, მაგრამ უთავბოლო ჩიკვაიძე ჯიუტად იქცეოდა.“ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს არც თებერვლის ანაზღაურება მიუღიათ.

დირექტორი გენადი მახარაძე იგონებს: „ოთხი თვის მანძილზე ბიბლიოთეკას თითქმის არ ვტოვებდი, ხშირად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღამითაც იქ ვრჩებოდი. მივიღე გადაწყვეტილება, რომ მებრძოლა ბიბლიოთეკის დაფინანსების აღდგენისათვის. 2007 წლის 11 მარტს, დაახლოებით 15 საათზე, საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომელთა არმია გაემართა განათლების სამინისტროსკენ რომ ალექსი ჩიკვაიძისთვის პასუხი მოეთხოვათ. არაერთი დაბრკოლების მიუხედავად ავედით შენობის მესამე სართულზე სადაც სამინისტროს ადმინისტრაცია იმყოფებოდა, გადავკეტეთ დერეფანი, მინისტრის მისაღები ოთახი და კაბინეტის კარები. მინისტრმა ჩიკვაიძემ დაცვა გააძლიერა, მაგრამ უშედეგოდ. ბიბლიოთეკის თანამშრომლები წესრიგს არ არღვევდნენ და დაცვის პოლიციის თანამშრომლებიც ღირსეულად გვექცეოდნენ. მოთხოვნა იყო ერთადერთი, რომ მინისტრს ხელი მოეწერა ბიბლიოთეკის ხარჯთაღრიცხვაზე, დოკუმენტი გადაეგზავნა ფინანსთა სამინისტროს რომ აღდგენილიყო ბიბლიოთეკის დაფინანსება. საღამოს, დაახლოებით 20 საათზე, მინისტრმა გამოიძახა სამთავრობო დაცვის ხელმძღვანელობა. ჩემსა და სამთავრობო დაცვის ხელმძღვანელებს შორის მოხდა სიტყვიერი შეთანხმება, კერძოდ, 12 მარტს, დილის 11 საათამდე ბიბლიოთეკა მიიღებდა მინისტრ ჩიკვაიძის ხელმოწერილ ბიბლიოთეკის ხარჯთაღრიცხვას. სიტყვა არ დარღვეულა და მართლაც ბიბლიოთეკამ მიიღო აღნიშნული დოკუმენტი. საბოლოოდ დასრულდა საჯარო ბიბლიოთეკის დახურვა-გასხვისების და დაფინანსების შეწყვეტის საკითხები. მაგრამ მინისტრ ჩიკვაიძის ბრძანებით 2007 წლის 12 მარტიდან მე ამეკრძალა სამინისტროში შესვლა, რომელიც მისი მინისტრობის ბოლომდე გაგრძელდა“.

ეს მოგონებები შედგენილია ბიბლიოთეკაში დაცული დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით.

ოდნავი პაუზის შემდეგ, ბატონმა გენადიმ გააგრძელა საუბარი: ,,ახლა ვისაუბროთ ბიბლიოთეკის მერმინდელ პერიოდზე“ და გააგრძელა საუბარი. მაგიდაზე დაწყობილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფურცლებს გადახედა, ალბათ ციფრებს ჩაუღრმავდა მის წინ დადო ფურცლები და დაიწყო:

„მოგეხსენებათ, რომ მე-20 საუკუნის 90-იანი წლები ძალიან რთული იყო ქვეყნისათვის და შესაბამისად რთული აღმოჩნდა ბიბლიოთეკებისთვისაც. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო ფონდის შევსება-განახლება ვერ ხეხდებოდა, ტექნიკური აღჭურვილობა არ არსებობდა. ბიბლიოთეკის საქმიანობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ არსებული წიგნის გაცემით. 1998 წლიდან დაიწყო აქტიური მუშაობა საბიბლიოთეკო საქმიანობის გარდაქმნა-გაუმჯესობის მიზნით. იცვლება ბიბლიოთეკის დებულება, სტრუქტურა, საშტატო განრიგი; იწყება საბიბლიოთეკო ფონდის შევსება; 2001 წელს გრანტით ბიბლიოთეკა ღებულობს კომპიუტერებს და სხვა ტექნიკურ აღჭურვილობებს, ინტერნეტს, ეწყობა კომპიუტერული ცენტრი სწავლებისა და ინტერნეტში თავისუფალი დაშვების პროგრამებით. მომდევნო წლეებში ბიბლიოთეკა იძენს კომპიუტერულ და სხვადასხვა სახის ტექნიკურ აღჭურვილობებს, იქმნება ერთიანი ქსელი და 2010 წლიდან დაიწყო ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონულ მონაცემთა ბაზის შექმნა, კერძოდ: ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების ელექტრონული კატალოგი, აჭარაში გამოცემული გაზეთების სტატიების ანალიტიკური აღწერილობის ელექტრონული ბაზა, ქართული გაზეთების ელეტრონული კატალოგი, კომპაქტ-დისკების ელექტრონული კატალოგი, ძველი ფოტოების გაციფრება და ინტერნეტში განთავსება, წიგნების გაციფრება და ინტერნეტში განთავსება.

ბიბლიოთეკის ფონდი ყოველწლიურად იზდება ძირითადად მკითხველთა მოთხოვნილების გათვალის–წინებით. ბიბლიოთეკა ყოველწლიურად იძენს და საჩუქრად ღებულობს საშუალოდ 10 000 ერთეულ წიგნსა და ჟურნალ-გაზეთს, რომელთა საერთო ღირებულება 50 000 ლარს აღემატება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2017 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ბიბლიოთეკის ფონდი შეადგენდა 554 088 ერთეულს. საკმაოდ მაღალია საბიბლიოთეკო ფონდის ბრუნვა და მომხმარებელთ რაოდენობა. საშუალოდ წლის განმავლობაში გაწევრიანებულ მომხმარებელთა რაოდენობა 6500 შეადგენს, დამსწრეთა რაოდენობა 120 ათას აღემატება, მათზე გაიცემა 370–390 ათასი ერთეული წიგნი, ჟურნალ-გაზეთი და აუდიო-ვედეო მასალა. ასევე ბიბლიოთეკის მომხმარებელი წლის მანძილზე დაახლოებით 20 000-ჯერ სარგებლობს კომპიუტერებით (ინტერნეტით).

ყოველწლიურად ბიბლიოთერკაში ეწყობა 100-ზე მეტი კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიება, 80-მდე თემატური და კალენდარული გამოფენა, 130-მდე საკლუბო შეხვედრა, რომლემშიც მონაწილეობას ღებულობენ საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები, უნივერსიტეტების სტუდენტები და ლექტორები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ქალაქ ბათუმის საზოგადოება. ღონისძიებათა თემები მრავალფეროვანია: შემეცნებითი დისკუსიები, ახალგამოცემული წიგნების წარდგენები, კონფერენციები, ლექციები, საკლუბო შეხვედრები, გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, ბათუმში მოღვაწე შემოქმედ, ღვაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრები და საიუბილეო საღამოები.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის გრანტით 2006 წელს ბიბლიოთეკაში შეიქმნა „ამერიკული კუთხე“, რომელიც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევით ევროპაში არსებულ 150-ზე მეტ ამერიკულ კუთხეს შორის 10 საუკეთესოთა შორის მოხვდა, რის გამოც 2015 წელს ბათუმის ამერიკულ კუთხეს პრიორიტეტული კუთხის სტატუსი მიენიჭა და მისი მუშაობის მიმართულებები გაფართოვდა. განახლებული „ამერიკული კუთხე“ აღჭურვილია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანამედროვე ტექნიკით, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს უმაღლესი ხარისხის ინტერნეტს, უახლოეს ლეპტოპებს, აიპედებს, სამგანზომილებიან პრინტერებს, კალმებს და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიებს. მომხმარებელს აქვს საშუალება გამოიყენოს 6000-ზე მეტი სხვადასხვა თემატიკისა და ჟანრის წიგნი და 500-ზე მეტი აუდიო-ვიდეო მასალა. აქ არსებული ინტერნეტის ბაზის მეშვეობით მომხმარებელს აქვს წვდომა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ადმინისტრირებულ ონლაინ ბიბლიოთეკასთან, რომელშიც თავმოყრილია 30 მონაცემთა ბაზა სხვადასხვა თემატიკის შესახებ, შეუძლიათ გაიუმჯობესონ ინგლისური ენის უნარ-ჩვევები, მიიღონ ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ: კულტურა, განათლება, დღესასწაულები და სხვა. ტარდება საინტერესო საჯარო ლექციები, სხვადასხვა თემატიკის შეხვედრები ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე სხვა უცხოურ ენებზე. ეწყობა გამოფენები და საკლუბო შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ მოსწავლე-ახალგაზრდობა, სტუდენტები და ლექტორები, არასამთავრობო ორგანიზაციების და ასოციაციების წარმომადგენლები.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას საქართველოს ბიბლიოთეკებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს.

როგორც ბატონმა გენადიმ ზემოთ აღნიშნა, ბიბლიოთეკის გაუქმებას თითქმის ყველა რიგითი ბათუმელი და აჭარის რაიონების წარმომადგენლები, სტუდენტები, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეები, ბიბლიოთეკის თანამშრომლები აპროტესტებდნენ მიტინგებში მონაწილეობით და სპეციალურ მიმართვებზე ხელწერებით. მათ მხარში ედგათ ,,აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი”-ს წევრებიც ნიაზ ბოლქვაძის თავკაცობით, რომლებმაც საპროტეტო მიმართვით მიმართეს აჭარის უზენაეს საბჭოს.

რაც შეეხება მინისტრ ჩიკვაიძეს იგი 2007 წლიდან გადაყვანილი იქნა ქ. თბილისში საქ. მეცნიერებათა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების მინისტრის მოადგილედ, თუმცა მალე სამსახურეობრივი გულგრილობის გამო მიცემული იქნა პასუხისგებაში.

ბიბლიოთეკისადმი ასეთი არნახულ მიდგომასთან დაკავშირებით, არ შემიძლია არ გავიხსენო ალენ დალესის დოქტრინა, რომელიც არაერთხელ გამიშუქებია ჩემს მიერ გამოცემულ წიგნებში.

ალენ დალესის დოქტრინა (ის აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მესამე დირექტორი გახლდათ), ეგრეთ წოდებულ დოქტრინას, ის როგორც დოკუმენტი, არ გამოქვეყნებულა და არც მისი ორიგინალი არსე ბობს. ყველაზე ახლოს ამ დოკუმენტთან არის 1948 წლის აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მოხსენება, რომელიც ამერიკის თავდაცვის მინისტრის – ჯეიმს ფორესტოლის მოთხოვნით გაკეთდა. ამ თემას ბევრი საგაზეთო სტატია მიეძღვნა, ხოლო სააკაშვილის რეჟიმის მიერ მართლმადიდებელ ეკლესიაზე მიტანილმა იერიშმა, კიდევ უფრო გააღვივა ეჭვი, რომ ,,ვარდოსნები“ უცხოეთიდან მიღებული დირექტივებით მოქმედებდნენ.

დალესის გეგმა გულისხმობს ამა თუ იმ ქვეყანაში მარიონეტული ხელისუფლების დასმასა და ეთნიკური სიძულვილის გაღრმავებას: საქართველოს ბოლო 20 წლის ისტორია, სამოქალაქო ომი, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები შეიძლება ამ ჭრილში განვიხილოთ. დალესის გეგმის თანახმად, მთავარი სამიზნე ხალხის ეთნიკური და მსოფლშეგნების ცენტრებია (მწერლობა, უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია და ეკლესია). Aმიტომაც იყო, რომ დაშალეს მწერალთა კავშირი, რადგან სწორედ ჩვენი მწერლობაა ქართული ეთნიკური ცნობიერების მატარებელი. თუ ერში მყარი ერთობაა, არის ეროვნული იდეალები და ჰყავთ ავტორიტეტები, ისეთი ერის მართვა ძალზე რთულია. მიზნის მისაღწევად აუცილებელია ეროვნული ცნობიერების გადაშლა. ეს კი სწორედ ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობიერების ბურჯების გამოცლით ხდება. მათი ამოცანა ეროვნული ცნობიერების დანგრევაა.

ალენ დალესმა მასონთა საერთაშორისო საბჭოს ორგანიზაციის ერთ-ერთ თავყრილობაზე განაცხადა: ,,საბჭოთა კავშირში ჩვენ დავთესავთ ქაოსს, შეუმჩნევლად შევცვლით ზნეობრივ ფასეულობებს და ვაიძულებთ მოსახლეობას, ირწმუნოს ყალბი ფასეულობები. თანამოაზრეებსა და თანაშემწეებს მოვძებნით ხელმძღვანელობაში. ეპიზოდურად, ერთმანეთის მიყოლებით, გავათამაშებთ გრანდიოზული მასშტაბის ტრაგედიებს, რომელთაც ყველაზე დაუმორჩილებელი ხალხის დაღუპვა, მისი თვითშეგრძნების შეუქცევადობა და საბოლოოდ გაქრობა, მისი ეკონომიკის სტაგნაცია და განადგურება მოჰყვება. ლიტერატურიდან, ხელოვნებიდან ჩვენ ამოვძირკვავთ სოციალურ არს. ამის ერთ-ერთი ცოცხალი მაგალითი სახეზეა – რობერტ სტურუას განთავისუფლება დაკავებულ თანამდებობიდან. ამ თემასთან დაკავშირებით მინდა მკითხველს შევთავაზო მსახიობ პაატა ბარათაშვილის ინტერვიუს მოკლე ამონარიდი გაზეთ ,,ასავალ დასავალიდან“: ,,რუსთაველის თეატრის სცენა ექსპერიმენტების ჩატარების ადგილად იქცა, უსუსურზე უსუსური ,,ქეთო და კოტეს“ შემდეგ სრული უხამსობა – ,,შემეხე“ წარმოადგინეს. პაატა ბარათაშვილი გმობს რუსთაველის თატრის ექსპერიმენტულ სცენაზე წარმოდგენილ სპექტაკლს ,,შემეხე“, რომელიც დაიდგა ბრიტანული საბჭოს ხელშეწყობითა და დაფინანსებით: – ვერ ხედავთ, რომ საქართველოს პირველ პირად დასახელებული ადამიანი თვითონ არის გარყვნილი? რაც ხდება მეფის კარზე, ის ხდება მთელ ქვეყანაში. თუ გარყვნილობაა, ქვეყანაც იმ მორევში იძირება, თუ ზნეობაა, ზეიმობს ზნეობა. დღეს გარყვნილება პიკშია და ამ სცენაზეც ეს ხდება, ამიტომ გაუშვეს რობერტ სტურუა, იცოდნენ, რომ ამას არ დაუშვებდა. ეს სპექტაკლი დაიდგა ბრიტანეთის საბჭოს მხარდაჭერით. დიახ, ასეთ რამეს აფინანსებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორმალურ ადამიანურ ურთიერთობებში უცხოელები ფულს არ იხდიან. იციან, ვინც ვართ, ამიტომაც გვებრძვიან, მათ ელჩებს და დიპლომატებს რომ აგზავნიან, განა იმათ არ იციან, სად მოდიან? ძალიან კარგად აქვთ შესწავლილი ჩვენი ისტორიაც და რელიგიაც, ამიტომ იწყებენ ეკლესიის ნგრევას, ახორციელებენ მართლმადიდებლობაზე შეტევას და იეღოველთა გაძლიერებას. ამაში მთავრობაც ეხმარება. ...რაც ხდება ამ ახალდადგმულ სპექტაკლში, რომელიც ეხება სკოლის მოწაფეთა ყოფას და ამათგან ერთი მთლიანად იხდის შუა სცენაზე, ეს არის უბედურება! ჩვენი მაცოცხლებელი ჩვენი კულტურა და ტრადიციაა, არ მივცეთ ამის განადგურების უფლება, უისტორიო მარტო ცხოველია, თუ დავივიწყეთ ჩვენი ფესვები, მაშინ ვინ ვართ, რით განვსხვავდებით ველური ტომისაგან? მინდა ახალგაზრდებს მივმართო, ჩემი შვილის თანატოლებს: ნუ მივლენ ამ სპექტაკლზე, ამის უკან რა იმალება, იმაზე დაფიქრდნენ!”

ეს ფაქტი კიდევ ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ ,,ვარდოსნების“ ხელში ქვეყანა უფსკრულში მიექანება..., შემოქმედებით ინტელიგენციას დაუკარგეს ყოველგვარი ხალისი, გამოიკვლიონ და ზუსტად ასახონ მასების სიღრმეში მიმდინარე პროცესები. მათი აზრით: ლიტერატურამ, თეატრმა, კინომ, პრესამ უნდა ასახონ და განადიდონ ადამიანთა ქვენა გრძნობები, ყველანაირად შეუწყონ ხელი იმ შემოქმედებით ინტელიგენციას, რომელიც ადამიანის შეგნებაში შეიტანს სექსის, ძალადობის, ღალატის, ბეზღობის კულტს...

,,...პატიოსნებასა და წესიერებას ისე გავამასხარავებთ, რომ ისინი აღარავის დასჭირდება და წარსულის გადმონაშთად იქცევიან განაგრძობს თავის ქადაგებას ალენ დალესის დოქტრინა. შეუმჩნევლად დავნერგავთ თავხედობას, მატყუარობას, ლოთობას, ნარკომანიას, ცხოველურ შიშს ერთმანეთის მიმართ... ყოველივე ამას ჩვენ დავნერგავთ მოხერხებულად და დაფარულად, ისე, რომ ცოტანი თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხვდებიან, რა ხდება. ვინც მიხვდება, ჩავაყენებთ უმწეო მდგომარეობაში, გავხდით სასაცილოს ხალხის თვალში. ცილს დავწამებთ, ნაძირლად და საზოგადოების მტრად გამოვაცხადებთ“...

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დირექტივა, რომელიც რეტკლიფის წიგნშია აღწერილი: ,,თუკი ოქრო კაცობრიობის უძლიერესი მამოძრავებელი ძალაა, მაშინ მეორე, ეჭვგარეშე – პრესაა. განა პრესის გარეშე რაიმე მნიშვნელობა აქვს აქ, ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და რჩევებს?! ჩვენს მიზანს სრულად მაშინ მივაღწევთ, როცა პრესა ჩვენს ხელში აღმოჩნდება, რომლებიც ჩამოაყალიბებენ საზოგადოებრივ აზრს. ამ გზით ჩვენ ნელ-ნელა ჩამოვიშორებთ, შევავიწროვებთ ქრისტიანებს და მთელ მსოფლიოს ვუკარნახებთ იმას, თუ რისი უნდა სჯეროდეს და სწამდეთ, რას უნდა სწყევლიდნენ და პატივს რას უნდა სცემდნენ. პირველი დარტყმა აქამდე გაუხრწნელ, წმიდათაწმიდა, ოჯახურ საწყისს უნდა მივაყენოთ. ის როგორმე დაშლა-გახლეჩამდე უნდა მივიყვანოთ. ძირფესვიანად ამოვატრიალოთ ის, რისიც დღემდე სწამთ ქრისტიანებს. სანაცვლოდ ამისა, აღვზარდოთ სხვადასხვა ვნებებით გატაცებული არმია. თამამად გამოვუცხადოთ ღია ომი ყველაფერ იმას, რისიც სწამთ და ეთაყვანებიან ჩვენი მტრები – ქრისტიანები. ჩვენს საკუთარ საქმეში ვიყოთ კონსერვატორები, ხოლო ქრისტიანებში ავაღორძინოთ რეფორმატორული სული, შემდეგ კი ამ რეფორმებს ჩვენი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი მიმართულება მივცეთ“... ზოგი ოპოზიციონერობით ემსახურება მამონას, ზოგი – ფუნჯით, ზოგი – კალმით, ზოგიც – ტაშ-ფანდურითა და მანჭვა-გრეხით! მათი მიზანი – საქართველოს დაკაბალება და დამონებაა! ამათ კარგად იციან, რომ საზოგადოების გაკონტროლებისთვის ეკლესიაა უმთავრესი ძალა. ეკლესიიდან მოდის ის ნათელი, რაც ადამიანს ზნეობრივს ხდის. ზნეობრივ ადამიანს კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერცერთ სქემაში ვერ ჩასვამ. ამიტომაც ამკვიდრებენ უზნეობასა და ლაფს ასხამენ ავტორიტეტებს. ავტორიტეტი არ უნდა არსებობდეს, რადგან ის საზოგადოების თვითრეგულაციის მექანიზმია. უავტორიტეტოდ ხალხი ვერ გაერთიანდება, ერთიან აზრს ვერ გამოიმუშავებს და ვერც კონსოლიდირებულად იმოქმედებს. ამიტომაც მიზანმიმართულად ანადგურებენ ავტორიტეტებს ზოგიერთი მედიასაშულების მეშვეობით. საინფორმაციო საშუალებები საზოგადოების გარყვნისთვის ყველა ხერხს მიმართავს. თუ ბავშვმა არ ისწავლა რა არის მოწიწება, პატივისცემა და თავშეკავება, თუ ბავშვობიდანვეა შეყურე ავტორიტეტების შეურაცყოფისა, ის ადამიანად ვეღარ ჩამოყალიბდება. ის იქნება ინფორმაციულ-ბიოლოგიური არსება, რომელიც ექვემდებარება სრულ მართვას. ასეთ ადამიანებს ზომბებს, სულმოპარულებს უწოდებენ.

სხვა გამოსავალი არ არის, უნდა ვიფიქროთ, სოლიდარობის განცდა არ უნდა დავკარგოთ და ამ მავნე სისტემას ერთობით დავუპირისპირდეთ!“.

როგორც დავინახეთ ბატონი გენადი მახარაძის მონათხრობიდან, თუ რა გადაიტანა რეჟიმის პერიოდში, კარგად მოეხსენება ყველას! რეჟიმი ხომ საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეეხო. ბატონმა გენადი მახარაძემ გაუძლო ყოველგვარ ცდუნებას და დღეს, საჯარო ბიბლიოთეკა ღირსეულად განაგრძობს და ახორციელებს თავის საქმიანობას, სწორედ მისი და საზოგადოების დამსახურებაა.

ბატონმა გენადიმ საზოგადოებას წინაპრების მიერ აშენებული ეს ულამაზესი ცოდნის ტაძარი და თავის თანამშრომლებს კი სამუშაო ადგილები შეუნარჩუნა, რაც დღეს დიდ ფუფუნებას წარმოადგენს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის.

ქალბატონი ნატო ჭყონია ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე 2005 წელს, იმ დროს, როცა აჭარის ბიბლიოთეკების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სამუზეუმო-საბიბლიოთეკო განყოფილების უფროსი იყო. მკითხველს მინდა გავაცნო ქალბატონ ნატოს ერთ-ერთი პატარა ჩანაწერი: ,,21-ე საუკუნის ბიბლიოთეკა არა მხოლოდ წიგნების საცავი და არც მხოლოდ ელექტრონულ მონაცემთა ბაზების წვდომის ადგილია, არამედ ინფორმაციის აქტიური გაცვლის, სწავლებისა და მსჯელობის სივრცეა.

თანამედროვე მსოფლიოს ბიბლიოთეკების სტატუსისა და ფუნქციების რეფორმა დიდი ხანია დაწყებულია – ბიბლიოთეკების ქსელის განვითარება და ბიბლიოთეკების გარდაქმნა გეგმიურად, თანმიმდევრულად და მიზანდასახულად ხდება. თუმცა უნდა ითქვას, რომ საბიბლიოთეკო საქმის გარდაქმნა საქართველოში 2005-2006 წლებში ჩატარდა მოუმზადებლად, არაპროფესიონალურად, არაკვალიფიციურად, სპეციალისტთა შეხედულებების გაუთვალისწინებლად, ნაჩქარევად, ყოველგვარი გარდამავალი ეტაპის გარეშე. ამ პერიოდში მე აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სამუზეუმო-საბიბლიოთეკო განყოფილების უფროსი ვიყავი.

2005 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული 207 ბიბლიოთეკა. მათ შორის: ბათუმში 13 – აჭარის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა დამოუკიდებელ შენობაში არსებული ახალგაზრდობის განყოფილებით, აჭარის საბავშვო ბიბლიოთეკა, ბათუმის საბიბლიოთეკო გაერთიანების ცენტრალური ბიბლიოთეკა და 10 ფილიალი; ხელვაჩაურში 30 - რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანების ცენტრალური ბიბლიოთეკა, რაიონული საბავშვო ბიბლიოთეკა და 28 სასოფლო ფილიალი; ქობულეთში 32 - რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანების ცენტრალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა, რაიონული საბავშვო ბიბლიოთეკა, N1 საქალაქო ბიბლიოთეკა, და 29 სასოფლო ფილიალი; ქედაში 32 – რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანების ცენტრალური ბიბლიოთეკა, რაიონული საბავშვო ბიბლიოთეკა და 30 სასოფლო ფილიალი; შუახევში 48 - რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანების ცენტრალური ბიბლიოთეკა, რაიონული საბავშვო ბიბლიოთეკა და 46 სასოფლო ფილიალი; ხულოში 52 – რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანების ცენტრალური ბიბლიოთეკა, რაიონული საბავშვო ბიბლიოთეკა და 50 სასოფლო ფილიალი.

გასაგებია, ცხოვრება მოითხოვდა რადიკალურ გარდაქმნებს (დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოგვარებას), რეფორმების დაუყოვნებლად ჩატარებას, რისკებს, რაც იწვევდა ნაჩქარევი გადაწყვეტილებების გამოტანას, აღძრავდა მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის სურვილს, რამდენადაც შეიძლებოდა ჩქარა, მაგრამ ამან რომ კარგი შედეგი არ გამოიღო, ფაქტია, დაშვებული იქნა მრავალი შეცდომა, რისთვისაც შეიძლებოდა თავი აგვერიდებინა. აჭარაში ამ დროისათვის არსებობდა ისეთი რესურსები, რომლებიც შეიძლებოდა გონივრულად გამოყენებულიყო დარგის სრულყოფილად გარდაქმნისათვის, მაგრამ ეს არ იქნა მხედველობაში მიღებული და შეიქმნა ის ვითარება, რომელიც დღეს გვაქვს: აჭარაში დღეს ფუნქციონირებს ერთადერთი საჯარო ბილიოთეკა აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა, ხოლო ბათუმის საქალაქო ფილიალები და რეგიონების სასოფლო ფილიალები შეუერთდა საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებს, ხოლო რაიონული ცენტრალური ბიბლიოთეკები რაიონულ კულტურის ცენტრებში საბიბლიოთეკო განყოფილების სტატუსით აგრძელებენ საქმიანობას.

საქმეს ვერ უშველა საჯარო ბილიოთეკების სკოლების ბიბლიოთეკებთან გაერთიანებამ, რადგანაც ვერც ერთმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის ბიბლიოთეკამ ვერ შეძლო დამატებით ეტვირთა მოსახლეობის (და არა მხოლოდ სკოლის კონტინგენტის) საბიბლიოთეკო მომსახურება. ამას კი ,,საქართველოს საბიბლიოთეკო კანონი'' კატეგორიულად ითხოვს.

აქამდე გაურკვეველია, რომელი ორგანოს მიერ იქნა ეს გადაწყვეტილება მიღებული, რომელი ბრძანებით. სიტყვიერი მითითების მომსწრე და ამ დავალების შეუსრულებლობის მსხვერპლი კი მე გახლავართ – კატეგორიული უარი განვაცხადე აჭარის საბიბლიოთეკო ქსელის დანგრევაში მონაწილეობის მიღებაზე, არ მოვამზადე ბრძანების პროექტი აჭარის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის გაუქმების თაობაზე, რის გამოც ბატონმა მინისტრმა საერთოდ გააუქმა სამუზეუმო-საბიბლიოთეკო განყოფილება და მე და მზია დავითაძე, ამ განყოფილების სპესიალისტი, ჩვენი პრინციპულობის გამო უმუშევრები დავრჩით და ბოლოს, მიმაჩნია, რომ ყველა ბიბლიოთეკარმა, მკითხველმა საზოგადოებამ ხმა უნდა აიმაღლოს და იბრძოლოს იმისთვის, რომ ბიბლიოთეკებმა მიიღონ თანამედროვე სტატუსის შესაბამისი სახე და მოემსახურონ მომხმარებელს ნოვაციური მეთოდოლოგიით.

საბიბლიოთეკო საქმის მოგვარება აუცილებლად მოითხოვს სერიოზულ სახელმწიფოებრივ მიდგომას".

ქალბატონი ნატო ჭყონია ამჟამად ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილედ მუშაობს, უმუშევრად დარჩენილ ქალბატონს სამსახური, როგორც თვითონ მიამბო, ბატონმა გენადიმ შესთავაზა.

ბატონმა გენადი მახარაძემ სწორადაც განსჭვრიტა, პრინციპული და თანამოაზრე პიროვნება რომ დაიყენა გვერდში, რომელმაც ბიბლიოთეკის ყოფნა-არყოფნის პერიოდში, ხალხის მხარე დაიჭირა. ასეც ვიტყოდი: საჯარო ბიბლიოთეკა ეროვნული მუხტით გაჯერებული პიროვნებების ხელშია. ისინი კეთილსინდისიერად ემსახურებიან საგანმანათლებლო კერას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბიბლიოთეკის ყველა მუშაკს, მკითხველის მიმართ გამოჩენილი თავაზიანი, გულთბილი მიღებისათვის, რომლებიც გულისხმიერებით, დიდი მზრუნველობით ეკიდებიან შემოსულ მკითხველს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიბლიოთეკა ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს და მის მომზადება-ჩატარებაში აქტიურად არიან ჩართულნი: გენადი მახარაძე – დირექტორი, ნატო ჭყონია – დირექტორის მოადგილე; მანანა სულაბერიძე – წამყვანი ბიბლიოთეკარი, სალომე ჟორჟიკაშვილი – მთავარი სპეციალისტი, მაკა ბაკურიძე – წამყვანი ბიბლიოთეკარი, სოფო ინაიშვილი, ბორის (ჯონი) ხუციშვილი – პროგრამისტები, ნატალია კაკიტაძე – ელექტრონული რესურსების განყოფილების უფროსი, მზია ლაბაძე – მთავარი ბიბლიოთეკარი, ლია ბოლქვაძე – წამყვანი ბიბლიოთეკარი, ქეთევან ხოსრუაშვილი – უცხოური ლიტერატურის განყოფილების უფროსი, ინგა გოგიბერიძე – საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი, მზევინარ კვაჭაძე – მთავარი ბიბლიოთეკარი, ნანა ჩიკვაიძე – წამყვანი ბიბლიოთეკარი.

უღრმესი მადლობა გაწეული დახმარებისათვის მთავარ ბიბლიოგრაფს, ქალბატონ ნანა დიასამიძეს, რომელიც თავის მხრივ ძალას არ იშურებს და გვერდში მიდგას წიგნებზე მუშაობის პროცესში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკის დირექტორები

მარიამ ივანეს ასული გუსევა

1937-1956 წწ.

ბათუმის მცხოვრებლები კარგად იცნობენ N53 სახლს სტალინის ქუჩაზე. აქ ყოველდღე მოეშურება ასობით მუშა, მოსამსახურე, ინტელეგენტი, მოსწავლე. აქ მათ განკარგულებაშია უამრავი წიგნი, ჟურნალი, გაზეთი.

ამ სახლშია მოთავსებული აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა. მკითხველს აქ იზიდავს უამრავი ლიტერატურა, ნათელი საკითხავია დარბაზი და გულისხმიერი, თავაზიანი და კულტურული მომსახურე პერსონალი. ამ დაწესებულების დირექტორია მარიამ ივანეს ასული გუსევა.

ამ საღამოსაც საკითხავი დარბაზი და სააბონემენტო განყოფილება გაჭედილი იყო მკითხველებით. ორი კაცი დირექტორის კაბინეტშიც ათვალიერებდა რაღაც ლიტერატურას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმადაბლა გავესაუბრე დირექტორს: მაინტერესებდა მისი ამბავი, ბიბლიოთეკის მუშაობა.

მან უჯრიდან ამიღო წლიური ანგარიში და ხალისით დაიწყო.

....საჯარო ბიბლიოთეკის მუშაობის დასახასიათებლად საკმარისია თუნდაც ის ციფრები, რომელშიც აღნიშნულია გასული 1948 წლის მუშაობა.

ამ ერთი განმავლობაში შეძენილი და მთლიანად დამუშავებულია 3. 127 წიგნი, მუდმივი მკითხველი იყო 3. 782 კაცი. (868 კაცით მეტი, ვიდრე 1947 წელს). ბიბლიოთეკაში მკითხველთა მოძრაობა უდრიდა 36. 273 კაცს. ლიტერატურის გაცემა – 52. 831 წიგნს.

ბიბლიოთეკაში ცალკე აკრავენ ახალი წიგნების სიას. რომ მკითხველს არ გამოეპაროს წიგნის გამოსვლა და წაიკითხოს იგი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალ მკითხველს, მოსწავლე ახალგაზრდობას და იმ პირთ, რომლებიც თვითგანათლებას ეწევიან.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთათვის ბიბლიოთეკის მუშაკები ადგენენ ინდივიდუალურ სარეკომენდაციო სიებს და ლიტერატურის საძიებელს.

მიუხედავად სამკითხველო დარბაზის სივიწროვისა, აქ ყოველდღე რამდენიმე ასეულ მკითხველს უწევენ მომსახურებას. წლის განმავლობაში სამკითხველოში მკითხველთა მოძრაობა უდრის 31. 826 კაცს.

ბიბლიოთეკას არა აქვს საცნობარო-საბიბლიოგრაფიო განყოფილება და არც სპეციალური ბიბლიოგრაფი ჰყავს, მიუხედავად ამისა, საგრძნობი ნუშაობაა ჩატარებული ამ დარგში და წლის მანძილზე შედგენილ იქნა 25 სარეკომენდაციო სია. ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები შედგა ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელთა დასახმარებლად, აგრეთვე თემებზე: ,,მიჩურინელი მეცნიერების გამარჯვება“, ,,საბჭოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის პატრიოტიზმი“, ,,მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინის შესახებ“ და სხვა.

ბიბლიოთეკაში სისტემატურად დგება ბიბლიოგ–რაფიული კართოთეკები ადგილობრივად მომუშავე მწერლების ნაწარმოებებზე, მხარეთმცოდნეობის, საერთაშორისო მდგომარეობის, ხუთწლიანი გეგმისა და სხვა საკითხების შესახებ ლიტერატურაზე. გასულ წელს სულ გაცემულია 2. 539 ზეპირი და წერილობითი ცნობა სხვადასხვა საკითხებზე.

ბიბლიოთეკამ დიდი მასობრივი მუშაობა ჩაატარა. ეწყობოდა გამოფენები და ლექცია-მოხსენებები უმთავრესად საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით. კომკავშირის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით მოეწყო კომკავშირელ მწერალთა შეხვედრა მკითხველებთან, რამაც დიდძალი ხალხი მიიზიდა.

საჯარო ბიბლიოთეკას შემოკრებილი ყავს მკითხველთა აქტივი, რომლის მეშვეობით და დახმარებით ტარდება მასობრივი მუშაობა, ეწყობა ლექციები და საუბრები. მათი დახმარებით ბიბლიოთეკის მუშაკებმა დიდი ჩაატარეს უმაღლესი საბჭოების დეპუტატების არჩევნების დროს, სახალხო სასამართლოების არჩევნების პერიოდში.

საბიბლიოთეკო საქმის დარგში მეთოდური მუშაობის ცენტრს წარმოადგენს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა. ამ დარგში წლის მანძილზე ჩატარებულია 140 ინდივიდუალური კონსულტაცია, გაცემულია 21 წერილობითი ცნობა, მოეწყო ხუთი მეთოდური თათბირი, ადგილებზე ბიბლიოთეკებს გაეწიათ მეთოდური დახმარება 17-ჯერ. რაიონული და სასკოლო ბიბლიოთეკების მომუშავეთათვის ჩატარდა სემინარები 32-ჯერ. გარდა ამისა, საშეფო დახმარება გაეწიათ ქობულეთისა და ქედის რაიონულ ბიბლიოთეკებს.

წლიურ ანგარიშს ხელში ატრიალებს მარიამ გუსევა და მასში ჩაუხედავად, ზეპირად ასახელებს ციფრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტყობა შედგენაზედაც ბევრი უმუშავია, ციფრები რომ ასე დამახსოვრებია. იგი ლაპარაკობს ჩქარა, შეუსვენებლად, განცდით და გატაცებით, ისე როგორც ყველა ადამიანი, რომელსაც თავისი საქმე უყვარს, რომლისთვისაც საანგარიშო მოხსენების თითეული ციფრი მშობლიური და ძვირფასია, გულწრფელი და გულმოდგინე შრომის შედეგის გამომხატველია.

წიგნისა და კულტურული მუშაობის სიყვარულმა მიიყვანა იგი ამ ოცდახუთი წლის წინათ ასეთ შრომისტევადსა და კულტურულ დაწესებულებაში.

ამხ. მარიამ გუსევა სამსახური დაიწყო 1918 წელს. 1921 წლიდან იგი საქმეთა მმართველად მუშაობდა აჭარის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოში, ხოლო იქედან 1923 წლის 1 სექტემბერს გზავნიან ამ ბიბლიოთეკის /მაშინ ცენტრალური ბიბლიოთეკა/ გამგედ. 1937 წლიდან ეს ბიბლიოთეკა გარდაიქმნა სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკად, რომლის დირექტორადაც იგი დაამტკიცეს.

ამხ. მ. გუსევა დაუღალავ და ენერგიულ მუშაობას ეწევა. როგორც საბიბლიოთეკო საქმის კარგი მცოდნე, ბიბლიოთეკის მუშაკთა კურსების მუდმივი ლექტორია. პრაქტიკულად ემსახურება ახალგაზრდა მუშაკებს, აყვარებს მათ წიგნს, საბიბლიოთეკურ მუშაობას.

მისი ხელმძღვანელობით გამოიზარდნენ ბიბ–ლიოთეკის მუშაკთა საუკეთესო კადრები, როგორიცაა დამუშავების განყოფილების გამგე ო. ქართველიშვილი, სააბონემენტო განყოფილების გამგე ნ.სობჩუკი, ჟ. ტრიპოლიტოვა, ა. ჟღენტი, ს. ჭელიძე, დ. შეფი, ი. ობრაზცოვა და სხვები, რომლებიც საჯარო ბიბლიოთეკის წამყვანი მუშაკები არიან.

წარჩინებულ მუშაობისათვის ამხ. გუსევა საქართველოს სსრ სახალხო განათლების კომისარიატის მიერ დაჯილდოვებული იქნა სიგელით. სამამულო ომის წლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი საპატიო სიგელით დააჯილდოვა აგრეთვე აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმმა.

ბათუმის მშრომელებმა ამხ. გუსევა აირჩიეს მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. იგი არჩეულია აგრეთვე პოლიტსაგანმათლებლო დაწე–სებულებათა მუშაკების პროფკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად.

ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ამხ. გუსევას მუშაობას. იგი დაჯილდოვებულია მედლებით ,,კავკასიის დაცვისათვის“ და ,,1941–1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

დაფასებული და წახალისებული ამხანაგი მარიამ გუსევა დაუშრეტელ ენერგიას და შრომის ხალისს გრძნობს. იგი მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას დაუზოგავად ახმარს ჩვენი სოციალისტური კულტურის საქმეს.

ნ. მალაზონია

გაზ. ,,საბჭოთა აჭარა“, 1949 წ.12 მარტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანა (ნადიდე) გვარიშვილი
პოეტი
1957-1966 წწ.

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

საზოგადო მოღვაწე, პოეტი. დაიბადა ქობულეთის რაიონის სოფელ ხალაში. დაამთავრა ბათუმის 1 საშუალო სკოლა. შემდეგ – ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პირველი ლექსი 16 წლისამ გამოაქვეყნა გაზეთ ,,საბჭოთა აჭარაში“, მისი ლექსების პირველი კრებული – ,,ჩემო აჭარავ“ კი 1948 წელს გამოიცა.

ავტორია კრებულებისა ,,ზღვა და სიყვარული“. ,,ნაკადულები“, ,,ღიღინებს ერთი ღიღილო“, ,,რჩეული“, ,,ზღვა და ქარი“.

ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა საბავშვო ჟანრებშიც. პოეტის პოპულარულ პოემებს – ,,თითისტოლა“ და ,,ზღაპარი დედაენაზე“ - მაღალი შეფასება მისცა ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი იყო ნანა გვარიშვილის მთარგმ–ნელობითი საქმიანობა. დიდი წარმატება ხვდა მის პირველსავე თარგმანს – გამოჩენილი თურქი მწერლის რეშად ნური გიუნთექინის ფართოდ ცნობილ რომანს – ,,ნარჩიტა“. გარდა ამისა, პოტმა ქართულ ენაზე აამეტყველა ბულგარელი, კუბელი, ბერძენი, ინდოელი და სხვა ქვეყნების მწერალთა ნაწარმოებები, მათ შორის ბერძენი პოეტი ქალის – ფოტულა იანკოპულოს ლექსების კრებული – ,,ყაყაჩოები“. ნანა გვარიშვილი დიდ როლს ასრულებდა მე-20 საუკუნის 40-70-იანი წლების აჭარის კულტურულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კულტურის განყოფილების გამგე; მიჰყავდა აჭარის რადიოგადაცემათა რუბრიკა – ,,ახალგაზრდობა და ლიტერატურა“, რედაქტორობდა ჟურნალ ,,ლიტერატურულ აჭარას“, მრავალი წლის განმავლობაში იყო დირექტორი აკაკი წერეთლის სახელობის აჭარის რესპუბლიკური ბიბლიოთეკისა. კულტურის ეს მნიშვნელოვანი კერა სწორედ მისი თაოსნობით აშენდა. გარდაცვალებამდე მუშაობდა ა.რ. მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პრემიების სახელმწიფო კომიტეტში წამყვან სპეციალისტად. დაჯილდოვებული იყო ღირსების ორდენებით, მინიჭებული ჰქონდა მემედ აბაშიძის სახელობის პრემია.

ამონარიდი თეიმურაზ კომახიძის წიგნიდან
,,აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი“ –
,,გამომცემლობა აჭარა“ – 2010 წელი

ნ ე კ რ ო ლ ო გ ი

გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის ერთგული მეგობარი, პირველი აჭარელი პოეტი ქალი, თურქულ პოეზიისა და პროზის ერთ-ერთი ნიჭიერი მთარგმნელი ნანა (ნადიდე) გვარიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ქალბატონი ნანა ბათუმში ბრუნდება და იწყებს მუშაობას ბათუმის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტში, შემდეგ აჭარის რადიოკომიტეტში მოღვაწეობს. ცოტა ხნის შემდეგ მას აჭარის რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორად აწინაურებენ, სადაც წლების განმავლობაში მუშაობდა, ხელმძღვანელობდა ჟურნალ ,,ლიტერატურულ აჭარას“ და სხვ. ქალბატონი ნანა ამავე დროს ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა. მისი ნაწარმოებები ქვეყნდებოდა ჟურნალებსა და გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ნანა გვარიშვილმა თურქულიდან თარგმნა ნაზიმ ჰიქმეთის, საბაჰათინ ალის, ორხან ველის, რეშად ნური გიუნთექინის, ორხან ქემალის და სხვათა ნაწარმოებები.

დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით, მინიჭებული ჰქონდა მემედ აბაშიძის სახელობის პრემია.

ნანა გვარიშვილის, ამ ფუტკარივით მშრომელი და უპრეტენზიო ქართველი პოეტის სახელი მარადჟამს დაუვიწყარი იქნება.

,,ხიდის“ რედაქცია,
გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“,
2003 წ. 16 ივლისი

გამოსათხოვარი

ნანა

ლაჟვარდებში შემონახული სიმღერა უწოდა შენს ლექსებს კრიტიკოსმა შოთა ქურიძემ. ლაჟვარდებში კი ხმები არასდროს იკარგება.

21 ოქტომბერს გაიმართა მწერალთა XX ყრილობა. შეუძლოდ იყავი და შენმა უსაყვარლესმა ძმამ, ოსიკო გვარიშვილმა, გთხოვა, ყრილობაზე არ წასულიყავი. შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულმა მაინც არ მოგისვენა, თბილისში ჩადი 20 ოქტომბერს და 21-ის წვიმიან დილით გაემართე მწერალთა კავშირისაკენ. ნაბიჯს ისე აზრიანად დგამდი, რომ ცდილობდი წვიმიანი ქუჩა სუფთად გაგევლო. სწორედ ამ დროს შენს მარცხენა მხარეზე შემოსკუპულმა სატანურმა წამმა იმძლავრა. გული გაგიჩერდა, წამით შედექი და... დაეცი! ყრილობამდე ველარ მიაღწიე. აქვე მინდა ვთქვა, რომ ყრილობის დასაწყისშივე წაიკითხეს სია. როცა მას კითხულობდნენ თურმე, სწორედ მაშინ შენი მაჯა აღარ ფეთქავდა. სამწუხაროა ეს მეტიმეტად.

ეს ჰგავს პროფესიისადმი თავგანწირვას. ლიტერატურულ ფრონტზე მოულოდნელ დაცემას, ეს იყო მეტად პოეტური სიკვდილი! ყველას ახსოვს, კომპოზიტორი ცაბაძე მოულოდნელაც სცენაზე, კულისებში გარდაიცვალა, გაუჩერდა გული სწორედ მაშინ, როცა უნდა შესრულებულიყო მისივე სიმღერა გულზე „პაწაწინა სამოთხე“. ისევე ყველას ახსოვს, რადიოში, მიკროფონთან ლექსის კითხვის დროს მოულოდნელად გაუჩერდა გული ალიო მირცხულავას... სამწუხაროა!

ნანა!

შენ ორმოციანი წლებიდან დაწყებული უკანასკნელ დღემდე არ შეგისვენია. განვლე მეტად მძიმე ცხოვრების გზა. ეს იყო გზა რეპრესიებიდან პოეტურ სახელღირსებამდე. ბევრი საინტერესო ნაწარმოები შექმენი, საკმაო პატივი მიაგე საბავშვო პოეზიას, რაც ყოველთვის აკლდა ჩვენს ბავშვებს, და, აგრეთვე, თარგმანებს.

ჩვენგან მოულოდნელად წახვედი, დასანანია!

წახვედი, მაგრამ ჩვენთან რჩება მშვენიერი ნანა გვარიშვილის ხსოვნა და მშვენიერი პოეზია.

გემშვიდობება ქართული მწერლობა.

ჯემალ ჯაყელი

გემშვიდობები!

ძნელია, წარმოუდგენლად ძნელია ჩემთვის დაჯერება, რომ ცოცხალთა შორის აღარ მეგულები, შენთვის საყვარელი სამზეოდან უკვე მარადისობაში გადაინაცვლე.

გაცნობისთანავე ძალიან თბილად დამამხსოვრე თავი. ბატონმა პარმენ ლორიამ გაგვაცნო ერთმანეთი მწერალთა კავშირში. მე აქვე, გვერდით საჯარო ბიბლიოთეკაში ვმუშაობ და ხშირად შემომიარეო, მითხარი.

მას შემდეგ არ გაგვიწყვეტია ურთიერთობა, აი, თითქმის ნახევარი საუკუნე იწურება.

ყოველთვის მიხაროდა შენთან შეხვედრა, შენეული ხალისიანი, იუმორით სავსე საუბარი. შთაგონებული, მოუსვენარი, პოეზიის მადლით და ცეცხლით სავსე იყავი მუდამ.

შენ პირველი აჭარელი პოეტი ქალი ხარ, რომელმაც გულით განიცადე აჭარელი დედის ტრაგედია და მისი გამარჯვების ზეიმიც გულით გაიზიარე. ამიტომაა შენი ლექსები ასეთი ცხოვრებისეული, პატრიოტული და სამოქალაქო მოტივებით დატვირთული, მშობლიური ბუნებისადმი უსაზღვრო სიყვარულით სავსე. აბა, ვის დაავიწყდება შენი „ქორწილი აჭარაში“, „აჭარელო დიდო დედავ“, „ჩადრების ჭიაკოკონა“, „ღიღინებს ერთი ღიღილო“, და ქართული პოეზიის სხვა უამრავი მარგალიტი.

მუდამ სიყვარულით მოვიგონებ, როგორც დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთ სახელოვან პოეტ ქალს და ღირსეულ მამულიშვილს.

გულდამწვარი და თვალცრემლიანი გემშვიდობები, ძვირფასო დაო, მეგობარო, ქართული ლექსის დიდო დედავ.

ქსენია მჟავია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული

ნანა გვარიშვილი ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული. იგი პირველი პროფესიონალი პოეტი ქალია, რომელიც საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ტანჯულ კუთხეში – აჭარაში დაიბადა და სათაყვანებელი წინაპრების მიერ სიცოცხლის ფასად გადარჩენილი სიტყვებით აჭარელი დიდი ნენეს გულით ნატარები სამასწლოვანი სათქმელი ლამაზ ლექსებში გააცოცხლა, აახმიანა და მშობლიური კუთხის ჭრილობებს სიამის მალამოსავით მოეფინა.

ჯერ კიდევ პატარა ბავშვს დიდნენემ ასეთი ლექსი მასწავლა:

აჭარელო დიდო დედავ,
ნისლში მანდილს ვხედავ,
შენ იხსენი ბულბულთ სტვენა
ტკბილი დედაენა.
სანუკვარი მოიპარე
და აკვანში მალე,
და შენს ქართულ კაბა-ქათიბს
დედავ, ვეთაყვანე.
იავ-ნანა ჩაგეფინა
ჩვილთა არტახებში,
დარდმა თეთრი ჩაგისირმა,
აბრეშუმის მთებში.
შენს დარწეულ აკვნებიდან
მოდის ჩემი ლექსი,
მთების იქით, ნისლის იქით
შენი ნანა მესმის.

მე მხოლოდ მოგვიანებით გავიგე, რომ ლამაზი ლექსი, რომელსაც „აჭარელო დიდო დედავ“ ერქვა, ნანა გვარიშვილის დაწერილი იყო. ცხადია, ბავშვს არც ნანა გვარიშვილის შესახებ გამეგონა რაიმე. მის ლექსებს საფუძვლიანად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ სტუდენტობის წლებში გავეცანი. ბოლოს ბედმა ჟურნალ „ლიტერატურულ აჭარის“ მთავარმა რედაქტორობა მარგუნა, რომელსაც ერთ დროს ჩემი თაობის და საერთოდ ახალგაზრდობის საყვარელი პოეტი ნანა გვარიშვილი რედაქტორობდა.

ვინც ნანა გვარიშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობას საფუძვლიანად გაეცნობა, უთუოდ შენიშნავს, რომ მისი შემოქმედება ტრადიცული ქართული მწერლობის ფესვებზეა აღმოცენებული. აქ, როგორც ყველგან, თითქოს უჩვეულო არაფერია, მაგრამ მისმა ნაზმა ხალასმა ლექსებმა თავის დროზე, სხვებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა იქონია აჭარაში ქართული მხატვრული სიტყვის აყვავებისა და განვითარების მხრივ.

მოულოდნელად წავიდა ჩვენგან ჩვენი პოეტების დიდინენე, დიდედა. მისივე ფარფატა ლექსებივით გაგვიფრინდა თითქოს, მაგრამ სამარადისოდ დაგვიტოვა ლამაზი ჭიაკოკონა, რომელიც ლექსებით დაგვინთო, რათა სული გავითბოთ და გული მოვიოხოთ.

ჩვენ ყველანი მარადიულ ვალში ვართ და ვიქნებით მისი ხელთუქმნელი სილამაზის წინაშე.

სანდრო ბერიძე,

პოეტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ჯაყელი
პოეტი
1966-1967 წწ

ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე; დაიბადა ქედის რაიონის სოფელ კვაშტაში.

დაამთავრა ქედის პედაგოგიური სასწავლებელი, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. 1975 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგედ, აკაკი წერეთლის სახელობის აჭარის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორად, გამომცემლობა ,,საბჭოთა აჭარის“ დირექტორად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერმუშაკად, 1994-2004 წლებში საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარედ.

მინიჭებული აქვს აბუსერისძე ტბელისა და მემედ აბაშიძის სახელმწიფო პრემიები, ფრიტიოფ ნანსენის საერთაშორისო პრემია, არჩეულია ქედის რაიონის საპატიო მოქალაქედ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამია ბერძენიშვილი
აჭარის დამსახურებული მასწავლებელი
1968-1969 წწ.

დაიბადა 1920 წლის 7 აპრილს, ოზურგეთის მაზრის სოფელ ბაღდადში. პირველდაწყებითი განათლება პატარა მამიამ ოჯახში მიიღო დედის ხელმძღვანელობით. დაწყებითი სკოლა შორს იყო (სამ კილომეტრზე). ამიტომ პირველი კლასის პროგრამა (წერა-კითხვა, თვლა-ანგარიში, პატარ-პატარა ლექსები და მოთხრობები) შვილს ოჯახში დედამ შეასწავლა. მომდევნო წელს კი მამია მეორე კლასში მიიღეს. მეოთხე კლასიდან ინსტიტუტის დამთავრებამდე იგი თავის უფროს დასთან – ნადიასთან ერთად სწავლობდა. 1932 წელს და-ძმამ სწავლა განაგრძო ბათუმის სტალინის უბნის შვიდწლიან სკოლაში (ახლანდელი ნ. 13 საჯარო სკოლა), რომლის დამთავრების შემდეგ შევიდნენ ბათუმის პედაგოგიურ სასწავლებელში.

პედაგოგიური სასწავლებელი მ. ბერძენიშვილმა 1937 წელს დაამთავრა და მუშაობა დაიწყო ხულოს სოფელ დიდაჭარაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად. მოგვიანებით ბატონი მამია დიდი სიამოვნებით იგონებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ გატარებულ წლებს და აქაურ მშრომელ ხალხს, განსაკუთრებით აზიზ შავაძეს, რომელმაც მას მამობრივი მზრუნველობა გაუწია.

1938 წელს ბატონი მამია შევიდა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელსაც 1941 წელს დიდი სამამულო ომის დაწყების გამო ნაჩქარევად ამთავრებს და ამავე წლის ნოემბერ-დეკემბერში მუშაობს საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულის, გიორგი ლეონიძის მშობლიურ სოფლის, საშუალო სკოლაში რუსულ ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, 1942 წლის 18 იანვარს კი გაიწვიეს მოქმედ არმიაში. მონაწილეობდა კავკასიის დაცვაში ნაკრასა და ბეჩოს უღელტეხილებზე. აქედან მას გზავნიან ქ. სარატოვში ერთთვიან კურსებზე, საიდანაც ლეინტენანტის ჩინით უბრუნდება თავის ბატალიონს. ეს ბატალიონი შემდეგ მონაწილეობდა ყირიმის, ბელორუსიისა და ლიტვის ტერიტორიაზე მოქმედი არმიების სამხედრო ოპერაციებში.

მ. ბერძენიშვილმა ფაშისტურ გერმანიაზე ნანატრი გამარჯვება ლიტვაში იზეიმა და 1946 წელს დიდი სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენითა და ხუთი მედლით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა ოჯახს. აქ მან ერთი წელი იმუშავა ბახვის საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, 1947 წელს კი ჩამოდის ბათუმში და მუშაობას იწყებს ბათუმის საზღვაო სასწავლებლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად. 1949 წლის იანვრიდან იგი გადაჰყავთ საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ინსტუქტორად პროპაგანდის დარგში. მისი მოვალეობა იყო სკოლების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, კულტურის, ჯანმრთელობის სფეროს ობიექტებისა და ადგილობრივი პროპაგანდის მდგომარეობის შემოწმება და სათანადო დახმარების გაწევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1951 წელს ბატონ მამიას, როგორც კადრის ოფიცერს, ისევ იწვევენ არმიაში პოლიტმუშაკად. ქალაქ გორში მან გაიარა 6-თვიანი კურსები და დაინიშნა ბათუმში დისლოცირებული ქართული დივიზიის ავტოსატანკო-სარემონტო სახელოსნოების უფროსის მოადგილედ პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

1954 წელს მამია კვლავ ბრუნდება პარტიის საქალაქო კომიტეტში ინსტრუქტორად, პარალელურად კი მუშაობს ქ. ბათუმის N1 და N6 სკოლებში მასწავლებლად. 1955-1965 წლებში იგი მუშაობდა პარტიის საოლქო კომიტეტში ინსტრუქტორ-მთარგმნელად, ხოლო 1965 წელს აირჩიეს აჭარის ტურიზმის საბჭოს თავმჯდომარედ.

1968 წელს მ. ბერძენიშვილს ნიშნავენ აჭარის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორად, 1969 წლის აპრილის ბოლოს იგი გადაჰყავთ ქ. ბათუმის N8 რუსული საშუალო სკოლის დირექტორად, 1972 წლის სექტემბრიდან კი ნიშნავენ N15 რუსული საშუალო სკოლის დირექტორად, სადაც პენსიაში გასვლამდე იმუშავა.

1961 წელს მას გადაეცა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი, ხოლო 1979 წელს მიენიჭა აჭარის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. გარდა ამისა, იგი დაჯილდოებული იყო ზემდგომი ორგანოების მიერ სხვადასხვა სიგელითა და დიპლომით.

1981 წელს მამია ბერძენიშვილი გადის პერსონალურ პენსიაზე და მუშაობას განაგრძობს აჭარის ასსრ უზენაეს საბჭში საოქმო ნაწილის გამგედ, 1995 წლიდან კი კითხულობდა ლექციებს ეთიკაში დამოუკიდებელ ინსტიტუტში – ,,მეგობრობა“, ხოლო 1999 წლიდან მუშაობდა იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმის მეცნიე-თანამშრომლად. პერიოდულად აქვეყნებდა წერილებს გაზეთებში, ძირითადად ზნეობრივი აღზრდის საკითხებზე. ამავე პრობლემებზე კითხულობდა იგი ლექციებს საზოგადოება ,,ცოდნასა“ და მშობელთა სახალხო უნივერსიტეტებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. ბერძენიშვილი ავტორია 50-დე საგაზეთო წერილებისა და 5 წიგნისა. ესენია: ,,ოჯახის როლი ბავშვის აღზრდაში“, ,,ბავშვის შრომითი აღზრდა ოჯახში“, ,,ოჯახი დღეს, ხვალ“, ,,სახალხო მკურნალი ხაბაზები“ და ,,ავთანდილ ნარაკიძე (ხასან ჩაქირ-ოღლი)“. გარდა ამისა, იგი თანაავტორია წიგნისა ,,თანამედროვენი სტალინის შესახე“. თავად მის ცხოვრება-მოღვაწეობას პროფესორმა იური სიხარულიძემ მიუძღვნა წიგნი ,,მამია ბერძენიშვილი“ (ბათუმი, 2005).

მამია ბერძენიშვილი იყო დინჯი, დაკვირვებული და უპრეტენზიო კაცი, ყველასთვის საყვარელი პიროვნება.

გარდაიცვალა იგი 2006 წელს. დაკრძალულია ქალაქ ქობულეთში.

ეთერ ცივაძე
1969-1992 წწ.

,,იმ დიდი სახლის მახსოვს ასული“
რეზიუმე

წიგნი ,,იმ დიდი სახლის მახსოვს ასული“ საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის, პოეზიისა და ხელოვნების დიდი ტრფიალის, თანამედროვე მანანა ორბელიანად მონათლული ბათუმელი ქალბატონის ეთერ ცივაძის ცხოვრებასა და მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ასახავს. ეს მშვენიერი ქალბატონი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში თავდაუზოგავი შრომითა და უზადო ხელოვნებით ერთგულად ემსახურებოდა და ემსახურება მშობლიური ქვეყნის წინსვლასა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას. ქალბატონი ეთერი, ორი სახელოვანი შვილის დედა და ოთხი შვილიშვილის ბებია, კვლავ საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ტრიალებს.

ნაშრომი მოგვითხრობს ცივაძეთა დიდი გვარისა და მისი ღირსეული წინაპრების – სკენდერ, ახმედ და ესედ ცივაძეების,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასევე ეთერის ბებიის შუქრი-ხანუმისა და ანვა სახელოვანი მამულიშვილების შესახებ. ცალკე ქვეთავი ეთმობა მოგონებებს ეთერის მამაზე, იუსუფ ცივაძეზე, რომელიც მთელ საქართველოში ცნობილი იურისტი და საზოგადო მოღვაწე იყო. იგი ჯერ კიდევ გიმნაზიის 6-ე კლასის მოწაფე მიესალმა დიდ მამულიშვილს ზაქარია ჭიჭინაძეს და იმ დღიდან სიცოცხლის ბოლომდე იბრძოდა სამართლიანობისა და სიკეთის დასაცავად. წიგნში პირველად ქვეყნდება ზაქარია ჭიჭინაძისადმი გაგზავნილი მისი პირადი წერილები.

ნაშრომში საუბარია აგრეთვე ქალბატონი ეთერის და-ძმების შესახებ. ისინი სახელოვანნი არიან არა მხოლოდ საზოგადოებრივ ასპარეზზე, არამედ გამოირჩევიან მაღალი ზნეობითა და კაცთმოყვარეობით.

ჟუჟუნა შაინიძე,

წიგნის შემდგენელი
2012 წ.

მანანა სულაბერიძე, ეთერ ცივაძე და მისი ძმა ასლან ცივაძე, გენადი მახარაძე და ნატო ჭყონია. ,,იმ დიდი სახლის მახსოვს ასული“ წიგნის პრეზენტაცია. 2012 წ.

,,ჰოი დედანო...“

,,ჰოი, დედანო, მარად
ნეტარნო, კურთხევა თქვენდა...“

ნ. ბარათაშვილი

ნ. ბარათაშვილის პოემაში ,,ბედი ქართლისა“ გამორჩეული ადგილი უჭირავს დიდებული ქართველი ქალის სოფიოს მხატვრულ სახეს. გენიოსი პოეტი, რომელმაც კარგად იცის, თუ რას ნიშნავს ღირსეული ქალი ქვეყნისათვის, ნატრობს: ,,ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო! რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ“. ნ. ბარათაშვილის თქმით, იმდროინდელი ქართველი ქალები პირად კეთილდღეობაზე უფრო მეტს ზრუნავდნენ, ვიდრე საქვეყნო საქმეზე (რა თქმა უნდა, არსებობდნენ გამონაკლისებიც!). ამ ვითარების გამო პოეტი გულგატეხილი კითხულობს: ,,ვინდა ჰყავს გულის შემატკივარი მამულს ასული ახლა თქვენგვარ?“

მას შემდეგ ათასმა წყალმა ჩაიარა, ათასი ჭირ-ვარამი გამოიარა ქართველმა ერმა და თუ იგი დღესაც ფეხზე დგას და ქვეყნის მომავალს იმედით შესცქერის, ისევ და ისევ ქართველი ქალის თავდადებითა და ერთგულებით, მისი ჩუმი, უპრეტენზიო ღვაწლით. სოფიოსთანა ქართველი ქალები ყოველ დროში იყვნენ და არიან და მამულს თავიანთი ძველქართული სიდარბაისლით, კეთილშობილებითა და მუხლჩაუხრელი შრომით უმაგრებენ ფუძე-ბალავარს. ერთ-ერთი ასეთი ქალბატონია ეთერ ცივაძე. მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის სრული ასახვა წარმოუდგენელია მხოლოდ მშრალი სტატისტიკური მონაცემების მოშველიებით ან თანამდებობრივი რეგალიებისა და სამთავრობო ჯილდოების ჩამოთვლით. ეთერ ცივაძე პარტიულ-კომკავშირულ სამუშაიზეც შემოქმედის თვისებებს ავლენს. იგი არც ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარებაში არ არის მექანიკური შემსრულებელი, რომელსაც რასაც ჩასძახებენ, იმასვე ამოსძახებს ცარიელი ქვევრივით.

ეთერმა, შეიძლება ითქვას,აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა პატარობიდანვე დაიწყო, როცა თავისი მამის საოჯახო სალონში შეკრებილი სტუმრების წინაშე გამოდიოდა და ლექსებს კითხულობდა. ის და მისი და-ძმები იქვე, საგანგებოდ მოწყობილ სცენაზე, პატარ-პატარა თეატრალიზებულ წარმოდგენებსაც მართავდნენ, მართალია, ბავშვებს თეატრალური მონაცემები მემკვიდრეობითაც ჰქონდათ მომადლებული (დედის ძმა, საქართველოს დამსახურებული არტისტი ზორბეგ ღლონტი და მამისძმა – ესედ ცივაძე ცნობილი მსახიობი იყვნენ), მამა შვილებს ყოველი წარმოდგენისთვის საგულდაგულოდ ამზადებდა. ბავშვებიც ისეთი მონდომებით თამაშობდნენ, რომ მათი ხალასი არტისტიზმით მოხიბლული სტუმრები, მათ შორის თეატრის მსახიობებიც, სცენიდან აღარ უშვებდნენ. შემდგომში ეთერის უფროს დას გულნარას ბათუმის საელმწიფო თეატრის ერთ-ერთ სპექტაკლშიც მისცეს როლი, რომელიც მან საუკეთესოდ შეასრულა.

იმხანად იუსუფ ცივაძის სახლი ბათუმის სახელმწიფო თეატრის თითქმის მთელი კოლექტივის მასპინძელი და მეგობარი იყო. ამ ოჯახში, სახელდახელო მეგობრულ სუფრასთან, ხშირად მთელი სპექტაკლის ავ-კარგს განიხილავდნენ, ბჭობდნენ თეატრის მომავალზე, მის ხვალინდელ დღეზე. ,,ოქროს მტვერი“, რომელმაც, მოგეხსენებათ, ისეთი ,,დასნებოვნება“ იცის, მთელი ცხოვრების განმავლობაში ვეღარ დაიხსნი თავს მისი ტყვეობიდან.

ოჯახში მიღებული წრთობა ეთერმა სკოლაშიც წარმატებით გამოიყენა. მას იშვიათი სიძლიერისა და სილამაზის ხმა, დახვეწილი დიქცია და გამომსახველობითი უნარი ჰქონდა: ,,სწორედ ეს ფასობდა სხვადასხვა საზეიმო გამოსვლების დროს სცენაზე თუ ღია ცის ქვეშ, – იხსენებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილი მწერლის პარმენ ლორიას შვილი, პროფესორი ალექსანდრე ლორია. მისი დახასიათებით, ეთერი ერთი შეხედვით, მიუკარები და ცივი ჩანდა, ალბათ იმიტომ, რომ ზესმიწევნით სერიოზული იყო, საქმიანი, გამრჯე, ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა და ყველასთვის მისაბაძი მაგალითი იყო. იშვიათად, სადმე ქუჩაში თავშეყრილ გოგო-ბიჭებთან დაგენახა; ვიცოდით, თავიანთ დიდი სახლში ერთი კუთხე ჰქონდა მიჩენილი. უმეტესად იქ ატარებდა სადაგ დღეებს – მეცადინეობდა, კითხულობდა, წერდა. მაგრამ ისიც ვიცოდით, საოჯახო საქმეებს რომ ვერ აარიდებდა თავს. ან ვინ დაანებებდა? – დედა – ქალბატონი ფერიდე, ხომ მუდამ საქმეებში გართული დიასახლისი იყო. ექვსი შვილის გამზრდელ ქალს, რაც არ უნდა დამხმარე აეყვანა, საქმე მაინც არ გამოელეოდა. თავისთავად, გოგონები ვალდებულნი იყვნენ არა მარტო თავიანთი თავისთვის მიეხედათ, ათასგვარ საოჯახო საქმეებშიც გარეულიყვნენ“ – ამბობს ბატონი ალი.

ეთერის დეკლამატორული ნიჭი არა მარტო სკოლას, ქალაქის საზოგადოებასაც არ დარჩენია შეუმჩნეველი. იგი თითქმის ყველა სასკოლო და საქალაქო ღონისძიებაში მონაწილეობდა და თავისებური ხალასი შეჰქონდა მათში. როგორც მწერალი და პუბლიცისტი, პროფესორი რ. სურმანიძე იხსენებს, – დაცქრიალებდა ეს გაზაფხულივით თვალმშვენიერი გოგონა და თავისი წკრიალა ხმით ყველგან სადღესასწაულო განწყობილებას ქმნიდა.

სტუდენტურმა წლებმა, დამოუკიდებლად ცხოვრებამ, საუნივერსიტეტო გარემომ კიდევ უფრო გამოაწრთნო ეთერის ხასიათი, შეაჩვია იგი დდი მასშტაბების ორგანიზებულ მუშაობას. ამიტომაც იყო, რომ 1957 წელს, მშობლიურ ქალაქში დაბრუნებისთანავე, უნივერსიტეტდამთავრებულ გოგონას საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტში ინსტრუქტორის საპასუხისმგებლო თანამდებობას ანდობენ.

ქალბატონი ეთერი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მართალია, დღეს კომკავშირულ ორგანიზაციებს სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთხით განვიხილავთ, მაგრამ იმ პერიოდს ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან ვერ ამოვჭრით. ეს იყო ურთულესი წლები და პასუხსაგები სამუშაო. ეთერი ხშირად თვეობით მიდიოდა მაღალმთიან სოფლებში და იქაურ ახალგაზრდობას გზის გაკვალვაში ეხმარებოდა. ამ თავდაუზოგავმა შრომამ თავისი კეთილი ნაყოფი გამოიღო. ქალბატონ ეთერს დღესაც ხშირად ხვდებიან ადაიანები და მადლობას ეუბნებიან იმის გამო, რომ თავის დროზე მათთვის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება დაუძალებია.

1959 წელს ეთერი საერთაშორისო უმაღლეს სკოლაში იმაღლებს კვალიფიკაციას. შემდეგი სამი წლის განმავლობაში იგი საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო ომიტეტის მდივნად მუშაობს.

1969 წლამდე ეთერ ცივაძე პარტიულ სამუშაოზეა – ჯერ ბათუმის სამკერვალო გაერთიანების პარტკომის მდივნად, ხოლო 1963 წლიდან შემდგომში ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორია. ეს იყო ყველაზე მძიმე წლები ქალბატონ ეთერის მოღვაწეობაში. რადგან ერთი იყო პარტიული დირექტივა და მეორე – მისი გატარება ცხოვრებაში ისე, რომ ადამიანს, პიროვნებას არ ეგრძნო თავი დაჩაგრულად. საამისოდ ეთერს ხშირად უწევდა რკინის ქალამნების ჩაცმა. გადაულახავი ბიუროკრატიული ბარიერები გზას უკეტავდნენ მის იდეებს, მაგრამ იუსუფ ცივაძის ქალიშვილს არ შეეძლო უსამართლობასთან შეგუება და ფარ-ხმალის დაყრა.

ეთერ ცივაძისთვის ნამდვილი საზოგადოებრივი მოღვაწეობა 1969 წლიდან იწყება, როცა მას აკ. წერეთლის სახელობის აჭარის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორად ნიშნავენ. იმავდროულად ირჩევენ აჭარის კულტურის სამინისტროს კოლეგიის წევრად. როგორც ეთერ ცივაძე ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, ბიბლიოთეკა მისთვის მეორე უნივერსიტეტი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე მან 23 წელი იმოღვაწა. დიახ, ეს იყო აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობა, რადგან ამ ხნის განმავლობაში საჯარო ბიბლიოთეკა ნამდვილ კულტურის ცენტრად იქცა.

ეთერს საბიბლიოთეკო საქმიანობის საუკეთესო დახასიათებას გვაძლევს ამ დარგის სპეციალისტი, ჟურნალ ,,საქართველოს ბიბლიოთეკის" რედაქტორი, პროფესორი ალექსანდრე ლორია, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა აჭარის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მუშაობის სპეციფიკა და იგი ფართო მასშტაბით განხილვისა და განზოგადოების საგნადაც აქცია. ბატონი ალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეთერისათვის ბიბლიოთეკაში მუშაობა, წიგნებთან ურთიერთობა სულის მოწოდება იყო. მას ,,არაერთხელ შესთავაზეს უფრო მაღალი თანამდებობები, მაგრამ იუარა. ამ მშვენიერ კოლექტივში, მაღალპროფესიონალ და საქმიან ადამიანებთან შრომა მის მოწოდებად იქცა".

ეთერი ჩვეული ენერგიით შეუდგა საოლქო ბიბლიოთეკის საქმიანობის გარდაქმნას. ბატონი ალის აზრით, მაშინ, და ბევრისთვის ახლაც, ბიბლიოთეკა უზრუნველი შრომის გამოხატულებაა, სადაც ბიბლიოთეკარს გადაუდვია ფეხი ფეხზე და კითხულობს და კითხულობს წიგნებს. სინამდვილეში ბიბლიოთეკარის შრომა საკმაოდ მძიმე და ამოუწურავია. განსაკუთრებით ისეთ დაწესებულებაში, როგორიც აკაკი წერეთლის სახელობის აჭარის საჯარო ბიბლიოთეკაა. უამრავი პროცესი მიმდინარეობს ერთდროულად თუ ცალცალკე. ჯერ მარტო ,,წიგნის გზა" რომ გაიარო, დაინახავ, რამდენი რამ ხდება აქ: წიგნების გადარჩევა, შძენის ოპერაციები, აღრიცხვა, ჯამობრივი თუ ინდივიდუალური, ტექნიკური დამუშავება, დახარისხება, დანაწილება, სისტემატიზაცია-დაშიფრვა, საგნიერება, აღწერა, განლაგება, ძიების სამუშაოები, მიღება-გაცემის რეგისტრაცია და სხვა, რომ არაფერი ვთქვათ მკითხველთან ურთიერთობაზე. ამის გარდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედველობაშია მისაღები ციკლური სამუშაოებიც, ასევე მეთოდიკური და ტექნიკური პროცესები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგება, საფინანსო ოპერაციები და, რაც მთავარია, ურთიერთობა კოლეგებთან, რასაც მენეჯმენტის უპირველეს ამოცანად მიიჩნევენ. მართალია, აქ ყველა ციკლი დიფერენცირებულად იმართება, მაგრამ ამისათვის მეტად მოქნილი და პროფესიული ხელმძღვანელობა და ორგანიზებაა საჭირო.

ბატონი ალი იმასაც აღნიშნავს, რომ მისთვის კარგადაა ცნობილი აღნიშნული ბიბლიოთეკის ქრონიკული ხარვეზები, რომლებსაც ეს დაწესებულება, სხვადსხვა მიზეზთა გამო, ათეული წლობით ვერ აღწევდა თავს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო საკატალოგო მეურნეობა, ბიბლიოგრაფიული სამსახური, მეთოდიკური უზრუნველყოფა, საშტატო პოლიტიკა.

სწორედ ამგვარ ვითარებაში მოხდა ეთერ ცივაძეს სათავეში ჩასდგომოდა ამ დაწესებულებას და აჭარის ბიბლიოთეკების მეთოდური უზრუნველყოფის სისტემას. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მალე აუღო ალღო საქმეს და სავსებით მიზანსწრაფულად შეუდგა მუშაობას. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში გააქტიურდა ურთიერთობა სარაიონო და სასოფლო ბიბლიოთეკებთან, გაძლიერდა მეთოდიკური სამსახური. ეთერის დირექტორობის პერიოდში გაფართოვდა საცნობო ბიბლიოგრაფიული აპარატი. ამის წყალობით შესაძლებელი გახდა სხვადსხვა ბიბლიოთეკების დაკვეთების შესრულება მხარეთმცოდნეობითი მასალის შეგროვებასთან დაკავშირებით. უკვე იშვიათობას აღარ წარმოადგენდა ბიბლიოთეკათშორისო აბონემენტით მომსახურეობა. შესაძლებელი გახდა შექმნილიყო მწყობრი გეგმიური მართვის სისტემა.

ყოველივე ამასთან ერთად, უწყვეტლივ მიმდინარეობდა კატალოგების მოწესრიგების გეგმიური პროცესი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სისტემატური და ანბანური

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატალოგების სახე. უკვე ნათლად გამოიკვეთა კატალოგების გაუმჯობესების მიმართულება.

ბიბლიოთეკამ რამდენიმე მეთოდური და ბიბლიოგრაფიული ნაშრომი გამოსცა, გამოაქვეყნა სარეკომენდაციო ნუსხები აჭარაში მოღვაწე მწერალთა საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, მაგალითად: მამია ვარშანიძის, გიორგი სალუქვაძის, ნესტორ მალაზონიას, ფრიდონ ხალვაშის, პარმენ ლორიას ბიბლიოგრაფიული საძიებლები და სხვა.იმართებოდა პრაქტიკული თათბირ-სემინარები, სამეცნიერო კონფერენციები. საფუძველი ჩაეყარა სხვა ბიბლიოთეკებთან ინტეგრირებულ მუშაობას; ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები იყვნენ ისტორიკოსები, ბუნებათმცოდნეები, გეოგრაფები, არქეოლოგები, ლიტერატურათმცოდნეები; შეიქმნა საბიბლიოთეკო საბჭო, რომელსაც ცნობილი მეცნიერი, პროფესორი რამაზ სურმანიძე უძღვებოდა. მისი ძალისხმევით მრავალი ღონისძიება გატარდა აჭარაში საბიბლიოთეკო საქმის სრულყოფისათვის...

ამასთან დაკავშირებით ბატონი რამაზ სურმანიძე იხსენებს: ,,რატომღაც მეჩვენებოდა, რომ ეთერის საქმეს პარტიული ჩინოვნიკობა არ წარმოადგენდა და როგორც ჩანს, მართალი ვყოფილვარ. იგი მალე ჩვენი სულიერების ერთ-ერთი დიდი ცენტრის, საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი გახდა და მგონი დასაწყისიდანვე ყველამ აღიარა, რომ სწორედ აქ იყო ეთერ ცივაძის ადგილი.

მანამდეც ბიბლიოთეკის, მუზეუმის და არქივის ხშირი სტუმარი ვიყავი, მაგრამ ერთმა მოულოდნელობამ გამაოცა, ბიბლიოთეკის დარბაზში მორიგი მუშაობის დროს ეთერი დამადგა თავზე და არაორაზროვნად განმიცხადა:

ჩვენ უკვე შევქმენით საბიბლიოთეკო საბჭო, რომელსაც ყველაზე აქტიური მკითხველი უნდა ჩაუდგეს სათავეში.

ალბათ ისიც შერჩეული გყავთ.

არა! ჩვენი აზრია (ეს ტერმინი უყვარდათ მაშინდელ პარტიულებს), საბჭოს თავმჯდომარეობა თქვენ დაგაკისროთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე? – გავიკვირვე – ჩემზე მეტად აქტიურებს რა გამოლევს-მეთქი (მართლაც იმ დროს მეცნიერთა მთელი პლეადა სარგებლობდა ბიბლიოთეკის მდიდარი ფონდებით).

ეს უკვე გადაწყვეტილია – თქვა ეთერმა – მუშაობას რომ მორჩებით, შემობრძანდით, მცირე ფორმალობის დაცვა მოგვიხდება.

რა გაეწყობოდა, ბიბლიოთეკის გარეშე ჩემი არსებობა ვერ წარმომედგინა, ახლა მის ფუნქციაზეც უნდა მეფიქრა. ამ პერიოდში ბიბლიოთეკაში მართლაც შრომატევადი მუშაობა ჩატარდა. ბიბლიოთეკამ მთლიანად მოახდინა ფონდის რეინვენტარიზაცია, რეორგანიზაცია: წიგნების ახალი საბიბლიოთეკო წესით დამუშავება, ფონდების მასობრივი ორგანიზაცია და ფორმატული განლაგება, საკატალოგო მეურნეობის ორგანიზაცია და ა.შ. ამ ღონისძიების განხოციელებამ გარდაქმნა ბიბლიოთეკის მუშაობის სტილი და გააუმჯობესა მკითხველთა მომსახურეობა“.

ბატონი ალის აზრით, დღეს უკვე სულ სხვა ეპოქაა ბიბლიოთეკებისათვის. ვერ ვიტყვით, რომ მათ კარგი დღეები უდგათ, მაგრამ გამოკვეთილია მიმართულებები, რა გზითაც უნდა იაროს ბიბლიოთეკამ. მართალია, ამ დაწესებულების მოქმედების არე მაქსიმალურად შეცვლილია, მაგრამ, რაც მთავარია, აქ იციან, რა მიმართულებით უნდა წარმართონ საქმე და კარგად ერკვევიან თანამედროვე ამოცანებში. ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება. ეს უდავოდ ამჟამინდელი ხელმძღვანელობის დიდი დამსახურებაა, მაგრამ ყოველივე ეს ვერ იქნებოდა, რომ არ არსებულიყო განვითარების სწორი გეზი, ტენდენციები და ტრადიციები. შეიძლება ითქვას, მათ შექმნასა და ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ქალბატონ ეთერ ცივაძეს.

ამასვე გვიდასტურებს აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ნატო ჭყონია. როგორც იგი აღნიშნავს, დიდია ქალბატონი ეთერის ღვაწლი აჭარაში საბიბლიოთეკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმის განვითარებაში. ქალბატონი ეთერ ცივაძე 23 წლის განმავლობაში (1969-1992 წწ.) აკაკი წერეთლის სახელობის აჭარის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი იყო. აჭარის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საბიბლიოთეკო სისტემა იმ დროს მოიცავდა 200-ზე მეტ მასობრივ ბიბლიოთეკას და სწორედ აწარის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა იყო მათი საქმიანობის მეთოდური ხელმძღვანელი: აჭარის ბიბლიოთეკართა პროფესიონალიზმის ასამაღლებლად რეგულარულად იმართებოდა სემინარები, ბიბლიოთეკის სპეციალისტები აქვეყნებდნენ მეთოდურ წერლებს, საჭიროებისამებრ მეთოდურ-პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ აჭარის ყველა ტიპის ბიბლიოთეკას: აჭარის კულტურის სამინისტროს შესაბამის სამსახურთან ერთად პერიოდულად მიმდინარეობდა ბათუმისა და რაიონების ბიბლიოთეკების საქმიანობის შესწავლა, რომლის საფუძველზე ხდებოდა სამინისტროს კოლეგიაზე განსახილველი საკითხების მომზადება.

ქალბატონი ეთერის დირექტორობის დროს აჭარის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა იყო კულტურის, განათლებისა და ინფორმაციის ცენტრი, წიგნიერი გარემო შეხვედრებისა და საუბრებისათვის. ამ პერიოდში მოხდა ბიბლიოთეკის ძირითადი წიგნსაცავი ფონდის ფორმატული განლაგება, დასრულდა ბიბლიოთეკის ფონდის რეინვენტარიზაცია და რეკლასიფიკაცია.

ქალბატონმა ეთერმა საჯარო ბიბლიოთეკაში შემოიკრიბა აქტიურ მკითხველთა ფართო წრე, შექმნა მუდმივმოქმედი საბჭო, რომელიც არაერთი წამოწყებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიების ორგანიზატორი გახდა. ამასთან დაკავშირებით ბატონი შოთა მესხიძე იხსენებს: ,,მე, როგორც ამ ბიბლიოთეკის ხანდაზმულ მკითხველს, ახლაც კარგად მახსოვს, მის დროს ბიბლიოთეკამ რა სასიკეთოდ იცვალა სახე, როგორი აქტიურობითა და ხალისით ჩავებით აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამართულ ღონისძიებებში. ყველაფერმა ორგანიზაციულად და შინაარსობრივად ახალი დატვირთვა შეიძინა“.

მართალც, ამ პერიოდში უამრავი რამ გაკეთდა საჯარო ბიბლოთეკაში, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თუმცა ზოგიერთ მათგანს დასახელება ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ქალბატონი ეთერის მიერ გაწეულ ღვაწლზე. თუნდაც, მისი რედაქტორობით გამოცემულ ბიბლიოგრაფიული სძიებლის ნუსხას გავეცნოთ: გიორგი სალუქვაძე, მამია ვარშანიძე, პარმენ ლორია, ფრიდონ ხალვაში, ნესტორ მალაზონია, სადაც ლიტერატურის სარეკომენდაციო საძიებლებში შემდგენელი რუსუდან ჯინჯიხაძე გახლავთ და რედაქტორი კი ეთერ ცივაძეა.

აი, როგორ ახასიათებს ქალბატონ ეთერ ცივაძეს ბიბლიოთეკის ერთ-ერთი განყოფილების გამგე ვიოლეტა ბაბალიანი: ,,ჩვენი დირექტორი ეთერ ცივაძე იყო კეთილი, ყურადღებიანი, კომუნიკაბელური ქალბატონი. ჭირ-ვარამში მუდამ გვერდით ედგა კოლექტივს, იზიარებდა კოლექტივის აზრს. კრიტიკულ მომენტში მამაკაცური ხასიათითაც გამოირჩეოდა.

საბიბლიოთეკო დარგში ნაყოფიერი და ხანგრძლივი მუშაობისათვის ეთერ ცივაძეს მიღებული აქვს არაერთი ჯილდო და წახალისება. კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის სრულყოფის საქმეში შეტანილი წვლილისთვის მან 2000 წლის 14. ივნისს მიენიჭა ,,საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება“. ასევე, სახალხო განათლების დარგში გაწეული თავდადებული მუშაობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებით დაჯილდოვებულია ,,სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით; 1985 წელს გადაეცა საქართველოს კულტურის სამინისტროს მედალი ,,წარჩინებული მუშაობისათვის“.

ქალბატონი ეთერი ბიბლიოთეკიდან წასვლის შემდეგაც წიგნზე და წიგნიერებაზე ფიქრობს და წუხს

ეროვნული ბიბლიოთეკა

- თვალსადახელშუა გვიქრებაო წიგნთან, მხატვრულ ლიტერატურასთან დამოიდებულების ტრადიციები. მისთვის, როგორც წიგნის დიდი მოამაგისა და მოტრფიალისათვის, წარმოუდგენლად მიუღებელია მხატვრული ლიტერატურის, წიგნის კითხვის ჩანაცვლება ზედაპირული, უშინაარსო გასართობებით ან კომპიუტერით, მისი აზრით, კომპიუტერული ტექნიკა და წიგნი ურთიერთგამომრიცხავ მოვლენად არ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ წიგნს, კომპიუტერთან შედარებით, აქვს ერთი უპირატესობა - იგი გაცილებით ღრმა და სანდო წყაროა ჭეშმარიტი ცოდნის მისაღებად, რადგან მოზარდი, რომელსაც ჯერ არ აქვს მტკიცე ნებისყოფა, კომპიუტერული თამაშებიტ ცდუნდება და კითხვა ავიწყდება. არადა, ჩვენი კლასიკოსების შესაწვლის გარეშე რამ უნდა შეავსოს მოზარდის სამყარო? რით უნდა გაიმდიდროს ბავშვმა ლექსიკა? რამ უნდა აჩვენოს ფესვების ძალა, თუ არა მხატვრულად გადმოცემულმა წინაპართა გმირობის მაგალითებმა?! პოეზისა და მწერლობის უარყოფით კი ერის კულტურა ვერ შეიქმნება, - ამბობს ქალბატონი ეთერი და ვერაფრს ეტყვი საწინააღმდეგოს.

1992 წლიდან ეთერ ცივაძეს ქ. ბათუმის მერიის ქალთა საბჭოს თავმჯდომარედ ირჩევენ. ქალბატონი ეთერი თვლის, რომ ამ წლების ვითარებამ თავისი რთული კატაკლიზმებითა და სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებებით გადააჭარბა 40-50-იანი წლების კრიზისებს. მიუხედავად ამისა, ქალთა საბჭო ახორციელებდა რთულ, მრავალწახნაგა პროგრამას, რომელსაც სათავეში ეთერ ცივაძე ედგა. როგორც დედათა და ბავშვთა ღირსებების დამცველი, ქალთა სამშვიდობო მოძრაობის ,,ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ აქტიური წევრი იყო.

აი, როგორ ახასიათებს ქალბატონ ეთერს მისი ყოფილი მოადგილე, ამჟამად სააქციო საზოგადოება ,,სტომატოლოგის„ დირექტორი მერი ზოიძე“: ქალბატონ ეთერ ცივაძესთან ბედმა ქ. ბათუმის მერიასთან არსებულ ქალთა საბჭოში მუშაობისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამაკავშირა. მალე ჩვენი სამსახურებრივი ურთიერთობა ურყევ მეგობრობაში გადაიზარდა და მე ვამაყობ ამით. მანამდე სად არ მიმუშავია, მაგრამ სულ სხვა იყო ქალბატონ ეთერისთან თანამშრომლობა. ვის არ ნახავდით მის კაბინეტში – მასთან მოდიოდნენ არა მარტო ბათუმის, არამედ მთელი აჭარის გამორჩეული ქალბატონები. მას დედაქალაქიდანაც ხშირად სტუმრობდნენ მწერლები, პოეტები, ხელოვნების მუშაკები, რომლებთან საუბარიც გვანიჭებდა უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას. ქალბატონი ეთერი იყო შეჭირვებული ოჯახების, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების, უმწეოთა ქომაგი და გამამხნევებელი. იგი მოსვენებას არ აძლევდა ქალაქის ხელმძღვანელობას, რომ გაჭირვებული ოჯახეხებისათვის დახმარება დროულად აღმოეჩინათ. ვერასდროს წარმომედგინა, რომ ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს ერთად ამდენი საჭირბოროტო საკითხის თავმოყრა და გადაწყვეტა შეეძლო. ამავე დროს, იგი აქტიურად მონაწილეობდა ქ. ბათუმის კულტურულ ცხოვრებაში.

ქალბატონი ეთერის მიერ ჩატარებული ქალთა საბჭო დიდ ზეიმს ჰგავდა, მაგრამ ეს ზეიმი საქმიანი იყო. იგი ხშირად ისეთ საკითხს გამოიტანდა სხდომაზე, რომ მერიის ხელმძღვანელობას დამატებით თავსატეხს უჩენდა და მანამ არ დაანებებდა თავს, სანამ წამოჭრილ საკითხს დადებითად არ გადაწყვეტდნენ.

თავს ბედნიერად ვთვლი, რომ გარკვეული წლების განმავლობაში მის გვერდით ვმუშაობდი, ვსწავლობდი მისგან ცხოვრების სიბრძნეს. მასთან ურთიერთობამ მიმაჩვია სიძნელეებთან ჭიდილს. მინდა უფალს მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ ასეთ ღვთისნიერ ქალბატონს შემახვედრა“.

ასეთივე სითბოთი და სიყვარულით იხსენებს ქალბატონ ეთერთან ურთიერთობის წლებს ქალთა საბჭოს წევრი, ქალბატონი მანანა მახარაძე, რომელიც ახლაც აგრძელებს მასთან მეგობრობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წლებში ქალთა საბჭოს მესვეურნი ურთულეს პირობებში ცდილობდნენ უძველესი ტრადიციებისა და ურთიერთობების შენარჩუნებას. ,,არ ვიცი, როგორ ახერხებდა ეთერ ცივაძე არაფრიდან დღესასწაულის მოწყობას. არ გეგონოთ, ვინმე რაიმეს ავალდებულებდა, თავად ივალდებულებდა ყველაფერს, თავად უჩნდებოდა იდეა, თავად იწყებდა საქმეს და მერე ისე გამოხატავდა, რომ არ შეიძლება არ აჰყოლოდი, მისი ენერგია მდინარეს ჰგავდა, რომელიც აუცილებლად გაგიტაცებდა – მითხრა მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა, რომელმაც არ ისურვა გვარის გამხელა“. წრს ჟურნალისტი მანანა მიქელაძე 2011 წლის 15 მაისის გაზეთ ,,აჭარაში“ გამოქვეყნებულ წერილში ,,ადამიანი დღესასწაული“, რომელიც ქალბატონ ეთერს ეძღვნება. მ. მიქელაძე აღნიშნავს: ,,არ მეგონა, თუ სიტყვა ,,დღესასწაული“ ადამიანის ეპითეტადაც გამოდგებოდა, თუმცა რატომაც არა... ის, ვისაც სხვისთვის სიკეთის კეთება, დღისა თუ საერთოდ, ცხოვრების თუნდაც მცირე დროის გალამაზება შეუძლია, განა დღესასწაულებს არ გვჩუქნის? ეს იშვიათი ნიჭია, რომელსაც უფალი მხოლოდ რჩეულებს ანიჭებს“.

ვინ არ დაეთანხმება ამ სიტყვებს?!

ისევ რამაზ სურმანიძესა და მის ბიბლიოთეკასთან ურთიერთდამოკიდებულებაზე: შემოგთავაზებთ ამონარიდს მისივე წიგნიდან ,,ბიობიბლიოგრაფია, რუსეთ-საქართველოს მეგობრული ურთიერთობანი 1964-2008“წწ., სადაც წიგნის რედაქტორი აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გენადი მახარაძე წინასიტყვაობაში აღნიშნავს: ,,1969 წელს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკასთან შეიქმნა სამეცნიერო-საბიბლიოთეკო საბჭო, რომლის მთავარი მიზანი იყო მკითხველთან ურთიერთობა, მისი მოთხოვნილებების გამოვლენა და შესრულება. საბჭოს თავმჯდომარედ ერთსულოვნად დაამტკიცეს მუდმივი მკითხველი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამაზ სურმანიძე

ახალგაზრდა მწერალი და მეცნიერი რამაზ სურმანიძე, რომელიც ენერგიულად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. უფრო მეტიც, ის ბიბლიოთეკას ეხმარებოდა წიგნადი ფონდის შევსებასა და დაცვაში, პერიოდიკის წესრიგზე მოყვანაში.

ჩვენს დროში განხორ–ციელებული რეფორმების დროს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, მათ შორის სამეცნიერო-საბიბლიოთეკო საბჭომაც შეწყვიტა საქმიანობა, მაგრამ ბატონი რამაზისთვის ამ ფორმალობას მნიშვნელობა არ აქვს, ის კვლავინდებურად განაგრძობს ურთიერთობას ბიბლიოთეკასთან, რომელსაც ,,თავის მშობლიურ სახლს, ოჯახს უწოდებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსო ჯორბენაძე
1992-1997 წწ.

სოსო გაბრიელის ძე ჯორბენაძე, დაიბადა 1951 წლის 7 აპრილს ქ. ბათუმში, მოსამსახურის ოჯახში.

1957 წელს სწავლა დაიწყო ქ. ბათუმის 1 საშუალო სკოლაში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1967 წელს.

1967 წელს სწავლა განაგრძო შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დღის განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1972 წელს.

1972 წელს მუშაობა დაიწყო ქ. ბათუმის 1 საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელში ისტორიის მასწავლებლად.

1975-1978 წლებში მუშაობდა ამავე სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის განთავისუფლებულ მდივნად.

1978-1982 წლებში მუშაობდა 1 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის ისტორიის მასწავლებლად.

1983-1986 წლებში მუშაობდა საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო კომიტეტის ლექტორ - კონსულტანტად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1986-1989 წლებში მუშაობდა საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების ლექტორად.

1989-1992 წწ. მუშაობდა აჭარის ასსრ კულტურის მინისტრის მოადგილედ.

1992-1997 წწ. მუშაობდა აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორად.

1997-2017 წწ. სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარედმცოდნეობის მუზეუმში მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე.

დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ა

ჯორბენაძე სოსო გაბრიელის ძე, დაბადებული 1951 წელს ქართველი, უმაღლესი განათლებით, სკკპ წევრი 1976 წლის აპრილიდან, აჭარის ასსრ კულტურის მინისტრის მოადგლეა.

ამხ. ს. გ. ჯორბენაძემ შრომითი საქმიანობა დაიწყო 1972 წელს ქ. ბათუმის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის ისტორიის მასწავლებლად, 1975 წლიდან 1978 წლამდე მუშაობდა ამავე სასწავლებლის ალკკ მდივნად, შემდეგ ისტორიის მასწავლებლად, 1983 წლიდან საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო კომიტეტის ლექტორ-კონსულტანტად, 1986 წლიდან საქ. კპ აჭარის საოლქო კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების ლექტორად, 1989 წლის ივლისიდან მუშაობს აჭარის ასსრ კულტურის მინისტრის მოადგილედ.

ამხ. ს. გ. ჯორბენაძე ალღოიანი ინიციატივიანი მუშაკია. ადვილად პოულობს ადამიანთან ურთიერთობის ფორმებს, რაც ეხმარება უნარიანად გადაწყვიტოს სამსახურეობრივი საკითხები. უყვარს ანალიტიკური მუშაობა, კოლეგიალურია და ობიექტური. ხელეწიფება ორგანიზატორული მუშაობა, სიტუაციებში სწრაფად გარკვევის უნარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთანავე ამხ. ს. გ. ჯორბენაძემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ავტონომიური რესპუბლიკის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის ძირეულ გარდაქმნას.

კოლექტივში სარგებლობს ავტორიტით. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი - **ბ.ჰ. მახარაძე**
პ/პარტიული ორგანიზაციის მდივანი - **ნ.ქ. გუნდაძე**
პროფკომიტეტის თავმჯდომარე - **ო. გ. ბერძენიშვილი**

1990 წლის 23 თებერვალი, დახასიათება დამოწმებულია სათანადო ბეჭდებით.

სოსო ჯორბენაძე 1992-1997 წწ. მუშაობს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორად, ხოლო 1997 წლიდან 2017 წლამდე - გარდაცვალებამდე მუშაობდა ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე. ამ კოლექტივებში მუშაობის პერიოდში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, თანამშრომლების მიმართ იყო მზრუნველი და სამართლიანი ხელმძღვანელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გენადი მახარაძე
1997–2018 წწ.

1997 16 სექტემბრიდან დღემდე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, წიგნთმცოდნე გენადი მახარაძეა საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი.

როგორც ზემოთ ვთქვით, ბატონმა გენადი მახარაძემ სწორადაც განსჭვრიტა, პრინციპული და თანამოაზრე პიროვნება რომ დაიყენა გვერდით მის მოადგილედ ქალბატონი ნატო ჭყონია, რომელმაც ბიბლიოთეკის ყოფნა-არყოფნის პერიოდში, ხალხის მხარე დაიჭირა. ასეც ვიტყოდი: საჯარო ბიბლიოთეკა ეროვნული მუხტით გაჯერებული პიროვნებების ხელშია. ისინი კეთილსინდისიერად ემსახურებიან საგანმანათლებლო კერას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატო ჭყონია
დირექტორის მოადგილე

ექსპოზიციური მონახაზი

ადამიანის ცხოვრება გაიზომება არა იმის მიხედვით, თუ რამდენ ხანს იცხოვრა, არამედ იმით, თუ რა ნახა, რა განიცადა და რა გააკეთა, რამეთუ ცხოვრების არსებითი პარამეტრი ინტენსივობაა და არა ექსტენსივობა. დრო სწრაფად გადის, როცა იგი სასიამოვნო შთაბეჭდილებებითაა სავსე.

კარგად აღიქმება გარდასული დროც. ბედნიერი ადამიანი, რომელიც დროს სავსედ, კეთილად მიიჩნევს. ასეთი ადამიანი მუდამ მზადაა გაამშვენიეროს გარე სინამდვილე, სხვებს არგოს, სხვებს მიაგოს სიკეთე და სიყვარული. ეს განწყობა კი უპირველესად იმათი წილხვედრია, ვინც საყვარელ საქმეში, პროფესიასა და ოჯახში ჰპოვა ბედნიერება, საკუთარი მოწოდება. სწორედ ერთ-ერთ ასეთ ადამიანზე, ბათუმელზე, ღირსეულ ქალბატონზე მოგითხრობთ.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ნატო (ლილი) ჭყონია იმ იშვიათ ადამიანებს მიეკუთვნება, პირველი შეხვედრისთანავე რომ სიმპათიასა და პატივისცემას

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმსახურებენ. რაფინირებული, ინტელიგენტი ქალბატონი - სწორედ ასე აღვიქვი იგი, როცა სამუშაო კაბინეტში ვეწვიე და ვესაუბრე. ტაქტითა და გულისხმიერებით გამორჩეულია, გაწონასაწორებული, თავაზიანი და შინაგანი კულტურით სავსე, თავისი ერუდიციითა და ინტელექტით უთუოდ მოგხიბლავთ.

საჯარო ბიბლიოთეკაში 2007 წლიდან მუშაობს, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია და ამიტომაც ჯეროვანი პატივისცემით სარგებლობს. ეს ავტორიტეტი წლების განმავლობაში თავდადებულმა შრომამ განაპირობა. მუშაობდა აჭარის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზის მეთოდისტად, კულტურის სამინისტროს სამუზეუმო-საბიბლიოთეკო განყოფილებისა და საბავშვო ბიბლიოთეკის მარკეტინგის განყოფილების უფროსად. ერთი შეხედვით, თანამედროვე ადამიანის ტიპური ბიოგრაფია აქვს: სკოლა, ინსტიტუტი, სამსახური, ოჯახი, 2 ვაჟიშვილი, შვილიშვილები, მეუღლე, თითქოს განსაკუთრებული არაფერია, ასეთი ბიოგრაფიის ადამიანები მრავლად არიან, ოღონდ განსხვავებას ქმნის თავად ქალბატონი ნატოს პიროვნული თვისებები - ნიჭიერება, საქმის სიყვარულით კეთების უნარი, გულითადობა, ინტერესთა მრავალმხრივობა, მიზნის სიცხადე, ღრმა რწმენა. დიახ, უნივერსიტეტს ბევრი ამთავრებს, ოჯახსაც ეკიდება, მუშაობს, მაგრამ საკითხავია, როგორი მეოჯახეა, როგორ სწავლობდა, როგორ მუშაობს, როგორია ადამიანებთან ურთიერთობაში! სწორედ ეს ხარისხობრივი მაჩვენებელი განაპირობებს პიროვნების გამორჩეულობას. ნატო ჭყონია სწორედაც რომ სწავლით, ყოფაქცევით, შრომით, ადამიანებთან ურთიერთობით მუდამ გამოირჩეოდა. მიზანმიმართული და ენერგიული, მცოდნე და მოწესრიგებული, გაწონაწორებული ახალგაზრდა ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში იპყრობდა ყურადღებას... მისი ცხოვრების ერთი დაუვიწყარი და სანაქებო ფურცელიც სწორედ სტუდენტობის ხანაში გადაიშალა. ქალბატონი ნატო 1978 წლის 26 მაისს ბათუმში ქართული ენის დასაცავად გამართული დემონსტრაციის ერთ-ერთი აქტიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაწილე იყო. იგი ახლაც სიამაყით იგონებს იმ დღეებს, როცა თანამოაზრეებთან – ვახტანგ ღლონტთან, მალხაზ სიორიძესთან, ნოდარ ქედელიძესა და სხვებთან ერთად ამ მნიშვნელოვანი მოვლენისთვის ემზადებოდა.

მორალურ-ზნეობრივი სახე – ახლა ქალბატონ ნატო ჭყონიასთან საუბრის ფრაგმენტებს გაგაცნობთ და დამემოწმებით, რომ ის უპირველესად სათნოებითა და კეთილშობილებით იპყრობს ყურადღებას... „საზოგადოების ანუ ჩვენს სიკეთეზეა ჩვენი ქვეყნის ავ-კარგი დამოკიდებული და ამიტომ იმაზე დაფიქრება, თუ როგორები უნდა ვიყოთ, სამომავლოდ, ქვეყნის ბედ-იღბალზე დაფიქრებაცაა. თუ სიკეთისა და კარგის ქმნისკენ გექნება გეზი, ქვეყანაც იქით წავა. თუ იმ პრინციპით ცხოვრობ, რაც შეიძლება მეტი შეგვრჩესო, ქვეყანა ვერ განვითარდება, ერთსა და იმავე ადგილას შერჩება... მადლობა უფალს, ბედნიერი ადამიანი ვარ: ცოხვრებამ ბევრ საინტერესო, კარგ ადამიანს შემახვედრა, ლამაზი დღეები მაჩუქა, მყავს მეგობრები (მეუღლეც მეგობარია), რომლებიც მილამაზებენ წუთისოფელს, უფლის საჩუქრები არიან ჩემი შვილები და შვილიშვილები.

„ჩვენ რას წავიღებთ იმ ქვეყნად, სხვას არა წაუღია რა“, მთავარია უფალი იყოს ჩვენში და სული გადავირჩინოთ. დიდ არს უფალი, მადლობა ყველაფრისთვის, რაც მაქვს, იყოს ნება შენი! - ასე იწყება ყოველი დილა. ვცდილობ, ვმართო ჩემი ემოციები, მაგრამ, როცა ისეთ რამეს მაბრალებენ, რაც მიუღებელია ჩემთვის და პირიქით, მძულს, პრინციპული ვარ ძალიან!.. კონფლიქტური არ ვარ, მაგრამ ჩემი პრინციპებისთვის არასოდეს მიღალატია“.

ინტელექტუალური თვალსაწიერი – სპეციალური ტესტის შევსება მისი ინტელექტის გასაგებად ნამდვილად არაა საჭირო. ცხადია, სამყაროს შეცნობისკენ და იდუმალებისაკენ მისი სწრაფვა. ეს გარწმუნებს, რომ მოაზროვნე, ინტელექტუალური ადამიანია. წიგნს, ლიტერატურის განსაკუთრებული ადგილი უკავია მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებაში, ამბობს კიდეც: „ლიტერატურა ჩემთვის წარმოადგენს ინტელექტუალურ ვნებას, სადაც არასოდეს მთავრდება ჩემი გაოცება. ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე გამორჩეულად მიყვარდა სხვადასხვა მწერალი... ფრანსუა საგანი, მოემი, კაფკა, სელინჯერი, საროიანის ესეები, აპდაიკი ჩეხოვი, დოსტოევსკი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, გურამ დოჩანაშვილი, ოთარ ჭილაძე, გურამ რჩეულიშვილი, ტოლსტოი, ამელი ნოტომი“.

შეკითხვაზე, - დღესდღეობით, წიგნმა დაკარგა მკითხველი თუ პირიქით? როგორ აფასებთ, რატომ გაუუცხოვდა მკითხველი წიგნს - ასე მიპასუხა: - არის თუ არა ზოგადად წიგნების პრობლემა ჩვენს საზოგადოებაში? არის! ამის მრავალი მიზეზი არსებობს: უპირველეს ყოვლისა, სკოლაში სწავლება ჯერ კიდევ არ არის იმ დონეზე, როგორც საჭიროა, ქვეყანაში მომხდარმა კატაკლიზმებმა, შინა და გარე ომებმა, ეკონომიკურმა დაცემამ თავისთავად გამოიწვია კულტურის, განათლების კრიზისი. ისე ძლიერ დაუდგა ქართველ კაცს ფიზიკურად გადარჩენის პრობლემა, რომ მიივიწყა სულიერი არსებობა, ხშირ შემთხვევაში გაუუცხოვდა წიგნს. ამ პრობლემაზე საუბრისას ბუნებრივად ჩნდება კითხვა – განა მხოლოდ კომპიუტერი და ტელევიზიაა „დამნაშავე“ მოზარდთა ინტერესების სივიწროვეში? რას ფიქრობენ მშობლები, როცა ბავშვებს კომპიუტერის პირისპირ ტოვებენ!... კომპიუტერი ვერ შეცვლის წიგნს. ახლა გასაყიდად გამოტანილი ლიტერატურა მრავალფეროვანი და პოლიგრაფიულად ხარისხიანია, მაგრამ პრობლემაა მაღალი ფასები. განათლება მხოლოდ კომპიუტერით ვერ მიიღება. რაც უნდა დიდი ინფორმაცია ჰქონდეს ადამიანს, განათლებული ვერ იქნება, მას განათლებულს უპირველეს ყოვლისა წიგნი ხდის: შესაბამისად, კომპიუტერები ვერასოდეს შეცვლის მას. წიგნი ხელში უნდა ეკავოს ადამიანს, უნდა შეეხოს მას, იგრძნოს ქაღალდის, ფურცლის სურნელება, სხვაგვარად ვერ გაითავისებს იმას, რაც მასშია.

ეპილოგი – ქალაქი ბიბლიოთეკების გარეშე, ეს არის ადამიანი სულის გარეშე! – ამბობს ნატო ჭყონია, – 21-ე საუკუნის ბიბლიოთეკა, არა მხოლოდ წიგნების საცავ და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელექტრონულ მონაცემთა წვდომის ადგილია, არამედ ინფორმაციის აქტიური გაცვლის, სწავლებისა და მსჯელობის სივრცეა... მომხმარებელი სულ უფრო მეტად მიმართავს ბიბლიოთეკის მომსახურების ,,ონლაინ რეჟიმს" – ვებ-გვერდით სარგებლობს. მომსახურების ამ სფეროსათვის ადგილზე მისვლა საჭირო აღარ არის. შესაძლებელია ყველა ქვეყნის ყველა ბიბლიოთეკა ჩაერთოს ინტერნეტში, მსოფლიოს უდიდეს კომპიუტერულ ქსელში, რათა შექმნას გლობალური ციფრული ბიბლიოთეკა. ყოველ მათგანს შეუძლია სერვერზე განათავსოს ინფორმაცია. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ადამიანებს ეძლევათ საშუალება შეხვდნენ ერთმანეთს, ესაუბრონ, მოიპოვონ ინფორმაცია და ცოდნა ბეჭდური საშუალებით და ინტერნეტით. ბიბლიოთეკაში ადამიანი მეტწილად კონკრეტული წიგნის მოსაძიებლად მიდის... არიან ისეთებიც, რომლებიც ერთი კონკრეტული გაზეთის ან ჟურნალის წასაკითხად მოდიან. მოდიან ცუდ ამინდშიც, დასველებულნი, შეციებულნი, ჩვენი ერთგული მკითხველები თავშესაფარს პოულობენ ბიბლიოთეკის დარბაზში, ვისურვებდი, ყველა მშობელს ჰქონდეს თავისი პატარისთვის წიგნის შეძენის საშუალება. მინახავს წიგნის მაღაზიაში ბავშვები, რომლებსაც დაუთვალიერებიათ წიგნები და გულდაწყვეტილი წასულან. მინდა მივმართო საზოგადოებას – მობრძანდით ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში, მოიყვანეთ ბავშვები, მათ აქ გულითადად მოემსახურებიან, მხოლოდ მიმდინარე წელს ბიბლიოთეკის ფონდი შეივსო 7780 ერთეულით, წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, აუდიო-ვიდეო მასალა... ბიბლიოთეკა გელით თქვენ, ძვირფასო მკითხველებო!

ლამაზად ცხოვრობს, ფიქრობს, მსჯელობს, ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარი, ჭეშმარიტად ღირსეული ბათუმელი, სწორედ ამიტომ მივაგეთ მას პატივი, რამეთუ ,,ყოველი კაცი ქვეყანაზე არის ის განძი, რომელსაც უნდა აღმოჩენა და დაფასება".

გაზეთი ,,აჭარა"

2014 წ. 4-5. 11. N -123

ეროვნული ბიბლიოთეკა

1978 წლის 26 მაისი ბათუმში

გახსენება

1978 წლის 26 მაისს ბათუმის ცენტრალური (ლენინის) მოედანი ხალხს ვერ იტევდა. აქ მიმდინარე იმ დროისათვის არნახული მასშტაბის მიტინგი ამაღლებული, ეროვნულ-პატრიოტული პათოსით იყო დამუხტული.

ბათუმის ისტორიული მიტინგის მნიშვნელობის შეფასება და მისი მსვლელობის დაწვრილებით გაშუქება საგანგებო გამოკვლევის საგანია და ღრმად კომპეტენტურ სპეციალისტს ხელეწიფება. ამ სტრიქონების ავტორი თავს უფლებას ვაძლევ, მოგაწოდოთ ფრაგმენტული ინფორმაცია, აწ გარდაცვლილთა ხსოვნა მავალდებულებს – სიმართლე ბოლომდე უნდა ითქვას!

1978 წელს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტი გახლდით. თბილისში 14 აპრილს სტუდენტების მიერ ქართული ენის სახელმწიფოებრიობის სტატუსის დასაცავად მოწყობილმა გახმაურებულმა დემონსტრაციამ სრულიად საქართველო აღაფრთოვანა, რა თქმა უნდა, ჩვენც გამუდმებით ამაზე ვსაუბრობდით. მით უფრო, რომ მალე აჭარის არ კონსტიტუცია უნდა მიღებულიყო, პროექტში არ ეწერა, რომ ქართული ენა სახელმწიფო ენაა. პასუხს კითხვაზე რა ვქნათ? ველოდით ბატონი აბელ სურგულაძისაგან (ნათელში ამყოფოს ღმერთმა), რომელიც ბათუმში გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების სტუდენტებისათვის იყო კაცი, რომლისაც სჯეროდათ.

17 მაისს ბატონმა აბელმა რუსიკო მეგრალაძეს და მე გვითხრა: ,,აჭარას ახლა სჭირდება თქვენი (სტუდენტების) შველა” აღელვებული იყო. ,,ინსტიტუტის თანამშრომელთა კრებაზე ბიჭიკო დიასამიძე და სერგო დუმბაძე გამოვიდნენ, მეც ვთქვი ჩემი სათქმელი, მაგრამ კონსტიტუციის პროექტი მიიღეს. ახლა ჯერი თქვენზეა, სტუდენტებმა უნდა თქვათ თქვენი სიტყვა.” ...აქვე ვიტყვი, რომ სტუდენტების მხარდამჭერი ლექტორები იყვნენ: აბელ სურგულაძე, ბიჭიკო დიასამიძე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუქრი ნიჟარაძე, ეთერ ჯიჯეიშვილი, შუშანა ფუტკარაძე, ნაზი მიქელაძე, მიშა ბედოშვილი, იური ჩხარტიშვილი, თენგიზ მოისწრაფიშვილი და ანზორ დიასამიძე.

იმ საღამოს ბათუმში, კიროვაკანის 57–ში, ბატონი აბელის სახლში გადაწყდა და დაიგეგმა სტუდენტების საპროტესტო აქციის მოწყობა. მისი მთავარი მოთხოვნა იყო: უმკაცრესი კონსპირაცია ,,საქმის გადარჩენისთვის". შემდეგ, ყველაფერი რომ გადაწყდა, დაკითხვებზე ძირითადად აინტერესებდათ ვინ იყო ორგანიზატორი, ბატონი აბელის პრინციპული მოთხოვნა იყო - არ ხსენებულიყო მისი სახელი, ჩვენ ეს შევასრულეთ. მალხაზ სიორიძეს დაავალა - ამ მოვლენის შეფასებას შენ გავალებო. ვერ შეასრულა მალხაზმა, არ დასცალდა. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში შეხვედრებზე - ღონისძიებებზე რამდენჯერმე იყო 26 მაისის მოვლენებზე საუბარი, გამგონი იქ არაერთხელ გაიგონებდა ყველაფერს, თუ ამის სურვილი ჰქონდა, რა თქმა უნდა. ერთ-ერთ ასეთ საღამოზე (100 მეტი ადამიანი ესწრებოდა) მე მალხაზს შევახსენე: ანდერძი გაქვს შესასრულებელი, შენ ხარ უშუალო მომწრე ყველაფრის, გახსოვს გვითხრა ბატონმა აბელმა: 30 წლის მერე (საოცარი წინასწარმეტყველება!) იქნება შესაძლებელი ამაზე სიმართლის თქმაო? მალხაზი მაშინ დამეთანხმა... თანაც ბატონმა აბელმა იწინასწარმეტყველა ,,მე დაგიტოვებთ დოკუმენტს, რომელსაც ისტორიული დოკუმენტის ფასი ექნებაო".

მსურველს შეუძლია გაეცნოს - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის ,,საისტორიო მაცნე" № 6, სადაც შემოკლებით არის მოცემული ბატონი აბელის თხოვნით ამ მოვლენებიდან მეორე დღესვე (,,ცხელ კვალზე") დაწერილი ჩემი კურსელის რუსიკო მეგრალაძის მოგონება. სრული მოგონება ბატონმა აბელმა გაგზავნა ბატონ ლევან სანიკიძესთან – „სამომავლოდ დაჭირდება საქართველოსო". ჩემთან ინახება სრული ვერსია ამ მოგონებისა, სადაც ყოველი წამია აღწერილი (ბევრისთვის ძალიან არასასიამოვნო ფაქტებია აღწერილი!).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსიკო მეგრელაძე, ნატო გოთოშია, თინიკო ნემსაძე, მალხაზ სიორიძე და მე – აი, ხალხი ვისაც ბატონი აბელი გვაძლევდა მითითებებს: უპირველეს ყოვლისა - სტუდენტების ინფორმირება, საპროტესტო მუხტის გაღვივება, „ქუდზე კაციო – რომ დავიძახებთ, რა ხდებაო? არ უნდა იკითხონო“. მისი აზრით, სტუდენტებს წერილით უნდა მიგვემართა საკონსტიტუციო კომისიისთვის. რუსიკო და მე ბატონ აბელს ყოველ საღამოს ანგარიშს ვაბარებდით დღის მანძილზე მომხდარის შესახებ, ვიღებდით შესაბამის კონსულტაცია-მითითებებს.

23 მაისს მალხაზი, რუსიკო და მე ბატონ აბელთან გამოვცხადდით, საკონსტიტუციო კომისიაში წასაღები წერილი მზად ჰქონდა, გაგვაცნო, აგვიხსნა, განმარტებები მოგვცა. კონსტიტუციის ისეთი ღრმა ანალიზია სტუდენტთა სახელით გაგზავნილ იმ მიმართვა-წერილში დიდი შორსმჭვრეტელობა არაა საჭირო იმის მისახვედრად, სტუდენტების დაწერილი რომ არ იყო ის ტექსტი!

ბატონმა აბელმა იქვე გადაგვაწერინა მე და რუსიკოს ტექსტი, ორიგინალი თავად დაიტოვა. წამოვიღეთ ის წერილი და წავედით ინსტიტუტში. ,,საქმისთვის აჯობებს სტუდენტთა მიერ უნდა იყოს დაწერილ-ორგანიზებული ყველაფერიო“, – დაგვარიგა, წამოვედით. ნოდარ ქედელიძე (ნათელში ამყოფოს ღმერთმა) საერთო საცხოვრებელთან შეგვხდა. ლევან ქამადაძე მე პირადად გამოვიყვანე ლექციიდან, მათ გავაცანით ჩვენს მიერ გადაწერი წერილი (რამდენიმე ეგზემპლარი გვქონდა) – „გაეცანით, როგორ ფიქრობთ არ გავაპროტესტოთ?“ მე-8 აუდიტორიაში შევედით, ისეთი ილუზია შევქმენით, რომ ალბათ, დღესაც ყველას გონია რომ იქ დაიწერა ის წერილი. მერე რამდენიმე ლექტორს წავაკითხეთ, ზოგ ხელნაწერში მათი ჩანაწერებიც იყო, რამაც მაგალითად ბატონ ჯ-ს პრობლემები შეუქმნა მერე. ძალიან ბევრი რამის მოგონება შემიძლია, ალბათ სხვა დროს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

24 მაისს დილიდან ინსტიტუტის ფოიეში ვზივართ გოგონები: რუსიკო მეგრელაძე, ნატო გოთოშია, თინიკო ნემსაძე და მე. მოდიან სტუდენტები, ეცნობიან წერილს, ხელს აწერენ. ვახტანგ ღლონტი, მაშინ ახალგაზრდა პოეტი, მოვიდა, მოიწონა ჩვენი აზრი. გვითხრა: ჩვენს ინსტიტუტში თუ ვინმეს აწუხებდა ეს პრობლემა არ მეგონაო, მეც თქვენთან ვარო. მერვე, მეცხრე აუდიტორიაში შეკრებილ სტუდენტებს შესაბამისი სამსახურიდან მოსული ადამიანები ,,ჭკუას გვარიგებდნენ" ახლა დაწყნარდით, მოკლედ – თქვენი ხმა არ გავიგონოთ, თორემოოო.... სამარისებური სიჩუმე იყო აუდიტორიაში და უცებ – ჩვენ არ გავჩუმდებით! ეს ვახო იყო და ამას მოყვა სტუდენტების ულტიმატუმი: თუ არ შეიცვლება კონსტიტუციის მუხლი, არ ჩაიწერება იქ რომ ქართული ენა არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა - თავს გავწირავთ!!!

24 მაისს 15 საათზე საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს, საქართველოს კომპარტრიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს, ვახტანგ პაპუნიძეს დავუტოვეთ სამასამდე სტუდენტის მიერ ხელმოწერილი მიმართვა.

25 მაისს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ მხოლოდ 3 სტუდენტი მიიღო: ვახტანგ ღლონტი, მალხაზ სიორიძე და ნოდარ ქედელიძე. შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა. მოვილაპარაკეთ: მეორე დილით არ უნდა შევსულიყავით ლექციებზე, სტუდენტები ორგანიზებულად უნდა წაგვეყვანა მოედანზე, უნდა გაგვეფრთხილებინა მაქსიმალურად ბევრი ნაცნობ-მეზობელი. ამგვარი მოლაპარაკებით დავშორდით ერთმანეთს.

მე და რუსიკო კვლავ ბატონ აბელთან ვართ. ის ჩვეული პათოსით არ საუბრობდა: ,,ვაი, თუ კოკამ ამჯერად წყალი არ მოიტანოს... მე დახვრეტილი დემონსტრაცია მახსოვს"... ,,ჩვენ უკან დახევას არ ვაპირებთ" – იყო ჩვენი პასუხი, ,,სხვა პასუხს არც ველოდიო". უკანასკნელი დარიგებები მივიღეთ, „არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოეგოთ არანაირ პროვოკაციაზე“ – ბოლოს რამდენჯერმე გაგვიმეორა.

ღამის 12 საათია, მე და რუსიკო ბატონი აბელის სახლიდან ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში წავედით. იქ უკვე მალხაზ სიორიძის, ნოდარ ქედელიძის, ლევან ქამადაძის მიერ სტუდენტები ინფორმირებულ-მომზადებულნი დაგვხვდნენ. ნოდარი ქედელიძის ოთახი უცებ გაივსო სტუდენტებით: თემურ ზოიძე, ნოდარ ვასაძე, ლევან ქამადაძე, ნოდარ ქედელიძე (სამწუხაროდ, სხვათა სახელები არ მაგონდება) ,,ჩემი კურსის პასუხისმგებელი მე ვარ! ჩემი კურსის – მე!“ ისმოდა აქეთ-იქედან. დღესაც სიამაყით ვიხსენებ საერთო საცხოვრებლის ბიჭებს – თქვენ უსახელო გმირები ხართ, ბოლო წამამდე იდექით ლომებივით ჩემს კურსელ ბიჭებთან ერთად მოედნის შუაგულში (მოსალოდნელი დარტყმის ეპიცენტრში) ასვალტზე დაჩოქილ-ჩამომჯდარი მუხლებგადატყავებული ჩემი კურსელი გოგონების (არამარტო) გვერდით!

მეორე დღეს 26 მაისი თენდებოდა!

26 მაისი, 8 საათი. ინსტიტუტის ეზო თანდათან ივსება. რამდენიმე შეშფოთებული ადამიანი სტუდენტთა ერთი ჯგუფიდან მეორესთან მირბოდა ,,დაიშალეთ!, დაიშალეთ!“ ისმოდა აქეთ-იქედან... სტუდენტები ინსტიტუტის წინ ვიდექით, თანდათან გვემატებოდა ხალხი, მათ შორის 30 ჩემი კურსელი იყო, ბიჭები შედიოდნენ და აუდიტორიიდან გამოყავდათ სტუდენტები, ინსტიტუტის კარები ჩაკეტეს, სტუდენტები ფანჯრებიდან ხტებოდნენ!

მოგვიანებით მოედანზე ბევრი რამ სპონტანურად კეთდებოდა, მაგრამ ახლა ჩვენ ვიცოდით, რომ აუცილებლად უნდა მივსულიყავით მოედნამდე, თუნდაც თითო-თითო. მოვუწოდეთ სტუდენტებს: ,,ერთად მისვლა არ გამოდის, სწრაფად როგორმე მივაღწიოთ მოედნამდე.“ დავიძარით და რამდენიმე წუთში ნინოშვილის, სტალინის, რუსთაველის ქუჩებიდან მოედანზე შემოვიდა ახალგაზრდების ნაკადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის სახლის წინ 500-მდე სტუდენტი შეიკრიბა. უნდა გაგვეძლო რამდენიმე საათი, ვიდრე შემოგვიერთდებოდა ბათუმელები, რისი იმედიც გვქონდა, გავაკეთეთ სია: ვინ სად წავიდოდა და წავიდნენ მოხალისეები ქარხანა-ფაბრიკებში, სკოლებში, ავტოსადგურში, საკოლმეურნეო მოედანზე... და მოვიდნენ: ბაზრიდან პარკებით დატვირთული ხალხი, ახლო-მახლო სოფლებიდან ფეხით ჩამოსული ადამიანები, მასწავლებლები მოუძღოდნენ თავიანთ მოსწავლეებს - ქალბატონი გულთამზე ვადაჭკორია მაგონდება, სამხატვრო სასწავლებლიდან მოსულმა ბავშვებმა სახელდახელო პლაკატები ,,პომადებით" გააკეთეს (კაკო ძნელაძე, დათო - გვარი არ მაგონდება), სამუსიკო სასწავლებლიდან მოვიდნენ (თამაზ ნიკოლაიშვილი მომაგონდა), არ დამავიწყდება მათი ,,ჟუჟუნა წვიმა მოვიდაააა ...” ბათუმური წვიმის მოსვლას რომ მიუძღვნეს, გაწვიმდა, მაგრამ მოედნიდან არავინ არ წასულა, პატარები ,,დედაენით” ხელდამშვენებულები იდგნენ, მოსწავლეები მღეროდნენ, ლექსებს ამბობდნენ... გმირები იქვე იბადებოდნენ! იმ დღეს მოედანზე შეკრებილი ადამიანები, უკლებლივ ყველა გმირი იყო. მე ქედს ვიხრი მათ წინაშე!

მახსოვს: ომის ვეტერანი (ბაბულია კვაჭაძე ყოფილა), რომელმაც ასეთი სიტყვებით მიმართა შეკრებილთ: „თქვენი სირცხვილი ჩვენო მთავრობავ. ქართული ენის დასაცავად არის მოსული ახალგაზრდები. რა ღმერთი გიწყრებათ? ახალგაზრდებო, ძველი ბოლშევიკები თქვენ გიჭერთ მხარს! გაუმარჯოს ქართულ ენას!” ბიჭებმა ეს კაცი ხელში აიყვანეს და ტაშის გრიალში მთელი მოედანი შემოატარეს.

თვალცრემლიანი პატარა ბიჭი (სოსო სტურუა ყოფილა) - ,,ეხლა ვისწავლე დედაენა, გინდათ დამავიწყოთ?“ თეთრწვერებიანმა მოხუცმა ეს ბავშვი ხელში აიყვანა, მეხის გავარდნას გავდა მისი ხმა: ,,მთაში რომ ავალ რა ამბავი ავიტანო?“ მთავრობის სახლისკენ მიაპყრო მზერა ,,ის , რაც მტერმა ვერ ქნა, თქვენ უნდა ქნათ?“ საოცარი წუთები იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ტიროდა... ,,იავნანას“ ჰანგები მოეფინა მოედანს, დაჩოქილები ვმღეროდით, ლექსები, ლექსები... ნუნუკა ქირია, ზუგდიდელი, ჩემი კურსელი არ გაჩერებულა, ლექსებს კითხულობდა, დღის ბოლოს საერთოდ დაკარგა ხმა.

ჩემს ჩანაწერებში ვნახე: ,,ძალიან აქტიურობდნენ: ნინო მურვანიძე, ახალგაზრდა ყმაწვილი ვინმე თავართქილაძე, ნესტორ მალაზონიას შვილიშვილი ირაკლი, გოდერძი ტოტოჩავა, ყურშა (ბატონი თემურ ყურაშვილი ყოფილა), ლევან ჭანუყვაძე და ძმები ჩავლეიშვილები”...

ირაკლი ჩავლეიშვილმა დემონსტრაციაზე რუსთაველის პორტრეტი შემოიტანა, ახალგაზრდებმა ხელში აიტაცეს ირაკლი სურათითურთ, რამდენიმე წუთის განმავლობაში ცისკენ აღმართული რუსთაველის პორტრეტი მოჩანდა და დაჩოქილი სტუდენტების ვედრება ისმოდა: ქართული ენა სახელმწიფო ენა ...

მიტინგის შემდეგ ბატონ აბელთან მივედით. ხმა არც ერთს არ გვქონდა. თავდახრილი გვისმენდა. ერთმანეთს გადავხედეთ, „რატომ არაფერს ამბობს, არ გვიყურებს?“ გავჩუმდით, თავი აწია – ტიროდა... უცებ ავდექით ყველა და ერთმანეთს ჩავეხუტეთ.

იმ წუთებისთვის ღირდა ჩემი ამქვეყნად მოსვლა!

ბატონმა აბელმა ქუთაისელ კოლეგას და მეგობარს ბატონ ტარიელ ჭიღვარიას დაურეკა: „ჩვენ ეს გავაკეთეთ!“ ტარიელის მოგონება ამ თემაზე ლიტერატურულ ჟურნალ ,,განთიადში“ (2016 წ. №3–4) დაიბეჭდა. მე მხოლოდ იმას გეტყვით, რომ 27 მაისს, დილის 6 საათზე ტარიელი ბათუმში იყო... ,,როგორ ამბობდითო? ვინც არ ზის რუსიაო?“

ღმერთო, მომასწარი ქართველთა ისეთი ეროვნული ერთსულოვნება, მაშინ რომ გვაერთიანებდა!

ნატო ჭყონია

მანანა სულაბერიძე

წამყვანი ბიბლიოთეკარი.

წიგნების სამყაროს გზამკვლევი

,,მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული... მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს“... – ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ სტრიქონებს უთუოდ ამოატივტივებს მეხსიერება, მანანა სულაბერიძეს თუნდაც ერთხელ რომ მოუსმინოთ ეს მშვენიერი ქალბატონი უკვე მრავალი წელია, რაც ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ისე ხატოვნად და გააზრებულად წარმართავს ლიტერატურულ თუ სხვა ღონისძიებებს, რომ შეუძლებელია ღრმა პატივისცემისა და სიმპათიის გრძნობით არ განიმსჭვალო. გამოჩენისთანავე აუდიტორიას იპყრობს – საუბრის მანერა, ხმის ტემბრი გამორჩეულად სასიამოვნო და შთამბეჭდავია, ამიტომაც, მას მუდამ სიყვარულითა და ინტერესით უსმენენ. ეს სანდომიანი ქალბატონი ძირძველი ბათუმელია, რომელიც არა მარტო თავისი პროფესიული საქმიანობით გამოირჩევა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ თავისი ტრადიციული ოჯახით, წინაპრებით, რომლებიც ორგანულად ერწყმოდნენ ბათუმს და მას წლების განმავლობაში ხიბლს მატებდნენ. ძველი ბათუმელები ახლაც აღტაცებით იგონებენ მანანას მამას - ქალაქის კოლორიტს, აჭარის კულტურისა და ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მხატვრული კითხვის გამორჩეულ ოსტატს პეტრე სულაბერიძეს, რომელმაც ზეპირად იცოდა ქართული პოეზიის შედევრები, მანანა სულაბერიძე ამ ძლიერ ფესვებზე ამოიზარდა, ჩვენი დიალოგი დიდი ძალისხმევის შემდეგ შედგა, საგაზეთო რა გავაკეთეო, თავმდაბლობდა. დასმულ კითხვებს ამომწურავად და გულრწფელად უპასუხა, ამიტომაც ვარჩიე, თავად მას მოუსმინოთ.

ჩემი ფესვები - დიახ, ძირძველი ბათუმელი ვარ. ბაბუა - ნიკიფორე სულაბერიძე მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ჯერ ბათუმის ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო, შემდეგ - სანაოსნოს საქმეთა სამმართველოს უფროსი. სამწუხაროდ, 37-ში გადაასახლეს. დედის მხრიდან ბაბუა - სიმონ ყაჭეიშვილი, მენავთობეთა დაბის პირველი კომისარი იყო. მამაჩემი პეტრე სულაბერიძე - ცნობილი ხელოვანი, ენციკლოპედიურად განათლებული პიროვნება გახლდათ, ქართული პოეზიის ღრმად მცოდნე და მხატვრული კითხვის ოსტატი. მან დიდი ზეგავლენა იქონია ჩემზე, ლიტერატურა სწორედ მამამ შემაყვარა. ის ხშირად სტუმრობდა სხვადასხვა ქვეყანას და ყველგან შეჰქონდა ქართული ლექსის სიტკბო და მადლი. პეტრე სულაბერიძის შვილობა უდიდესი პასუხისმგელობაა ჩემთვის. სცენაზე გასვლის წინ კი ასე ვევედრები უფალს: ღმერთო ბრძნულად მამეტყველე, მამაჩემის სულს რომ ესიამოვნება, ისე წამაყვანინე ღონისძიება-მეთქი. მამა ძალიან ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, 56 წლისა, მისი სახით საუკეთესო მეგობარი დავკარგე. ძალიან მტკივა უმისობა. დედაჩემი - ეთერ ყაჭეიშვილი საქართველოს დამსახურებული მასწავლებელია. მან 48 წელი იმუშავა სოფელ განთიადის სკოლაში. მისი დამსახურებაა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმთავითვე გავაცნობიერე - იყო კარგი ოჯახის კარგი შვილი, ეს ისეთი მოვალეობაა, რომელიც დიდი მოწადინებითა და სიყვარულით უნდა შეასრულო. დედ-მამის წყალობით არაჩვეულებრივ გარემოში ვიზრდებოდი, ჩვენს ოჯახურ სალონში იკრიბებოდნენ მწერლები, ხელოვანები, მეცნიერები, იყო სჯა-ბაასი საჭირბოროტო საკითხებზე, კითხულობდნენ ლექსებს, მეც მაკითხებდნენ, ვუკრავდი პიანინოზე, ვმღეროდი... მერე ქართული ტრადიციული სუფრაც იშლებოდა, იწყებოდა ლხინი და სუფრის თამადა – მამაჩემი მჭერმეტყველებდა. ახლაც ჩამესმის მისი ხავერდოვანი, მგზნებარე ხმა და იმ დღეებს მახსენებს, როცა მას აღტაცებით შეჰყურებდნენ.

ჩემი ცხოვრების ქრონიკები – სკოლაში კარგად ვსწავლობდი, აქტიური მოსწავლე ვიყავი, ვმონაწილებდი შემოქმედებით ოლიმპიადებში, ტურებში, კონკურსებში, უმეტესწილად ვიმარჯვებდი. სტუდენტობა კი ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებია. ვიყავი ინსტიტუტის ქორეოგრაფიული ანსამბლის სოლისტი, ვმართვადი სტუდენტურ ღონისძიებებს; სტუდენტობაში დავოჯახდი და გავხდი დედა. შემდეგ იყო სხვადასხვა სამსახურში მუშაობა, სცენა, ღონისძიებები, პარალელურად – ოჯახი, ორი ვაჟის აღზრდა. ახლა ამას ბებიობაც დაემატა, სამი შვილიშვილი მყავს, ვაჟები. ეს საოცარი განცდაა, საოცარი სიხარული; ამჟამად ვმუშაობ, ვწერ სცენარებს, სკოლებსა თუ საჯარო ბიბლიოთეკაში ვატარებ ლიტერატურულ საღამოებს, შეხვედრებს, ახალი წიგნების წარდგინებებს და ა.შ.

როგორ წარვადგენ წიგნს? – ვცდილობ, იმ წიგნში, რომელსაც წარვადგენ, ვიპოვო ავტორის ძირითადი სათქმელი და ეს მივაწოდო საზოგადოებას. მწერალი რომ გაითავისო და შეიგრძნო ამისთვის რაა საჭირო? ჩემი აზრით, ნაწარმოებში ჩაღრმავება, ქვეტექსტებისა თუ სიმბოლოების ამოკითხვა, მწერლის ნააზრევზე ჩაფიქრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოების წაკითხვა, უბრალოდ, კითხვის პროცესი არ არის, ეს, იმავდროულად, აზროვნებაა, რისთვისაც ზეგარდმო ნიჭი სულაც არ არის საჭირო - ყველა ადამიანი მოაზროვნეა, მთავარია, გონების მოკრება, ფიქრის უნარი, ასე ვთქვათ, გონების სიღრმით წვდომა. ჩემი აზრით, ამ ციფრულ საუკუნეშიც წიგნი არ დაკარგავს თავის ფუნქციასა და დანიშნულებას. თავის მხრივ, კომპიუტერსაც აქვს მნიშვნელოვანი დანიშნულება ინფორმაციის სწრაფად და ჭარბად მიწოდების თვალსაზრისით, მაგრამ წიგნი მაინც სხვა ემოციაა, ხატოვანებაა... და, შესაბამისად, შეუცვლელია.

რა გვაყალიბებს ადამიანად? – ეს ადამიანური სათნოებანია, მაგალითად, მადლიერება, თავმდაბლობა, მიმტევებლობა (თუმცა ეს ურთულესია), მზრუნველობა; საერთო ჯამში ეს ყველაფერი გვაყალიბებს ადამიანად. პირადად მე, ჩემი ხასიათის მთავარ თვისებად მზრუნველობის გრძნობა მიმაჩნია, როცა ეხმარები და ზრუნავ სხვაზე, ამით არა მარტო მათ, არამედ საკუთარ თავსაც აძლიერებ, რწმენითა და იმედით შეჰყურებ მომავალს და სიკეთეს აღვივებ...

ვერ ვიტან სხვის დაცინვას, დამცირებას, ცინიზმს. სხვისი განკითხვა ჩემთვის მიუღებელია; უნდა შეეცადო ადამიანში ღირსებების გაღვიძებას. ადამიანებმა ერთმანეთი სულიერად უნდა გააძლიერონ, ყველა ჩვენი ნაბიჯი სიყვარულით უნდა იყოს ნასაზრდოები, მუდამ უნდა გვახსოვდეს თვით დიდი ნიჭიც კი სიყვარულის გარეშე არაფერია. ,,მთელი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასაწვავად გავწირო, ხოლო სიყვარული არ მქონდეს, არაფრად ვევარგები“ (1 კორინთელთა 13. 3). როგორ მესმის ბედნიერება? - ბედნიერება სხვადასხვაგვარად შეიძლება განსაზღვრო. მაგალითად უმთავრესი ბედნიერება, ალბათ, ის არის, რომ ირგვლივ ყველა კარგად გეყოლება, როცა ხარობ შვილებით, შვილიშვილებით. ბედნიერებაა, როცა შეგიძლია, გააკეთო ისეთი რამ, რითაც ადამიანებს გულებს გაუთბობ და სიხარულს აჩუქებ... ბედნიერებაა, რომ ვარსებობთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მიუხედავად პრობლემებისა და გულისტკივილისა) და ყოველ დღეს მზე გაგვინათებს... ულამაზესი ყვავილების ხილვა და მისით ტკბობა განა ბედნიერება არ არის? ჩვენ ხომ ბუნების ნაწილი ვართ, მის სილამაზეში შერწყმული და ბუნების ულამაზესი პეიზაჟებიც სიხარულსა და ბედნიერებას გვანიჭებს. მაგალითად, გლადიოლუსის – ამ ულამაზესი ყვავილის ხილვისას, ბედნიერების განცდა მეუფლება.

გზა შინაგანი სრულყოფისაკენ - ასეთ გზად რელიგია მესახება. მიუხედავად იმისა, რომ მუდმივად ვკითხულობ ლოცვებს, ფსალმუნებს, წმინდა წერილებს, მაინც ვერ ვიტყვი რომ რელიგიური ვარ და ყველა რიტუალს ვასრულებ სათანადოდ. ეს დიდი ამპარტავნება იქნება ჩემი მხრიდან. მიმაჩნია, რომ რელიგიურობა საკუთარ თავში ჩაღრმავებაა, საკუთარ სინდის-ნამუსთან მუდმივი შეხმიანება, საკუთარ შეცდომებზე დაფიქრება და, რაც მთავარია, სინანულია! სინანული ყოველი არასწორი ნაბიჯის, სხვისთვის მიყენებული გულისტკენის მოუზომავად ნათქვამი სიტყვის და სხვათა და სხვათა შეცოდებათა გამო. და კიდევ, რელიგიურობა, ჩემი აზრით, არც მხოლოდ წირვა-ლოცვებზე დასწრება და ყველა საეკლესიო რიტუალის შესრულებაა, რელიგიურობა ღვთისადმი მადლიერების გამოხატვაა, გულწრფელობაა, გაადამიანებისათვის ზრუნვაა, სიკეთის ქმნაა. ამის გათავისება სწორ მიმართულებას გვაძლევს, გავიაზროთ თვით სიკვდილის ფილოსოფიური არსიც, იგი ამ სოფლის დასასრულია, მაგრამ მარადისობის დასაწყისი - ასე თუ არ გწამს, რელიგიურობაზე საუბარიც ზედმეტია, დიახ, სიკვდილი გარდასახვაა, გარდასვლაა, სხვა განზომილებაში, ნათელთან მიახლოებაა.

გრიგოლ ხანძთელის მონატრება – ჩვენი ისტორია ჩვენი თვითმყოფადობის ბალავარია, ძლიერი და დიდი პიროვნებები მრავლად გვყავდა, მაგრამ რომ შეიძლებოდეს ახლა გავაცოცხლებდი და საშველად მოვუხმობდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უდაბნოთა ქალაქთმყოფელს“, „ერისკაცსა და ქუეყანისა ანგელოზს“ გრიგოლ ხანძთელს. სწორედ მისნაირი ძლიერი პიროვნება სჭირდება დღევანდელ საქართველოს რწმენაში განსამტკიცებლად, ერისა და ბერის საქვეყნო ინტერესებისთვის გასამთლიანებლად.

ეს მოგონება თან მდევს – ხშირად მაგონდება – ვდგავარ სცენაზე მამაჩემთან ერთად. „ვეფხისტყაოსნიდან“ ტარიელისა და ნესტანის მონოლოგებს ვკითხულობთ. ეს ხანდახან მესიზმრება კიდეც... უკვე 30 წელია, რაც მამა გარდაიცვალა სულ ამ სიზმარს ვნახულობდი და მიჩნდება განცდა, რომ მამა კვლავ ჩემთანაა, არ მტოვებს, ძველებურად მამხნევებს, ძალას მმატებს, მასწავლის. მე ხომ 12 წლის ასაკიდანვე ვმონაწილეობდი მამის საღამოებში, რომლის ექო ახლაც მძლავრად მხმიანებს, ახალი ენრგიითა და რწმენით მავსებს; ასეა, პოეზია სულის სინათლეა, რომელიც არასოდეს ჩაქრება.

რას ნიშნავს კარგი ბათუმელი? – ბათუმი ჩემთვის მარტო მშობლიური და ლამაზი ქალაქი როდია, იგი ღირსებაა, დიდი მეგობრობაა, ზღვა სიყვარულია. იყო კარგი ბათუმელი, ნიშნავს იყო გულთბილი, გულგახსნილი და მოყვასი, თანადგომის უნარის მქონე, მზრუნველი... ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი სხვა ქალაქში, ბათუმი ჩემთვის ყველაფერია!

P.S. თუ ამ აფორიაქებულ და დაძაბულ დროში ტატოსებური განცდა – „სად განისვენოს სულმან, სად მოიდრიკოს თავი“ – მოგეძალებათ, გირჩევთ, განწყობის ამაღლებისათვის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას ეწვიოთ, სადაც მორიგ ღონისძიებებზე კეთილაღნაგი და მოაზროვნე ქალბატონი მანანა სულაბერიძე პოეზიის, სილამაზისა და სიყვარულის საუფლოში გამოგზაურებთ.

გაზეთი „აჭარა“

ფონდების დაკომპლექტებისა და კატალოგების ორგანიზების განყოფილება

სხედან: ნუნუ ზაიცევა და ეკატერინე ნაროზაშვილი,
დგანან: ნანა გვარიშვილი, რუსუდან ყაჭეიშვილი, როენა დონაძე,
თამთა ჭყონია და ნუნუ მალაყმაძე (განყ. უფროსი)

განყოფილების ძირითად ამოცანას შეადგენს ბიბლიოთეკის ფონდის დაკომპლექტება ახალგამოცემული ლიტერატურით მკითხველთა მოთხოვნილებათა და სავალდებულო ეგზემპლიართა გათვალისწინებით.

ფონდების დაკომპლექტება ხდება როგორც გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით ასევე ავტორებისაგან და სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან საჩუქრად გადმოცემული ლიტერატურით. საბიბლიოთეკო ფონდის შესყიდვის მიზნით საქმიანი ურთიერთობების დამყარება ხდება გამომცემლებთან, ავტორებთან და გამავრცელებლებთან.

განყოფილებაში ხდება ახალშემოსულ საბიბლიოთეკო ფონდებზე მუშაობა, შემოსული ერთეულის შედარება თანმხლებ დოკუმენტთან, აქტის შედგენა, საჭიროების შემთხვევაში აფასება, შემოსული ერთეულის ინდექსაცია, კლასიფიკაცია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით; წიგნების დამუშავდება ხდება ტექნიკურად (ჯიბაკისა და იარლიყის დაწებება, დათეგვა) და ბიბლიოთეკურად. შემოსული ერთეულის ინდივიდუალური აღრიცხვა ხდება ფონდების საინვენტარო წიგნებში ფორმატებისა (I-II-III-IV) და ენების მიხედვით, ასევე ჯამობრივი აღრიცხვის ჟურნალებში; ლიტერატურის აღრიცხვა-დამუშავების შემდეგ ხდება ფონდების გადანაწილება სხვადასხვა განყოფილებებში; ახლად მიღებულ წიგნებზე იწერება გენერალურ-ანბანური და სისტემატური ბარათები და მრავლდება სხვადასხვა განყოფილებებისათვის. განყოფილებაში წარმოებს ფონდების ელექტრონული კატალოგის შექმნისათვის ხელშეწყობა (თემატიკისა და პერსონალის მითითება). ასევე იწერება დამატებითი ბარათები სათაურზე და მეორე ავტორზე. საკატალოგო ბარათები ჩაწყობილია გენერალურ-ანბანურ და სხვადასხვა განყოფილებების საკატალოგო ყუთებში. საჭიროებისამებრ უკეთდება ახალი რუბრიკები.

აღსანიშნავია საბიბლიოთეკო ფონდის რეინვენტარიზაცია, რეკლასიფიკაცია და რეკატალოგიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობა, რომელიც 2010 წელს დაიწყო.

მიმდინარეობს საბიბლიოთეკო ფონდის შესწავლა, ზედმეტი ეგზემპლიარების, ტექნიკურად დაზიანებული, შინაარსობრივად მოძველებული და ხმარებისაგან გაცვეთილი გამოცემების გამოვლინება; ფონდიდდან გასარიცხი საბიბლიოთეკო დოკუმენტის სიის შედგენა, ჩამოსაწერ საბიბლიოთეკო ფონდებზე აქტების შედგენა; საბიბლიოთეკო ფონდების გარიცხვა საბიბლიოთეკო საინვენტარო წიგნიდან და მათზე არსებული კატალოგების ამოღება საკატალოგო ყუთებიდან და ელექტრონული კატალოგების სისტემიდან.

ადგილზე განყოფილების მუშაკების მიერ ტარდება კონსულტაციები ბიბლიოთეკის მუშაკებისათვის საკატალოგო მეურნეობის, კლასიფიკაციის, წიგნების აღრიცხვა-დამუშავების საკითხებზე.

ნუნუ მალაყმაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძირითადი წიგნსაცავის განყოფილება

ნინო ვაშაყმაძე (განყ. უფროსი), ნანული ვაშაკიძე და ნატალია გიორგაძე

აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ძირითადი წიგნსაცავი. ძირითადად წიგნსაცავში დაცულია მეცნიერეული და კულტურული ღირებულების 124 812 ბეჭდვითი ერთეული ქართულ და რუსულ ენებზე. წიგნები მოთავსებულია სტანდარტულ თაროებზე ფორმატული რიგითი განლაგებით, ძირითად საცავში დაცული ქართველი, უცხოელი კლასიკოსების, ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, ფსიქოლოგების, გეოგრაფების, მოგზაურების 100 წელზე მეტი წლის წინ დასტამბული შრომები იშვიათ გამოცემათა ფონდს შეადგენენ.

ძირითადი წიგნსაცავის თანამშრომლები ჩვენს საქმიანობას წარვმართავთ წინასწარ შედგენილი გეგმით. ვემსახურებით მკითხველებს, ვაწარმოებთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამკითხვალო დარბაზზე გადაცემული წიგნების ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალს. ვღებულობთ ახალ წიგნებს,ვახარისხებთ ენებისა და ფორმატების მიხედვით. მივუჩენთ სათანადო ადგილს სტელაჟებზე. კალენდარული და თემატური გამოფენებისათვის შესაბამის განყოფილებას ვაწვდით საჭირო წიგნებს. ჩართული ვართ ბიბლიოთეკის მნიშვნელოვან და შრომატევად წიგნების რეკლასიფიკაცია-რეინვენტარიზაციის პროცესში. ჩვენ გვევალება ძირითად წიგნსაცავში არსებული წიგნადი ფონდის მომზადება ამ პროცესისათვის. ძირითადი წიგნსაცავის თანამშრომლები ჩვენს უპირველეს მოვალეობად ვთვლით მაღალპროფესიულ დონეზე მოვემსახუროთ ბიბლიოთეკის მკითხველებს. გამოვიჩინოთ მათ მიმართ ყურადღება, დავეხმაროთ სათანადო ლიტერატურის შერჩევაში - ყოველივე ამაში ახალმიღებული წიგნების თემატური მრავალფეროვნებაც გვიწყობს ხელს. შესაბამისად, ნებისმიერი პროფესიის სხვადსხვა გემოვნების მქონე მკითხველის მოთხოვნის დაკმაყოფილებაა შესაძლებელი, რაც ძალიან აიოლებს და სასიამოვნოს ხდის ჩვენს საქმიანობას.

განყოფილებაში მუშაობენ: ნინო ვაშაყმაძე, ნანული ვაშაკიძე და ნატალია გიორგაძე.

ნინო ვაშაყმაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ლიტერატურის განყოფილება

ზურაბ მესხიძე, მადონა ბაკურიძე, სალომე ჟორჟიკაშვილი ქეთევან ხოსრუაშვილი (განყ. უფროსი) და მამუკა საფარიძე

უცხოური ლიტერატურის განყოფილების საქმიანობა სპეციფიკურია და მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას. ემსახურება უცხოელებს, საჯარო სკოლებში მომუშავე ამერიკელ პედაგოგებს, უცხო ენის სპეციალისტებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს და სხვა მომხმარებელს ფონდში დაცული მხატვრული და დარგობრივი თემატიკის უცხოენოვანი წიგნების (ინგლისური,ფრანგული,გერმანული,თურქული,უკრაინული,იტალიური,ესპანური,ებრაული და სხვ.) სახლში გატანით, კატალოგებით, ელექტრონული ტექნიკური საშუალებებით. განყოფილება ატარებს კულტურულ-ინფორმაციულ ღონისძიებებს, აწყობს კალენდარულ და თემატურ გამოფენებს. ქმნის განყოფილების ფონდის ელექტრონულ კატალოგებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კულტურულ-ინფორმაციული ცენტრი „ამერიკული კუთხე“ მკითხველებს სთავაზობს მხატვრული და დარგობრივი თემატიკის წიგნების, ლექსიკონების, ენციკლოპედიების, სასწავლო მასალების CD-ROM-ების, DVD მულთფილმების, ვიდეო-დოკუმენტური კასეტების, აუდიო წიგნებისა და პერიოდული გამოცემების მდიდარ კოლექციას, ვორქშოპებს, სხვადასხვა კლუბებს, სადღესასწაულო ზეიმებს, პრეზენტაციებს, ლექციებს გამოჩენილი ამერიკელი სპიკერებისა და მშვიდობის კორპუსის მოხალისეების ჩართვით. მომხმარებლებს საშუალება აქვთ ისარგებლონ უსადენო ინტერნეტით (WI-FI).

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად იზრდება მკითხველთა და მომხმარებელთა რაოდენობა.

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის უცხოური ლიტერატურის გამგე – ქეთევან ხოსრუაშვილი.

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის „ამერიკული კუთხის“ კოორდინატორი – სალომე ჟორჟიკაშვილი.

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის „ამერიკული კუთხის“ მთავარი სპეციალისტი – მადონა ბაკურიძე.

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის „ამერიკული კუთხის“ პროგრამების კოორდინატორი - მამუკა საფარიძე

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის „ამერიკული კუთხის“ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი - ზურაბ მესხიძე.

ქეთინო ხოსრუაშვილი

სალომე ჟორჟიკაშვილი

სალომე ჟორჟიკაშვილი 26 წლისაა. იგი უკვე მეორე წელია ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ამერიკულ კუთხის კოორდინატორია. ეს მისი პირველი სამუშაო ადგილია. სალომე ფიქრობს, რომ საინტერესო სამსახური აქვს და აქ დიდ გამოცდილებას იღებს. ,,პროფესიით ინგლისური ენის ფილოლოგი ვარ. ჩვენი კუთხე ხშირად აწყობს სხვადასხვა სახის აქტივობებს-დისკუსიებს, ფილმების ჩვენებას, ამერიკული კულტურის შესახებ პრეზენტაციებს. მე ამ საღამოების ორგანიზატორი ვარ. ჩვენი ბიბლიოთეკით სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ. ბევრ ადამიანთან მაქვს ურთიერთობა და ეს უფრო საინტერესოს ხდის მუშაობას,'' – ამბობს სალომე ჟორჟიკაშვილი.

გაზეთი ,,ბათუმელები''.N37
24/30 სექტემბერი/2012

აშშ-ს სახელმწიფო დეპარ–ტამენტის განათლებისა და კულტურის საქმეთა ბიუროს მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი ,,სტუმრად ამერიკაში''.

ამ პროექტის მონაწილე - სალომე ჟორჟიკაშვილი (მარჯვნიდან მეორე).
ქ. ვაშინგტონი, 2017 წლის დეკემბერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინფორმაციული ტექნოლოგიების და ელექტრონული რესურსების განყოფილება

მზია ლაბაძე, ლია ბოლქვაძე, მედეა ფუტკარაძე, ეკატერინე წუწუნავა და ნატალია კაკიტაძე (განყ. უფროსი)

აბონემენტის განყოფილება

ლელა ჭყონია, ნაირა მენაფირე (განყ. უფროსი), დალი რამიშვილი და მაია ინაიშვილი

კულტურული პროგრამების და სამკითხველო დარბაზებით მომსახურების განყოფილება

მანანა ყაჭეიშვილი, ელენე ტუღუში, მაია ჩხატარაშვილი (განყ. უფროსი) და ირმა ბერიძე, პერიოდიკის დარბაზი

ყველა გაზეთს თავისი მკითხველი ჰყავს

მაია ჩხატარაშვილი, ბიბლიოთეკარი, პროფესიით ბიოლოგია, იგი 24-ე წელია საჯარო ბიბლიოთეკაში, პერიოდიკის განყოფილების მთავარი ბიბლიოთეკარია. მისი ყოველი სამუშაო დღე ახალი პრესის გაცნობით, დალაგებით და მკითხველისთვის მიწოდებით იწყება.

მაია და მისი თანამშრომლები პერიოდიკის განყოფილებაში დღეში დაახლოებით 50-დან 70-მდე მკითხველს ემსახურებიან. ძირითადად პენსიონერები მოდიან გაზეთების წასაკითხადო – ამბობს ბიბლიოთეკარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერი მალაყმაძე, ნანა გოგელია, ინგა კოჟიაშვილი და შორენა ვასაძე, საერთო სამკითხველო დარბაზი

,,გააჩნია ამინდსაც. ახლა გათბობა გვაქვს და უფრო დიდხანს ჩერდებიან. ისე ძალიან რომ უნდოდათ წაკითხვა, სიცივეშიც ისხდნენ, მაგრამ წელს მოგვარდა გათბობის საკითხი. დღეს დილიდან სავსე იყო დარბაზი. ყველა ასაკის მკითხველი გვყავს.

ყველა გაზეთს მისი მკითხველი ჰყავს. უკვე ვიცი, რომელი მკითხველი რომელ გაზეთს აიღებს. ზოგს ,,რეზონანსი" უყვარს, ზოგი მარტო ,,ბათუმელებს" კითხულობს. ერთი კაცია, რომელიც მარტო ,,ლელოს" წასაკითხად მოდის. რამდენიმე წელია ასე დადის, წაიკითხავს ,,ლელოს" და წავა. ყველაზე მეტად მოთხოვნადი გაზეთები ,,ასავალ-დასავალი", ,,ალია", ,,ქრონიკა" და ,,კვირის პალიტრაა". ადგილობრივ გაზეთებს შორის ,,ბათუმელებს" და ,,აჭარას" კითხულობენ", - ამბობს მაია.

პერიოდიკის განყოფილების მთავარი ბიბლიოთეკარის თქმით, მკითხველი ძველ გაზეთებსაც ჰყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

,,არიან მკითხველები, რომლებიც არქივზე მუშაობენ, ყოველდღე მოდიან და სათითაოდ კითხულობენ ამა თუ იმ გაზეთის ყველას გამოცემას. სამ-ოთხ თვეს გრძელდება ხოლმე ეს პროცესი“.

მაია ამბობს: რომ თავად ძირითადად პოლიტიკურ პრესას ეცნობა.

,,ასავალ-დასავალს“, ,,ალიას“ – ,,ქრონიკას“, ,,კვირის პალიტრას“, ,,ბათუმელებს“ ვკითხულობ“.

მეუღლე და ორი შვილი ჰყავს. ამბობს, რომ ხანდახან სკოლაში მუშაობა ენატრება, თუცა სამსახური, სადაც ახლა მუშაობს, მოსწონს.

,,საინტერესო ადამიანები დადიან აქ, ირგვლივ ძალიან კარგი ადამიანები არიან. სახლიდან სამსახურში და სამსახურიდან სახლში მისვლა მიხარია.

მიმაჩნია, რომ სასარგებლოა ის საქმე, რასაც ვაკეთებ. თითეული გაზეთის, ჟურნალის ნომერს დავკანკალებთ. ვაკონტროლებ, მკითხველს რომ ჩავაბარებთ, დახეული არ დამიბრუნოს. მერე ყველაფერი არქივში ინახება. მოდის თაობები და ამ შენახულ ჟურნალ-გაზეთებს გამოიყენებენ.“

კითხვაზე, ურჩევდა თუ არა ვინმეს თავის პროფესიას, მაიას პასუხის გაცემა უჭირს: ,,ჯერ არავისთვის მიმიცია რჩევა, რომ აერჩიათ პროფესიად ბიბლიოთეკარობა, იმიტომ რომ დღეს უფრო სხვა პროფესიებია მოდური. ჩემმა შვილებმა, მაგალითად, სხვა პროფესიები აირჩიეს, ერთმა საერთაშორისო ეკონომიური, მეორემ ინგლისური ენა და მენეჯმენტი.

,,მე ჩემი საქმიანობა ძალიან მიყვარს და მიმაჩნია რომ ძალიან საინტერესო საქმეს ვაკეთებ“.

გაზეთი ,,ბათუმელები“

N48 10-16 დეკემბერი, 2012 წ.

ბუღალტერია

მანანა ლორია და ნათელა ცინცაძე

რეგისტრატურა

იამზე დიასამიძე და
ლიმერი ბჟალავა

წამყვანი ბიბლიოთეკარი

თამარ ბუთურიშვილი

საცნობარო ბიბლიოგრაფიული და სამხარეთმცოდნეო განყოფილება

სხედან: თამარ გასვიანი, სოფიკო ხარაზი და ნანი დიასამიძე
დგანან: ირმა დოლიძე, მზია დავითაძე, მანანა ბოლქვაძე,
რუსუდან ქინქლაძე (განყ. უფროსი) და ირმა გოგიტიძე

საცნობარო სიახლე...
სახლიდან გაუსვლელად

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში შესანიშნავი სიახლე დაინერგა - შეიქმნა აჭარაში გამოცემული გაზეთების (,,აჭარა“, ,,აჭარა P.S.“, ,,ბათუმელები”, ,,ქობულეთი“, ,,ხულო“, ,,ქედა“, ,,შუახევი“, ,,ბათუმური ქრონიკები“) ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. მკითხველს სახლიდან გაუსვლელად შეუძლია დაადგინოს, თუ როდისაა დაბეჭდილი ამა თუ იმ ავტორის სხვადასხვა მასალა და არა მხოლოდ ეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც საცნობარო ბიბლიოგრაფიული განყოფილების უფროსმა რუსუდან ქინქლაძემ გვითხრა, მონაცემთა ბაზაზე მუშაობა 2010 წლის ივნისიდან დაიწყეს.

ქალბატონო რუსუდან, ამით მკითხველი ხომ არ მოაკლდება ბიბლიოთეკას?

არა, მკითხველი სახლში მიიღებს ინფორმაციას ინტერნეტის დახმარებით, მასალის წასაკითხად კი, რა თქმა უნდა, ბიბლიოთეკაში უნდა მოვიდეს და ადგილზე წაიკითხოს.

როგორ შეუძლია მკითხველს ისარგებლოს ამ სიახლით?

უნდა შევიდეს ჩვენს საიტზე, ანუ ინტერნეტში მოძებნოს ,,აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“, შემდეგ ,,კატალოგები“. დაინტერესებული ავტორის მასალის მოსაძებნად მიუთითოს ავტორის სახელი და გვარი. საერთოდ, მასალის მოძებნა არა მხოლოდ ასეა შესაძლებელი, არამედ თემატიკის, რუბრიკის, საკვანძო სიტყვის მიხედვითაც. ერთი სიტყვით, ეს ძალიან ადვილი, კარგი და ყველასათვის ხელმისაწვდომი პროგრამაა.

ახლა რა ეტაპზე ხართ?

როგორც გითხარით, მუშაობა დავიწყეთ 2010 წლის ივნისიდან. ნელ-ნელა ყველა წელი აიტვირთება, როცა მუშაობას დავასრულებთ გვექნება აჭარაში გამოცემული გაზეთების სრული ბაზა. თუ გაინტერესებთ, შემიძლია მოგაწოდოთ თქვენი გაზეთის ჟურნალისტთა მიერ გამოქვეყნებული მასალების რიცხვი 2010 წლის ივნისიდან დღემდე. ამ პერიოდში, მაგალითად, ირმა ცეცხლაძესა და მარინა მითაიშვილს გამოუქვეყნებიათ 1339 მასალა, მანანა თავდგირიძეს - 704, მანანა ტაკიძეს 1363, მანანა მიქელაძეს - 974.

ვფიქრობთ, ამ სიახლის სიკეთეს, რომელსაც რუსუდან ქინქლაძის გარდა, ბიბლიოთეკის მუშაკები - ირმა გოგიტიძე, ირმა დოლიძე, მანანა ბოლქვაძე, ნანა დიასამიძე, სოფო ხარაზი, თამუნა გასვიანი და მზია დავითაძე აკეთებენ, სულ მალე იგრძნობს როგორც დაინტერესებული მკითხველი, ისე თავად ჟურნალისტებიც.

მანანა ძიძიშვილი

გაზეთი ,,აჭარა“, N 22 2013 2- 2 .02

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბიბლიოთეკო საქმის რჩეული მოამაგე

...1975 წლის აპრილის ერთი უმშვენიერესი დღე მაგონდება. ბათუმის ფილარმონიაში ტევა არაა. ზოგჯერ თბილი ღიმილი გადაუვლის დარბაზს, ხან კი ზღვაური ტაში ახმიანდება. ქართული მწერლობის ორი ქურუმი - გურამ ფანჯიკიძე და მურმან ლებანიძე ჩვენი ქალაქის სტუმრებია... შეხვედრის დასასრულს ტრიბუნას ისევ მიუახლოვდა სანდომიანი სახის ახალგაზრდა ქალი, კიდევ ერთხელ უთხრა მადლობა ძვირფას სტუმრებს და ასეც თქვა: - წლების ფერისცვალება ვერ გადაფარავს ჭეშმარიტებას, ,,თვალი პატიოსანი“ ყოველთვის იქნება ზნეობის, კეთილშობილების მღაღადებელი, უფლისციხესთან რა დააცხრობს საუკუნეებში გამოტარებულ სულისკვეთებას: - ამაზე მეტი სხვა სამშობლო არ გამაჩნია. - აი, ასე დაასრულა საუცხოოდ წამოწყებული საღამო ნანა დიასამიძემ.

იმ დღეს ბევრი ითქვა წიგნსა და ცოდნაზე, მოქალაქეობრივ მოვალეობასა თუ შეხვედრა - საღამოს მნიშვნელობაზე. სტუმრებმა საბიბლიოთეკო საქმე, ნიჭიერება შეუქეს, წიგნის ნამდვილი მეგობარი უწოდეს ნათელი გონების ბიბლიოთეკარს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნანა დიასამიძე სამომავლო სახელს არ დახარბებია. მოწადინებით იღვაწა, საბიბლიოთეკო ცხოვრებაში გულითადი წვლილი შეიტანა. ეს კი ადვილი არ იყო. ყველაფერი საქმიანად წამოიწყო, საჭირო ცოდნა-გამოცდილება დააგროვა, მკითხველი ხალხის სასიკეთოდ შრომა, შესაძლებლობანი არ დაიზარა.

იგი ,,საქმემან მისმან გამოაჩინა“, ჯერ ქალაქის მეშვიდე ფილიალის, მერე კი მეათე ფილიალის გამგე გახდა, ერთგულად მოეკიდა მოვალეობას. ბევრი რამ გადაახალისა, მკითხველები მოიმრავლა. სწორედ ამ წლების მონატანია, რომ ფილარმონიაში საღამო გაუმართა სასიქადულო მწერლებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს დიდ თეატრში გამართულ შეხვედრაზე ღირსებაშემკულ მედეა ჯაფარიძეს მოაწონა თავი, მისივე სცენარის მიხედვით ღონისძების წაყვანა ითავა. მსგავსი სიხარული მოჰგვარა სახელოვან ოთარ მეღვინეთუხუცესსაც.

1981 წელს ნანა დიასამიძე აჭარის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ჯერ უფროს მეთოდისტად, ხოლო შემდგომ მეთ. განყ. გამგედ დაინიშნა. 1986 წელს კი იგი ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილედაც დააწინაურეს. ცხადია, ვერ იქნებოდა დაუნახავი მისი ორგანიზატორული, საინიციატივო თვისებანი. საბიბლიოთეკო პროფესიონალიზმი, შრომის და ცხოვრების სიწრფელე... ჩვეული მონდომებით შეუდგა საქმეს. ადამიანური სითბო, გულისხმიერება არ შეუცვლია. მან უფრო დაიახლოვა კოლეგები და მუშაობის ძირითადი შინაარსიც განსზღვრა. მის ადამიანურ ღირსებებზე ასეთ დახასიათებას გვაწვდის ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი რამაზ სურმანიძე: ,,ქალბატონი ნანა დიასამიძე აჭარის საბიბლიოთეკო ცხოვრებაში რჩეული ფიგურაა. იგი სულითა და გულით ბიბლიოთეკარია, ბიბლიოთეკამცოდნე, საბიბლიოთეკო საქმის გულმხურვალე მოამაგე. მკითხველი საზოგადოება პატივს სცემს მის მრავალწლიან ღვაწლსა და ასე განსაჯეთ, გონებანათელ ქართველ ქალობას“.

ნანას ქალიშვილი მეგი შავლაყაძეც ოჯახური სულის კვეთების ერთგულია. თავის დროზე ბათუმის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში ბიბლიოთეკარობას დაეუფლა. ნიადაგ ფრიადოსნობდა, ლიტერატურულ-შემოქმედებითი ნიჭიერებითაც გვიქმნიდა შთაბეჭდილებას, უმაღლეს სასწავლებელში უკეთ გამოავლინა თავისი ახალგაზრდული გულოვანება, ცხოვრების გარდაქმნებს მხარი აუბა. მისი ყოველდღიური საქმიანობა აჭარის ტელევიზიაში ნათელი აზრის, იდეის გამოხატულებაა.

ნათელი აზრის, წმინდა შეგნების გარეშე სიცოცხლეს ფასი არა აქვს. საბიბლიოთეკო საქმის მოამაგე ნანა დიასამიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომატევადი სიცოცხლით ცოცხლობს, ნათელი შეგნებით იღვწის, დიდი აკაკის არ იყოს ,,მართლაც რაღა სჯობია იმ შეგნებას, როცა მუშაობის დროს გწამს, რომ შენი შრომა უნაყოფოდ არ დარჩება და გამოადგება ქვეყანას“.

ზაურ ლაზიშვილი,

საქართველოს დამსახურებული არტისტი,
გაზეთი ,,აჭარა“ 2007 წლის N139

ყველაზე დიდი ჯილდო – კმაყოფილი მკითხველია

მანანა ბოლქვაძე

აკაკი წერეთლის სახელობის აჭარის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას საუკუნოვანი ისტორია აქვს; აქ მუშაობენ თავიანთ საქმეზე შეყვარებული ადამიანები, რომლებიც აფასებენ მკითხველთა შეხედულებებს და ყველაფერს აკეთებენ ბიბლიოთეკის ფონდის გასამდიდრებლად.

კოლექტივში არიან ახალგაზრდა, დამწყები ბიბლიოთეკარები, არიან თანამშრომლები, რომლებმაც იმუ–შავენ რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში რამდენიმე ათეული წელი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების გამგე, მანანა ბოლქვაძე, მუშაბს ბიბლიოთეკაში 30 წელია. აქ მუშაობდა მისი დედა ავრორა ჩხაიძე შეიძლება ითქვას, რომ ისინი გახდნენ ბიბლიოთეკის ისტორიის ნაწილი.

მ. ბოლქვაძემ დაამთავრა წარჩინებით ბათუმის 9 საშუალო სკოლა, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. ერთი წელი იმუშავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატში ისტორიისა და ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლად. 1975 წლის ნოემბრიდან მუშაობა დაიწყო აჭარის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში და მისთვის მკითხველთა მადლობა ყველაზე დიდი ჯილდო გახდა. ის არის მრავალი ღონისძიების პროექტის ორგანიზატორი და წამყვანი - ეს არის საიუბილეო შეხვედრები წიგნის ავტორებთან, ახალი ნაწარმოებების განხილვები, წიგთან ახალგაზრდობის უშუალო ურთიერთობები. ისინი ყოველთვის შინაარსიანი და მრავალმხრივია.

მანანა ბოლქვაძე თვლის, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევების მიუხედავად, წიგნებთან უშუალო, წიგნების კითხვა მისთვის სულიერებაცაა, დასვენებაც და ამავდროულად სამუშაოც.

პირველად მე ჩემს დასთან ერთად მივედით ბიბლიოთეკაში პირველკლასელები, მაშინ დედამ შეგვეკითხა, შეძლებთ თქვენ წაიკითხოთ ამ ბიბლიოთეკის წიგნები? მაშინ ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, როცა კითხვას ვისწავლიდით, ამას ადვილად შევძლებდით. მას შემდეგ ჩვენ დაუღალავად ვკითხულობთ წიგნებს დღემდე და იგი სულ უფრო და უფრო საინტერესო ხდება.

წიგნები, ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, განსაკუთრებით ის წიგნებია ჩემთვის ძვირფასი, რომლებსაც მჩუქნიან ავტორები ავტოგრაფებით.

მსურს პროფესიული დღესასწაული მივულოცო მანანა ბოლქვაძეს და ვუსურვო, რომ მისი და მისი კოლეგების შრომა ყოველთვის იყოს დაფასებული.

თამარ ჩხარტიშვილი,

გაზეთი ,,ადჟარია“, 2004 წ. 1 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზო ევგენიძე
(საქმისმწარმოებელი)

სოფო ინაიშვილი
(ელ. ბაზების რედაქტორი)

ელგუჯა ხაზარაძე
(მხატვარ-გამფორმებელი)

ბორის (ჯონი) ხუციშვილი
(პროგრამისტი)

სამეურნეო განყოფილება

პირველი რიგი: ეთერ დევაძე, მადონა მიქაძე და ალექსანდრე გოგელია
მეორე რიგი: მაყვალა გოგიტიძე, ჯემალ რომანაძე, თენგიზ ლომთათიძე, ჯემალ შაინიძე, ვაჟა ჩხაიძე და ბადრი ჩხაიძე

მე და ბატონი ანზორ კუდბა ამ ბოლო ორი წლის მანძილზე ყოველდღიურად ბიბლიოთეკაში ვხვდებით ერთმანეთს.

სამეურნეო განყოფილების მუშაკების წყალობით ბიბლიოთეკაში შესვლა გსიამოვნებს: ირგვლივ საოცარი სისუფთავე და წესრიგია. რაც უპირველესად ქალბატონების მადონა მიქაძისა და ეთერ დევაძის დამსახურებაა. ისინი დილიდან საღამომდე თავს ევლებიან ჩვენს ცოდნის ტაძარს.

ასეთივე წესრიგი სუფევს საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაშიც, რომლის დიასახლისიც ქალბატონი მაყვალა გოგიტიძე გახლავთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე და ანზორი წიგნზე მუშაობის დროს ბიბლიოთეკაში

მე და ანზორი ამაგდარ ბიბლიოთეკარ მანანა ბოლქვაძესთან ერთად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგა გოგიბერიძე (განყ. უფროსი) ბავშვებთან

„საზღაპრეთის დედოფალი“, რომელმაც გული გადაგვიშალა

ყოველ დროს თავისი გმირი ჰყავს. ყოველ დროში საჭირონი არიან თავისი საქმითა და სიტყვით სხვებისათვის მაგალითის მიმცემი ადამიანები, რომელნიც თავისი არსებობით შეგვახსენებენ, თუ რისთვის მოვედით ამქვეყნად, რა არის ჩვენი სიცოცხლის უმთავრესი მიზანი და დანიშნულება...

ასეთია ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ქალბატონი ინგა გოგიბერიძე, რომლის ცხოვრების მთავარი მიზანი მომავალ თაობაზე ზრუნვა და ცხოვრების გზის გაკვალვაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დახმარებაა. იგი ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზდრდული განყოფილების უფროსი და ერთგული დიასახლისი გახლავთ, დაუღალავად იღწვის იმისათვის, რომ ახალგაზრდა თაობას წიგნი შეაყვაროს. „მომავალი თაობების აღზრდა-განათლების გზა ბიბლიოთეკაზე გადის“ – გვეუბნება ინგა. ამიტომ აწყობს უამრავ ღონისძიებას, შეხვედრებს არა მარტო საბავშვო მწერლებთან, პოეტებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, კომპოზიტორებთან...

2008 წელს ის და მისი კოლეგები საფუძველს უყრიან კლუბს „საზღაპრეთი“, სადაც პატარებს უდიდესი ემოციით უკითხავს მათი საყვარელი მეზღაპრე ინგა ოტია იოსელიანის, გურამ პეტრიაშვილის, რეზო ინანიშვილის ზღაპრებსა და მოთხრობებს, ტარდება მასტერ-კლასები ბავშვებისთვის რეწვაში, სახვით ხელოვნებაში და ა.შ. მაგრამ მხოლოდ ამითაც არ შეოიფარგლება ამ საინტერესო და დაუღალავი ქალბატონის საქმიანობა. გასული წლიდან დღემდე ბევრ საინტერესო პროექტს ჩაუყარა საფუძველი და სისრულეშიც მოიყვანა.

„ერთი წელი მასტროზე“ მან აჭარის მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ ბავშვთა სიდუხჭირეზე საუბარს დაუთმო, თავად კი უამრავი წიგნი შეაგროვა და ჩაუტანა ამ სოფლებში მცხოვრებ ბავშვებს, აწყობს ექსკურსიებს ახალგაზრდებისათვის და ცნობს მათ ქართულ ციხესიმაგრეებსა და ეკლესია-მონასტრებს, შექმნდა პოპულარული ვებ-გვერდი – „პოეზია, სამკაული სულისა“, „ახალგაზრდობა, იმედი ხვალის“, „ინგას მინიატურები“... დიახ, იგი ულამაზესი, დახვეწილი და სიკეთით სავსე მინიატურების ავტორიც გახლავთ. მისი „ინგას უბანი“ კი ახალგაზრდა პოტთა და მწერალთა გზის გაკაფვას ისახავს მიზნად. უკვე ორი წიგნიც გამოსცა მათ გასახარებლად! აქვს შესანიშნავი ინტერვიუები „მე მინდა გული გადაგიშალოთ“ საინტერესო და მიწინავე ადამიანებთან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ცხოვრება გაიარა დღემდე და რა სირთულეებს წააწყდა, ამაზე ქალბატონი ინგა თავად გვესაუბრება: „ბათუმში ულამაზეს, ყაზბეგის ქუჩაზე დავიბადე. ეს საოცარი ადგილია მთელს ქალაქში – მყუდრო და პატარა. აქაურობას განსაკუთრებით შემოდგომა და ზამთარი უხდება, პატარა რომ ვიყავი ცაცხვები იდგა. შემოდგომაზე, ფოთოლცვენისას, მახსოვს როგორ მსიამოვნებდა სიარულის დროს ფოთლის შრიალი, ზამთარში კი თოვლზე პირველ ნაბიჯებს რომ ვდგამდი, ცას ვუყურებდი და მადლობას ვწირავდი უფალს, რომ ამ ქუჩაზე დავიბადე. სკოლაც ამ ქალაქში ოქროს მედალზე დავამთავრე. განსაკუთრებით ჰუმანიტარული საგნები მიყვარდა. ბოლო ზარზე მეუღლესთან ერთად ვივედი, მეგრელმა მოტყუებით წამიყვანა(იცინის), მაგრამ ამ 32 წლის გადასახედიდან ჩემზე ბედნიერი ქალი არ მეგულება. უნივერსიტეტიც ასევე წარმატებით დავამთავრე, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. გავიგე რომ კულტურის სამინისტროში საიდუმლო სექტორის გამგის ადგილი განთავისუდლდა. მინისტრთან რეკომენდაცია ჩემმა მიძამ თამაზ ნიკოლაიშვილმა გამიწია, მახსოვს, გასაუბრებაზე გული გამალებით როგორ მიცემდა. საბედნიეროდ გამიმართლა და ამიყვანეს. 14 წელი სამინისტროში ვიმუშავე, ვინმემ რომ მკითხოს, რამეს თუ შეცვლიდი შენს ცხოვრებაშიო, დაუფიქრებლად ვუპასუხებდი- ერთ დღესაც არ მოვაკლდები აქ გატარებულ პერიოდს. განსაკუთრებული ხალხის გვერდით ვიყავი, მათთან სიახლოვემ ბევრი მასწავლა. როგორ შეიძლება დამავიწყდეს ბიძინა მახარაძე, იოსებ ბარდანაშვილი, ნოდარ ფაღავა, მადონა მჟავანაძე, გენო ღლონტი... ძალიან ენერგიული ვიყავი და ვარ! დასახულ მიზანს ყოელთვის ვაღწევ. ალბათ ამიტომ გადაწყვიტა მინისტრმა თეიმურაზ კომახიძემ ჩემი საბიბლიოთეკო სისტემაში გადაყვანა- იქ საქმე იყო „საწყობი“. მახსოვს, როგორ ვტიროდი. არ მინდოდა მათთან განშორება. დღეს შემიძლია ვთქვა რომ ჩემი ადგილი ბიბლიოთეკაშია. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნიერების, სულიერების და ბავშვებთან ურთიერთობის სავანეა“ – გვიყვება ინგა გოგიბერიძე.

ბავშვების დიდ მოამაგეს 2 წლის წინათ ბევრი დაუგროვდა სათქმელი, ამიტომ 6 წიგნი(„მინიატურები“, ჩანაწერები ინგას უბნიდან“, ორი ნაწილი, „შენც წაიკითხე“, „მინიატურები და შტრიხები თქვენი პორტრეტებისათვის“, კრებული „ნაპირი“) გამოსცა. მისი ცხოვრების ყველაზე მთავარი პროექტის პირველი ნაწილი კი ახლახან დაასრულა- მთიანი აჭარის ბავშვებს წიგნები გადასცა. როგორც ქალბატონმა ინგამ გვითხრა, ერთი წლის განმავლობაში 40 ათასი ლარის ღირებულების წიგნები მოიტანეს საჩუქრად, რისთვისაც მთელს სქართველოს უხდის მადლობას. ზედა და ქვედა თხილვანის, ბაკი-ბაკოს, წაბლიანის, უჩხოს, ცინარეთის, გეგელიძეების, თხილნარის სოფლის ბავშვებს მისი დიდი ძალისხმევით უკვე აქვთ 5 ათასამდე წიგნი. სოციალურ გვერდზე აქვს განკუთვნილი ადგილი, სადაც წერს ინტერვიუებს „მინდა ჩემი გული გადაგიშალოთ“. აქ სიღრმისეულად გვაცნობს ჩვენთვის საყვარელ ადამიანებს. ერთ-ერთ სოციალურ პოსტს ნანა ჩხაიძე ასე ეხმაურება: „ეს ყველაფერი რომ შეძელ, ღვთის მადლით უნდა იყო დაილდოებული. უფალმა გაგაძლიეროთ“. ასეთ მინაწერებს კიდევ მრავალს შეხვდებით.

მოუცლელობის მიუხედავათ, ქალბატონი ინგა ქმნის სამკაულებს, სუვენირებს, მისალოც ბარათებს, გამოფენებიც მოაწყო. როგორც თავად გვითხრა, სკოლის დამთავრებისთანავე გათხოვდა, ჰყავს ერთი ქალიშვილი, მეტი უფალმა არ მისცა, ამიტომ უნდა მის შვილიშვილს ბევრი და-ძმა ჰყავდეს. ტრადიციული ოჯახის შვილი წინაპრების გზას აგრძელებს. იხსენებს როგორ იკრიბებოდნენ ყოველ კვირას ბებია-ბაბუასტან საკვირაო ვახშამზე. პირველ სადღეგრძელოზე ბაბუა თურმე ასე ილოცებოდა: „მშვიდობა გქონდეთ და ჯამაგირი მოგმატებოდეთ“. მაშინ ამაზე ბევრს ვიცინოდით, ახლა კი მივხვდი, რა კარგი სადღეგრძელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილა“. ბუნებით ტოროლამ უკვე 2 წელია ცხოვრების რიტმი შეცვალა, „რა ვქნა, მუზები ღამე მოდისო“– გვეუბნება. ერტი რამ კი მასში არ შეცვლილა – სიკეთის კეთების სურვილი. ახლა გაერთიანებულია დოროთი პარკერის ფონდში „ერთად ვძლიოთ სიღარიბეს“, ცდილობს ადამიანებს დაეხმაროს. „საზღაპრეთის დედოფალს“ კიდევ ბევრი პროექტი აქვს აქვს განსახორციელებელი. წარმატებას გისურვებთ!

ორეული

...გულიდან გამოსული ხელები გინახავთ? ჩამოღვენთილი სანთლები მოგიპარავთ? იქნებ სარკეში თქვენი ანარეკლი ვერ შიგინიშნავთ? ან კიდევ, გამოწვდილ ხელებზე ნაოჭები არ დახატულა, ისინი იქ იყვნენ ყოველთვის... მაშ, ნოეს კიდობანისთვის ტანსაცმელი არ ჩაგიწყვიათ და თავსმასაც არ დალოდებიხართ აქ?.. შიში არ გიგრძვნიათ არასოდეს... შიში უთქმელი... შიში მტანჯველი სინდისისა და გულის ხელებისანაწერთან და... იქნებ... იქნებ? სიზრმეიც არ აგხდენიათ არასოდეს, იმიტომ რომ ისინი ძალიან შავი და ბნელი იყო... არსად ჩანდა იქ ნათელი... ფერადოვნება... მაშინ გეტყვით, ეტყობა შორიდან მოდიოდა თქვენთან ყინულის ნატეხები, კლდოვანი, ცივი და მიუსაფარი... მოდიოდა და თან გზას ვერ იგნებდა... ის ხომ ზღაპრული ქვეყნისკენ მოემართებოდა და რამდენი ქვეყანაც გაიარა, საწადელი ვერ შენიშნა, ვერ დაავანა ყინული გასალღობად... გულის სარკეა ეს ქვეყანა და თუ ამ სარკეში საკუთარ ორეულს გადახედავ, გარწმუნებთ, რომ ყველაფერი, ყველაფერი კარგად იქნება!

თქვენი **ინგა გოგიბერიძე**

ხატია იაშვილი

გაზეთი „აჭარა“, 2014 წ. №120, 28–29.10

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა კალანდარიშვილი

ნათქვამია „სხვისთვის წიგნის შერჩევა – ეს არა მარტო მეცნიერება, არამედ ხელოვნებაცაა. მის განვითარებას კი ზღვარი არა აქვს“. სწორედ ამ ხელოვნების განვითარებას ემსახურება თითქმის ნახევარი საუკუნეა ქალბატონი მედეა კალანდარიშვილი. იგი 17 წლის გოგონა იყო, როცა უმაღლესი განათლების მისაღებად ოზურგეთიდან, ქალაქ ბათუმში ჩამოვიდა.

ჩამოვიდა და დარჩა სამუდამოდ. ბედი ერთ ქალაქელ, ინტელიგენტ კაცს ზურაბ კალანდარიშვილს დაუკავშირა და ასე ერთსულ და ერთხორც შედუღაბებულნი არიან დღესაც. ორი არაჩვეულებრივი შვილი აჩუქეს ქვეყანას და ხარობენ დღეს მათი მონაგარით. ასევე შესანიშნავად შეუთავსა ქალბატონმა მედეამ საოჯახო საქმიანობას პროფესიული საქმიანობა. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ქალაქ ბათუმის №1 ბიბლიოთეკაში. ეს იყო 1970 წელს. გონიერმა და ინტელექტუალურმა გოგონამ მალე მიიქცია ყურადღება და მას მეტად საპასუხისმგებლო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება ჩააბარეს; განყოფილება, სადაც ყველაზე მეტად ვლინდება ადამიანის განათლება და ნიჭიერება. ქალბატონი მედეა გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, საქმისადმი ერთგულებით, ინტელექტით და დიდი იუმორით. ამიტომაც, 1988 წელს, როდესაც ვაკანსია გამოცხადდა დირექტორის თანამდებობაზე, 150 კაციანმა კოლექტივმა, ერთხმად აირჩია იგი დირექტეორად. 11 წლის მანძილზე, ის ხელმძღვანელობდა ქალაქ ბათუმის საბიბლიოთეკო გაერთიანებას და არაერთ წარმატებულ პროექტს ჩაუყარა საფუძველი: დარგობრივი ფილიალების შექმნა; გაერთიანების ცბ-ში სხვადასხვა დარგების მიხედვით სექტორების შექმნა; ატარებდა ღონისძიებებს, რომლებსაც უსადაგებდა თანამედროვეობას; ტარდებოდა ქუჩის დღესასწაულები, ღონისძიება-აუქციონები, სადაც იყიდებოდა ზედმეტი ეგზემპლარი წიგნები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკართა ხელნაკეთობები, შემოსული თანხით კი იძენდა ფონდისთვის აუცილებელ წიგნებს.

იგი დღესაც, 70 წლის ასაკში, ძალას და ღონეს არ იშურებს, რათა თითოეულ მოზარდამდე მიიტანოს წიგნის სიყვარული, ჩაუნერგოს მათ კითხვის კულტურა და შეაყვაროს ბიბლიოთეკა, ყველა ბავშვის მრჩეველი და მოამაგეა. ამიტომაც არის რომ წუთს ვერ ნახავთ, მკითხველებით გარშემორტყმული არ იყოს. მისი ერუდიცია და ინტელექტი კი თითქმის ყველას აკმაყოფილებს, ყველასთვის პასუხი ყოველთვის მზად აქვს რასაც საკუთარ თავზე მუდმივი მუშაობით აღწევს. ის ამ ასაკშიც კი მუდამ იმაღლებს ცოდნას.

ქალბატონი მედეა კალანდარიშვილი დაჯილდოვებულია სხვადასხვა ჯილდოებით:

– 1991 წელი – საქართველოს კულტურის სამინისტრო მადლობის სიგელი

– 2010 წელი ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა-ინტელექტუალი ბიბლიოთეკარის სიგელი

– 2012 წელი – ქალაქ ბათუმის თვითმართველ საკრებულო-დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება

– 2016 წელი – აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტრო – მადლობის სიგელი.

ქალბატონ მედეაზე საუბარი დასრულებულად შეიძლება, მისი ინტელიგენტური გარეგნობა, ენციკლოპედიური ცოდნა, გულისხმიერება, რომელსაც ყველას მიმართ იჩენს მხოლოდ იდეალურ ადამიანებს გააჩნიათ და მე ბედნიერად ვთვლი თავს რომ ასეთი კოლეგა და მეგობარი მყავს.

P.S ამბობენ, ადამიანი მოგზაურობაში გამოიცდებაო. შემიძლია პირადი გამოცდილებიდან გითხრათ, რომ ერთი დიდი ბედნიერებაა ქალბატონ მედეასთან ერთად მოგზაურობა. ცეკვა, სიმღერა და იუმორი მისი თანამდევია და ეს დიდად უწყობს მას ხელს კომუნიკაბელურობაში. ამიტომაც უყვართ იგი ყველას, მკითხველებსა და კოლეგებს.

ნაზი ლომაძე, ბიბლიოთეკარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წამყვანი ბიბლიოთეკარები: ელეონორა ძიგუა, მზევინარ ჯიჯავაძე
მთავარი ბიბლიოთეკარი – თინათინ მელაძე

მთავარი ბიბლიოთეკარები: სვეტა ბერაია და ლელა სურმანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი ბიბლიოთეკარები: ნანა კვაჭაძე, ჟუჟუნა მამუჭაძე და მედეა კალანდარიშვილი

მთავარი ბიბლიოთეკარი თინა ცენტერაძე
წამყვანი ბიბლიოთეკარი ნინო ნაკაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი ბიბლიოთეკარები: ნაზი ლომაძე და ლალი ცელაძე
ბიბლიოთეკარები: რუსუდან თალაკვაძე და ნუნუ გილი

მთავარი ბიბლიოთეკარი სემაეთ ფალავანდიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წამყვანი ბიბლიოთეკარები: ნანა ჩიკვაიძე და ნანა ბერიძე

წამყვანი ბიბლიოთეკარი მზია ხოფერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა მწერალ გურამ პეტრიაშვილთან

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შეხვედრა
აღსაზრდელებთან (ძირითად შენობაში)

ღონისძიება საბავშვო –ახალგაზრდობის განყოფილებაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება

მინდა წარმოვაჩინო ქ. ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება. ჩვენი განყოფილება არაორდინალურია საჯარო ბიბლიოთეკის 8 განყოფილებას შორის. რამ განაპირობა მისი არაორდინალურობა? დავიწყოთ იქედან, რომ განყოფილება ფიზიკურად არ მდებარეობს საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში. იგი განთავსებულია ჯავახიშვილის 72-ში, ბიბლიოთეკისათვის სპეციალურად აგებულ შენობაში. ბიბლიოთეკა არის მეტად მყუდრო, თანამედროვედ მოწყობილი და პასუხობს ყველა იმ მოთხოვნებს, რაც გააჩნია თანამედროვე მკითხველს. ასევე არაორდინალურია განყოფილების შექმნის ისტორია. იგი შეიქმნა ორი დიდი ბიბლიოთეკის-ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკის და აჭარის საბავშვო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის შეერთების ხარჯზე. თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 21 ადამიანს. იგი დაკომპლექტებულია, როგორც გამოცდილი, ასაკოვანი თანამშრომლებით, ასევე ახალგაზრდებითაც. განყოფილებას ხელმძღვანელობს განათლებული, შრომის მოყვარე ნოვატორი ქალბატონი ინგა გოგიბერიძე. ქალბატონი ინგა არა მხოლოდ კარგი ორგანიზატორი და ხელმძღვანელია, არამედ წარმატებული მწერალია იგი თავს არ ზოგავს და პოპულარიზაციას უკეთებს ახალგაზრდა მწერლებსა და პოეტებს, ამიტომაც ჩვენი განყოფილება მუდამ მასპინძელია წარმარტებული ახალგაზრდების. განყოფილებაში 6 დარბაზი მუშაობს და მისი თანამშრომლები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ თავი დაიმკვიდრონ და იყვნენ გამორჩეული, არა მხოლოდ ქალაქში, არამედ მთელ ქვეყანაში. თანამედროვე კონკურენციის პირობებში ცოტა ძნელია წინა პლანზე წიგნის წამოწევა, ვგულისხმობ ტელევიზიას, ინტერნეტს, მაგრამ როცა მთელ შენს ენერგიას, შრომისმოყვარეობას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესიონალიზმს მოახმარ შენს საქმიანობას წარმატების მიღწევა შესაძლებელია. ჩვენ წიგნის პროპაგანდაში ყველა ცნობილ საბიბლიოთეკო ფორმას და მეთოდს ვიყენებთ. განყოფილების გამგე კი წარმატებით იყენებს სოციალურ ქსელს,რაც დადებითად აისახება ბიბლიოთეკის მუშაობაზე. როგორც თავში მოგახსენეთ განყოფილებაში ექვსი დარბაზი მუშაობს ესენია:

1 – საზღაპრეთი, რომელიც ემსახურება სკოლამდელ და I–III კლასის მოსწავლეებს. საზღაპრეთში კვირაში ერთხელ ტარდება ზღაპრის დღეები, დიალოგები ბავშვებთან, შეხვედრები საბავშვო პოეტებთან და მწერლებთან, შემოქმედ ადამიანებთან. შევხდით საბავშვო მწერლებს: მარიამ წიკლაურს, მანანა ტონიას, გურამ პეტრიაშვილს... უნდა ავღნიშნოთ, რომ ბატონი გურამი ჩვენი ხშირი სტუმარია.

2 – მოსწავლეთა დარბაზი, რომელი ემსახურება IV–VIII კლასელ მკითხველებს. დარბაზში მუშაობს მკითხველთა კლუბი, სადაც ტარდება საბიბლიოთეკო გაკვეთილები სხვადასხვა თემებზე, წიგნების პრეზენტაციები, შეხვედრები, ვიქტორინები და კონფერენციები.

3 – საერთო დარბაზი, რომელიც ემსახურება IX კლასიდან დაწყებულ ყველა ასაკის მკითხველს. დარბაზში მუდამ ხალხმრავლობაა, აქ თავს იყრიან შემოქმედი ადამიანები, მწერლები, პოეტები. ბევრ ახალბედა პოეტსა და მწერალს შეიძლება ითქვას ჩვენი საერთო დარბაზიდან აენთო მწვანე შუქი. განყოფილებაში ჩატარებული ღონისძიებების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, მაგრამ არ შეიძლება არ ავღნიშნოთ რამდენიმე ინიციატივის შესახებ, რომელიც ქალბატონ ინგას აქტივში ირიცხება: ეს არის გასვლითი ღონისძიებები, სკოლებში, ბაღებში, რეგიონის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში განსაკუთრებით მთიან აჭარაში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია პროექტი 50000 წიგნი გადაეცა საჩუქრად მთიან აჭარაში მცხოვრებ ბავშვებს,რომელიც დაკოპლექტთა კერძო შემოწირულობებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 – პრესის დარბაზი, რომელიც დაკოპლექტებულია საქართველოში გამომავალი უმეტესი ჟურნალ გაზეთებით. იგი მუდამ სავსეა მკითხველებით, მუშაკები ხშირად ატარებენ მიმოხილვებს, კეთდება ანალიტიკური კარტოთეკები.

5 – კომპიუტერული ცენტრი, სადაც 13 კომპიუტერია ჩართული ინტერნეტით. ხელმისაწვდომია ნებისმიერი მკითხველისათვის. სარგებლობა რათქმაუნდა უფასოა. ასევე უფასოდ მუშაობს კომპიუტერის შემსწავლელი წრე. თვეში ერთჯერ კომპიუტერული ცენტრის თანამშრომლები მკითხველი ბავშვებისათვის აწყობენ კინო ჩვენებებს, სადაც ძირითადად პოპულარიზაცია ეწევა ქართულ ფილმებს.

6 – დამუშავება – დაკოპლექტების დარბაზი, რომელიც შეიძლება ითქვას ხერხემალია ბიბლიოთეკის, თაროზე სწორად განლაგებული წიგნი ხელს უწყობს მკითხველის ოპერატიულ და ხარისხიან მომსახურებას.ამჟამად სისტემაში მიმდინარეობს ფონდების უნივერსალურ ათწილად კლასიფიკაციაზე გადაყვანა, მისი ინვენტარიზაცია და აფასება. ასევე შესაბამისი კატალოგის შედგენა, რასაც წარმატებით ართმევენ თავს აღნიშნული დარბაზის თანამშრომლები.

...აქ მოტანილი რამდენიმე ეპიზოდი ზღვაში წვეთია იმ კოლოსარული სამუშაოდან, რაც განყოფილებაში ხდება და რის გამოც განყოფილება ერთ-ერთი ცნობილი და წარმატებულია და რის გამოც განყოფილების უფროსი ინგა გოგიბერიძე დამსახურებულად, საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, 2016 წელს წარადგინა ასტრიდ ლინდგრენის საერთაშორისო პრემიაზე.

მედეა კალანდარიშვილი,

ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის

მთავარი ბიბლიოთეკარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმ ქალაქობას გილოცავთ
ჩვენო მეზღაპრევ!!!!

ამ ქალაქში ყველაფერი ზღვისფერია. აქ ადამიანებსაც განსაკუთრებული ხიბლი აქვთ. ისინი არავის ჰგვანან. ისიც ამ ლამაზ ქალაქში ცხოვრობს და საოცარ ჰარმონიას მატებს თავისი არსებობით.რომ ჰკითხო რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი მის ცხოვრებაში უყოყმანოდ გიპასუხებთ, ბავშვები, მომავალი თაობა. სწორედ მათთვის იღწვის. მისი სამყარო წიგნებია, მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანები ბავშვებია. საოცარ, ულამაზეს სტროფებს სწორედ მათ უძღვნის. იცის, როგორ უნდა იცხოვროს, რომ ლამაზ ზღაპრად აქციოს სამყარო, რომელიც პატარებისთვის უნდა. კეთილი მეზღაპრეა, ბავშვურად სწამს, რომ ამქვეყნად კეთილი ამარცხებს ბოროტს. ყველა მისი მინიატურა აქეთკენ არის მომართული. საოცარი გარდასახვა ხდება მაშინ, როცა პატარებს ზღაპარს უკითხავს. ის აქ არის, ზღაპარში, ზღაპრის გმირია. დახატეთ მზე, ყვავილები, რაც გიყვართ... ბავშვებიც ხატავენ. მათ ნახატებში ინგულა მეზღაპრეც არის. მისკენ ყოველთვის მიუხარიათ. გრძნობს ამას , ბედნიერია. „აჩუქეთ ზღაპარი ბავშვებს“, ოღონდ კეთილი დასასრულით, ჩემმა ჩიტუნებმა რომ არ მოიწყინონ!

მის ცხოვრებაში საოცარი გარდატეხა ბავშვების სიყვარულმა, მათზე ზრუნვამ მოახდინა. დაიწყო ლამაზი, დამაფიქრებელი მინიატურების წერა. თავისი გასაოცარი სამყარო შექმნა, სადაც მხოლოდ სიკეთე და სრულყოფილება სუფევს. იცხოვრეთ ლამაზი ცხოვრებით, გახადეთ სამყარო უფრო მშვენიერი ვიდრე არის, გახადეთ ადამიანები ბედნიერი... სიკეთე გადამდებია... სადაც ის არის, მუდამ სიხარულია. სადაც არ უნდა წავიდეს ღიმილი დააქვს, პატარ-პატარა ბედნიერებას გჩუქნის და ლამაზი ზღაპრის ბინადარს გხდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან ადამიანები, რომლებიც ხიბლს ჰმატებენ ჩვენს ყოფას, ცხოვრებას. ინგა გოგიბერიძე ერთი იმათთგანია. ნიჭი, გონიერება, ინტელექტი, ადამიანების მიმართ უსაზღვრო სიყვარული უსაყვარლესს ხდის მას და, დადის ჩვენს გვერდით ადამიანი ნიჭიერი, შემოქმედი, რომელსაც თავის მინიატურების ყუნწულაში, ყველა თქვენს შეკითვაზე აქვს პასუხი.

ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის
კოლექტივის სახელით

ელიკო ძიგუა

2017 წელი...3 სექტემბერი.

ამაგდარი ბიბლიოთეკარები

ოლია ქართველიშვილი

კულტურის ფრონტის მოწინავე ადამიანები
ბიბლიოთეკის დაუღალავი მუშაკი

ამ დარბაისელ ქალს კარგად იცნობენ მკითხველები. იგი 49 წელიწადს მუშაობდა აჭარის რესპუბლიკური ბიბლითეკის დამუშავების განყოფილების გამგედ. მთელი თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები და ენერგია ოლია ქართველიშვილმა წიგნის სიყვარულს შეალია, წიგნი იყო მისი სულიერი მეგობარი და თანამგზავრი. 1933 წლიდან იგი ქალაქ ბათუმის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (ამჟამად აჭარის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა) მუშაობს. წინათ მცირე იყო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. იგი უმთავრესად რუსული წიგნებითა და პერიოდული გამოცემებით იყო დაკომპლექტებული. ო.ქართველიშვილის თავდადებული შრომით ბიბლიოთეკაში საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშაობა, მნიშვნელოვნად გაიზარდა წიგნადი ფონდიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლების მანძილზე ბიბლიოთეკამ დიდი ცვლილებები განიცადა. 1937 წელს იგი სახელმწიფო საჯარო ბიბლიოტეკად გადაკეთდა და აკაკი წერეთლის სახელი მიეკუთვნა. შემდეგ კი აჭარის ასსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკად გარდაიქმნა. 1968 წელს დაიწყო წიგნადი ფონდის მთლიანი რეორგანიზაცია და რეკლასიფიკაცია, რაც დიდი ენერგიასა და გამოცდილებას მოითხოვდა. განსაკუთრებით აქ გამოჩნდა ოლია ქართველიშვილის გამოცდილება და შრომისმოყვარეობა.

ომის მძიმე წლებში ოლია ჰოსპიტალსა და სკოლებში აწყობდა გამოფენებს, დაჭრილ მეომრებს აწვდიდა ლიტერატურას, უკითხავდა ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს .ამავე დროს შეთავსებით მუშაობდა პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგედ.

ო. ქართველიშვილი ჩინებულად უთავსებდა ერთმანეთს საბიბლიოთეკო და საზოგადოებრივ საქმიანობას. მთელ თავის ცოდნას ახმარდა ახალგაზრდა კადრების მომზადებას. მისის აღზრდილები არიან ბიბლიოთეკარები ს. ჭელიძე, ა. ხელაძე, გ.დიასამიძე, ნ.ახვლედიანი, რ. ჯინჯიხაძე, ე. ბაბალიანი და სხვები.

თავდადებული შრომისათვის 1946 წელს საქართველოს სსრ სახალხო განათლების კომისარიატმა ო. ქართველიშვილი დააჯილდოვა საპატიო სიგელით ,,დიდ სამამულო ომში შრომითი საქმიანობისათვის''. 1960-სა 1966 წელს მას მიენიჭა აჭარისა და საქართველოს სს რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება.

წლებმა თავისი გაიტანეს. ოლიას თმები გაუჭაღარავდა და დასვენება გადაწყვიტა . დღეს მას პენსიაზე ვაცილებთ. მეგობრები ბევრ თბილ სიტყვას ეტყვიან, ბედნიერ დასვენებას უსურვებენ, მაგრამ გვჯერა, რომ არც შემდეგ მოგვაკლებს გამოცდილი ბიბლიოთეკარი ყურადღებას და კვლავ ჩვენთან იქნება.

ეთერ ციკაძე,

აჭარის რესპუბლიკური
ბიბლიოთეკის დირექტორი

სონია ჭელიძე

60 წელიწადი წიგნებთან

ყველა ჩვენგანი ბავშვობიდან მოდის. ჩემი თაობის ახალგაზრდები დღედაღამ ბიბლიოთეკაში ვიყავით, დარბაზი მკითხველს ვერ იტევდა. ხშირად ფეხზე დამდგარი ფანჯრის რაფასთან ჩავკირკიტებდით წიგნს, რაღაცებს ვიწერდით, საკონტროლო თემებს ვამზადებდით. ახლა სამკითხველო დარბაზში იშვიათად ნახავთ მოსწავლესა და სტუდენტს, მხოლოდ ძალიან ბეჯითები თუ მიაკითხავენ. ხეირიანად არც კი აქვს გათვითცნობიერებული, რომ ქვეყნის წინსვლა-აღორძინება დამოკიდებულია მომავალ თაობაზე, რომელიც აღჭურვილი იქნება სათანადო მეცნიერული ცოდნით, რასაც უწიგნოდ ვერ მოიპოვებ.

არადა, სამკითხველო დარბაზში უმეტესად პენსიონერები სხედან და ისინიც პრესას ეცნობიან. თავს არ ვიქებ, 14 წლიდან დღემდე არ შემიწყვეტია ბიბლიოთეკით სარგებლობა. კარგი, კეთილსინდისიერი, წიგნის მეგობარიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამიჩენია. მათ შორის გამორჩეულად ვთვლი აკაკი წერეთლის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის თანამშრომელს, კეთილშობილ ქალბატონს სონია ჭელიძეს, რომელიც ექვსი ათეული წელიწადია აქ მუშაობს.

მკითხველისათვის იქნებ საინტერესო იყოს, რა გზა გაიარა მან. წარმოშობით ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხიდან - რაჭიდანაა. დაიბადა 1916 წელს ამროლაურის რაიონის სოფელ ჭილაღელეში, გლეხის ოჯახში. 1931 წელს ჩამოვიდა ბათუმში, დაამთავრა ინდუსტრიული ტექნიკუმი და 1939 წელს მუშაობა დაიწყო საჯარო ბიბლიოთეკაში, სადაც დღემდე მოღვაწეობს. პირველად მეთოდური განყოფილების გამგედ დანიშნეს, შემდეგ – დაუსწრებელი აბონენტის განყოფილების გამგედ. 1971 წლიდან კი რეგისტრატურის მთავარი ბიბლიოთეკარია.

ქალბატონმა სონიამ ბევრი ბიბლიოთეკარი გაზარდა. ამასთან დაკავშირებით ვეტერანმა მიამბო: 1951 წლიდან საჯარო ბიბლიოთეკასთან გაიხსნა საბიბლიოთეკო ერთწლიანი კურსები, რომლის ხელმძღვანელი მე ვიყავი. წლის ბოლოს მსმენელები ჩამყავდა თბილისში, კულტურის სამინისტროში და იქ გამოცდას უტარებდნენ. შემდეგ გზავნიდნენ სხვადასხვა რაიონში. ეს კურსები ექვს წელს მოქმედებდა და ბათუმში კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი რომ გაიხსნა, არსებობა შეწყვიტა. სასწავლებლის ყველა მოსწავლე პრაქტიკას ჩვენს ბიბლიოთეკაში გადიოდა ჩემი მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით. ბევრი მათგანი შემდეგ წიგნის ნამდვილი მეგობარი გახდა.

ქალბატონი სონია აღნიშნავს, რომ ბიბლიოთეკაში მისი მუშობის პერიოდში ბევრი ცვლილება მოხდა. აშენდა ორსართულიანი ნათელი შენობა, გამოიყო წიგნების ძირითადი და დამხმარე ფონდები. შედგა კატალოგები დამხმარე ფონდზე, გაიზარდა წიგნთა რაოდენობა და შესაბამისად ბიბლიოთეკის მუშაკთა რაოდენობაც. თუ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1999? წელს ბიბლიოთეკაში ექვსი თანამშრომელი იყო, ახლა ოცდათხუტმეტია.

ახლა მის მეგობრებს მოვუსმინოთ.

ლამარა ბოგვერაძე – მთავარ ბიბლიოთეკარი: ქალბატონ სონია ჭელიძესთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს. არის თავისი საქმის დიდოსტატი, კეთილსინდისიერი და დაუღალავი მშრომელი, უაღრესად ყურადღებიანი ადამიანებისადმი, რაც მარტო საჭირო კი არა, აუცილებელიცაა ბიბლიოთეკარისათვის.

ნორა ტაბუცაძე – მთავარი ბიბლიოთეკარი: მახსოვს, სრულიად ახალგაზრდა როგორ განვიცდიდი და ვნერვიულობდი ახალ კოლექტივში ფეხის შედგმას, მაგრამ ქალბატონმა სონიამ გულთბილად მიმიღო. დაძაბულობა და შიში გამიქარწყლა. თანამშრომლებთან და მკითხველთან ადამიანური, თბილი დამოკიდებულებით გამოირჩევა, სამართლიანი და კეთილშობილი ადამიანია.

ქალბატონ სონიას მეუღლე იყო კოტე პატარაია. ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრის მსახიობი, აჭარის დამსახურებული არტისტი. ჰყავს ორი შვილი და ერთი შვილიშვილი.

ქალბატონ სონია ჭელიძის შრომა სათანადოდ დააფასეს. 1945 წელს დააჯილდოვეს ,,შრომითი მამაცობისათვის“. 1960 წელს აჭარის საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება მიანიჭეს, 1961 წელს, კი საქართველოს საპატიო ბიბლიოთეკარისა. მინიჭებული აქვს აგრეთვე აჭარის დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება.

ქალბატონი სონია ჭელიძე დღესაც დაუღალავად აგრძელებს მუშაობას. კიდრვ დიდხანს კარგად ყოფნა და ბედნიერება ვუსურვოთ.

ეთერ თვალავაძე,

გაზ. ,,აჭარა“, 2004 წ. 24.01

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თალიკო დოლიძე

,,თქვენს გაზეთს მკითხველი მუდამ ელოდება“

ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების გამგე თალიკო დოლიძე.

როდესაც ,,აჭარა P.S.“-ის ახალ ნომერს მიიღებთ, ახერხებთ წაკითხვას?

რა თქმა უნდა, ვახერხებთ – ეს ჩვენი პროფესიული მოვალეობაცაა, მაგრამ გაზეთის გამოსვლის დღეს მკითხველთა დიდი მოთხოვნაა და პირველობას მათ ვუთმობთ. შემდეგში ჩვენც ვკითხულობთ, ხანდახან სახლშიც კი მიგვაქვს ერთი ღამით.

პერიოდიკის განყოფილებაში მკითხველები რა კატეგორიისანი არიან?

ყველა კატეგორისაა – დაწყებული სტუდენტიდან პენსიონერით დამთავრებული, განათლებით მოსწავლეებიდან პროფესორამდე.

პროფესორებიდან ვინ გთხოვათ ,,P.S“?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლახან რაც მახსოვს, შოთა ზოიძემ მთხოვა, შოთა მესხიძემაც. არ შეიძლება აქ მოვიდნენ და ,,აჭარა P.S“-იც არ მოითხოვონ.

რა გაინტერესებთ ჩვენს გაზეთში?

საერთო ინფორმაცია, როცა გაზეთი დარბაზში გადის, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა არის გაზეთში დაბეჭდილი, რათა შევთავაზოთ მკითხველს.

თქვენგან ხდება შეთავაზება?

შეთავაზება არც არის საჭირო, მკითხველი მუდამ ელოდება ამ გაზეთს.

დაგვიანება ან წყვეტილობა ხომ არ გაქვთ?

რეგულარულად ვღებულობთ, საგანგაშო დაგვიანებას ადგილი არ ჰქონია.

პირადად თქვენ პირველ რიგში რას კითხულობთ?

ვიწყებ თავიდან და ბოლომდე ვკითხულობ, სენსაციურ სათაურებს არ გამოვედევნები ხოლმე, თუმცა, არც ესაა გამორიცხული.

ჟურნალისტები თუ გყავთ გამორჩეული?

ტარიელ ქათამაძე, ჯემალ წულუკიძე, ნატო მახარაძე. ეს ის ჟურნალისტებია, რომელთაც მძაფრი კრიტიკული ალღო აქვთ. მათი სტატიებით გაზეთები უფრო საინტერესოა და კითხვადი.

როგორ მიგაჩნიათ, არის ,,აჭარა P.S“ დამოუკიდებელი გაზეთი?

თავისუფალი პრესის იმიჯს ნამდვილად იმკვიდრებს.

აჭარაში გამომავალ გაზეთებს შორის რა ადგილს მიაკუთვნებთ ,,აჭარა P.S“-ს

ერთ-ერთ პირველს, თავისუფალ პრესას შორის კი ნადვილად ფლაგმანია.

თქვენი სურვილები ,,აჭარა P.S“-ისადმი...

პერიოდულობის გაზრდა, ასევე ტირაჟის გაზრდაც, ფინანსურად გაძლიერებაც, რაც ალბათ დადებითად აისახება თითეულ თანამშრომელზე.

ლიანა ხანთაძე,

გაზ. ,,აჭარა P.შ.“, 2003 წ. N-17

ნორა ტაბუცაძე

,,წიგნს კომპიუტერი ვერ შეცვლის“

აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში 1961 წლიდან მუშაობს, თუმცა სხვა ბიბლიოთეკებში მანამდეც მუშაობდა. ამბობს, რომ უყვარს თავისი საქმე, თავიდანაც სიყვარულმა გადააწყვეტინა გამხდარიყო ბიბლიოთეკარი.

ქალბატონო ნორა, ვინ არის თქვენი მკითხველი?

ბევრი მკითხველი გვყავს – სტუდენტები, მოსწავლეები, მეცნიერ-მუშაკები, ლექტორები, პენსიონერები, მთავრობის წარმომადგენლებიც, ოღონდ იშვიათად, ყველაზე ხშირად მიხეილ მახარაძე დადის ბიბლიოთეკაში. მოსწავლეები და სტუდენტები სახელმძღვანელოებს ითხოვენ, პენსიონერები, უმეტესად, ჟურნალ-გაზეთებს კითხულობენ, იშვიათად, წიგნებსაც. წინათ უფრო მეტი მკითხველი მოდიოდა. ბოლო 15 წლის მანძილზე იკლო მათმა რაოდენობამ. ადრე ლიტერატურასაც მეტს ვღებულობდით და მკითხველსაც დიდი არჩევანი ჰქონდა. დღეს ნაკლები წიგნები შემოდის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიმედოვნებ, რომ აწი ახალი ლიტერატურით გამდიდრდება წიგნადი ფონდი, ახალ წიგნებს საჩუქრად ავტორებისაგან ვიღებთ, წიგნად ფონდზე თანხა შარშან ჩამოგვაჭრეს, წელს კი, 15 ათასი ლარი გამოგვიყვეს. ბიბლიოთეკა მუდმივად უნდა ივსებოდეს ახალი ლიტერატურით.

მაინც რატომ აირჩიეთ ეს პროფესია?

ჩემს მეზობლად პარმენ ლორიას ოჯახი ცხოვრობდა, ვმეგობრობდი მის შვილებთან, მათი სახლი სავსე იყო მრავალი ლიტერატურით. მაგიდაზე ყოველთვის ეწყო ახალი წიგნები და გაზეთები. აქედან შემიყვარდა წიგნი და ამიტომაც ჩავაბარე ბიბლიოთეკურზე.

თქვით, რომ წიგნის სიყვარულმა გადაგაწყვეტიათ ბიბლიოთეკარობა, თუ გაქვთ სამაგიდო წიგნები?

კი და ბევრი, გალაკტიონ ტაბიე, ვაჟა-ფშაველა, კონსტანტინე გამსახურდია, დათო ტურაშვილი, რამდენიმეჯერ ვკითხულობ ჭაბუა ამირეჯიბის ,,დათა თუთაშხიას“. თუმცა მაღიზიანებს ის თანამედროვე ლიტერატურა, სადაც ვულგარიზმი, ინტიმურობა და უწმაწური სიტყვები ჭარბობს.

როგორი უნდა იყოს ბიბლიოთეკარი?

განათლებული, ამასთან ყველა მკითხველს თავისებურად უნდა მიუდგეს. ხშირად გულგრილობა და უყურადღებობა ძაბავს მკითხველსა და ბიბლიოთეკარს შორის ურთიერთობს. მკითხველისადმი უყურადღებობა ბიბლიოთეკარის დიდი მინუსია. მან არც ერთი მკითხველი არ უნდა დატოვოს უპასუხოდ, როდესაც კონკრეტულ წიგნს მომხმარებელს ვერ სთავაზობს. უნდა ჰკითხოს, რაიმე სხვას ხომ არ წაიკითხავს.

კურიოზებზე რას გვეტყვით?

ახალი დაწყებული მქონდა მუშაობა, მარტო დავრჩი ბიბლიოთეკაში, მაშინ ჟურნალი ,,საქართველოს ქალი“ გამოდიოდა. შემოვიდა მკითხველი და მკითხა, თუ გაქვთო /ახლაც მახსოვს, ეს მკითხველი, გურამ ჩაგანავაა, შეიძლება მას არ ვახსოვდე/ კი-მეთქი ვუთხარი, მაგრამ გადავატრიალე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი და ვეღარ ვნახე, უარის თქმა გამიჭირდა, მაგრამ რას ვიზამდი. ბიბლიოთეკიდან წასვლა დააპირა, რომ დავინახე ჩემს თვალწინ მედო, დავუძახე, გაეცინა და დაბრუნდა დარბაზში. ერთს მოვყვები კიდევ. მილიციონერს ვერ ვემსახურები, ბავშვობიდან ფორმიანების მეშინია, არ ვიცი რატომ ჩამომიყალიბდა ეს შიში, არასდროს არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრებს მათთან პრობლემა არ გვქონია. მილიციელი მოვიდა და კარების გაღებას მთხოვდა, მარტო ვიყავი, ვუთხარი ვერ გაგიღებთ, თქვენი მეშინია-მეთქი. რატომ გეშინია, ალბათ რაღაც დააშავეო და კარი გამაღებინეს.

ბრძანეთ, რომ ადრე უფრო მეტი მკითხველი იყო, ვიდრე დღეს, რამ განაპირობა მათი შემცირება?

ნაწილობრივ კომპიუტერმა შეუწყო ხელი ბიბლიოთეკაში მკითხველთა რაოდენობის შემცირებას. წინათ გართობის საშუალებებიც ნაკლები იყო, ღამის კლუბები და დისკოთეკები არ არსებობდა, ამანაც დაავიწყა წიგნი ახალგაზდებს, უფრო მეტიც, ბევრ მათგანს შეიძლება არც სჭერია წიგნი ხელში. ახალგაზრდებს როცა ეკითხებიან, თქვენი საყვარელი პოეტიო, ვერავის ასახელებენ, რაც ძალიან სამწუხაროა, თითეულ მათგანს ვურჩევ წიგნი წაიკითხოს, რადგან მას კომპიუტერი ვერ შეცვლის.

გიორგი ბერიძე,

გაზ. ,,აჭარა“, 2008 წ. 11 მარტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავრორა ჩხაიძე

40 წელი – წიგნებთან

არიან ადამიანები, რომლებმაც ცხოვრება ხალხისა და ქვეყნის სამსახურში გაატარეს და ამისათვის არც მადლობას, არც გახსენებას თხოულობენ ჩვენგან, ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარი და ღირსეული დედა, ქალბატონი ავრორა ჩხაიძე. ქალბაონმა ავრორამ 1950 წელს გამოცდები ჩააბარა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე. 18 წლის ასაკში შექმნა ოჯახი და მალე ტყუპი შვილების დედაც გახდა. ნიჭიერი სტუდენტისათვის, რომელმაც წარმატებით დაამთავრა ინსტიტუტი, ოჯახსა და შვილიანობას ხელი არ შეუშლია.

იგი 1958 წელს მუშაობას იწყებს ბათუმის N2 ბიბლიოთეკაში. 1967 წლიდან კი გადმოიყვანეს აკაკი წერეთლის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში გაცვლითი და სარეზერვო ფონდის განყოფილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგედ. საბიბლიოთეკო სისტემაში ოთხი ათეული წელი უმწიკლოდ და ჩვეული პასუხისმგებლობით იღვაწა. მას სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი წიგნისა და მკითხველის სიყვარული. ბიბლიოთეკარი ძალასა და ენერგიას არ იშურებდა, რომ თავისი მდიდარი გამოცდილება გაეზიარებინა, დახმარების ხელი გაეწია წიგნის მოყვარულთათვის.

ქალბატონი ავრორა სისტემატურად მონაწილეობდა აჭარაში საბიბლიოთეკო კადრების მომზადების საქმეშიც, რომლისთვისაც მიღებული აქვს მრავალი საპატიო სიგელი და ჯილდო.

ყველაზე დიდი ჯილდო მისთვის ის სიყვარულია, რომელიც მისი ტყუპი შვილების გულში ანთია, შვილებისა, რომლებიც მხრებგამართულნი გავიდნენ ცხოვრების ფართო გზაზე და ქვეყნის საკეთილდღეოდ იღვწვიან.

მანანა და მადონა ბოლქვაძეები, ტყუპი დები, უსათნოესი ქალბატონები, პატიოსნებით, ჰუმანიზმით გამორჩეულები - ასე იცნობენ მათ ბათუმელები და, მართალია, ხანდახან ერთმანეთში ეცვლებათ კიდეც, მაგრამ ამას თავად დები ისეთი თბილი ღიმილითა და ტაქტით მიგახვედრებენ, შეუძლებელია ღრმა დიმპათიის გრძნობა არ დაგეუფლოს მათდამი. ორივემ უმაღლესი პედაგოგიური განათლება მიიღო /მანანა ფილოლოგია, მადონა - ბიოლოგი/. ქალბატონი მანანა დედის ტრადიციებს აგრძელებს, აკაკი წერეთლის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მუშაობს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განყოფილების გამგედ. მადონა ასოციაცია - ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ რეგიონული ორგანიზაციის ხელვაჩაურის განყოფილების თავმჯდომარეა, თანაც მუშაობს ხელვაჩაურის განყოფილების განყოფილებაში ქიმია-ბიოლოგიის მთავარ სპეციალისტად.

71 წლის ავრორა, მიუხედავად იმისამ რომ ჯანმრთელობას უჩივის, ვაჟკაცურად გამოიყურება, მაინც არ კარგავს ხვალინდელი დღისადმი რწმენას, შესწევს უნარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხვებზე იზრუნოს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ის ფაქტიც, რომ ღვაწლმოსილმა ბიბლიოთეკარმა კარის მეზობელ სომეხ გოგონას საფუძვლიანად შეასწავლა ქართული წერა-კითხვა, შეაყვარა ქართული წიგნები, გააცნო ქართველი ხალხის ისტორია და ტრადიციები.

ჩვენ კი, ამ პატარა წერილით გვინდა გავახსენოთ თანაქალაქელებს მისი ღვაწლი, ამაგი და ვუსურვოთ მხნეობა, ჯანის სიმრთელე შვილებთან ერთად.

ზაირა სურმანიძე

გაზეთი ,,აღორძინება“ 2003 წელი N8-9

ანტონინა ხელაძე-ჯაყელი

საბიბლიოთეკო საქმის ამაგდარმა ანტონინა ადამის ასულმა ხელაძე-ჯაყელმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება წიგნის პროპაგანდის კეთილშობილურ საქმეს მიუძღვნა თავი.

წლწბის მანძილზე წიგნისა და ადამიანის სიყვარულით ფიტკარივით იშრომა და თავისი წვლილი შეიტანა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიბლიოთეკო დარგის განვითარებასა და სრულყოფაში.

დაიბადა 1923 წელს, ლანჩხითის რაიონის სოფელ მამათში. 1942 წელს დაამთავრა ბათუმის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში, სადაც 47 წელიწადს იღვაწა. გაიარა გზა ბიბლიოთეკარიდან ძირითადი წიგნსაცავის განყოფილების გამგის თანამდებობამდე.

მინიჭებული აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება, დაჯილდოვებულია საქართველოს სსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურის სამინისტროების საპატიო სიგელებით, მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო მაინც მკითხველის მადლობა და სიყვარული იყო.

გვჯერა, ქალბატონი ანტონინა იმ ქვეყნადაც ისეთივე ნათელით იქნება მოსილი, როგორი კვალიც აქ, მზისქვეშეთში დატოვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კულტურის სამინისტრო,
სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
გაზ. „აჭარა“ 2001 წ. 14 ივნისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ბიბლიოთეკა 105 წელი იუბილეს ისევ ძველი სტატუსით შეხვდება

მომავალ წელს აჭარის აკაკი წერეთლის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას 105 წელი უსრულდება. მისი წიგნადი ფონდი დღეისათვის 400 ათასს აღწევს. ბიბლიოთეკა უნივერსალური წიგნებითაა დაკომპლექტებული და ყველა კატეგორიის მკითხველს ემსახურება, ამიტომ გასაგებია საზოგადოების წუხილი გავრცელებული ხმების გამო, რომ ბიბლიოთეკა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს უერთდება. ამ ფაქტთან დაკავშირებით მკითხველთა მრავალრიცხოვანი ხელწერებიც შეგროვდა.

როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ხერხეულიძემ გვითხრა, ამ დღეებში საკითხი დადებითად გადაწყდა.

- გასაგებია, რომ საზოგადოებას სურდა აჭარის მთავარი ბიბლიოთეკა დარჩენილიყო როგორც დამოუკიდებელი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი და ამისათვის ხელწერებიც შეგროვდა, მაგრამ მთავრობას დადებითი გადაწყვეტილება ამის გამო არ მიუღია , - აღნიშნა ქალბატონმა ეკა ხერხეულიძემ, - უბრალოდ, მთავრობის სხდომაზე გამოიტანეს პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საჯარო ბიბლიოთეკის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკად გადაქცევას. მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრებმა ერთად ვიმსჯელეთ და შევჯერდით იმ გადაწყვეტილებაზე, რომ ბიბლიოთეკა არ იყოს არც უნივერსიტეტისა და არც უმაღლესი საბჭოს დაქვემდებარებაში, ანუ დარჩენილიყო და ეარსება ისევ დამოუკიდებლად, თავისივე საშტატო ერთეულით. აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ გასატარებელია რეფორმა, მაგრამ როგორ და რა მეათოდით, ამ საკითხთან დაკავშირებით სერიოზული დაფიქრება გვამრთებს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რადგანაც ეს ბიბლიოთეკა დიდი ტრადიციების დაწესებულებაა და მას პატივი უნდა ვცეთ. აქვე ისიც მინდა გითხრათ, რომ დამოუკიდებლად იარსებებს საქალაქო ბიბლიოთეკა, რომელთანაც გაერთიანდება საბავშვო ბიბლიოთეკა. ვფიქრობთ, ამ ეტაბზე ეს ყველაზე გონივრული გადაწყვეტილებაა.

– ორი წელი არაა რაც ხელფასები მოგვიმატეს, მანამდე, შეიძლება ითქვას, ენთუზიაზმზე ვმუშაობით და თითეული ჩვენგანი ცდილობდა ბიბლიოთეკის სახელი არ შეელახა, – გვითხრა რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ ნანა დიასამიძემ, - ბიბლიოთეკა წიგნის საწყობი არ არის და მით უმეტეს ჩვენი, საუკუნოვანი ბიბლიოთეკა. იგი აჭარის ერთგვარი წარსული, აწმყო და მომავალია. მართალია, კომპიუტერის ეპოქაში ვცხოვობთ, მაგრამ კომპიუტერი წიგნს ვერასდროს შეცვლის. ვერ წარმომიდგენია კონსტანტინე გამსახურდიას შედევრების კომპიუტერში წაკითხვა. ბიბლიოთეკის კოლექტივისა და მრავალრიცხოვანი მკითხველის სახელით, მადლობას ვუხდით ყველას, ვინც ეს სერიოზული პრობლემა დადებითად გადაწყვიტა.

მანანა ძიძიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს სიტყვები სათაურად შემთხვევით არ გამოგვიტანია. ის ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავს ბათუმელების და არა მარტო მათ განწყობას აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკისადმი. 1902 წლიდან მოქმედი ეს დაწესებულება პირველი საგანმანათლებლო დაწესებულებაა აჭარაში, რომლის კედლებშიც ათასობით ადამიანმა იპოვა ცოდნის გასაღები. 30 აპრილს აქ საქართველოს ბიბლიოთეკარის დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა გაიმართა. ბათუმისა და აჭარის რეგიონების გამორჩეულ ბიბლიოთეკარებს საჩუქრები, თბილი სიტყვები, მათი ღვაწლის დაფასება ელოდათ. ამ დღეს დასრულდა ,,ბიბლიოთეკის კვირეული", რომელიც წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 23 აპრილს დაიწყო. ბიბლიოთეკის მესვეურები პროფესორ თეიმურაზ კომახიძის დაბადებიდან 75-ე წლისთავს სიყვარულითა და სითბოთი გამოეხმაურნენ და მკითხველს ამ აღიარებული მწიგნობრის მიერ შედგენილი კიდევ ერთი წიგნი (ორტომეული) ,,აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი" წარუდგინეს. კვირეულის ფარგლებში მოეწყო აგრეთვე საღამოები ,,ვიმეგობროთ ცხოველებთან" ვაჟა - ფშაველას ნაწარმოების ,,შვლის ნუკრის ნაამბობის" მიხედვით და ,,მსოფლიოს ხალხთა პოეზიის მარგალიტები".

30 აპრილს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა გენადი მახარაძემ ყველა ბიბლიოთეკარისადმი მიმართული გულითადი მისალოცი სიტყვების შემდეგ, აჭარის საბიბლიოთეკო სფეროს მუშაკთა მეცხრე კონკურსში გამარჯვებულები დაასახელა. ათ ნომინანტს შორის გახლდათარის თითეული რაიონის სუკეთესო ბიბლიოთეკარები: გუგული თურმანიძე (შუახევი), ირმა ბაჟანიძე (ქედა), ზეინაბ მამულაზე (ხელვაჩაური), მაყვალა ვერულიძე (ქობულეთი), ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამშრომლებს შორის სხვადასხვა ნომინაციაში გაიმარჯვეს ნანი დიასამიძემ (ამაგდარი ბიბლიოთეკარი), სვეტლანა ბერაიამ (გულისხმიერი ბიბლიოთეკარი), მერი მალაყმაძემ (პუნქტუალური ბიბლიოთეკარი), სოფო ინაიშვილმა (ხალისიანი ბიბლიოთეკარი) და მადონა ბაკურიძემ (თანამედროვე ბიბლიოთეკარი). ფასიან საჩუქრებთან და ყვავილებთან ერთად, მათ ეთერ ცივაძის წიგნი ,,იმ დიდი სახლის მახსოვს ასული" გადაეცათ. როგორც ავტორმა, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ყოფილმა დირექტორმა თქვა, ეს წიგნი საბიბლიოთეკო მუშაობის შინაარსსა და ფორმებს ეხება და ყველა ბიბლიოთეკარისათვის სასურველია. ბათუმის მერიამ კი საჯარო ბიბლიოთეკის უკლებლივ ყველა თანამშრომელს პირად ანგარიშზე თანაბარი რაოდენობის გარკვეული თანხა ჩაურიცხა. გენადი მახარაძემ კმაყოფილება გამოთქვა, რომ ბიბლიოთეკისადმი ყურადღება წლიდან წლამდე იზრდება და მათი პროფესიული დღესასწაულიც სულ უფრო ფართოდ აღინიშნება.

მათ საქმისადმი სიყვარულს, ერთგულებასა და ადამიანურ გულისხმიერებას ერთხმად ხაზს უსვამდა ყოველი გამომსვლელი და გულწრფელი პატივისცემით ულოცავდა პროფესიულ დღესასწაულს. ბათუმის მერის მოადგილის ნათია სურგულაძის, პროფესორების რამაზ სურმანიძის, ოთარ გოგოლიშვილის, ბათუმის მერიასთან არსებული ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილის თენგიზ თავდგირიძის, პოეტ გენრიეტა ქუთათელაძის მადლიერებით სავსე სიტყვებიდან მეხსიერებას შემორჩა შესანიშნავი ფრაზები ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით: ,,აჭარის სულიერი კულტურის ცენტრი", ,,ქალაქის კულტურისა და განათლების მექა", ,,ფასდაუდებელი შრომისმოყვარეობის ადამიანები" და ა.შ. შეხვედრა გაალამაზა ერთ-ერთი ბიბლიოთეკარის, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, ლექსმა, რომელიც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავისი პროფესიის ადამიანებს მიუძღვნა. ლექსი საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების ხელმძღვანელმა ინგა გოგიბერიძემ წაიკითხა. შეხვედრაზე ასევე ჟღერდა ბათუმის მერიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ხალხურ საკრავიერ ინსტსტრუმენთა ტრიოს მიერ შესანიშნავად შესრულებული ნაცნობი, ხალხური მელოდიები.

ბიბლიოთეკის დღისადმი მიძღვნილმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, როგორი სიყვარულით ეკიდებიან თავიანთ საქმეს ამ ფრიად სასარგებლო და აუცილებელი პროფესიის ადამიანები, რომლებმაც სიყვარულის გამოსახატავად ბიბლიოთეკის მტვერი ხატოვნად თეატრის კულისების მტვერსაც შეადარეს, რომლის, გადაყლაპვა, ამ საქმისადმი ერთგული და შეუნელებელი სამსახურის სათავეა.

მარინა მითაიშვილი

აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა
110 წლისაა. 2014 წელი

გაიხსნა ,,ბიბლიოთეკის კვირეული“

23 აპრილი წიგნის საერთაშორისო დღეა. სწორედ ამ დღეს დაუკავშირეს აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა ,,ბიბლიოთეკის კვირეული“, რომელიც უკვე ტრადიციად იქცა.

კვირეულის გახსნაზე მოიწვიეს ბათუმის სკოლების, საბავშვო ბაღების, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები. როგორც ბიბლიოთეკის დირექტორმა გენადი მახარაძემ აღნიშნა, აქ კვირეულის დღეებში არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩატარდება.

,,წიგნი, ბიბლიოთეკა და საზოგადოება“, ასეთი იყო დიალოგის თემა, რომელსაც დირექტორის მოადგილე ნატო ჭყონია უძღვებოდა.

,,უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა“ – გვმოძღვრავს ილია ჭავჭავაძე, მაგრამ ამ ბოლო დროს კომპიუტერმა მოზარდებს ,,გამოგლიჯა“ წიგნი ხელიდან და თავისთან დაიმეგობრა. წიგნი თუ კომპიუტერი? – ასეთი შეკითხვა დაისვა დიალოგის მიმდინარეობისას, როგორც მონაწილეები შეთანხმდნენ – წიგნიც და კომპიუტერიც აუცილებელია, რადგან დღევანდელ დღეს არც უწიგნოდ უნდა იცხოვროს ადამიანმა და არც კომპიუტერის გარეშე. თუმცა ისიც ითქვა, რომ მოზარდი სულ უფრო მეტ დროს ატარებს კომპიუტერთან და წიგნისთვის დრო აღარ რჩება. როგორც აღნიშნა. კითხვის კულტურას ბავშვი საბავშვო ბაღშიც უნდა მიაჩვიონ და სკოლაშიც, რადგან წიგნის კითხვით მიღებულ სიამოვნებას კომპიუტერი ვერასოდეს შეცვლის.

საზოგადოების წიგნიერებაში დიდი როლი ეკისრება სახელმწიფოს, – აღნიშნა პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა, – ჩემს ბავშვობაში ქალაქის ყველა უბანში ბიბლიოთეკა იყო, სადაც არაერთი საინტერესო საგანმანათლებლო ღონისძიება ტარდებოდა, ბიბლიოთეკა ინფორმაციის ერთ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთი მნიშვნელოვანი წყაროა და მათი დახურვით ძალიან ცუდი საქმე გაკეთდა. ისიც სათქმელია, რომ წიგნები ძალიან გაძვირდა და მისი შეძენა უჭირს ოჯახს. ყველა საჯარო ბიბლიოთეკაში ხომ ვერ ივლის? ალბათ ღირს ამაზე დაფიქრება.

დიალოგის მონაწილენი შეთახმდნენ, რომ აუცილებელია შეიკრას სამკუთხედი – სკოლა, ბიბლიოთეკა, ოჯახი, რომელიც ერთ დიდ საქმეს ერთად გააკეთებს, შეაყვარებს ბავშვს წიგნს.

კვირეულის დღეებში ჩატარდება უილიამ შექსპირის დაბადების 445 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო ,,სიყვარულის დიდი სიმფონია“. ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება, ჩაატარებს ლიტერატურულ საღამოს ,,ახალგაზრდობა წიგნის სამყაროში“, საბიბლიოთეკო გაკვეთილს ,,ოცდაცამეტი მზის სახოვანი ქართული ანბანი“. ასევე შეხვედრას ,,პატარები წიგნების ზღაპრულ სამყაროში“.

30 აპრილს, ბიბლიოთეკარის დღეს მოეწყობა შეხვედრა საჯარო ბიბლიოთეკისა და ქალაქის ღვაწლმოსილ ბიბლიოთეკარებთან, – გაიმართება აჭარის საბიბლიოთეკო სფეროს მუშაკთა მეექვსე კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება.

მანანა ძიძიშვილი,

გაზეთი ,,აჭარა“ /2011 წლის N-60/

ბათუმში მითენდება - მიღამდება და... მაინც მენატრება

აკიკი წერეთლის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა ძირძველი, ცნობილი და სახელოვანი ბათუმელები მოსაფერებლად ერთად შეკრიბეს და უნდა გენახათ, ის ორი საათი, დარბაზში რა სითბო და სიყვარული სუფევდა

თავდაპირველად მათ ბიბლიოთეკის დირექტორი გენადი მახარაძე მიესალმა, მერე ჩვეული ენაწყლიანობით მოხიბლა დარბაზი მანანა სულაბერიძემ, რომელიც ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებულ ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოს ,,ბათუმი - ჩემი ლურჯი ოცნება“ უძღვებოდა.

დარბაზში ისხდნენ ისინი, ვინაც არაერთი წელი უანგაროდ ემსახურა მშობლიურ ქალაქს და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ბათუმი კიდევ უფრო მიმზიდველი გამხდარიყო და ყველას ისევე შეყვარებოდა, როგორც თავად უყვარდათ და უყვართ.

ხელოვნები, მწერლები, მხატვრები, სპორტსმენები, საზოგადო მოღვაწეები... მათ განსაკუთრებული წვლილი შეჰქონდათ (და არა მხოლოდ ქალაქის). ისინი ბევრნი არიან და მათი ჩამოთვლა მცირე საგაზეთო წერილში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, თუმცა წამყვანმა მათი მეტი წილი ჩამოთვალა, ბევრის სულმა დიდი ხანია ზეციურ საქართველოში დაივანა. მათი დიდი ნაწილი კი ვინც დღესაც ჩვენს გვერდითაა, ორგანიზატორებმა ბიბლიოთეკაში მოიწვიეს და პირველი სიტყვა საქართველოს სახალხო არტისტს, თეატრისა და კინოს ცნობილ მსახიობს იური ცანავას მისცეს. ამაღელვებელი იყო ის წუთები, როცა მას სიტყვის დასრულების შემდეგ დარბაზი ფეხზე წამოუდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ბიბლიოთეკა თანდათან კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი ხდება, მარტო წელს აქ 30-მდე ღონისძიება ჩატარდა. დღევანდელი შეკრების მიზეზიც საინტერესო იყო. ასეთი შეხვედრები ხშირად უნდა ჩატარდეს, რადგან ყველას ერთად ვერ დაიტევს ეს დრბაზი, არადა, ყველა ბათუმელმა უნდა მოისმინოს და განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ბათუმელი – ქალაქის გულშემატკივარი, მისადმი სიყვარული გულიდან უნდა მოდიოდეს. ძირძველმა ბათუმელებმა ისეთი კარგი სიტყვები თქვეს, რომ აქ მოსვლა ნამდვილად ღირდა,- თქვა მწერალმა რამაზ სურმანიძემ.

ლექსით მოეფერა საყვარელ ქალაქს პოეტი ვახტანგ ღლონტი.

აი, რას ამბობენ ბათუმზე და ბათუმელობაზე:

1 წელია ბათუმში ვცხოვრობ და ორი-სამი დღითაც რომ სხვაგან წავიდე, უკვე მენატრება. ბათუმი სასწაულია, ანდამატივით გიზიდავს, თავად ჩემი ქვეყანაა სასწაული. ბათუმზე უკეთესი ქალაქი ჩემთვის არ არსებობს,- გვითხრა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ზურაბ ბაღდადიშვილმა.

ბათუმელობა, ვფიქრობ თანამდებობაა, პროფესიაა, - აღნიშნა ნანი გუგუნავამ.

აქ მიღამდება, აქ მითენდება და მაინც მუდამ მენატრება. ბათუმი ჩემთვის ნიშნავს ყველაფერს - ოჯახს, გვარიშვილობას, მეგობრობას, სტუმართმოყვარეობას, სიყვარულს, პატიოსნებას, – გვითხრა ლევან ღლონტმა.

ჩემთვის ბათუმელობა ნიშნავს, იყო მართალი შენი სინდისისა და ბათუმელების წინაშე, ბათუმი კი უნდა გიყვარდეს ისეთი, როგორიც არის, – თქვა ბიძინა ორაგველიძემ.

ჟურნალისტმა ამირან კიღურაძემ გულთბილად გაიხსენა ერთი ნაღდი ბათუმელი, მისი კარის მეზობელი ნუგზარ ჯაფარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამო გაალამაზა მერიის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის ქალთა კამერულმა გუნდმა /სამხატვრო ხელმძღვანელი ზაირა ვადაჭკორია, მთავარი დიროჟორი გელა ვადაჭკორია/, მსახიობმა ბიძინა მიქაუტაძემ ლექსი წაიკითხა, შესანიშნავად წაიკითხეს ლექსები ასევე ,,გიმნაზია ოცდამეერთე“ მოსწავლეებმა.

* * *

აკაკი წერეთლის სახეობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა, რომელზეც თემით ,,საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ წარსდგა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი.

საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ლამარა კურკაძემ – ,,საქართველოს ეროვნული საბჭო“, თეონა მგალობიშვილმა – ,,ბრესტის ზავი და საქართველო“, სოფო კანთელაძემ – ,,11 წლის მაისი“, დავით ბენდელიანმა – ,,დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს მთავრობა და მისი პირველი ღონისძიებანი“, დიანა დუმბაძემ – ,,დემოკრატიული საქართველოს ეროვნული პოლიტიკა“. თამარ ბუზალაძემ – ,,სომხეთ-საქართველოს კონფლიქტი, ,,დემოკრატიული საქართველო და დენიკინი“.

მანანა ძიძიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა 115 წლის გადმოსახედიდან

ჩვენი სახელოვანი ბიბლიოთეკა 115 წლისაა

აკაკი წერეთლის სახელს ატარებს იგი და მიტომაა ასე ახლობელი ჩვენთვის, მკითხველისათვის. ვინ უვლის ქართულ სიტყვას? ორი აზრი არ არსებობს. ეს ბიბლიოთეკაა, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა. რამდენი დაფრთიანებული, მეტაფ ორებით დატვირთული ლექსი, რამდენი ნოველა და რომანი მიაწოდა მკითხველს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკამ ამის დათვლა შეუძლებელია.

,,უწიგნოდ თვალსაწიერის ისარი მოკლეა“ – ბრძანებდა დიდი ილია. წიგნი მიიტანოს მკითხველამდე ეს ფუნქცია აკისრია ბიბლიოთეკას. წიგნმა უნდა მოგვახედოს უკან და დაგვანახოს რა გვაკლია აღმაშენებლამდე, ილიამდე, აკაკიმდე. წიგნით ვეზიარებით სიწმინდეს. დავით აღმაშენებელმა მარტო დიდგორითა და ეკლესიების აშენებით როდი გაითქვა სახელი, მან ქართული სული გადაარჩინა, ქართული სული გამოიხსნა. როცა ომში მიდიოდა აქლემებზე ხურჯინგადაკიდებული წიგნები მიჰქონდა მეფეთა მეფეს. ქვეყნის შეჭივრების ჟამს წიგნის შემენაზე ოცნება ლამაზი სიზმარი იყო. ბიბლიოთეკა მაინც ახერხებდა წიგნების შემენას და გვაწვდიდა მკითხველებს. ასე წავიკითხე ჭაბუა ამირეჯიბის ,,გორა მბორგალი“, გურამ შარაძის ,,უცხოეთს ცის ქვეშ'' გურამ ფანჯიკიძის ,,ეშმაკის ბორბალი“. სწორედ იმ შეჭივრების ჟამს, პურის რიგები რომ იდგა, ირგვლივ ცივი ქარი ქროდა, დენი არ იყო, მდინარეები დამშრალიყო, რა ექნა მთავრობას? ბიბლიოთეკა იყო გაურემონტებელი, იქაც ციოდა. ბიბლიოთეკის თანამშრომლები მაინც თბილი ღიმილს შემოგვაგებებდნენ და ისე გვემსახურებოდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ბიბლიოთეკა ეროვნულ საქმეს უდგას სათავეში, ხდება გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრა, წიგნების პრეზენტაცია, იუბილეები. მკითხველებს ვუსურვებ მარად ახსოვდეს, რომ სულის სიწმინდეს მხოლოდ წიგნით ეზიარება. ამიტომ, ჩვენი სულის გადარჩენისათვის უნდა მივუბრუნდეთ წიგნს, მკითხველო. წიგნმა უნდა გააღვიძოს ჩვენში სიკეთეს მონატრებული სინათლე. მერე ამ სინათლეს ხელისგული ავაფაროთ, რომ არ ჩაგვიქრეს.

ორიოდ სალექსო სტრიქონსაც მოგიძღვნით:

დღეს ჩვენ ძალიან გვჭირდება ყველანაირი წიგნები,
რაც უფრო მეტს წავიკითხვათ, უფრო ძლიერი ვიქნებით,
წიგნის ფურცლიდან ცოცხლდება ვარდი, ენძელა, იები,
მისი დამწერნი ყველანი დგანან ზენიტზე დიდების .
დღეს საქართველოს ფრთამოჭრილს ქუდი ახურავს ნამუსის,
ბიბლიოთეკა დგას იმედად ჩვენს სათაყვანო მამულში...

ანა დუნდუა,
მწერალი
30.08.2017

ბიბლიოთეკას, ბიბლიოთეკარებს

აქ მიწიერ სიწმინდეთ
უმდაბლესად თავს ვუხრი,
შველის ნუკრი დავლანდე,
მწვანე ნეკერს დავუყრი.

სარეცელი ტრფობისა –
– ჩაზნექილან თარონი...
ბაირონთან შეხვედრას
არ ჭირდება პაროლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც საიტი... ფოლიანტთ
სიბრძნე ჟონავთ ლაითად,
ყველგან მეგობრები მყავს,
გავიხედავ საითაც.

ვიიონი, ვისოცკი
მოედანზე ,,ბუნტარობს“,
გრანელს ცა მოეწონა,
გოლი გააქვს უკაროდ.

სიხარულს ვერ ვიოკებ,
სიამაყით ვარ დელი,
ვაჟას ხურჯინს ვერ ასწევს
ასი მილიარდელი.

ამ სასახლეს სრა ჰქვია,–
ფოლიანტთა სატახტო,
სადავითნე მზედ ბრწყინავს
რუსთაველი და ტატო.

და თუ აუქციონი
მომიქროლებს კართან ქარს,
შევიძენდი გისტრალის
გახუნებულ სარაფანს.

სიხარულს ვერ ვიოკებ,
სიამაყით ვარ დელი,
...ვაჟას ხურჯინს ვერ ასწევს,
ასი მილიარდელი.

ცისანა ანთაძე, პოეტი

22. 09. 2017 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წლები მარადჟამ ღირსსახსოვარი

წლები, რომელიც აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკამ განვლო, დახუნძლულია დიდი მოვლენებითა და შესანიშნავი ფაქტებით აჭარაში პირველი ქართული საჯარო ბიბლიოთეკა, სრული მეთოდიკური გარდაქმნები, სტრუქტურული ცვლილებები, ტექნიკური გადაიარაღება, მატერიალური ბაზის გაძლიერება, ახალ-ახალი ნაგებობების შემომატება, ცნობილი სპეციალისტების მოღვაწეობა, ახლაგაზრდა კადრების გამოჩენა და რაც მთავარია, საზოგადოებასთან ურთიერთობის არნახული გაფართოება, ეთიკურ-ესთეტიკური კულტურის დანერგვა, აქტიური მონაწილეობა კულტურულ საგანმანათლებლო საქმიანობაში. ეს ყოველივე ერთბაშად არ შექმნილა, არც ის გვეგონოს, რომ თითქოს არ ყოფილიყოს წინააღმდეგობები და ხელისშემშლელი პირობები, მაგრამ ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ იძლეოდა და ამგვარად შეიქმნა ის, რაც ამჟამად სახეზეა – დიდი წარმატებები და შრომის ნაყოფიერება.

ცხადია ეს შედეგია იმ თაობების დაუღალავი და თავდადებული შრომისა, რომლებიც ამ ხნისი განმავლობაში მოღვაწეობდნენ აქ. ეს არის ის მემკვიდრეობა, რომელსაც უფრთხილდება და ანვითარებს ბიბლიოთეკა, მთელი მისი დღევანდელი შემადგენლობა გამოცდილი სპეციალისტის - გენო მახარაძის ხელმძღანელობით, რომელიც ერთ-ერთი აქტიური წევრია საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის მშენებლობაზე მზრუნველთა შორის. დღეს ბიბლიოთეკა, მართალია, ამ სტატუსს არ ატარებს ფორმალურად, მაგრამ ფაქტობრივად, რეგიონის უმთავრეს ბიბლიოთეკას წარმოადგენს, რომელიც აჭარის საბიბლიოთეკო საქმეს წარმართავს. ის დღეს, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი უდიდესი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ამისათვის ქედს ვიხრი მისი შრომისმოყვარე კოლექტივისადმი, ყველას მიმართ გამოვხატავ მადლიერების გრძნობას და ვულოცავ ღირშესანიშნავ იუბილეს! ახალი წარმატებებით გევლოთ, ძვირფასო კოლეგებო!

ალექსანდრე ლორია,

ბიბლიოთეკათმცოდნე ჟურნალ

,,საქართველოს ბიბლიოთეკის'' მთავარი რედაქტორი

24 / VIII/ 2017

მილოცვა პოეტის არქივიდან
სკა, იგი, მუდამ თაფლით სავსე...

(სიტყვა, რომელიც უნდა მეთქვა)

საუკუნის და თხუტმეტი წლისა მოყრილა ჩვენი ქალაქის, ჩვენი კუთხის, ჩვენი საქართველოს ცოდნის და ცნობიერების, ერთი მძლავრი ბალავართაგანი, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა. ეს ასაკი არც ძალიან დიდი, მაგრამ არც ისე პატარაა. თუ გავიაზრებთ მის მნიშვნელობას და ღვაწლ-ამაგს აჭარის დაწინაურების ისტორიაში, იგი, როგორც ამ კუთხეში (და არა მხოლოდ ამ კუთხეში!) დავალდებულებული საქმის ფლაგმანი, – მადლიერთაგან საუკუნის დაფნისგვირგვინს იმსახურებს!!!

მე ვამაყობ მის ამ დიდებით!

აუწონარია წიგნის და ცოდნის ამ მუდამ ღია და უმდიდრესი ოქროს სკივრ-კიდობნის ფასი და ამაგი წარსულის, ხოლო იმედი და საზრუნავი, – მომავალი რიცხვუთვალავი მკითხველის წინაშე! არსად ისე უზრუნველად და უშიშრად არ გრძნობს თავს კალმოსანთა ნაღვაწ-ნამუშევარი, როგორც აქ, მის წიგნებით დახუნძლულ თაროებზე, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავმსახურებისთვის მზადმყოფნი ცოცხლად დანატოვარნი უკვდავი სულები, თავიანთი პატრონებისა...

არსად და არავინ ისე არ იციან მკითხველთა და მათ მსახურებაში დამშვრალი კალმოსანთა მიღება, მასპინძლობა და მოფერება, როგორც აქ, ამ და ამისნაირ კერებში,– მუდამდღე წმინდა ტაძრებში მლოცველებივით მორუდუნე-წიგნის მსახურებმა. ხოლო, უფრო ხატოვნად თუ ვიტყვით, ეს კერა, – მისი შენობით, ცოცხალი თუ გარდასული ავტორებით, ქართული ფუტკრით სავსე სკას, რომელიც მუდამ ხინოური და ქედური, ჭვანური და მაჭახლური თაფლით სავსეა...

მკითხველი კი... მკითხველი, როგორც იტყვიან, – თაფლი იყოს და ფუტკარი ბაღდადიდანაც მოფრინდება!..

ერთს კი ვინატრებდი: ამ ცოდნის, წიგნის კერის გვერდით, აქვე, ამ პატარა სკვერში, აკაკის წმინდა ბიუსტი მეხილა, ვის სახელსაც ატარებს ეს მადლიანი, დალოცვილი კერა...

ვლოცავ, ვულოცავ და ვეფერები, -

ემენ დავითაძე,

აკაკის პრემიის ლაურეატი
26. 02. 2013.

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელი ადამიანისათვის არსებითი წყაროა, პურია, სიმდიდრის მოპოვების საშუალება, კიდევ მეტი: ის კაცად გახდომის დაუშრეტელი წყარო-საშუალებაა, რასაც გვაძლევს სკოლა, წიგნი – საჯარო ბიბლიოთეკა, პედაგოგი. ამ პატარა წერილის ავტორმა ხანგრძლივი, რთული – ზიგზაგებიანი გზა განვლო.

1949 წლის პირველ სექტემბრამდე, ამჟამინდელ შუახევის რაიონის 80-მდე სოფელში საშუალო სკოლა არ იყო, ამიტომ ზოგადი საშუალო სკოლის დამთავრება ქ. ბათუმის ახალგაზრდობის ნომერ მეექვსე სკოლაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომიწია, სიმწიფის ატესტატის მისაღებად, მაშინ, 1948 წელს 12 საგანში ჩავაბარე სახელმწიფო კომისიის გამოცდები. საჭირო იყო საფუძვლიანი ცოდნა, რასაც მხოლოდ სკოლაში მიღებული ცოდნა ვერ აკმაყოფილებდა, 24 წლისა ვიყავი, ასაკოვანი, პასუხისმგებლიანი, ამიტომ ქალაქის ა. წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკას მივაშურე, ყოველდღიურად ვკითხულობდი საჭირო ლიტერატურას, ვემზადებოდი ყოველი გამოცდისათვის, შედეგმაც არ დააყოვნა – მივიღე სიმწიფის ატესტატი და მივაშურე შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექციას მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად, გეოგრაფიის ფაკულტეტზე, სადაც პირველ კურსზე მისაღები იყო 25 სტუდენტი და შეტანილი იყო 147 აბიტურიენტის განცხადება. გამოცდა უნდა ჩაგვებარებინა მაღალ ნიშნებზე, რომ გაგემარჯვა და ინსტიტუტში ჩარიცხულიყავი.

კვლავ მივაკითხე საყვარელ საჯარო ბიბლიოთეკას, ერთი თვე (ივლისი) დავყავი მყარი ცოდნის მისაღებად ბიბლიოთეკაში, შრომამ შედეგი გამოიღო – მისაღები გამოცდები წარმატებით, მაღალ ნიშნებზე ჩავაბარე, ინსტიტუტში ჩამრიცხეს და სტუდენტური სტიპენდია დამინიშნეს. ინსტიტუტის დამთავრებამდე ვღებულობდი ფრიადოსნის სტიპენდიას. საჯარო ბიბლიოთეკა კვლავ რჩებოდა ჩემს მეორე ოჯახად. ბიბლიოთეკის სტუდენტი მკითხველებს შორის გამოირჩეოდა ისტორიის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტი იური სიხარულიძე, შემდეგში ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი, მრავალი წიგნის ავტორი.

საჯარო ბიბლიოთეკის „სტუმარი“ ვიყავი ყოველთვის. ბიბლიოთეკაში ვარ სკოლებში პედაგოგიური მუშაობის პერიოდშიც, განსაკუთრებით მაშინ, როცა მასწავლებელთა პედაგოგიური კითხვის სემინარებზე მონაწილეობაში მისაღებად მოხსენებას ვამზადებ. ან კიდევ საქართველოს მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეოგრაფიის სექციაში, მოხსენების მოსამზადებლად მოსწავლეებს საჯარო ბიბლიოთეკაში წარვადგენდი და შედეგიც არის: საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექციისგან მიღებული გვაქვს 24 პირველი ხარისხის დიპლომი და მადლობის ფურცელი, რასაც ბიბლიოთეკას ვუმადლით.

2007 წელს, ზაფხულში, ვინმე ბიზნესმენმა აჭარის მთავრობაში განცხადება შეიტანა ქ. ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკის შენობის შეძენის თაობაზე, რაც საზოგადოებაში გაჟღერდა. აჭარის გაზეთების ფურცლებზე მრავალი საპროტესტო წერილი დაიწერა ამასთან დაკავშირებით. ამ ამბავმა ძალიან გამაკვირვა, ავღელდი კიდევაც, ვინ ბედავდა საჯარო ბიბლიოთეკის შენობის შეძენას- მეთქი და გაზეთ ,,აჭარაში", ბიბლიოთეკის მხარდასაჭერი წერილიც გამოვაქვეყნე. ბიბლიოთეკის თანამშრომელების, მათი დირექტორის ბატონ გენადი მახარაძის თავკაცობით და საზოგადოებრიობის მხარდაჭერით გადაურჩა ჩვენი საამაყო ცოდნის ტაძარი მზაკვართა მიერ ხელყოფას.

ბათუმის ა. წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ყოველკვირეული, დაუვიწყარი სტუმარი ახლაც ვარ, როცა უკვე საუკუნეს მივუახლოვდი, განსაკუთრებით პერიოდული პრესის დარბაზის-განყოფილებისა, რომლის თანამშრომლები მთელი გულითადობით, ენთუზიაზმით გვხვდებიან, გვემსახურებიან, მადლობა მათ, საპატიო თარიღს ვულოცავ მათ დაე, დიდხანს ემოღვაწეოთ ჩვენს სამეცნიერო ტაძარში!

კარგად ბრძანდებოდეთ! რაც ვთქვი მეგობრულად, სიყვარულით ვთქვი.

ვახტანგ მაკარაძე,

პედაგოგი

2017 წ. აგვისტო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა

მიმდინარე წელს ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკას უსრულდება დაარსებიდან 115 წელი, ბიბლიოთეკას, რომელიც ჭეშმარიტი მკითხველის სულის სავანე, განათლების მძლავრი კერა და დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „კეთილდღეობის მომფენი საშუალებაა“. გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან ვსარგებლობ ამ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით. ყოველთვის იმაზე ვოცნებობდი, რომ მის ახლოს მეცხოვრა, რადგან მთელი ჩემი ცხოვრება ჟურნალ-გაზეთებთან და წიგნებთანაა დაკავშირებული. წიგნის გარეშე ერთი დღეც არ მიცხოვრია. კითხვა ჩემი სულიერი მოთხოვნილებაა. კვირაში მინიმუმ ორჯერ მაინც მივდივარ ბიბლიოთეკაში და ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით ვეცნობი ახალ ამბებს. გული მწყდება, რომ თანამედროვე ახალგაზრდობა ნაკლებად ეტანება წიგნს. თუ დააკვირდებით ზემოთ აღნიშნული ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს, მკითხველთა 90 % ასაკოვანი ადამიანია. ახალგაზრდებს არ უნდათ წიგნი და არც იციან მისი ფასი. ამაში დამნაშავე ჩვენ, პედაგოგები და მშობლებიც ვართ, რადგან პატარაობიდანვე არ ვუნერგავთ მათ წიგნის სიყვარულსა და მისდამი სათუთი დამოკიდებულების გრძნობას.მაგრამ დავუბრუნდეთ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას. ჩემი აღნიშნულ ბიბლიოთეკასთან „დამეგობრების“ შემდეგ, როგორც აღვნიშნე, ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა. ამ ხნის მაძილზე ბიბლიოთეკის თითქმის ათამდე დირექტორი შეიცვალა. ყველა შეძლებისდაგვარად ასრულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ დღემდე არც ერთი მათგანი არ იყო ამ დარგის სპეციალისტი. 1997 წლიდან დღემდე კი მას სათავეში უდგას გენადი მახარაძე, რომელსაც დამთავრებული აქვს მოსკოვის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბიბლიოთეკო ფაკულტეტი და ამასთან, არის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი წიგნთმცოდნეობის სპეციალობით; გავლილი აქვს კვალიფიკაციის ამაღლების არაერთი კურსი. ამიტომაცაა, რომ მისი ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში დირექტორად მოსვლის შემდეგ გამოცოცხლდა ბიბლიოთეკის მუშაობა. აქ თითქმის ყოველდღიურად იმართება სხვადასხვა სახის საინტერესო ღონისძიება: შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, მათი საიუბილეო თარიღების აღნიშნვა, წიგნების წარდგინება-განხილვა, დილა-საღამოები და სხვა, რაც დამსწრე საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს და ხელს უწყობს მათი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას. მაგრამ ბატონი გენოს ყველაზე დიდი დამსახურება, ჩვენი აზრით, ისაა, რომ მან შეინარჩუნა ბიბლიოთეკა, თორემ სააკაშვილის ბარბაროსული რეჟიმის დროს ნაციონალებს სურდათ მისი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო ბიბლიოთეკასთან მიერთება და შენობის გაყიდვა-გასხვისება. რომ არა გენო მახარაძის მრავალწლიანი ხმალშემართული ბრძოლა, დღეს ჩვენ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა არ გვექნებოდა.

მკითხველის სახელით, მადლობა მინდა გადავუხადო ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელს უპრეტენზიო, დაუზარელი და უანგარო სამსახურისთვის და ვუსურვო მათ ჯანმრთელობა, ბედნიერება, სიკეთე და ხანგრძლივი სიცოცხლე ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. უფალი იყოს მათი შემწე და მფარველი!

ნოდარ ბასილაძე,

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა 115 წლისაა

ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უძველესი დაწესებულებაა საქართველოში. მას 115 წელი შეუსრულდა. ამ გამორჩეულ სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებას უზარმაზარი წვლილი მიუძღვის წიგნიერების გავრცელების საქნეში. ამ ბიბლიოთეკაში თაობები აღიზარდნენ, ეს ისეთი დაწესებულებაა, რომელიც მაგნიტივით იზიდავს ადამიანებს. იყო დრო, როდესაც ხალხი რიგშიც კი იდგა აქ წიგნების წასაკითხად. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი უმდიდრესია და აქ უამრავი წიგნის წაკითხვა შეიძლება.

იყო დრო, როდესაც ეს ბიბლიოთეკა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, როდესაც მოინდომეს ამ ბიბლიოთეკის გაუქმება და იქ რესტორნის თუ სასტუმროს გახსნა, ეს ის დრო იყო, როდესაც მასიური შეტევა დაიწყო ქართულ წიგნიერებაზე და მოინდომეს ყოველგვარი ეროვნულობის დაჩრდილვა, მაგრამ ბიბლიოთეკის კოლექტივმა და ბათუმის ღირსეულმა საზოგადოებამ არ მისცა მათ ამ ანტიქართული განაზრახის შესრულება. აქ, აუცილებლად უნდა ითქვას, ბიბლიოთეკის დირექტორის ბატონ გენადი მახარაძის უდიდესი წვლილი და დამსახურება ამ ბიბლიოთეკის გადარჩენის საქმეში. საქმე ის არის, რომ როდესაც დაიწყო მასიური შეტევა ბიბლიოთეკის დასახურად და იქ სხვა დაწესებულების გასასხნელად, ბატონი გენადი იყო ის პიროვნება, რომელმაც გადაიტანა დიდი ბრძოლა და ხშირად მარტომაც, ამ შენობის გადასარჩენად, გაუძლო უდიდეს შემოტევას, ზეწოლას, მუქარას, ჩავარდნილა სახიფათო მდგომარეობაშიც, მაგრამ ყველაფერს ვაჟკაცურად გაუძლო, იბრძოლა, რაც მაშინ საკმაოდ საშიში იყო და შეინარჩუნა ეს დაწესებულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, ეს დიდებული დაწესებულება ღირსეულად აგრძელებს თავის მოვალეობას, გაიხსნა ახალი განყოფილებები, გამდიდრდა როგორც ქართული ასევე უცხოური წიგნადი ფონდი და გამრავალფეროვნდა პრესა. ბიბლიოთეკაში ეწყობა უამრავი ღონისძიებები, წიგნის განხილვები, შეხვედრები და ბევრი სხვა და ამ კუთხით მართლაც რომ გამორჩეული კერაა იგი.

ვუსურვებ ამ უძველეს სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებას კიდევ დიდხანს არსებობას, გახარებას და მუდმივ წარმატებებს.

ოთარ გოგოლიშვილი,

პროფესორი

ნ. კანდელაკის სახელობის ბათუმის სამხატვრო სკოლა გილოცავთ საუბილეო 115 წლისთავს

აჭარის დედასამშობლოსთან შეერთების შემდეგ ქართველმა პატრიარქებმა და მამულიშვილებმა რეგიონის განვითარების საქმეში სწავლა-განათლებისა და კულტრის აღორძინებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა. ამის დასტურია XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების დაარსება; მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ბათუმში საჯარო ბიბლიოთეკის გახსნაც, რომლის შემდგომ წლებში აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკად გადაკეთდა.

თვალსაჩინოა ამ ბიბლიოთეკის წვლილი აჭარის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში; გარდა იმისა, რომ ბიბლიოთეკა უამრავ მკითხველს იზიდავს, ის სხვა შემეცნებითი ღონისძების ძირითადი კერაცაა.

2007 წელს, როდესაც კულტურის მინისტრი ჩიკვაიძე გასხვისებით ემუქრებოდა ჩვენს საუკუნოვან ცოდნის კერას,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკის დირექტორის ბატონი გენადი მახარაძის შეუდრეკელი ძალისხმევით და საზოგადოებასთან გვერდით დგომით ბიბლიოთეკა გადარჩა გაპარტახებას. ამ ქმედების შედეგია ის, რომ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა ისევ ხალხის სამსახურშია.

ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის ბათუმის სამხატვრო სკოლა მხურვალედ ულოცავს ბიბლიოთეკას ღირსშესანიშნავ იუბილეს და წარმატებებს უსურვებს ჩვენი ქვეყნის სამსახურში.

გურამ ფუტკარაძე

ბათუმის ნ. კანდელაკის სახელობის
სამხატვრო სკოლის დირექტორი

გურამ ფუტკარაძე ნოდარ შავაძე

გურამ ფუტკარაძემ და ნოდარ შავაძემ ილიას და
აკაკის ბიუსტები გადაღებეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გილოცავთ საიუბილეო 115 წლისთავს

ბათუმის ,,სახალხო აკადემია“ გულითადად გილოცავთ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ძვირფას, მზრუნველ და გულთბილ კოლექტივს საუბილეო 115 წლისთავს და წარმატებებს გისურვებთ თქვენ სამომავლოდ!

აქ, ამ განათლების ტაძარში, ცოდნას იღრმავებდნენ ჩვენი აკადემიის აწ გარდაცვლილი წევრები. მოვერიდები მათს დასახელებას, რომ ვინმე არ გამომრჩეს და: ჩამონათვალიც შორს წაგვიყვანდა. დღეს კი აქ, თითქმის ყოველ დღე შეხვდებით ჩვენს ძვირფას და საამაყო აკადემიელებს - მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს რამაზ სურმანიძეს, შოთა ზოიძეს, ანზორ კუდბას, ჯემალ ჩიჩუას, ნიაზ ბოლქვაძეს, თენგიზ ცეცხლაშვილს და სხვებს.

დღესავით მახსოვს, ჩემს აწ გარდაცვლილ მეგობართან ვახტანგ ახვლედიანთან და სხვა მეგობრებთან ერთად, ბიბლიოთეკას რომ ჩავუვლიდით, ის თითს მიიტანდა ბაგეებთან, რითაც მიგვანიშნებდა, სიჩუმე გმართებთ, მყუდროება არ დავურღვიოთო მკითხველს...

2007 წელს ბიბლიოთეკა გადაურჩა ვანდალურ ხელყოფას, როდესაც გასხვისებით დაემუქრნენ ჩვენს ას წელს გადაცილებულ ცოდნის ტაძარს და რომა არა ბიბლიოთეკის დირექტორის, ბატონი გენადი მახარაძის ძალისხმევა და საზოგადოებრიობის გვერდზე დგომა, ბიბლიოთეკას ნამდვილად ვერ აცდებოდა მსახვრალი ხელი.

ასე და ამრიგად ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა ღვთის შეწევნით ისევ ფუნქციონირებს!

მე პირადად მადლიერებას გამოვთქვამ, რომ ა/წ სექტემბერში ბათუმელებს შეხვედრა მოგვიწყვეს ბიბლიოთეკაში და დაგვაფასეს. მსგავსად ამისა, აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრ აკადემიელს მოუწყვეს წიგნის პრეზენტაცია, არა ერთი იუბილე გადაუხდიათ ჩვენი სახელოვანი აკადემიელებისთვის. ამ ყურადღებისთვის კიდევ ერთხელ დიდ მადლობას გიხდით, კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს, კვლავაც გაგერძელებინოთ სამსახური ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ასლან კაკაბაძე,

ბათუმის საპატიო მოქალაქე,
ბათუმის „აკადემიის“ პრეზიდენტი
30. 09. 2017 წ.

ბიბლიოთეკა ჩემი ოჯახია

მხურვალედ ვულოცავ ქალაქ ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლებს და მათ ხელმძღვანელობას ბიბლიოთეკის დაფუძნებიდან 115-ე წლისთავს ბატონი გენადი მახარაძის თავკაცობით. სათაურში გამოტანილი სიტყვები, ეს ლიტონად ნათქვამი სიტყვები არ არის, ბიბლიოთეკა ნამდვილლად ჩემი ოჯახია! ჩემი განვლილი ცხოვრების 90 წლის გადმოსახედიდან 70 წელი თითქმის ბიბლიოთეკასთან არის დაკავშირებული.

პირადათ ჩემთვის მოსახერხებელი იყო ვაჟა ფშაველაზე და მემედ აბაშიძის კვეთაში მდებარე ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის დირექტორად მუშაობდა ეროვნებით რუსი ქალბატონი მარია ივანეს ასული გუსევა. მას კარგი კოლექტივი ჰყავდა და ორგანიზებულადაც მუშაობდნენ. ყოველთვის მზად იყვნენ კეთილსინდისიერად მომსახურებოდნენ მკითხველს. მე როგორც აქტიურ მკითხველს და რუსული ენის კარგ მცოდნეს მ. გუსევა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ჩემს მიმართ. მახსოვს, მან დარბაზის გამგეს თამარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარაიას უთხრა: ,,ონ უნას ოსობი ჩიტატელ“. ქალბატონმა თამარმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

ბიბლიოთეკასთან ჩემი ურთიერთობა მას შემდეგ უფრო გაიზარდა, როდესაც ჩემი ბიძაშვილი პოეტი ნანა გვარიშვილი დაინიშნა დირექტორად. ახალი დირექტორის მოწადინეობით, მალე განხორციელდა ბიბლიოთეკის რეკონსტრუქცია, ძველ, ერთსართულიან ბიბლიოთეკას დააშენდა მეორე სართული და მკითხველთა კონტიგენტმაც იმატა, თუმცა, წიგნის მოყვარულები იმდენი იყო, რომ სამკითხველო დარბაზი მაინც ვერ უთავდებოდა მოზვავებულ მკითხველს. ვის არ ნახავდით აქ. შეხვდებოდით ყველა პროფესიის ადამიანებს. ბიბლიოთეკის მდიდარი წიგნადი ფონდით სარგებლობდნენ მეცნიერ მუშაკები და მუშები, ექიმები, პედაგოგები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები.

ბიბლიოთეკას განსაკუთრებით ხშირად სტუმრობდა ახალგაზრდობა - ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტისა და დაუსწრებელი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, ტექნიკუმისა და ქალაქის სკოლის მოსწავლეები. იმ დროს წიგნისადმი სიყვარული ლტოლვა ძალიან დიდი იყო, მართალია დღეს კომპიუტერმა ჩამოაშორა მკითხველი ბიბლიოთეკას და საერთოდ წიგნს, მაგრამ პირველი მაინც წიგნია. კომპიუტერში ხომ დაწერილი წიგნი უნდა განთავსდეს? ვერავითარი ტექნოლოგიები ვერ დადგება წიგნზე მაღლა.

1960 წელს დავინიშნე 10-ე რუსული სკოლის დირექტორად. და რა თქმა უნდა ბიბლიოთეკით ვსარგებლობდი. ვკითხულობდი მეთოდურ ლიტერატურას, ვეცნობოდი ყველა სიახლეს და ეს ყოველივე ბიბლიოთეკაში მოიპოვებოდა. მახსოვს მზრუნველი ბიბლიოთეკარები, რომლებიც დიდი ყურადღებით მემსახურებოდნენ: თალიკო დოლიძე, მედიკო თამაზაშვილი, ლამარა ბოგვერაძე, ლიანა ინაიშვილი, ლამარა ხელაძე, ვიოლა ბაბალიანი, მეთოდისტი სონია ჭელიძე, რომლებიც ორიენტირებული იყვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველისთვის მიეწოდებინათ მათთვის საინტერესო მასალა. ბიბლიოთეკის შენობის დაშენების შემდეგ, მე სკოლის უფროსს კლასელ მოსწავლეებს ბიბლიოთეკის წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გადაასადგილებლად (რათქმა უნდა მშობლების თანხმობით) ვაგზნიდი მათ დასახმარებლად.

ამ დროისთვის 33 წლისა გახლდით, უცოლშვილო და ჩემი ბიძაშვილი, ბიბლიოთეკის დირექტორი – ნანა სულ დამჩიჩინებდა – ,,ბიჭო შენ როდის უნდა დაქორწინდე, ოჯახი შექმნა?“ მე კი ამ ნაბიჯის გადადგმაზე არ ვფიქრობდი. სკოლის დირექტორს კარგი ხელფასი მქონდა, მანქანაც მყავდა და არდადაგებზე მოსკოვსაც ვსტუმრობდი იქ ბევრი ნაცნობი მყავდა...

ნანას ყურადღება მიიპყრო ბიბლიოთეკის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ნუნუ ახვლედიანმა, ფიზიკურად გამორჩეულმა, საქართველოში გვარითაც და ოჯახით დაფასებულმა ქალიშვილმა. ერთხელ ნანამ დამიბარა თავის კაბინეტში და გამანდო თავის განზრახვა და მითხრა - რომ მე ცოლად უნდა შემერთო მისთვის მოწონებული ქალიშვილი და დასძინა: ,,1937 წელს შენი დანგრეული ოჯახის აღსადგენად სწორედ ეს ქალიშვილი გამომადგება ამ ცხოვრებაში“. მე ნუნუს ვიცნობდი როგორც რიგით თანამშრომელს და ვერ წარმოვიდგენდი, რომ ის ჩემი ცოლი გახდებოდა...

მე არ მინდოდა ,,თავისუფლების“ დაკარგვა, მაგრამ ნანას შუამავლობა უფრო ინტენსიური ხდებოდა ჩვენს ნათესავებს შორის და 1962 წელს ვიქორწილეთ და გავხდი ბიბლიოთეკის ,,სიძე“. ბიბლიოთეკა გახდა ჩემი მეორე ოჯახი და ასე მოვაღწიე დღემდე. ჩემი საყვარელი ნათესავის ნანას რჩევისა და მისი ალღოსი დღემდე მადლიერი ვარ, ღმერთმა აცხონოს მისი კეთილშობილური და ყველასადმი სიყვარულით აღსავსე გული...

ქორწინების შედეგად მყავს ერთი ვაჟიშვილი სეიდი და ქალიშვილები რუსუდანი და ნანა. ნანა კი დედის ნაკვალევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჰყვა და დღეს ამ ბიბლიოთეკის თანამშრომელია. გვყავს 7 შვილიშვილი და 3 შვილთაშვილი. სამივე თავიანთი ოჯახებით ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრები არიან. გვჯერა, არც მომავალი თაობა გვიმტყუნებს და მჯერა, რომ სასახელონი იქნებიან.

მე და ჩემმა ნუნუმ განვლეთ ცხოვრების რთული გზა, რომელიც იყო ბედნიერიც და ამავდროულად მწუხარეც, მაგრამ ყოველივე სიძნელეებს ვლახავდით და დღემდე მოვაღწიეთ, მე 90 წელი განვლე და ჩემმა ნუნუმც 80 წელი დიდი ხანია მიითვალა... მაგრამ კიდევ ერთმანეთს ვამხნევებთ და ცხოვრებაც გვიხარია. ასე რომ, ჩემი ობლის კვერი ცხვა-ცხვა და კარგად გამოცხვა. თუმცა გული ძლიერ მტკივა მშობლების გამო, თუმცა აქვე მინდა დავძინო მამა, რომელიც 1937 წელს დამიხვრიტეს, რეაბილიტირებული იქნა და ახლახან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

ომარ გვარიშვილი მეუღლესთან ნუნუ ახვლედიანთან და ბავშვებთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტრომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლას მამაჩემის – სეიდ გვარიშვილის სახელი მიენიჭა მისი დამსახურებული პედაგოგობისა და საზოგადო მოღვაწეობისათვის.

ბიბლიოთეკაში სისტემატურად დავდიოდი ვესწრებოდი ჩემთვის საინტერესო ღონისძიებებს. აქვე მინდა ვთქვა, რომ ბიბლიოთეკას ყოველთვის ჰყავდა ღირსეული დირექტორები, მათმა მოღვაწეობამ ჩემს თვალწინ გაირბინა – მარია გუსევა, ნანა გვარიშვილი, მამია ბერძენიშვილი, ეთერ ცივაძე, სოსო ჯორბენაძე და ამჟამინდელი დირექტორი გენადი მახარაძე.

ხოლო ბატონ გენადიზე არ დამენანება საქები სიტყვები, როდესაც ბიბლიოთეკას დაემუქრა გასხვისება იმ ავადსახსენებელ სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში, რომ არა ბატონი გენადი და ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ერთსულოვნება, დღეს ბიბლიოთეკა ამ ღირშესანიშნავ საუბილეო 115 წლისთავს ვეღარ აღნიშნავდა თავისი ჭერს ქვეშ! დღეს ბიბლიოთეკა ისევ საზოგადოების სამსახურშია.

აფერუმ თქვენ!!!

ომარ გვარიშვილი,

დამსახურებული პედაგოგი

ცოდნის სალონი

ყველა თაობისათვის უსაყვარლეს ადგილს, განათლებისა და კულტურის ცენტრს – მშობლიურ ბიბლიოთეკას 115 წელი შეუსრულდა. მე ვერ ჩამოვთვლი იმ წარმატებებს და ღირსეულ წვლილს ეროვნული კულტურის განვითარებაში, რომლებიც ამ ხნის მანძილზე ბიბლიოთეკას შეუტანია. იგი ხომ ცოცხლი მატიანეა ჩვენი ქალაქისა და მხარის ისტორიისა. საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ბათუმის ბიბლიოთეკა არ ყოფილა მხოლოდ წიგნის ტაძარი, იგი მრავალმხრივი კულტურული საქმიანობის ცენტრად ჩამოყალიბდა.

რაც მთავარია, ყველა ეპოქაში ჩვენი ბიბლიოთეკა იყო ცოდნის მიღების წყარო, ახალგაზრდობის, განსაკუთრებით კი სტუდენტების საყვარელი ადგილი. ყოველთვის სასიამოვნო მოგონებებად დამრჩება აქ გატარებული საღამოები და ის დაუვიწყარი შთაბეჭდილებები, რომლებიც თან ახლდა წიგნთან მუშაობის პარალელურად მეგობრებთან შეხვედრას. ჩვენთვის ბიბლიოთეკა ზოგჯერ იყო საიდუმლო პაემნების, ხშირად კი – საქმიანი ურთიერთობების ადგილიც.

აქ დასაქმებულ ყოველ თანამშრომელს, რომლებიც ელოლიავებიან თითოეულ წიგნს და ბიბლიოთეკის მატიანეს ქმნიან, ვუსურვებ წარმატებებს პროფესიულ სქმიანობაში.

ერმილე მესხია,

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

წიგნიერების სამსახურში

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკამ დაარსებიდან დღემდე უდიდესი როლი შეასრულა ადგილობრივი მოსახლეობის წიგნიერებისა და ეროვნული თვთშეგნების ამაღლებაში, იგი ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ყველას, ვისაც ცოდნის იდუმალი სამყაროს შეცნობის სურვილი გააჩნია, იგი მეგობარია ყველა იმათი, ვისაც ცხოვრების გზამკვლევად გაუხდია დიდი ფრანგი განმანათლებლის, დენის დიდროს სიტყვები: ,,ადამიანები მაშინ წყვეტენ აზროვნებას, როცა კითხვას თავს ანებებენ“.

2007 წელს, როცა ყოფილმა ნაციონალურმა ხელისუფლებამ ბიბლიოთეკის გაუქმება და შენობის გასხვისების გადაწყვეტილება მიიღო, ხალხში მყისიერად აგორდა პროტესტის მძლავრი ტალღა. როგორც იტყვიან, ქუდზე კაცი გამოვიდა მის დასაცავად, ისინი გვერდში დაუდგნენ ბიბლიოთეკის დირექტორს გენადი მახარაძეს და მის მთელ პერსონალს. რა დამავიწყებს აწ უკვდავებაში გარდასული მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ვახტანგ ახვლედიანის შეუპოვარ გამოსვლებს ქართული სულიერების გადასარჩენად. იგი სათავეში ჩაუდგა ქალაქის ინტელიგენციას, რომელთა რიგებში იყვნენ მწერლები, პედაგოგები, ექიმები, სტუდენტი ახალგაზრდობა და სხვა. მეამაყება, რომ ჩვენმა ერთად დგომამ შეგვინარჩუნა ეს დიდებული ტაძარი, რომლის კედლებში დღეს ძველებურად ჩქეფს საბიბლიოთეკო ცხოვრება, რის დასტურიცაა უამრავი მკითხველი და ის მრავალფეროვანი ღონისძიებები, რომლებიც აქ გეგმაზომიერად ტარდება.

აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს 115 წელი შეუსრულდა. ვულოცავ მას საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ კვლავაც წარმატებებს მკითხველი საზოგადოების სამსახურში.

ნანა ახალაძე,

მწერალი, ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატი

ცოდნის ტაძარი

ბიბლიოთეკა ჩემს ცხოვრებაში.

წიგნი და ბიბლიოთეკა განუყრელი ცნებებია. წიგნები-ბიბლიოთეკაა, ბიბლიოთეკა კი – სულიერების საგანძური. სულიერების საგანძურზე საუბარი ფასდაუდებელი განძისა და საუნჯის – წიგნის მნიშვნელობაზე საუბრით მინდა დავიწყო.

„კაცთა მინიჭებული უპირველესი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრებაი არს," – ბრძანებდა ბრძენთაბრძენი მეფე დავით აღმაშენებელი. მემატიანის გადმოცემით, სადაც უნდა წასულიყო იგი თვით სალაშქროდ და სანადირადაც კი თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა თან დაჰქონდა: ,,მრავალთა ჯორთა და აქლემთა ეტუირთვისა წიგნიო."სწორედ წიგნიერება, მაღალი ერუდიცია , შორსმჭვრეტელობა გახდა მისი ტრიუმფალური გამარჯვებებისა და აღმშენებლობითი ღონისძიებების საფუძველთა საფუძველი.

საქართველო ვერ გაძლიერდება და ვერ გახდება თავისუფალი, თუ მისი შვილები არ იქნებიან განათლებულნი და მცოდნენიო, ამბობდა ქართველთა უპირველესი მეფე და ბევრს ზრუნავდა თავისი ხალხის გასანათლებლად. მისი ინიციატივითა და თაოსნობით გელათსა და იყალთოში გაიხსნა აკადემიები, განვითარდა მეცნიერება, ლიტერატურა, მხატვრობა...

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანებს წიგნის სიყვარულმა მოუპოვა სახელი და დიდება. სწორედ სისტემატურმა, დაუღალავმა და შეუნელებელმა მუშაობამ უდიდეს მეცნიერებად, მკვლევარებად, მწერლებად, მოაზროვნეებად, გამომგონებლებლად და საზოგადო მოღვაწეებად ჩამოაყალიბა ისეთი თვითგანათლებული ადამიანები, როგორებიც იყვნენ ჩარლზ დარვინი, ავგუსტ ბებელი, კონსტანტინე ციოლკოვსკი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩარლზ დიკენსი, ივანე მიჩურინი, მაქსიმ გორკი... პატარა იოსებ გრიშაშვილს კი წიგნების დიდი სიყვარულის გამო ,,წიგნთაშთანთქმელი“ შეარქვეს, ხოლო ცნობილი ფიზიკოსი ფარადეი სიჭაბუკის დროს შვიდი წლის ვადით შეგირდად დაუდგა წიგნების ამკინძავს მხოლოდ იმიტომ, რომ ასაკინძი წიგნების კითხვის საშუალება ჰქონოდა.

,,სამი დღეა ,,ადამიანთა მიწას“ ვკითხულობ. ბნელ ოთახში, რომ ლამპარი შეიტანო, ისე გამინათა გონება, ისე ჩამახედა საკუთარ სულში. მე მგონი, არსებობს ისეთი წიგნები, რომლებზეც შეიძლება თქმა:ასეთი ვიყავი ამ წიგნის წაკითხვამდე, ხოლო ასეთი გავხდი წაკითხვის შემდეგო.

ეგზიუპერის ეს წიგნი სწორედ ასეთად მიმაჩნია, - ვკითხულობთ ნარგიზა მგელაძის ,,უცნობი ბიჭის დღიურში.“

კიდევ ერთი შტრიხი წიგნის განუსაზღვრელი როლისა და მნიშვნელობის შესახებ. ცნობილმა მწერალმა ლევან სანიკიძემ მკითხველებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს თქვა: ,,უქარქაშო ხმლებით“ ნადენმა ცრემლმა სახე დამიჟანგაო. – ,,მწერს ერთი პედაგოგი. ხოლო პროფესორმა კორნელი დანელიამ მითხრა: – ,,ერთ ოჯახში „ უქარქაშო ხმლებზე“ წარწერა ვნახე, დედა წერდა შვილს, – ,,შვილო, მე ვკდებოდი, მაგრამ ეს წიგნი წავიკითხე და გადავრჩი.“ ასეთი საოცარი, სასწაულმოქმედი, ჯადოსნური ზემოქმედების ძალა აქვს წიგნს. ყოველივე კარგი და საუკეთესო ხომ მას მოაქვს. ყოველივე ბრძნულ აზრს, ბრძნულ სიტყვას წიგნებში დაუვანებია, მთელი კაცობრიობის ცხოვრება, მისი ისტორია წიგნებში დალექილა, ტომები, ადამიანები, სახელმწიფოები გამქრალა, წიგნები კი დარჩა წიგნთსაცავში, წიგნთსაყუდარში, ბიბლიოთეკაში დაიდო ბინა, აქ იპოვა სავანე და კაცობრიობის ისტორია, მხატვრული სიტყვის ოსტატთა, მეცნიერთა, გამოჩენილ ადამიანთა ნაფიქრ-ნააზრევი ჩვენამდე მოიტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომაცაა ასე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეროვნული საგანძურისა და საუნჯის შემნახველი წიგნთსაცავი, ცოდნის ტაძარი და სულიერების საგანძური, ადგილი სადაც უვლიან, ელოლიავებიან, ესათუთებიან, სიცოცხლეს უხანგძლივებენ და ადამიანების სამსახურში აყენებენ ფრთამოშრიალე წიგნებს.

როგორია ჩემი თვალით დანახული ცოდნის საგანძური, როგორია ჩემი დამოკიდებულება, ჩემი შთაბეჭდილებები და შეხედულებები აჭარის განათლებისა და კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერისა და ცენტრის ბათუმის აკაკი წერეთლის საჯარო ბიბლიოთეკის მიმართ?

თითქმის ნახევარი საუკენეა ამ უძველესი, უმნიშვნელოვანესი და უძვირფასესი კერის – საჯარო ბიბლიოთეკის მკითხველი, აქ გამართული მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ღონისძიებების მონაწილე ვარ. როგორც სალოცავ ტაძარში, ისე შევდგი პირველად ცოდნის ამ საგანძურში ფეხი. დღესაც სასიამოვნო მოგონებებად მომყვება ათეული წლების განმავლობაში სამკითხველო დარბაზებში, საცავებში შენახულ, საუკუნოვან, გახუნებულ-გაყვითლებულ ფერშეცვლილ წიგნებთან და პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებთან გატარებული საათები და დღეები. დღესაც არ განელებულა ის მადლიერების გრძნობა აქ მომუშავე გულისხმიერი, დიდბუნებოვანი, დარბაისელი, შრომისმოყვარე, ზნემაღალი და მაღალკვალიფიციური ადამიანების მიმართ, რომელიც სტუდენტობის პირველი წლებიდანვე გამომიმუშავდა. პირიქით, იგი უფრო გაღრმავდა, გაძლიერდა და განმტკიცდა, რადგან ყოველდღიურად ბიბლიოთეკის, მისი სამკითხველო დარბაზების სტუმარი ვარ. მადლიერებით მინდა აღვნიშნო, რომ ისე როგორც სხვები, მეც ყურადღების მაქსიმუმით ვსარგებლობ.

შესანიშნავი ინტერიერი, ძველი და ახალი წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, ინტერნეტ-ცენტრი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალფეროვანი გამოფენები, დისკუსია-დიალოგები, დისპუტები, კინოფილმები, სლაიდ-შოუები, შეხვედრები, არაჩვეულებრივი პირობები, შრომისა და მიზანსწრაფულობის, საერთო კეთილგანწყობის მეტად სასიამოვნო ატმოსფეროს, მაძიებლობისა და შემოქმედებითობის სულისკვეთებას ქმნის. სწორედ ეს არაჩვეულებრივი პირობები, კეთილგანწყობის ატმოსფერო იზიდავს არამარტო ბათუმელებს, არამედ მთელი აჭარის მოსახლეობის, ინტელიგენციის, საზოგადოების წარმომადგენლებს, სტუდენტებს, მოსწავლე ახალგაზრდობას და სტუმრებს. ნახევარმილიონიანი წიგნადი ფონდი, წლის განმავლობაში გაცემული 210 ათასი წიგნი, 4000-მდე მუდმივი მკითხველი, წელიწადში 60-ზე მეტი ღრმაშინაარსიანი და შთამბეჭდავი ღონისძიება, 80 გამოფენა, 80-მდე შეხვედრა და 90 ათასზე მეტი დამსწრე. – ასეთია ციფრებში გამოხატული ის ფასდაუდებელი, უზარმაზარი შრომა, რომელსაც აქ მომუშავე ადამიანები, ღვაწლმოსილი თუ ახალგაზრდა, ენთუზიასტი, შრომისმოყვარე, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალი მუშაკები ეწევიან. ისინი მეტად მნიშვნელოვან, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, საშვილიშვილო საქმეს აკეთებენ. მდიდარი ლიტერატურული შედევრებით, სამეცნიერო თუ სხვა სახის ნაშრომებით, მრავალფეროვანი, საინტერესო შემეცნებითი ხასიათის შთამაგონებელი ღონისძიებებით აფართოებენ მოზარდთა გონებრივ თვალსაწიერს, აზიარებენ წიგნის ხიბლს, აგრძნობინებენ მის ჯადოსნურ ძალას, ასწავლიან მის სიყვარულს, უნერგავენ მამულიშვილური ვალის მოხდის მაღალ შეგნებას.

სასიამოვნოა და დიდად მახარებს ბიბლიოთეკის, ჩვენი სანუკვარი, უძვირფასესი ცოდნის საგანძურის ასეთი საჩინო წარმატებები.იგი დღიდან დღეზე უკეთესობისაკენ იცვლება, მდიდრდება მისი ფონდი, ინერგება სიახლეები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი სერვისები, ტექნოლოგიები, მომსახურების მაღალი სტანდარტები, ხორციელდება პროექტები. მახარებს ისიც, რომ გამოჩენილ მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერ-მკვლევართა, აღმზრდელ-პედაგოგთა და სხვა დარგის სპეციალისტების ნაშრომებს შორის ჩემი წიგნებიც გარკვეულად ავსებს ბიბლიოთეკის ფონდს.

განსაკუთრებული კმაყოფილება და მადლიერება კი მინდა გამოვხატო ცოდნის ტაძარში გამართული მრავალფეროვანი, საინტერესო და ღრმაშინაარსიანი ღონისძიებების გამო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბიბლიოთეკა არამარტო ქალაქის, არამედ რეგიონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-ინფორმაციულ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად, სულიერი სიმდიდრის საგანძურად, წიგნიერ ადამიანთა სანუკვარ ადგილად იქცა. სისტემატურად იკრიბებიან აქ ინტელიგენციის, საზოგადოების წარმომადგენლები,სტუდენტები, მოსწავლე ახალგაზრდობა. პირადად მეც, როგორც საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი აქტიურად ვარ ჩართული აქ ჩატარებულ ღონისძიებებში, როგორც წიგნის რედაქტორი, როგორც მომხსენებელი, სიტყვით გამომსვლელი, დისკუსია-დიალოგის, დისპუტის, შეხვედრის, პრეზენტაციის მონაწილე. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობასთან ერთად არაერთხელ გაგვიმართავს ერთობლივი შემოქმედებითი და საიუბილეო საღამოები, ახალი პედაგოგიურ-მეთოდური წიგნების პრეზენტაციები, დისკუსია-დიალოგები, შეხვედრები და ა,შ.

დასასრულ, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საჯარო ბიბლიოთეკა როგორც ასობით ბათუმელისა და არამარტო ბათუმელის, ჩემი პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, ჩემი სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მას უდიდესი წვლილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუძღვის ქართული სულიერების ამაღლებაში, წიგნიერი, ზნემაღალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში და რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მომავალი თაობის გონებრივ განსწავლულობასა და ზნეობრივ სრულქმნაში.

შემოქმედებით წინსვლას, წარმატებებს, წიგნისა და მკითხველის სიყვარულსა და სიმრავლეს ვუსურვებ ცოდნის ტაძარს, ინტელექტის კერასა და სულიერების საგანძურს.

აკაკი ზოიძე,

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის
პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური
ორგანიზაციის თავმჯდომარე,პროფესორი,განათლების
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

გილოცავთ იუბილეს!

2016 წლის აგვისტოში, მერიის პროგრამით გათვალისწინებული ,,საზაფხულო დასაქმების" ფარგლებში მხვდა წილად პრაქტიკა გამევლო ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში. ვარ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის სტუდენტი... ბედნიერი ვარ, რომ გავეცანი ბიბლიოთეკის შიდა სამზარეულოს... აქამდეც ნაწილობრივ ვიცოდი, მაგრამ ახლა უფრო უკეთ მივხვდი რამხელა შრომა სჭირდება შეინარჩუნო ის, რასაც აკეთებს აქაური კოლექტივი... განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო დამოკიდებულება კოლექტივისა მკითხველისადმი, რაც ჩემში იწვევს აღფრთოვანებას... ნებისმიერი ასაკის მკითხველს ეგებებიან ღიმილით და მაქსიმალურად ცდილობენ აქ შემოსული მკითხველი ნასიამოვნები გავიდეს. სუფევს

ბათუმისა და თბილისის უნივერსიტეტების სტუდენტები საზაფხულო დასაქმების პროგრამით ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ პოზიტიური და მეგობრული გარემო... ჩემთან ერთად იყვნენ სხვა ფაკულტეტის ბავშვებიც, ზოგს აბონემენტის განყოფილებაში მუშაობა ხვდა წილად, გოგონები კატალოგებს ვწერდით... საოცარია, რამხელა ისტორიას ინახავს ეს შენობა.... მინდა მივოლოცო ბიბლიოთეკას 115 წლის იუბილე და ვუსურვო არასდროს მოკლებოდეს მკითხველი... გული მწყდება, ინტერნეტის ეპოქაში ცოტათი უკანა პლანზე, რომ გადაინაცვლა წიგნმა, მაგრამ მწამს, რომ სწორედ ასეთი დაწესებულებების წყალობით მიუბრუნდება ჩემი თაობა წიგნებს წიგნში წაკითხულს ყოველთვის სხვა ეფექტი აქვს, იგი თითქოს გივსებს იმას, რაც მანამდე გაკლდა... ჩემთვის იგი შეუცვლელია... წიგნია განათლებისა და აღზრდის იარაღი... გურამ დოჩანაშვილი ამბობს: „ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი ვიდრე იყავი... და მე ამის მჯერა... კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს... კეთილი სურვილებით...

დიანა კვაჭაძე, სტუდენტი

გილოცავთ!

115 წელს მოგილოცავს
შენი ხალხი, შენი ერი,
მათ რიგებში მეც რომ ვდგავარ
ამითა ვარ ბედნიერი.

მე იმ ქართველს ვენაცვალე
ვინც რომ გვერდი დაგიმშვენა,
და ბათუმლებს დიდებული
ცოდნის სახლი აგვიშენა.

დუგლას კომახიძე, პოეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხედან: გიორგი მოისწრაფიშვილი და თამარ პატარაია უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას ქალაქის სხვადასხვა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს. 1950 წლის დასაწყისი

სხედან: თემურ ბერიძე (შუახევის რ-ნ ბიბლიოთეკარი),
გიორგი მოისწრაფიშვილი, ეთერ თოდუა,
დგანან: ნაზი ახვლედიანი, ეთერ დარსაველიძე, ნუნუ ახვლედიანი
ერთთვიან საბიბლიოთეკარო კურსებზე. 1957 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი რიგი: ნუნუ ახვლედიანი, ლიანა ჭანკურიძე,
მედეა თამაზაშვილი.
მეორე რიგი: ვიოლეტა ბაბალიანი, ანტონინა ხელაძე, თინა მენაბდე,
ავრორა ჩხაიძე, ნორა ტაბუცაძე და ქეთევან ბურჭულაძე.
მესამე რიგი: მაია მიქელაძე. ეთერ ცივაძე, ლამარა ხელაძე
და ჟანა ქამუშაძე.

სხედან:
ლამარა ბოგვერაძე,
ვიოლეტა ბაბალიანი,
ლამარა სიორიძე.

დგანან:
ავრორა ჩხაიძე,
ნუნუ ახვლედიანი,
მანანა ბოლქვაძე,
კაკალა შაქარიშვილი.

ბათუმი, 1981 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხედან: მედიკო თამაზაშვილი, ლამარა სიორიძე,
ვიოლეტა ბაბალიანი.
დგანან: ლამარა ბოგვერაძე, ნანა გოგელია, ნელი ფხაკაძე,
ნუნუ მალყმაძე, მანანა ბოლქვაძე, დიანა ინაიშვილი,
მაია მიქელაძე, ნუნუ ახვლედიანი. ბათუმი 1981 წელი

სხედან:

თინა მენაბდე,
გუია ბერულავა,
ნინო ჭყონია,
ცისანა ვაჩეიშვილი.

დგანან:

ნუნუ მალაყმაძე,
ვანო სუპატაშვილი

ბათუმი, 1979 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხედან: თალიკო დოლიძე, ვიოლეტა ბაბალიანი, ლეილა ფურცხვანიძე, ლამარა ბოგვერაძე, ჟანა ქამუშაძე, ნანა ზაიცევა. დგანან: კაკალა შაქარიშვილი, მედეა თამაზაშვილი, ნინო წოწონავა, მაია მიქელაძე, ნუნუ ახვლედიანი, ნორა გაბუცაძე - 1981 წელი, ბათუმი

ნუნუ ზაიცევა, ლუიზა თუთარაშვილი, ნაირა ჩანტლაძე, მანანა ბოლქვაძე და ნინო ინაიშვილი 1993 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკ. წერეთლის ბიბლიოთეკის თანამშრომლები ექსკურსიაზე სოფ. სხვიტორში აკაკი წერეთლის მამის - როსტომის სასახლეში მეოცე საუკუნის მიჯნაზე...

სხედან:
მაია მიქელაძე,
ლუიზა თუთარაშვილი,
ნანა გოგელია.

მეორე რიგი:
ნაირა ჩანტლაძე,
ნუნუ მალაყმაძე,
ჟანა ქამუშაძე,
ნუნუ ახვლედიანი.

მესამე რიგი:
ნანა რომანაძე,
ნინო წოწონავა,
ციური გორგილაძე,
მედეა თამაზაშვილი

ქალაქ ბათუმის ბიბლიოთეკარები ექსკურსიაზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ ო ლ ო თ ქ მ ა

გახსენება

ჟურნალისტ ქალბატონ მარინა მითაიშვილს დავესესხები: ,,ამ ბიბლიოთეკით გვედგა სული“. ეს სიტყვები სათაურად შემთხვევით არ გამოგვიტანია. ის ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავს ბათუმელების და არა მარტო მათ განწყობას აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკისადმი. 1902 წლიდან მოქმედი ეს დაწესებულება პირველი საგანმანათლებლო დაწესებულებაა აჭარაში, რომლის კედლებშიც ათასობით ადამიანმა იპოვა ცოდნის გასაღები.

,,საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო მოვალეობაა, იზრუნოს თავის სამომსახურეო უბანში წიგნიერი გარემოს შექმნაზე“.

საჯარო ბიბლიოთეკა ცოდნის დაუნჯებული ტაძარია, სადაც ადამიანები ფეხაკრეფით, ჩუმად და მოკრძალებით შედიან. ბიბლიოთეკარები ამ სკაში მოფუსფუსე ფუტკრებია, რომლებიც ერთგულად და სიყვარულით, ხშირად უანგაროდაც კი ემსახურებიან საზოგადოებას. ისიც დასაფასებელია, რომ მათ მთელი ცხოვრების მანძილზე ტონობით წიგნების დამუშავების დროს, უამრავი წიგნის მტვერი აქვთ ნაყლაპი.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა იმ ადამიანებს /არასრული ჩამონათვალისთვის ბოდიშს გიხდით/, რომლებმაც ცხოვრება ხალხისა და ქვეყნის სამსახურში გაატარეს. გულწრფელი და ერთგული შრომის შედეგად, როგორც საბიბლიოთეკო საქმის კარგი მცოდნეები, დაჯილდოებული იყვნენ ორდენებით, მედლებით და საპატიო სიგელებით. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებიან ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარები: ე.ვ. ტურკინი, პ.ი. კაზანოვსკი, პ.დ. გამყრელიძე, ო. კუზიატინა,

მარია გუსევა, ნანა /ნადიდე/ გვარიშვილი, ნინა სავჩუკი, ირინა ობრაზცოვა, ლუსია მილოვა, ელეონორა ტრიპოლიტოვა, დორა შეფი, ოლია ქართველიშვილი, ანტონინა ხელაძე, სონია ჭელიძე, გულნაზი დიასამიძე, თამარ პატარაია, ანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟღენტი, ეთერ ჟღენტი, კაკალა შაქარიშვილი, მერი ლამპარაძე, გიორგი მოისწრაფიშვილი, ლამარა ხელაძე, თინა მენაბდე, მამია ბერძენიშვილი, ჟანა ქამუშაძე, ავრორა ჩხაიძე, ციალა ბარამიძე, მარო ჩხაიძე, თალიკო დოლიძე, ნელი ფხაკაძე, რიტა ბატონჯანიანი, სოსო ჯორბენაძე, ლამარა ბოგვერაძე, ლამარა ბალავაძე, ლამარა ხელაძე, დავით ბასილაძე, მაია მიქელაძე, ნანა რომანაძე, დავარ გიგინეიშვილი და ვანო სუპატაშვილი, ჯემალ ჯაყელი, ეთერ ცივაძე, ნუნუ ახვლედიანი, რუსუდან ჯინჯიხაძე, ნორა ტაბუცაძე, ლამარა სიორიძე, ვიოლეტა ბაბალიანი, ლიანა ინაიშვილი, ლეილა ფურცხვანიძე, ციური ჩანტლაძე, ციური გორგილაძე, გენრიეტა ქემოკლიძე, ვერონიკა ჩახალიანი, მედეა თამაზაშვილი, ციური თავდიშვილი, ლუიზა თუთარაშვილი, ნაირა ჩანტლაძე, ნანა ხონელია, ნინო ჩხაიძე, ნაირა მანთიძე, ნათია სიხარულიძე, ნინო ინოშვილი, მანანა რამიშვილი, ფერიდე უსტიაშვილი, ნათია დიდია, მანანა დიდიძე, ნინო წოწონავა, ნატო გოთოშია, ქეთევან ბურჯანაძე, ლია ხაჟომია, ნინო ხავთასი, რუსიკო ფაღავა, ნატა მეგრელიძე, თეა ლაბაძე, მზია ღაჭავა, ინგა ციბაძე და ნინო სადრაძე.

ისინი სათნოებით და კეთილშობილებით გამოირჩეოდნენ. მათი ხელმძღვანელობით გამოიზარდნენ ამ ბიბლიოთეკის საუკეთესო კადრები.

ისინი მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას დაუზოგავად ახმარდნენ კულტურის ამ სფეროს. დაუვიწყარია ამ მშრომელი, უპრეტენზიო ადამიანების ღვაწლი ხალხისა და ქვეყნის წინაშე. მსუბუქი ყოფილიყოს გარდაცვლილთათვის მშობლიური ქართული მიწა..., ცოცხლებს ჯანმრთელობასა და ბედნიერებას ვუსურვებ და ეს წიგნიც ამის საწინდარია!

თენგიზ ცეცხლაშვილი

13 ოქტომბერი, 2017 წელი

ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიებები

აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ტარდება მრავალი სახის ღონისძიება. ბიბლიოთეკას მრავალი დელეგაცია ჰყავს სტუმრად საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. ამის დასტურად შემოგთავაზებთ სხვადასხვა დროს ჩატარებულ ღონისძიებათა ამსახველ რამდენიმე ფოტო-მასალას ბიბლიოთეკის არქივიდან.

ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 წლისადმი მიძღვნილი საღამო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 წლისადმი
მიძღვნილი საღამო

იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 175 წლისადმი მიძღვნილი
საღამო (საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლისადმი
მიძღვნილი საღამო. მოქანდაკე ჯიმსონ გურგენიძემ
საზოგადოებას წარუდგინა ნ. ბარათაშვილის ბიუსტის მაკეტი,
რომელიც ერთხმად იქნა მოწონებული

ნესტორ მალაზონიას დაბადებიდან 125 წლისადმი
მიძღვნილი საღამო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრიდონ ხალვაშის დაბადებიდან 85 წლისადმი
მიძღვნილი საღამო

მამია ვარშანიძეს დაბადებიდან 100 წლისადმი მიძღვნილი საღამო.
სიტყვით გამოდის საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის
ორგანიზაციის თავმჯდომარე პოეტი დავით თედორაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ გორგილაძის პოეზიის საღამო. სამადლობელი სიტყვით დარბაზს მიმართა პოეტის მეუღლემ ქალბატონმა ლეილა დავითაძემ

დოკუმენტური ფილმის „სისხლიანი კალო“ წარდგენა. საზ. მოძრაობის „2011 წლის 26 მაისი – „მამული, ენა, სარწმუნოება“. თანათავმჯდომარე რომან ჩხაიძე (მარცხნივ), საზოგადოების თავმჯდომარე თენგიზ ცეცხლაშვილი ბატონ თეიმურაზ შაშიაშვილს გადასცემენ ვახტანგ ახვლედიანის საპატიო სიგელს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ბიბლიოთეკარის დღე

ბიბლიოთეკის დირექტორი გენადი მახარაძე „საპატიო ბიბლიოთეკარის“ სიგელს გადასცემს ამაგდარ ბიბლიოთეკარს ლეილა ფურცხვანიძეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეხვედრა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში აჭარიდან
ჩასახლებულ ეკომიგრანტ ბავშვებთან

შეხვედრა ვეფხისტყაოსნის ზეპირად მცოდნეებთან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედისა და ქალთა საერთაშორისო დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა ბათუმის კოლორიტებთან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეხვედრა ბათუმის კოლორიტებთან

შეხვედრა ბათუმში მოღვაწე შემოქმედ წყვილებთან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საახალწლო ზეიმი ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საახალწლო ზეიმი ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მსოფლიო ჩემპიონი
ჭიდაობაში მუხრან ვახტანგაძე
უმაღლესი რანგის პოლიტიკოსებთან ერთად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აშშ ელჩი ჯონ ტეფტი 2006 წელი

აშშ ელჩი საქართველოში ჯონ ბასი 2009 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშშ ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი 2014 წელი

აშშ ელჩი საქართველოში იან კელი 2016 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თურქეთის რესპუბლიკის გენერალური კონსული იასონ თემიზქანი

ჩეხეთის რესპუბლიკის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ტომას ბომა და პრაღა -1 მერი ოლდრიმ ლომეცკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკის მკითხველთა ქორწილი

არაერთი იუბილე გადაუხადა ბიბლიოთეკამ დღემდე მოქმედ პოეტებსა და მწერლებს.

ბიბლიოთეკაში ჩატარებულ მრავალფეროვან ღონისძიებათა ნუსხას, მისი ცხოვრების რიტმის შესაცნობად შეგიძლიათ შეხვიდეთ ინტერნეტ საიტზე htpp: bpl.ge

ზემოთ ვნახეთ, ბიბლიოთეკა განაგრძობს თავის საქმიანობას, ქალაქის საზოგადოება აქტიურადაა ჩართული ბიბლიოთეკაში გამართულ შემეცნებით დისკუსიებში, ახალგამოცემული წიგნების წარდგენაში, კონფერენციებში, გამოფენებში, ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოებში. თავისი საქმიანობით ბიბლიოთეკა გარდაიქმნა ქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ-შემეცნებით და საგანმანათლებო ცენტრად, რასაც ერთხმად აღიარებს მკითხველი და საერთოდ საზოგადოება.

,,ბიბლიოთეკის კვირეული“ დამთავრდა

დაბოლოს, ბიბლიოთეკის ერთგული ჟურნალისტის რევაზ მსხილაძის სტატიით ,,ბიბლიოთეკის კვირეული“ დამთავრდა (გაზ. ,,აჭარა“ N48 1-2 .05. 2018) მინდა შემოგთავაზოთ:

გუშინ, 30 აპრილს, ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში ,,ბიბლიოთეკის კვირეულის“ დახურვასთან დაკავშირებით საზეიმო საღამო გაიმართა. ამასთანავე, ეს იყო ,,საქართველოს ბიბლიოთეკარის დღისადმი“ მიძღვნილი ღონისძიებაც, ფაქტობრივად, აჭარის საბიბლიოთეკო სფეროს მუშაკთა შეხვედრა ერთგულ მკითხველთან, რომელიც მეთხუთმეტე კონკურსში გამარჯვებულ ბიბლიოთეკართა და მკითხველთა დაჯილდოებით დასრულდა.

დამსწრეთ მიესალმა და ,,ბიბლიოთეკარის დღე“ მიულოცა საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა გენადი მახარაძემ. მან ისაუბრა ბიბლიოთეკების, წიგნის უდიდეს მნიშვნელობაზე.

გენადი მახარაძემ დამსწრეთ წარუდგინა აჭარის საბიბლიოთეკო სფეროს მოწინავე მუშაკები, ერთგული მკითხველები, რომლებიც დილიდანვე ელოდებიან ბიბლიოთეკის გაღებას.

ჩვენმა კოლექტივმა, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად, როგორც იტყვიან, მართლაც კბილებით დავიცავით და გადავარჩინეთ ეს ბიბლიოთეკა მისი შენობის გაყიდვისაგან და შესაძლოა გაუქმებისგანაც კი, - თქვა მან. - რა იქნებოდა ბათუმი საჯარო ბიბლიოთეკის გარეშე? უარესის წარმოდგენაც კი ძნელია... და ამას აპირებდნენ ინტელექტუალური ადამიანები, ქართველები, რომლებმაც ბევრი ეროვნული საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულება გააუქმეს, შენობები უცხოელებზე გაყიდეს და ცნობილი სწავლულები და მოღვაწეენიც კი ჩარეცხეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენ გვწამს, რომ წიგნი და საწიგნეთი, ანუ ბიბლიოთეკა არასოდეს გაქრება, გილოცავთ ამ საზეიმო დღეს, ბიბლიოთეკარები და მკითხველები არასოდეს დაშორებოდეთ ერთმანეთს!

საპატიო სიგელით და საჩუქრით დააჯილდოვეს ყველაზე პატარა მკითხველი, რვა წლის ანა ცეცხლაძე, ყველაზე აქტიური ყმაწვილები ანა და ილია კვაჭაძეები. შემდეგ გაიმართა აჭარის საბიბლიოთეკო სფეროს მუშაკთა მეთხუთმეტე კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება, რომლებშიც, ცხადია, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლები ჭარბობდნენ.

ნომინაციებში გამარჯვებულნი, ხულოელი, შუახეველი, ქედელი, ხელვაჩაურელი და ქობულეთელი ბიბლიოთეკარები ლიანა ბოლქვაძე, მერი დავითაძე, ლიანა შერვაშიძე, ნანი დიდმანიძე, თინა მემარნე ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკიდან შემოქმედი ბიბლიოთეკარის წოდება დაიმსახურა მანანა სულაბერიძემ, თანამედროვე ბიბლიოთეკარის - ირმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დოლიძემ, ინტელექტუალური ბიბლიოგრაფის – მზია დავითაძემ, პუნქტუალური ბიბლიოთეკარის – ნინო ნაკაშიძემ, მკითხველის სიმპათია ბიბლიოთეკარის – ელენე ტუღუშმა. მათ გადაეცათ ფასიანი საჩუქრებიც.

აჭარის ბიბლიოთეკის სფეროს მუშაკებს ,,ბიბლიოთეკარის დღე" მიულოცეს და საჯარო ბიბლიოთეკის წარმატებულ მუშაობაზე, მკითხველთა მიერ მისი კოლექტივის შრომის დაფასებაზე ისაუბრეს აქტიურმა მკითხველებმა - მწერალმა ანზორ კუდბამ, პუბლიცისტმა შოთა აბაშიძემ, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ჯემალ ჩიჩუამ, აჭარის მთავრობის, აჭარის უმაღლეს საბჭოსთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ავთანდილ ბერიძემ, მწერალმა თენგიზ ცეცხლაშვილმა, აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფუტკარაძემ, ბიბლიოთეკის მთავარმა ბიბლიოგრაფმა მანანა ბოლქვაძემ, დირექტორის მოადგილემ ნატო ჭყონიამ და სხვებმა.

დამსწრენი დიდი სიყვარულით და პატივისცმით ემშვიდობებიან შემოქმედ ბიბლიოთეკარს მანანა სულაბერიძეს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა სულაბერიძის გაცილება

რომელიც, როგორც ბატონმა გენო მახარაძემ აღნიშნა, ოჯახური პირობების გამო საკუთარი სურვილით წავიდა სამსახურიდან. ყველასთვის ცნობილია, რომ იგი ბიბლიოთეკის შემოქმედებითი ცხოვრების სული და გული იყო. ამზადებდა და უძღვებოდა ყველა შემოქმედებით ღონისძიებას. მის ნაცვლად, კონკურსის წესით, ბიბლიოთეკართა ოჯახის შვილი თამარ ბუთურიშვილი დაინიშნა.

თხრობა მინდა დავასრულო ჩემი გულის ნადებით:

ცოდნის ტაძრის ფერიებო,
მკითხველს თბილად ეგებებით,
გულისხმიერ დახვედრისთვის
ქედს მოგიხრით მოკრძალებით.

მზრუნველნო და ამაგდარნო,
თქვენი ხილვა მიხარია,
ცოდნის ტაძარს ალამაზებთ,
რომლის ფუძე უკვდავია!

თენგიზ ცეცხლაშვილი

19.12. 2017 წელი

ნანა დიასამიძე

აქვე მინდა პატივი მივაგო ერთ-ერთ ამაგდარ ბიბლიოთეკარს ქალბატონ ნანა დიასამიძეს და შემოქთავაზოთ მოკლე ამონარიდი ნანა ახალაძის წიგნიდან „არ დაეკარგვის ამაგი“.

ნანა დიასამიძე

„ნანა დიასამიძე 1981 წლიდან რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა, სადაც 20 წელი იმუშავა მაღალი პროფესიონალიზმითა და საქმის სიყვარულით. იგი ორგანიზატორულ-შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული, საშემსრულებლო დისციპლინით გამორჩეული მუშაკია. ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში მკითხველთა მოთხოვნების საფუძველზე განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით დაკომპლექტებას, საბიბლიოთეკო ფონდების უკეთ გახსნის მიზნით, მისი ხელმძღვანელობით რეგულარულად, მაღალ დონეზე ეწყობოდა მკითხველთა კონფერენციები, ბიბლიოთეკის კვირეული, ლიტერატურული საღამოები, ახალი წიგნის წარდგენა, შეხვედრები მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებთან, საინტერესო ბიოგრაფიის ადამიანებთან და ა. შ. რაც დღესაც წარმატებით გრძელდება.

ნ. დიასამიძეს თავის მუშაობაში პრიორიტეტად მიაჩნდა კონსულტაციისა და კოორდინაციის განყოფილების მუშაობა, რომელიც ახორციელებდა რესპუბლიკის ყველა სახის უწყების ბიბლიოთეკართათვის მეთოდურ-პრაქტიკულ დახმარებას მათი მუშაობის ანალიზით. ამ მიზნით მზადდებოდა მეთოდური ბროშურები, წერილები და სხვადასხვა სახის ინფორმაციული დოკუმენტაცია, იგი ყოველთვიურად ატარებდა საბიბლიოთეკო სემინარებს ყველა რაიონის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექციის მუშაობაში მნიშვნელოვანი იყო მოწინავე გამოცდილების გამოვლენა და დანერგვა. ყოველწლიურად დირექტორთან ერთად კარგ ორგანიზაციას უწევდა „ბიბლიოთეკის დღის“ ჩატარებას.

ნ. დიასამიძე ასევე იყო ჩართული საქალაქო ღონისძიებებში. აღსანიშნავია მისი აქტიური როლი ქართული მწერლობის ორ დიდ ქურუმთან – გურამ ფანჯიკიძესთან და მურმან ლებანიძესთან გამართულ შეხვედრაზე ქალაქის ფილარმონიაში. ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ქართული კინოსა და თეატრის ვარსკვლავთან, მედეა ჯაფარიძესთან შეხვედრაზე ნ. დიასამიძე გახლდათ საკუთარი სცენარით დაწერილი ღონისძიების წამყვანი. ასევე დასამახსოვრებელი იყო მისი მონაწილეობა საქართველოს სახალხო არტისტთან, ოთარ მეღვინეთუხუცესთან შეხვედრაზე.

აი, როგორ ახასიათებს მას ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე რამაზ სურმანიძე:

„ქალბატონი ნანა დიასამიძე აჭარის საბიბლიოთეკო ცხოვრებაში რჩეული ფიგურაა; იგი სულითა და გულით ბიბლიოთეკარია, ბიბლიოთეკათმცოდნე, საბიბლიოთეკო სამსახურის გულმხურვალე მოამაგე. მკითხველი საზოგადოება პატივს სცემს მის მრავალწლიან ღვაწლს და, ასე განსაჯეთ, გონებანათელ ქართველ ქალობას“.

ნ. დიასამიძე 2006 წლიდან პენსიაზე გავიდა და ამჟამად ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში მუშაობს, რაშიც დიდად ემადლიერება ბიბლიოთეკის დირექტორს გენადი მახარაძეს. რადგანაც მისი დიდი გამოცდილება კვლავაც სასარგებლო სამსახურს უწევს საბიბლიოთეკო საქმეს.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის ნ. დიასამიძე დაჯილდოებულია აჭარის კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელებით, 2014 წელს ბათუმის მერიამ მას „დამსახურებული ბიბლიოთეკარის“ წოდება მიანიჭა.“

ქალბატონ ნანა დიასამიძე ჩემი რამდენიმე წიგნის რედაქტორი გახლავთ, რაზედაც ძალზედ ვემადლიერები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკას მშობლიურ სახლს, ოჯახს უწოდებს

2018 წლის 10 მაისს 17 სთ. აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ რამაზ სურმანიძის დაბადებიდან 85 წლისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ბიბლიოთეკის დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. სტუმრებიც მრავლად იყვნენ. გამომსვლელები ცვლიდნენ ერთმანეთს, ზღვა სიხარულის ცრემლი ვიხილე იმ დღეს. ბატონ რამაზის მოფერება ყველას უნდოდა, მაგრამ რეგლამენტი იყო დაწესებული. იმ დღეს ბევრი რამ ახალი გავიგე იუბილარის მოღვაწეობის შესახებ. ჩემი თვალით ვიხილე, თუ რაოდენ დიდი სიყვარულით და ავტორიტეტით სარგებლოს ბატონი რამაზი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნის ,,აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა 115 წლისაა“ გადაცემა

9 მაისს დავასრულე წიგნი ,,აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა 115 წლისაა“, ამოვბეჭდე საკონტროლო ეკზემპლიარი, რათა ბატონ რამაზისთვის, როგორც რედაქტორისთვის გადამეცა.

საიუბილეო საღამოზე სხვებთან ერთად მეც მერგო პატივი გამოვსულიყავი სიტყვით საზოგადოებრივი მოძრაობის ,,2011 წლის 26 მაისი, ,,მამული, ენა, სარწმუნოება“-ს სახელით, რომლის თავმჯდომარეც გახლავართ.

ჩვენს ურთიერთობაზე საუბარი არ დამიწყია, ეს თემა შორს წამიყვანდა. შემოვიფარგლე მოკლე სიტყვით. იუბილე მივულოცე ლექსით და გადავეცი წიგნი.

ღონისძიებამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე და იქვე მივიღე გადაწყვეტილება, რომ წიგნი ამ შეხვედრით დამესრულებინა. აბა, მითხარით, ამ წიგნში როგორ არ უნდა ჩამერთო ადამიანი, რომელიც დღე და ღამე თავის აუწევლად ეფერება წინაპრების სულებს და უკვდავყოფს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ სახელებს. მისი წიგნებით დახუნძლულია საქართველოს ბიბლიოთეკები, (ბიბლიოთეკას მშობლიურ სახლს, ოჯახს უწოდებს). მითუმეტეს წიგნის დასრულება მის იუბილეს დაემთხვა.

როგორც ზემოთ, წიგნის პირველ ნაწილში მოგახსენეთ (გვ. 107), ისევ ბატონი რამაზ სურმანიძითა და ბიბლიოთეკით ვიწყებ. აქვე შემოგთავაზებთ ამონარიდს მისივე წიგნიდან ,,ბიობიბლიოგრაფია, რუსეთ-საქართველოს მეგობრული ურთიერთობანი 1964-2008 წწ., სადაც წიგნის რედაქტორი აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გენადი მახარაძე წინასიტყვაობაში აღნიშნავს: ,,1969 წელს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკასთან შეიქმნა სამეცნიერო-საბიბლიოთეკო საბჭო, რომლის მთავარი მიზანი იყო მკითხველთან ურთიერთობა, მისი მოთხოვნილებების გამოვლენა და შესრულება. საბჭოს თავმჯდომარედ ერთსულოვნად დაამტკიცეს მუდმივი მკითხველი, ახალგაზრდა მწერალი და მეცნიერი რამაზ სურმანიძე, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. უფრო მეტიც, ის ბიბლიოთეკას ეხმარებოდა წიგნადი ფონდის შევსებასა და დაცვაში, პერიოდიკის წესრიგზე მოყვანაში.

ჩვენს დროში განხორციელებული რეფორმების დროს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, მათ შორის სამეცნიერო-საბიბლიოთეკო საბჭომაც შეწყვიტა საქმიანობა, მაგრამ ბატონი რამაზისთვის ამ ფორმალობას მნიშვნელობა არ ჰქონია, ის კვლავინდებურად განაგრძობდა ურთიერთობას მშობლიურ ბიბლიოთეკასთან“.

სწორედ ბატონ რამაზ სურმანიძის დამსახურებაა ბულვარში კოლონადების მემორიალურ დაფაზე არასამართლიანად განთავსებული ინფორემაცია რომ დაიგმო და მოხდა მემორიალური დაფის დემონტაჟი.

2014 წელს დავასრულე წიგნი ,,ჩემი ბულვარი“. მასალების მოძიების პროცესში რა თქმა უნდა, ბატონ რამაზს მივმართე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მანაც მომაწოდა სრული ინფორმაცია ჩვენი ბულვარის სავიზიტო ბარათზე - კოლონადებზე. მისი საგაზეთო სტატია ყურად ვიღე და წიგნის გამოცემა გადავდე მანამდე, სანამ არ აღდგებოდა სამართლიანობა. ამ საქმეში ჩავრთე ქალაქის საზოგადოება და კიდეც მივაღწიეთ მიზანს. დადგინდა, რომ ბულვარის რეალური არქიტექტორი იყო იმჟამად რეპრესირებული, ქალაქის იმდროინდელი არქიტექტორი ბატონი პავლე ნადარეიშვილი. დღეს დგას ეს მემორიალური, საინფორმაციო დაფა კოლონადების წინ, რაშიც ბატონ რამაზს დიდად ემადლიერება ქართული საზოგადოება!

ამასთან დაკავშირებით გაზეთ ,,აჭარაში“ (N 9 25-26 01.2018წ) დაიწერა სტატია, სადაც ჟურნალისტი რევაზ მსხილაძე აღნიშნავს: ,,მრავალი წელი გაგრძელდა დავა იმის შესახებ, თუ ვინ ააშენა ზღვისპირა ბულვარის მშვენება - რომაული სტილის კოლონადები, რომელიც კარიბჭის შთაბეჭდილებას ქმნის და ზღვის ფონზე ძალიან შთამბეჭდავია“. დაფაზე არაფერი იყო ნათქვამი პროექტის ნამდვილ ავტორზე, ბათუმის მთავარ არქიტექტორზე – პავლე ნადარეიშვილზე. ერთადერთი, რაც სწორად ეწერა, იყო ის, რომ კოლონადების ესკიზები იტალიიდან, პატარა ზღვისპირა ქალაქ სორონტოდან, ბათუმელმა ექიმმა ივანე მჭედლიძემ ჩამოიტანა, რომელიც იქ ექიმთა სიმპოზიუმს ესწრებოდა და ამაში დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი დაეხმარა.

...ეს და სხვა ყველაფერი დოკუმენტებშია ასახული. ბულვარის შესახებ წიგნზე მუშაობისას მოიძია ბატონმა თენგიზ ცეცხლაშვილმა, რაც, ცხადია, კოლონადებთან განთავსებულ ახალ საინფორმაციო დაფაზეც უნდა აღნიშნულიყო. ცნობილია, რომ ამის მისაღწევად რა არ იღონეს რამაზ სურმანიძემ, თენგიზ ცეცხლაშვილმა და მათთან ერთად აღნიშნულმა აქტივისტებმა, ასევე ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებმა, მაგრამ დაფის შეცვლას რომ აღარ დაადგა საშველი, მაშინ პირადად მე მომიწია სირბილი ზემდგომ ინსტანციებში, - გვითხრა თენგიზ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ი მ ა რ თ ვ ა

მივიწვევთ, რომ სიმართლე ლიტერატურაშიც, და მემორიალურ დაფაზეც ერთნაირად უნდა აისახოს.

ბათუმის ზღვისპირა პარკში არსებულ კოლონადებზე, მემორიალურ დაფაზე ტექსტში ცვლილება უნდა შეტანილ, რომ ადგილს ისტორიული სინამდვილე.

კოლონადები ზღვის სანაპიროზე გასეირნისას კარიბჭეს იმიტაციას ქმნის. იგი დღესაც ბათუმის სავიზიტო ბარათია და ღირსეულად ამშვენებს ბულვარს.

ახალი მემორიალური დაფა უნდა იყოს შემდეგი მოწაერსის:

კ ო ლ ო ნ ა დ ე ბ ი

ბათუმის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაგებობაა. იგი აშენდა 1931–1934 წწ. იდეა ბათუმელ ექიმს ივანე მჭედლიძეს (1889–1937 წწ.) ეკუთვნის. მან 1930 წ. იტალიიდან ჩამოიტანა კოლონადების ესკიზები, რომელთა მიხედვებში დახმარება გაუწია ქ. ხიმრეტლიში მცხოვრებ რუსმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ (1868-1936 წ.).

ბათუმის მთავარმა არქიტექტორმა პავლე ნადარეიშვილმა (1894–1937 წწ.) ამ ესკიზებზე დაყრდნობით შეადგინა კოლონადების პროექტი, მშენებლობასაც ოსტატურად ხელმძღვანელობდა.

სამუშაოთა მწარმოებლად მიიწვია თავისი მოსწავლე, მუმდგომში არქიტექტორი და აჭარის დამსახურებული ინჟინერი, ბოგდან კირაკოსიანი (1912–1972 წწ.).

დღესდღეობით წარწერა სამ ენაზეა – ქართულად, ინგლისურად და თურქულად. არ არის რუსულენოვანი ტექსტი, რაც დაუშვებელია ჩვენი რეგიონის მოსახლეობის მრავალეროვნულობის გამო, ყურადსაღებია ისიც, რომ ბოლო წლებში მოზღვავებულია რუსულენოვან ტურისტთა ნაკადი, რითაც მათ ენობრივი დისკომფორტი ექმნებათ. ამიტომ მივიწვევთ, რომ წარწერა მემორიალურ დაფაზე რუსულ ენაზეც უნდა იყოს შესრულებული.

მემორიალური დაფა უნდა პასუხობდეს საერთაშორისო სტანდარტებს, დაცული იყოს ხელყოფისაგან და განთავსდეს უშუალოდ კოლონადების წინ, მარჯვნივ.

ტექსტზე მუშაობდნენ:

1 რამაზ სურმანიძე, პროფესორი, მწერალი –

2 თენგიზ ცეცხლაშვილი, მწერალი –

ვეთანხმებით:

3 ნოდარ ჩხეიძე, პროფესორი –

4 რეზო ყოფლიძე, არქიტექტორი –

5 გიორგი ბალიშვილი, არქიტექტორი –

6 ლევონ ბერეზინაძე, მხატვარ-დიზაინერი –

7 გურამ ფეტკარაძე, მხატვარი –

8 დავით ბოლქვაძე, მოქანდაკე –

9 როსტომ გუნთაშელი, იურისტი –

საზოგადოების მხრიდან ტექსტის შედგენას გვაერთანებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სლოგანიც, „მართე შენი ქალაქი!".

30. ოქტომბერი 2015 წელი

ამონარიდი თენგიზ ცეცხლაშვილის წიგნიდან ,,ბათუმის აკადემია“

რაც შეეხება ბულვარს, ერთობლივმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და ბულვარში ახალი მემორიალური დაფა განთავსთა ჩვენს მიერ ზემოთ ხსენებული ტექსტით. მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმათ, ვინც ბატონ რამაზ სურმანიძისა და ჩემს ინიციატივას მხარი აუბა.

ლაშა მსხალაძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლაშვილმა,- ბოლოს ბატონ რამაზ სურმანიძესთან ერთად ინტელიგენციის წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიმართვა ოფიციალურად გავუგზავნეთ მთავარ სუბიექტს, - აჭარის ტურიზმის დეპარტამენტს და როგორც იქნა, მიზანს მივაღწიეთ, გასახარია, რომ კოლონადებთან ახალი საინფორმაციო დაფა დაიდგა, რომელზეც განთავსდა ზემოთ აღნიშნული სიმართლე“.

ცოტათი ადრე იტალიაში გასულ საუკუნეში ჩატარებული სიმპოზიუმი ვახსენე და აქვე დავსძენ: ბატონმა რამაზ სურმანიძემ გასული წლის დასასრულს იტალიიდან წერილი მიიღო, რომელშიც კლიმატოლოგიისა და ბალნეოლოგიის მსოფლიო კონგრესზე დასწრებას სთხოვდნენ მას. მოკლედ ბევრი რომ არ გავაგრძელო, უარი განუცხადებია (წასვლისთვის ხომ თანხებია საჭირო). მალე მეორე წერილი მიიღო იმავე შინაარსით. მოსკოვიდანაც შეეხმიანა ჩვენი თანაქალაქელი გიორგი გიგინეიშვილი, რომელიც იქ კურორტოლოგიის მიმართულებით მუშაობს. მას იტალიიდან სთხოვეს გაეგო, რატომ არ პასუხობდა ბატონი რამაზი. საქმე კი შემდეგში იყო: წლების წინ რამაზ სურმანიძემ იტალიიდან ბათუმში ჩამოსულ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს თავი დაამახსოვრა, როგორც გულითადმა მასპინძელმა. - მას შემდეგ 40 წელი გავიდა და არ მეგონა, თუ ისევ ვახსოვდი ვინმეს. მათ საქართველოს გაწევრიანება გადაეწყვიტათ მსოფლიო კურორტოლოგიის ფედერაციაში და რადგანაც მიცნობდნენ, მე შემეხმიანნენ,- საქართველოდან რამდენიმე კაცი ვიყავით. კონგრესზე მოხსენებითაც გამოვედით. ყველა კმაყოფილი დარჩა. მეორე დღეს კონგრესმა ორი ქვეყანა - საქართველო და საბერძნეთი კლიმატოლოგიისა და ბალნეოლოგიის მსოფლიო ფედარაციის წევრებად მიიღო. მანამდე აღნიშნული ფედერაცია 21 წევრ-ქვეყანას ითვლიდა. იქვე გამოაცხადეს, რომ აქაურ ოფისს მე ვუხელმძღვანელებდი. იმავე დღეს ისიც ითქვა, რომ შემდეგი კონგრესის მუშაობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო, კერძოდ, ბათუმი უმასპინძლებდა.“ ჰოდა, წლის ბოლოს ბატონი რამაზი და ბათუმი სტუმრების მოლოდინში ვართ...

რაღამც ბულვარის თემას შევეხე, აქ ერთიც უნდა აღვნიშნო: ბულვარში მოეწყოს აჭარის მამულიშვილთა და საზოგადო მოღვაწეთა ხეივანი, სადაც მათი ბიუსტები დაიდგმება.“ მინდა დავსძინო, რომ ამ ხეივანში მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული სტუმარი აქვე გაეცნობა ჩვენი აჭარის მოკლე ისტორიას და ეყოლება ჩვენი გიდი. მე ვიტყოდი, რომ ბულვარის ტერიტორიაზე მიმაგრებული უნდა იყოს რამდენიმე გიდი, რომ არ დამახინჯდეს ჩვენი ერის ყოფა და სინამდვილე. ამ იდეას მხარი აუბა ცნობილმა დიზაინერმა, აჭარის დიზაინერთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ ჯიმსონ გურგენიძემ, რომელთანაც შემოქმედებითი ურთიერთობა ჯერ კიდევ გასული წლიდან მაკავშირებს. სწორედ მაშინ გამოვეცი წიგნი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ,,ალი სამსონია“. კაცი, რომელიც ქალაქის სულიერებას განაგებდა, იყო მისი სული და გული, ყოველივე კარგი წამოწყების ინიციატორი. დიახაც, ასეთ ადამინზე უნდა არსებობდეს მისი სინდის-პატიოსნების საპატიო სიგელი, მისადმი მიძღვნილი არაერთი წიგნი. ქალაქში უნდა დაიდგას მისი ბიუსტი მისივე სახელობის ალი სამსონიას ქუჩის დასაწყისში. ადგილიც შევარჩიე, ეს ადგილი ვანახე ჯიმსონ გურგენიძეს, რომელმაც ადგილი მოიწონა და ამ ქანდაკების დამზადება იკისრა. ბატონი ჯიმის ხეივანში დასადგმელი ბიუსტების შესახებაც ვაცნობე. მან ამ წამოწყებაშიც ამიბა მხარი. დღე და ღამ მუშაობს სახელოვანი წინაპრების ბიუსტთა შექმნაზე. ამ თემაზე საგაზეთო მასალაც მოვამზადე ,,დროა მსოფლიოს კიდევ ერთხელ შევახსენოთ ჩვენი წინაპრები!“

ცოტა რამ ბატონ რამაზ სურმანიძის შესახებ: რამაზ სურმანიძე დაიბადა 1933 წლის 10 მაისს, შუახევის რაიონის სოფელ ჭალაში. დაამთავრა სოფლის 8-წლიანი სკოლა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ - ბათუმის სამედიცინო სასწავლებელი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

იგი საქართველოსა და აჭარის დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აბუსერისძე ტბელისა და ზაქარია ჭიჭინაძის სახელობის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, ავტორია 75 წიგნის. მათი დიდი ნაწილი მხოლოდ ისტორიულ თემას შეეხება,

...რამაზ სურმანიძე საზოგადო მოღვაწეა. წარმატებით უთავსებს ერთმანეთს სამეცნიერო კვლევა-ძიებასა და შემოქმედებით საქმიანობას. თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი ცხოვრების განმავლობაში იყო ბათუმის ჯანდაცვის განყოფილების გამგე, ჯანდაცვის მინისტრი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, არის საქართველოს მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირების წევრი, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაარსებულ ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიურ ინსტიტუტს, ათი წლის განმავლობაში - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა მედიცინის დების მოსამზადებელ კურსებს. ასწავლიდა სასკოლო ჰიგიენას, - მედიცინის ისტორიას მომავალ მედიკოსებს. ბატონი რამაზი 1994-2004 წლებში უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე გახლდათ. აჭარის ჩოხოსან რაინდთა ორგანიზაციის დამფუძნებელი და მისი საპატიო თავმჯდომარეა. მისი სამეცნიერო შრომები, ისტორიულ-გენეალოგიური ნარკვევები, წიგნები, პუბლიცისტიკა მუდამ ინტერესის საგანია.

ქვეყნის ცხოვრებაში არ ყოფილა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ არ გამოხმაურებოდა, ავტორიტეტული სიტყვა არ უთქვამს, ხოლო ხუთი წლის წინ აღადგინა აჭარის ექიმთა საზოგადოება, რომლის ფუნქციონირება გარკვეული ხნით შეჩერებული გახლდათ. თავის დროზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს საზოგადოება ნაყოფიერად მუშაობდა, ემსახურებოდა ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მათი უფლებების დაცვას, ზრუნავდა სოციალური საკითხების მოგვარებისთვის, მართავდა კონფერენციებს... ბატონი რამაზი მედიცინას კი არ მოსწყდა, არამედ ექიმთა საზოგადოების აღდგენის შემდეგ კიდევ უფრო დაუახლოვდა მას. სხვათა შორის, ბატონი რამაზი ქართულ-აფხაზური ურთიერთობის, ასევე თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა, ჩოხოსანთა საზოგადოების, საქველმოქმედო საზოგადოება ,,ქველის" დამფუძნებელიცაა. მას ყველა დარგში შეაქვს თავისი განსაკუთრებული წვლილი". ვკითხულობთ გაზეთ ,,აჭარას" (15-16. 02. 2018 წ.N 18-ში) ჟურნალისტის მანანა ძიძიგურის სტატიაში ,,დაუღალავი".

2018 წლის 28 აპრილს, ბათუმში, სასტუმრო ,,რედისონში" საინიციატივო ჯგუფის თაოსნობით, საერთო სახალხო მოძრაობის ,,მუსლიმი და ქრისტიანი ძმები საქართველოს დასაცავად" მხარდამჭერთა შეკრება გაიმართა. შეკრება გახსნა საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, პროფესორმა რამაზ სურმანიძემ. საზოგადოება ჯერ ჩამოყალიბების ფორმაშია, ვუსურვებ მას დიდ წარმატებას ჩვენი გავერანებული ქვეყნის ფეხზე დასაყენებლად...

დასასრულს, არ შემიძლია გვერდი ავუარო ქალბატონ მანანა ძიძიგურის სტატიას ,,ადამიანი, ვისთვისაც წლები არაფერს ნიშნავს (გაზეთი ,,აჭარა" N 53. 17-18. 05. 2018წ.), სადაც ვკითხულობთ:

,,...აკაკი ზოიძე, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარე: – ბატონი რამაზ სურმანიძე მკვლევარი, მედიკოსი, მეცნიერი, მწერალი, ჟურნალისტი, მემატიანე, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, გულის მკურნალი ექიმი და სულის მკურნალი მწერალი სათნოებითა და ზნეკეთილობით, არისტოკრატიული, დახვეწილი კულტურითა და ადამიანებთან ურთიერთობის დიდი ხელოვნებით გამოირჩევა. მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაზ სურმანიძე შვილიშვილებთან ერთად

რამაზ სურმანიძის დიდი ოჯახი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნის, ერის საკეთილდღეოდ მოვლენილ ადამიანს შეუძლია იყოს საზოგადო მოღვაწე, უნარიანად უხელმძღვანელოს არაერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, დაწეროს 2000-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, 1000-მდე პუბლიცისტური სტატია. აღმოაჩინოს და მეცნიერულად შეისწავლოს ხალხური მედიცინის მარგალიტები აჭარაში და სამზეოზე უნიკალური წიგნით გამოიტანოს. იგი ადამიანების სულისა და გონების მესაიდუმლეა. ასე დაუღალავად მსახურების უნარი მხოლოდ ერთეულებს თუ გააჩნიათ.

ოთარ გოგოლიშვილი, პროფესორი: – რამაზ სურმანიძე არის ლეგენდარული პიროვნება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ასეთი ენციკლოპედიური განათლების ადამიანი, რომელსაც ხელოვნების, კულტურის, მეცნიერების, განათლების სხვა ნებისმიერ დარგში თავისი გადამწყვეტი სიტყვა ეთქვას, არ მეგულება. მისი თითოეული წიგნი სიღრმით გამოირჩევა. ის ნამდვილად, ჭეშმარიტი ქართველია, რომელიც მარტო კი არ წერს, ხმალამოღებული იბრძვის იმათ წინააღმდეგ, ვინც საქართველოს აუგად მოიხსენიებს. ბატონი რამაზი არა მხოლოდ ბათუმს, მთელ საქართველოს ამშვენებს. მიხარია, რომ მისი არაერთი წიგნის რედაქტორი და რეცენზენტი გახლავართ. დარწმუნებული ვარ, წინ კიდევ ბევრი მისი საინტერესო ნაშრომი გველოდება...“

დაბოლოს მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ბატონ რამაზ სურმანიძეს. იგი დიდ სევდას და ტკივილს დაატარებს გულით ვაჟიშვილის ფრიდონის გარდაცვალების გამო, ამას არ იმჩნევს და ვაჟკაცურად იკლავს გულში ამ დიდ ტკივილს. იგი გვერდით უდგას მთელ საზოგადოებას. ამ თანაგომის და იმ სიტყვებისთვის, რაც ჩემი გამოცემული წიგნების რედაქტორობისას გააჟღერა ჩემს შესახებ, უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

მადლობა მინდა გადავუხადო მწერალსა და სზოგადო მოღვაწეს ანზორ კუდბას ამ ღვთისნიერ ადამიანს, რომელმაც მაზიარა მწერლურ სამყაროს. მიმაჩნია რომ გვარი კუდბა არის ერთგულებისა და პატივისცემის სინონიმი. ჰოდა, კიდევაც ამართლებს ბატონი ანზორი ამ გვარის დანიშნულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულ მინდა ჩემი ლექსით მივმართო ბატონ რამაზს:

იბერიის მატიანევ,
ბერმუხავ უბერებელო,
ქართველ კაცის სიამაყევ,
მოღვაწევ, დიდო ქართველო!
ამშვენებს ბიბლიოთეკებს
დღეს თქვენი ნამოღვაწარი,
მზის სინათლეზე გამოგაქვთ
დიდ წინაპართა ნაღვაწი!
ყმაწვილივით შემართულო
კვლავაც გამარჯვებით გევლოთ!
ერთი ამდენიც იცოცხლეთ,
თქვენ - ღვაწლმოსილო ქართველო!

ასევე ვემადლიერები მუდამ ჩემს ხელის გამმართველს, საუკეთესო მამულიშვილს, ძვირფას მეოჯახეს. მეგობრების, ნათესავებისა და ახლობლების ხელის შემწყობს, ნიჭიერ პოეტს დუგლას კომახიძეს.

მე და დუგლას კომახიძე სტუმრად მერაბ ბერძენიშვილთან. 2014 წ.

თენგიზ ცეცხლაშვილი
15 სექტემბერი, 2018 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თენგიზ ცეცხლაშვილი: პროფესიით პედაგოგი, თადარიგის უფროსი ოფიცერი, სამწერლო ასპარეზზე გამოჩნდა 2002 წელს. მან ზედიზედ გამოსცა ისტორიულ-ჰეროიკული პოემები: ,,გვირგვინოსანნი", ,,ჩემი ღელე-ღურდანი" და ,,უმეფობის ჟამს". პირველი მათგანი გალექსილი ,,ქართლის ცხოვრებაა", რომელშიც ასახულია საქართველოს ისტორია. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის – მალხაზ სიორიძის მოსაზრებას: ,,გალექსილი ქართლის ცხოვრება" უცხო არ არის ქართული მწერლობისათვის. არჩილ II, თეიმურაზ I, იოსებ თბილელის, დავით გურამიშვილის, გრიგოლ ორბელიანის და სხვათა ისტორიულ პოემებში აისახა ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის სხვადასხვა მომენტები, რასაც დიდი შემეცნებით-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა მათი თანამედროვე ქართველებისთვის.

ჩვენი თანამედროვე ავტორის თენგიზ ცეცხლაშვილის ისტორიულ-ჰეროიკული პოემაც ,,გვირგვინოსანნი", გამოჩენილ ქართველ მეფეთა მოღვაწეობის ძირითად მომენტებს ასახავს. მასში გადმოცემულია საქართველოს ისტორიის ძირითადი მომენტები უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის 10-იან წლებამდე...

თენგიზ ცეცხლაშვილის ,,გვირგვინოსანნი" ლაღი ენით დაწერილი პოემაა და საინტერესოდ იკითხება. მიგვაჩნია, რომ იგი, როგორც დამატებითი ლიტერატურა, დაეხმარება მოსწავლეებს საქართველოს ისტორიის მხატვრულად გააზრებასა და შესწავლაში".

ანალოგიურად შეფასდა პოემა ,,ჩემი ღელე-ღურდანი", რომელშიც საქართველოს განუყოფელი კუთხის, აჭარის ბედკრული ისტორიაა წარმოჩენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოხსენებულ პოემებს თავის დროზე სათანადოდ აშუქებდნენ ქვეყნის მასმედიის საშუალებები. უნდა ითქვას, რომ ეს ნაწარმოებები ავტორმა ქველმოქმედების წესით საქართველოს სხვადასხვა ქალაქებისა და სოფლების სკოლებში ჩამოარიგა, რასაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. ამ საქმეში მას მხარში ედგა და ასპონსორებდა მისი მეგობარი, ფირმა ,,ბასკოს" პრეზიდენტი – იგორ კრეიდენკო, რომელიც უანგაროდ ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას.

ბატონი თენგიზი საკალათბურთო გუნდის, საქართველოს ჩემპიონის ,,ბასკო"-სა და საბავშვო ფესტივალის ,,ცისკრის ვარსკლავი"–ს ჰიმნებისა და ლირიკული ლექსების ავტორიცაა, ახლახან მისი რუსულ ენაზე დაწერილი ლექსებით დაინტერესდა ქ. მოსკოვის ქალთა ვოკალური ჯგუფი ,,ვესნა".

რაც შეეხება დოკუმენტურ ფილმს ,,სისხლიანი კალო," შემოგთავაზებთ ამონარიდს გაზეთ ,,აჭარა"–დან, 24–28/5. 2014.

,,სისხლიანი კალო" ეწოდება დოკუმენტურ ფილმს, რომელიც მწერალ ვახტანგ ახვლედიანისა და სამშობლოსადმი თავდადებულ ღირსეულ მამულიშვილთა ნათელ ხსოვნას ეძღვნება, რომლის პრეზენტაციაც აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა.

ფილმი გადაღებულია საზოგადოებრივი მოძრაობის ,,2011 წლის 26 მაისი" – ,,მამული, ენა, სარწმუნოება" თავჯდომარის თენგიზ ცეცხლაშვილის მიერ მოწოდებული წიგნების – ,,სასიკვდილოდ გამეტებულნი", ,,26 მაისის სისხლიანი კალო" და ,,ეს არ უნდა განმეორდეს!" მიხედვით.

ამ ფილმით პირველად ვიხილეთ ის ადამიანები, ვინც აქციებში მონაწილეობდნენ აჭარიდან. არ შეიძლება ამასთანავე გვერდი ავუაროთ ზემოხსენებული წიგნების რედაქტორთა აზრებს, რომლებმაც არსებული რეჟიმის წინააღმდეგ მკაფიო შეხედულებები დააფიქსირეს, რაც თანხვედრაშია აქციის თვითმხილველთა გამონათქვამებთან:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

...

„წიგნი, რომელიც წარმოგვიდგინა ბატონმა თენგიზ ცეცხლაშვილმა, უაღრესად აქტუალურია. 2011 წლის 26 მაისი იყო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში უმძიმესი ტრაგედია, რომელმაც კიდევ უფრო წარმოაჩინა 1989 წლის 9 აპრილის ,,ბართლომეს ღამის“ სურათები.

9 აპრილის დარბევა განხორციელდა უცხო ქვეყნის ჯარების მიერ გორბაჩოვის ბრძანებით, ხოლო 26 მაისის დარბევა განხორციელდა ქართული პოლიციელისა და სპეცსამსახურების ხელით. მ. სააკაშვილმა გორბაჩოვს და როდიონოვს ჩამორეცხა 9 აპრილის სისხლი და სირცხვილი.

ბატონი თენგიზი მკითხველის წინაშე აშიშვლებს დარბევის ტრაგიკულ სურათებს თვითმხილველის თვალით. სხვებთან ერთად მან შეძლო წარმოედგინა ხელისუფლების მიერ დარბეული და ნაწამებ ადამიანთა შორის ჩვენი მხარის შვილების, მათი გაუტეხელი სულისა და თავდადების, სოციალური თანასწორობისა და დემოკრატიული ცხოვრების წესის აღდგენისათვის ბრძოლა.

მე ღრმად მწამს და მჯერა, რომ სულ მალე ეს ადამიანები ღირსეულად დაფასდებიან.

თენგიზ ცეცხლაშვილის ეს პატარა წიგნი ამ დიდი საქმის ერთგვარი პროლოგიცაა!

შოთა ზოიძე, მწერალი,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

...

თენგიზ ცეცხლაშვილის ნაშრომი ,,ეს არ უნდა განმეორდეს!'' წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ჟურნალისტურ გამოკვლევას, რომელმაც დეტალებში წარმოაჩინა ის დიდი დანაშაული, რომელიც ნაციონალურმა ხელისუფლებამ ჩაიდინა საკუთარი ხალხის წინაშე. გაივლის დრო და ეს ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც ავტორმა მთელი სისრულით გამოიკვლია, იქნება მნიშვნელოვანი გაფრთხილება ყველას მიმართ, რომელიც ეცდება ხალხის სამართლიან შეუპოვრობას იარაღითა და ბოროტებით დაუპირისპირდეს. ასევე, ამ ნაშრომმა უნდა შეასრულოს მამხილებელი როლი ნაციონალური ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედებისა. ნებისმიერი ჯანსაღ გონებაზე მყოფი სამართალმცოდნე, მარტო იმ ამაზრზენი ფაქტებით, რომელიც წიგნშია მოცემული, არა მარტო ტომებს შეკრავს ხელისუფლების ანტიხალხური ქმედების წინააღმდეგ, არამედ სასტიკ განაჩენსაც გამოუტანს მას. დიახ, ამ წიგნმა უნდა შეასრულოს მამხილებელი ფუნქციის როლი, თუ როგორი სიძულვილით მართავდა ნაციონალური ხელისუფლება ქვეყანას, როგორ ძულდა საკუთარი ხალხი, როგორ იმეტებდა თავისივე ხალხს სასიკვდილოდ და შემდეგ ამაზრზენი ფალსიფიკაციით გონებას უბნელებდა საზოგადოებას, თუმცა ყველა ხვდებოდა თუ ვისთან ჰქონდა საქმე. ისიც უნდა ითქვას, რომ 2011 წლის 26 მაისი 2007 წლის 7 ნოემბრის სისხლიანი გაგრძელებაა იმ განსხვავებით, რომ მაშინ ნაციონალებმა ვერ ,,მოახერხეს'' სისხლის ღვრა, თუმცა იმდენი მომწამვლელი ნივთიერებები გამოიყენეს, რომელიც შეშურდებოდა ქართველთმოძულე უცხოელ დამპყრობლებსაც კი.

მე დავამატებდი ერთს, ეს ნაშრომი ნამდვილად დაიკავებს ღირსეულ ადგილს ქართულ პატრიოტულ ჰეროიკაში, რადგანაც მან შეასრულა უდიდესი როლი, გააშიშვლა რეჟიმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საზოგადოებას დაანახა მისი სისხლიანი სახე, თანაც დასვა მეტად დამაფიქრებელი კითხვა, ისეთი რეჟიმი, რომელიც თავის ხალხს არ ინდობს, არ ინდობს იმ ადამიანებს, რომლებმაც თავის დროზე მოიყვანეს იგი ხელისუფლებაში და შემდეგ, როდესაც დაინახა მისი ნამდვილი ,,სახე,'' დაუპირისპირდა მას და ამის გამო სასტიკადაც დაისაჯა. მხილებისა და გაკიცხვის ღირსია ყოველივე ის, რაც 26 მაისს განახორციელა სააკაშვილის ხელისუფლებამ ქართველი ერის წინააღმდეგ, ხელისუფლებამ, რომელიც მთელ მსოფლიოში ,,დემოკრატიის" სახელით იყო ცნობილი, განახორციელა ენით აუწერელი, სადისტური და კაცთმოძულეობითი ქმედება საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ამიტომ ეს ნაშრომი უნდა ითარგმნოს მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ერის ენაზე, რათა დაინახონ ყველგან, თუ რა ჯალათები განაგებდნენ მთელ ქვეყანას ამ ხნის განმავლობაში.

ოთარ გოგოლიშვილი,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, დამსახურებული მოღვაწე

...

სრულიად ვიზიარებ პროფესორ ოთარ გოგოლიშვილის მოსაზრებას – წიგნი ,,ეს არ უნდა განმეორდეს!" ითარგმნოს მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ერის ენაზე, რათა დაინახონ ყველგან, თუ რა ჯალათები განაგებდნენ მთელ ქვეყანას ამ ხნის განმავლობაში საქართველოში" და მიმაჩნია, ანალოგიურად ასევე უნდა ითარგმნოს დოკუმენტური ფილმიც ,,სისხლიანი კალო".

ჯემალ ხოფერია,

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

...

რაც შეეხება პროფესორ ოთარ გოგოლიშვილის მოსაზრებას წიგნის ,,ეს არ უნდა განმეორდეს!“ თარგმნის შესახებ: ამ ეტაპზე თარგმნილია რუსულ ენაზე, ხოლო დოკუმენტური ფილმი ,,სისხლიანი კალო“ თარგმნილია ინგლისურ და რუსულ ენებზე და განთავსებულია ინტერნეტში.

თენგიზ ცეცხლაშვილს ზემოხსენებული წიგნებს ახლახანს შეემატა კიდევ ერთი წიგნი ,,მე ორივ კუთხის ძეობას ვცდილობ“.

აი როგორ გამოეხმაურა ამ წიგნს გაზეთი ,,აჭარა“ №.112 /7.9.2017წ./ ჟურნალისტი რევაზ მსხილაძე:

,,მწერლის გულის მონაწური წიგნი

გამოვიდა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თენგიზ ცეცხლაშვილის მორიგი ავტობიოგრაფიული წიგნი ,,მე ორივ კუთხის ძეობას ვცდილობ”...

წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ეს მისი 35-ე წიგნია, მაგრამ ვფიქრობ ყველაზე აღმატებული, რადგან მისი ქართველობა, კაცობა, ნიჭი, დაუცხრომელი ხასიათი, შრომისმოყვარეობა ყველაზე ნათლად ამ წიგნშია გამოხატული.

თენგიზ ცეცხლაშვილი წარმოშობით კახელია, მაგრამ ბათუმში დაიბადა. მამამისს ნიკოლოზ ცეცხლაშვილს ბათუმში ყოფნისას გაუცნია ანა გიორგობიანი და აქვე დაქორწინებულან. შეეძინათ ორი შვილი - თენგიზი და თამაზი, თუმცა ნიკოლოზს პირველი მეუღლისგანაც ჰყოლია შვილები, რომლებთანაც თენგიზსა და თამაზს დღესაც ახლო ურთიერთობა აქვთ. არც დიდი და მრავალრიცხოვანი სანათესაო აკლია. წიგნში თითქმის ყველაა წარმოდგენილი. გაცოცხლებული არიან ის ახლობლებიც და სხვა ადამიანებიც, რომელთა ხელშიც იზრდებოდა და ღრმა კვალი დააჩნიეს მის პიროვნებასა და ცხოვრებას, განაპირობეს მისი კაცად და ქართველად ჩამოყალიბება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორი ხატავს ბათუმის უახლეს წარსულსაც. გვახსენებს მის ცნობილ ადამიანებს. ეს ყველაფერი მოთხრობილია ჩვენი ქვეყნის ბოლო ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის ფონზე, რომელიც უაღრესად რთული იყო ქართველი ერისათვის და რომლის შედეგებიც დღემდე მოჰყვება ქვეყანას. ყოველივე აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, სიმბოლურია პატარა ლექსით გამოხატული მისი გულისთქმაც, კახელებისადმი რომაა მიმართული.

სულით თქვენთან ვარ, მე აჭარიდან,
ღმერთმა დაგლოცოს კახეთო ჩემო,
არ ვიცი, როგორ გამომდის მაგრამ,
მე ორივ კუთხის ძეობას ვჩემობ...

ამ ორი კუთხის კი არა, თავისი კაცობით და მოღვაწეობით სრულიად საქართველოს შვილია თენგიზ ცეცხლაშვილი, რაც ამ წიგნიდანაც ნათლად ჩანს. ამიტომაც ახლავს მას რედაქტორის, ცნობილი მწერლის ანა დუნდუას, მეტად ემოციური წინასიტყვაობა, ბოლოში კი ცნობილი მწერლების , ხელოვნების მოღვაწეების ლადო რამიშვილის, თამაზ წივწივაძის, ვახტანგ ახვლედიანის, შოთა ზოიძის, ოთარ გოგოლიშვილის, ანზორ კუდბას, რამაზ სურმანიძის, ჯემალ ჩიჩუას და სხვათა კეთილი ნათქვამები მის შესახებ...

წიგნი ეძღვნება მწერლის დეიდაშვილის, გამორჩეული ქართველი ვაჟკაცის ბორის (ბუჭუ) ნიკოლოზის ძე ფრუიძის ხსოვნას.

კითხულობ ამ შესანიშნავ წიგნს და გიკვირს, როგორ ჩაატია მწერალმა ხსოვნის კიდობანში ამდენი რამ, ან როდის მოასწრო ამდენ ცნობილ ადამიანთან შეხვედრა, ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობა, ეროვნული თავისუფლების და ფასეულობების დასაცავად ბარიკადებზე დგომა და ამ მოვლენების ჩაწერა, ეროვნული უშიშროების ორგანოში მუშაობა, სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა და ოჯახის შექმნა და ეს ყველაფერი 70 წლის ასაკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არანაკლებ მნიშვნელოვანია ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობის პერიოდი. ბარიკადებზე დგომა, სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ საპროტესტო აქციებზე გამოსვლები, თავგანწირვა და მრავალგზის გადარჩენილი სიცოცხლე. სწორედ ეროვნულმა მოძრაობამ გააცნო, დაამეგობრა და დაახლოვა იგი ისეთ ცნობილ, სახელგანთქმულ ადამიანებს, როგორებიც არიან ,,სახალხო კრების" წევრები ნონა გაფრინდაშვილი, ნინო ბურჯანაძე, მერაბ ბერძენიშვილი, თეიმურაზ შაშიაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, ლუკა კურტანიძე და, რა თქმა უნდა ეამაყება, რომ სახელგანთქმული მოჭიდავე ლევან თედიაშვილი მისი თანაკურსელი იყო და დღესაც მეგობრობენ.

აღსანიშნავია, რომ მწერალი დიდი სიყვარულით იგონებს ცნობილ პედაგოგებს, თავის მასწავლებლებს ვენერა სიხარულიძეს, განსაკუთრებით ბესარიონ დოჭვირს, მის მეუღლეს სადიკოს და მათ რვა შვილს, ასევე ცნობილ პედაგოგებს თინა და ნადია დოჭვირებს, ბელა ჩხაიძეს.

სწორედ ასეთი უხვი მონაგარით გაკვირვებულ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს თამაზ წივწივაძეს უკითხავს მისთვის, როგორ დღემდე არ ხარ მწერალთა კავშირის წევრიო? შემდეგ იყო შეხვედრა პარლამენტში, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარესთან, ცნობილ პოეტ ტარიელ ჭანტურიასთან. ისიც გაოცებულა როგორ არ ხარ მწერალთა კავშირის წევრიო. ამაზე თენგო ხუმრობს კიდეც, ილია ჭავჭავაძე, აკაკი და ვაჟა არ ყოფილან მწერალთა კავშირის წევრები, მაგრამ ამით არაფერი დაკლებიათო ...

წიგნი უხვადაა ილუსტრირებული, თან ერთვის მწერლის წიგნების თაობაზე პრესაში განოქვეყნებული ანოტაციები და რეცენზიები. ასე, რომ ახალი წიგნების თაროს შეემატა კიდევ ერთი უდავოდ კარგი წიგნი, მართლაც რომ ავტორის გულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაწური წიგნი, რომელსაც მისივე რწმენით, პირუთვნელად განსჯის მკითხველი...“

თენგიზ ცეცხლაშვილმა თავისი წიგნის ,,მე ორივ კუთხის ძეობას ვცდილობ“ გამოცემის შემდეგ, სულ რაღაც რამდენიმე თვეში გამოსცა წიგნები: ,,ბათუმის აკადემია“ და ,,ალი სამსონია“. აი, როგორ გამოეხმაურა გაზეთი ,,აჭარა“ (№23, 27-28. 2018 წ.).

,,ალი სამსონია“ და ,,ბათუმის აკადემია“.

თენგიზ ცეცხლაშვილის კრებულების წარდგინება. ჟურნალისტ რევაზ მსხილაძის სტატიაში ვკითხულობთ: ,,23 თებერვალს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თენგიზ ცეცხლაშვილის წიგნების - ,,ალი სამსონია“ და ,,ბათუმის აკადემია“ წარდგინება გაიმართა.

ღონისძიება გახსნა ბიბლიოთეკის დირექტორმა გენადი მახარაძემ. მან მოკლედ ისაუბრა თენგიზ ცეცხლაშვილის ლიტერატურულ საქმიანობაზე, ბიბლიოთეკის როლზე მწერალთა ნაშრომ-ნაღვაწის საზოგადოებისთვის წარდგინებაში. ზემოაღნიშნული კრებულები ჩვენი ქალაქის გამორჩეული, კოლორიტული პიროვნების, მწერლის, ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის ალი სამსონიას და მის მიერ შექმნილი ,,ბათუმის აკადემიის“ შესახებ მოგვითხრობს, რაც მათ კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ბათუმელი მკითხველებისთვის და არა მარტო მათთვის. წარდგინების წამყვანის, ბიბლიოთეკის თანამშრომლის მანანა სულაბერიძის თქმით, თენგიზ ცეცხლაშვილმა საზოგადოებას ძალიან კარგი საჩუქარი გაუკეთა. ზემოთ აღნიშნულ კრებულებში გაცოცხლებულია ჩვენი ქალაქის ახლო წარსული, ის ადამიანები, რომლებიც მის გვერდით იყვნენ, ღრმა კვალი დატოვეს ამქვეყნად. მათ შორის ალი სამსონია მართლაც გამორჩეული იყო. თენგიზი ერთობ გულითადად წერს მის მიერ შქმნილ ბათუმის აკადემიაზეც, მის ისტორიასა და დღევანდელობაზე, იმაზე, რომ იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრძელებს კარგ ტრადიციებს, რომელიც, უპირველესად, აკადემიის დღევანდელი ხელმძღვანელის ასლან კაკაბაძის დამსახურებაა.

წარდგინებაზე მიწვეულმა საზოგადოების წარმომადგენლებმა თავიანთი აზრი გამოთქვეს კრებულების შესახებ.

თენგიზ ცეცხლაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა მართლაც მისასალმებელი და ფასეულია, რა თქმა უნდა, დღეს წარმოდგენილი კრებულებიც. ორივე ჩემ თვალწინ ჩავლილი ისტორიაა. მე და ალი თანატოლები ვიყავით. ერთად გამოვედით ასპარეზზე. ალი სამსონიას პიროვნებას და მოღვაწეობას სათანადოდ მხოლოდ ჭეშმარიტი ბათუმელი გაიგებს, მკვიდრი ჩვენი პატარა ქალაქისა, რომელსაც მან სიყვარულით ,,წვიმიანი მზიანეთი“ უწოდა, ხალასი იუმორით და სიყვარულით სავსე მოთხრობები, ნოველები, ხატოვანი გამოთქმები, ფრაზები უძღვნა. ამ ქალაქში ყველაფერი პატარაა, გარდა დიდი გულის ადამიანებისაო, უყვარდა თქმა და დიდი გულით, სიყვარულით წერდა კიდეც ამ ადამიანებზე. ასევე გულიანად, უდიდესი პასუხისმგებლობით რედაქტორობდა ჟურნალ ,,ჭოროხს“ და გაზეთ ,,აჭარას“. მის მიერ საფუძველჩაყრილი ,,ბათუმის აკადემია“ აგრძელებს კეთილ ტრადიციას და ალი სამსონიას ხსოვნას ინახავენ ,,აკადემიელებიც“ და ქალაქის საზოგადოებრიობაც, იმის თქმა კი აუცილებელია, რომ წიგნის ავტორი თენგიზ ცეცხლაშვილი ერთ-ერთი აქტიური მემატიანეა, რომელიც ყველაზე მეტად ცდილობს საზოგადოებას გაახსენოს მისი ფენებიდან გამოსულ შემოქმედთა ბიოგრაფიები, რათა ჩვენს დროში გაღვივებული ნიჰილიზმი არ შეეხოს ღირსეულ ადამიანთა სახელს, ცხოვრებას და ღვაწლს. წიგნის ავტორისეულ და მთავარ ნაწილს კარგად ავსებს ალი სამსონიას მეგობართა და თანამედროვეთა მოგონებები, რომელთა ერთი ნაწილი პირველად ქვეყნდება და ამდენად ახალი ინტერესის საგანსაც წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წაკითხვისას გაჩენილ მრავალ სურვილთაგან ერთს განსაკუთრებულად გამოვყოფდი. მწერლებმა, პუბლიცისტებმა, ლიტერატურამცოდნეებმა, ყველამ რაც შეიძლება ხშირად შექმნან მსგავსი ნაშრომები. ეს ჩვენი პროფესიული წინაპრების პატივისცემა და ადამიანური მოვალეობაცაა.

- აღნიშნა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ რამაზ სურმანიძემ.

... დიდი სიყვარულით ისაუბრეს ალი სამსონიასა და მის შექმნილ ,,ბათუმის აკადემიაზე“ აჭარის მთავრობის აპარატის უმაღლეს საბჭოსთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ავთანდილ ბერიძემ, - ასევე პოეტებმა ანა დუნდუამ, ცისანა ანთაძემ და ბელა ქებურიამ, წაიკითხეს მისდამი და ბათუმისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები.

ალი სამსონიასთან ურთიერთობიდან ბევრი რამ გაიხსენა პუბლიცისტმა გოდერძი ტოტოჩავამ. მოქანდაკემ და მხატვარ-დიზაინერმა ჯიმსონ გურგენიძემ დამსწრეთ წარუდგინა ალი სამსონიას ბიუსტის თაბაშირის ესკიზები.

წარდგინების მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს თენგიზ ცეცხლაშვილს კრებულების შექმნისათვის და ახალი წარმატებები უსურვეს.“

ანზორ კუდბა, მწერალი

სარჩევი

რედაქტორისგან 3
ამ ცოდნის ტაძარს 115 წელი შეუსრულდა 6
აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის
საჯარო ბიბლიოთეკის ისტორია 7
ავტორისგან 12
* * * ბიოგრაფია: აკაკი წერეთელი (1840-1915) 20
ბიბლიოთეკის დირექტორები 76
მარიამ გუსევა 76
ნანა (ნადიდე) გვარიშვილი 81
ჯემალ ჯაყელი 88
მამია ბერძენიშვილი 89
ეთერ ცივაძე 93
სოსო ჯორბენაძე 109
გენადი მახარაძე 112
ნატო ჭყონია – დირექტორის მოადგილე 113
მანანა სულაბერიძე – წამყვანი ბიბლიოთეკარი. 125
ფონდების დაკომპლექტებისა და კატალოგების
ორგანიზების განყოფილება. 131
ძირითადი წიგნსაცავის განყოფილება. 133
უცხოური ლიტერატურის განყოფილება. 135
სალომე ჟორჟიკაშვილი 137
ინფორმაციული ტექნოლოგიების და
ელექტრონული რესურსების განყოფილება. 138
აბონემენტის განყოფილება 138
კულტურული პროგრამების და სამკითხველო
დარბაზებით მომსახურების განყოფილება 139

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუღალტერიის განყოფილება 142
რეგისტრატურის განყოფილება 142
საცნობარო ბიბლიოგრაფიული და
სამხარეთმცოდნეო განყოფილება 143
საბიბლიოთეკო საქმის რჩეული მოამაგე 145
ყველაზე დიდი ჯილდო - კმაყოფილი მკითხველია 147
სამეურნეო განყოფილება 150
საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება 153
მედეა კალანდარიშვილი 158
საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება 166
ბათუმ ქალაქობას გილოცავთ ჩვენო მეზღაპრევ!!!! 169
ამაგდარი ბიბლიოთეკარები 171
ოლია ქართველიშვილი 171
სონია ჭელიძე 173
თალიკო დოლიძე 176
ნორა ტაბუცაძე 178
ავრორა ჩხაიძე 191
ანტონინა ხელაძე-ჯაყელი 184
საჯარო ბიბლიოთეკა 105 წელი იუბილეს
ისევ ძველი სტატუსით შეხვდება 186
ამ ბიბლიოთეკით გვედგა სული 188
გაიხსნა ,,ბიბლიოთეკის კვირეული“ 191
ბათუმში მითენდება მიღამდება და.... მაინც მენატრება. 193
აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის
საჯარო ბიბლიოთეკა 115 წლის გადმოსახედიდან 196
ბიბლიოთეკას, ბიბლიოთეკარებს. 197
წლები მარადჟამ ღირსსახსოვარი. 199
მილოცვა პოეტის არქივიდან სკა, იგი,
მუდამ თაფლით სავსე.... 200
(სიტყვა, რომელიც უნდა მეთქვა). 200

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გახსენება. 201
ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა 204
ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა 115 წლისაა 206
ნ. კანდელაკის სახელობის ბათუმის სამხატვრო
სკოლა გილოცავთ საუბილეო 115 წლისთავს 207
გილოცავთ საიუბილეო 115 წლისთავს. 209
ცოდნის სალონი 215
წიგნიერების სამსახურში 216
ცოდნის ტაძარი 217
გილოცავთ იუბილეს! 223
გილოცავთ!. 224
ბოლოთქმა 231
ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიებები 231
ბიბლიოთეკის სტუმრები 231
,,ბიბლიოთეკის კვირეული“ დამთავრდა 250
ნანა დიასამიძე 254
რამაზ სურმანიძე – 85 256

პროგრამისტი – **ანაიდა ავეტისიანი**

ქაღალდის ზომა 60X84
ფიზიკური თაბახი 18,25
ტირაჟი 100 ც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ ცეცხლაშვილი

ბათუმის ქუჩებს დღესაც ატევია
დიდ წინაპართა ნაფეხურები,
ფრთხილად მივუვები მე მათ აჩრდილებს
და მიცოცხლდება მათი სულები.

- თენგიზ ცეცხლაშვილი